კვირის პალიტრა

გზა

N50 (392) 13/XII-19/XII.2007 ფასი 80 თეთრი

როგორ შეხვდა მამის გადაწყვეტილებას ლევან გაჩეჩილაძის სამი ვაჟი

ნინო მიქელაძე: „პირველ ლედობაზე ნაკლებად ვფიქრობ“...

წინასაარჩევნო ზეწოლა საჯარო პირებზე თუ შანტაჟი...

ISSN 1987 - 5029

საბა SABA

სამზარეულოები იტალიიდან

MIDNIGHT SPAGHETTI ALL'ITALIANA.

BERLONI

YOUR HOME, ABOVE ALL.

კანდელაკის ქ. 65 0160 თბილისი საქართველო

www.saba.ge e.mail: info @ saba.ge (+995 32) 38 44 54

ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲥᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐ

ᲒᲖᲐᲨᲘ ᲬᲜᲘᲚᲔᲑᲘ

№50 (392)
13 – 19 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲔᲠᲘ, 2007 Წ.
ᲤᲐᲡᲘ 80 ᲗᲗᲘᲗᲠᲘ

ᲐᲘᲝᲜᲘᲡᲘᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲒᲣᲠᲘᲝᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲘᲪᲘᲪᲮᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲨᲘᲨᲘᲡ ᲓᲐᲠᲩᲐ ᲒᲐᲓᲘᲡ — ᲛᲔᲠᲔ ᲠᲘᲩᲕᲘᲗ.

ᲮᲔᲚᲐᲮᲚᲐ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ

ᲤᲝᲢᲝᲠᲔᲪᲘᲢᲘ

ᲒᲠᲐᲤᲘ ᲗᲐᲠᲮᲐᲜᲘ

39-70

■ ᲛᲘᲜᲘᲐᲢᲣᲠᲔᲑᲘ
ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲖᲚᲐᲞᲐᲠᲘ ᲐᲜᲣ „ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲤᲣᲠᲪᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲯᲐᲓᲝᲡᲜᲣᲠᲘ ᲙᲐᲚᲐᲛᲘ“ 5
■ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘ
„ᲐᲠᲪ ᲔᲠᲗᲘ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲦᲘᲠᲡᲐᲓ ᲐᲠ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ“ 6
■ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲐ
ᲔᲠᲗᲘ ᲓᲦᲔ „ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ“ 8
■ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲘ
ᲡᲐᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲝ ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲔᲑᲘ: ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲓᲐᲪᲕᲐ, ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ, ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲗᲚᲘᲐᲜᲔᲑᲐ 10
■ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲔᲚᲘ
ᲛᲣᲥᲐᲠᲐ, ᲛᲝᲡᲧᲘᲓᲕᲐ, ᲓᲐᲨᲘᲜᲔᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲑᲡᲣᲠᲓᲣᲚᲘ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲔᲑᲘ 12
■ ᲛᲐᲓᲚᲘ
ᲠᲐᲤᲝᲛ ᲣᲮᲐᲠᲘᲐ ᲛᲝᲜᲡᲔᲠᲐᲢ ᲙᲐᲑᲐᲚᲘᲔᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲩᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ 13
■ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ
„ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲛᲘᲜᲐᲮᲐᲕᲡ“ 16
■ ᲔᲛᲘ�გᲠᲐᲜᲢᲘ
ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲓᲔᲠᲐᲚᲘ ᲓᲐ ᲛᲡᲐᲮᲘᲝᲑᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲖᲔ ᲝᲪᲜᲔᲑᲝᲑᲡ 17
■ ᲡᲐᲒᲐᲜᲫᲣᲠᲘ
85 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲝᲮᲣᲪᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲪᲔᲠᲔᲑᲖᲔ ᲨᲔᲡᲠᲣᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲮᲣᲚᲘ 19
■ ᲐᲦᲡᲐᲠᲔᲑᲐ
ᲨᲔᲣᲠᲘ�გᲔᲑᲔᲚᲘ ᲐᲜᲐ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 20
■ ᲔᲠᲣᲓᲘᲢᲘ
ᲒᲖᲐᲨᲘ ᲬᲐᲙᲘᲗᲮᲣᲚᲘ ᲬᲘ�გᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ „ᲒᲖᲘᲡᲗᲕᲘᲡ“ ᲒᲐᲪᲔᲛᲣᲚᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ 22
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲠᲝᲚᲨᲘ
„ᲛᲘᲡ ᲑᲘᲙᲘᲜᲘᲗ“ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲣᲚᲘ ᲣᲮᲐᲛᲡᲘ ᲕᲐᲠᲗᲝ ᲓᲐ ᲠᲘᲡᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ ᲛᲐᲜ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲗᲐᲕᲡ 24
■ ᲠᲔᲞᲝᲠᲢᲐᲟᲘ
ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲠᲘ�გᲨᲘ ᲜᲐᲪᲔᲛᲘ ᲛᲝᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲘ... 26
■ ᲞᲠᲝ�გᲜᲝᲖᲔᲑᲘ
ᲐᲡᲢᲠᲝᲚᲝᲒᲘᲐ, ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲨᲘᲐ ᲛᲝᲡᲐᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ 28
■ ᲐᲜᲢᲘᲓᲔᲞᲠᲔᲡᲐᲜᲢᲘ 30

ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲗᲮᲔᲑᲘ

„ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲡ ᲜᲔ�გᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲘ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲝᲥᲠᲣᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ. ᲛᲐᲜ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲔᲗᲐᲒᲘᲣᲠᲘ ᲛᲣᲮᲢᲐ ᲨᲔᲥᲛᲜᲐ, ᲠᲐᲛᲐᲪ ᲨᲔᲛᲓᲒᲝᲛ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲬᲕᲘᲐ“.

28

ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ?

ᲐᲠᲐᲡᲠᲣᲚᲤᲐᲡᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘ ᲮᲔᲚᲡ ᲒᲕᲘᲛᲚᲘᲡ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ ᲜᲝᲠᲛᲐᲚᲣᲠᲘ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐᲨᲘ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ, ᲕᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲥᲪᲘᲔᲚᲘᲡ ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲐᲓ ᲨᲔᲤᲡᲕᲐ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲠᲝᲪᲐ ᲨᲔᲪᲓᲝᲛᲔᲑᲘ ᲐᲨᲙᲐᲠᲐᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲬᲝᲠᲔᲑᲐᲪ ᲘᲝᲚᲘᲐ.

80

Seurigebeli ana

— ᲩᲔᲛᲡ ᲐᲖᲠᲡ ᲕᲘᲜ ᲓᲐᲔᲪᲔᲑᲘᲡ?! ᲘᲥ, „ᲖᲔᲛᲝᲗ“ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲔᲜ, ᲠᲝᲛ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲐᲛᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲐᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲓᲘ ᲓᲐ ᲒᲘᲗᲕᲐᲚᲗᲕᲐᲚᲔᲑᲔᲜ.

— ᲔᲘ. ᲘᲡᲘᲪ ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲐᲮᲚᲐ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲮᲐᲠ, ᲐᲠᲐ?

— ᲔᲪᲝᲓᲘᲜᲔᲑᲐᲗ!

— ᲛᲔᲠᲔᲓᲐ, ᲠᲐᲒᲝᲛ ᲠᲘᲡᲙᲐᲕ?

— ᲘᲪᲘᲐᲜ, ᲠᲝᲛ ᲡᲐᲧᲕᲐᲠᲚᲔᲑᲘ ᲕᲐᲠᲗ ᲓᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲮᲐᲜᲘᲐ, ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲗᲐᲜ. ᲐᲛᲘᲢᲝᲛᲐᲪ, ᲔᲡ ᲐᲠᲪ ᲒᲐᲣᲙᲕᲘᲠᲓᲔᲑᲐᲗ...

20

■ ᲬᲐᲜᲓᲔᲛᲘ
ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ ᲓᲐ ᲠᲐ ᲠᲩᲔᲕᲔᲑᲡ ᲐᲫᲚᲔᲕᲓᲐ ᲛᲐᲡ ᲔᲙᲐ ᲛᲭᲐᲕᲐᲜᲐᲫᲔ 30
■ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘᲡ ᲖᲝᲜᲐ
ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝ ᲖᲝᲜᲐ ᲗᲣ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲘ?! 32
■ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ
ᲘᲝᲙᲝ ᲝᲜᲝᲡ „ᲡᲝᲮᲣᲛᲔᲚᲘ“ ᲑᲘᲪᲝᲚᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲐᲜᲝᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲠᲩᲔᲜᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲕᲔᲠᲡᲘᲐ 34
■ ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ
ᲝᲠᲙᲕᲘᲠᲘᲐᲜᲘ „ᲙᲐᲘᲤᲘ“... 36
■ ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ
ᲞᲔᲠᲞᲔᲡᲖᲔ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲪᲮᲠᲐ ᲛᲪᲓᲐᲠᲘ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲐ 37
■ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲨᲘ
ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ 39-70
■ ᲗᲔᲛᲐ
ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲓ ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲨᲘ — ᲠᲐᲡ ᲒᲕᲐᲡᲬᲐᲕᲚᲘᲡ ᲦᲐᲠᲘᲑᲗᲐ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘ 71
■ ᲪᲝᲓᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲠᲝ
ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲒᲐᲨᲘᲨᲕᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲣᲚᲘ 72
■ ᲠᲝᲛᲐᲜᲘ
ᲖᲐᲖᲐ ᲕᲐᲩᲜᲐᲫᲔ. ᲛᲢᲙᲕᲐᲠᲬᲚᲔᲑᲣᲚᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 74
■ ᲢᲐᲘᲛ-ᲐᲣᲢ 78
■ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲐᲕᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
✓ᲛᲝᲒᲬᲝᲜᲗ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲐᲕᲘ? 80
✓ᲨᲘᲨᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲗᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲐᲥᲕᲡ 81
■ ᲑᲔᲡᲢᲡᲔᲚᲔᲠᲘ
ᲒᲝᲩᲐ ᲛᲐᲜᲕᲔᲚᲘᲫᲔ. ᲛᲒᲚᲔᲑᲘ 4 (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 82
■ ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲔᲑᲘ
✓ᲓᲔᲜᲘᲔᲚ ᲙᲠᲔᲘ�გᲘ ᲤᲘᲪᲡ ᲓᲔᲑᲡ... 87
✓ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ 87
✓ᲯᲝᲠᲯ ᲙᲚᲣᲜᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲡᲐᲠᲐ ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲒᲣᲚᲘᲐ 87
■ ᲡᲐᲠᲔᲙᲚᲐᲛᲘ
„ᲐᲠ ᲒᲘᲜᲓᲐ, ᲒᲐᲙᲝᲪᲝ ᲓᲐ ᲩᲔᲛᲘ ᲒᲣᲚᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲔᲜ ᲒᲐᲩᲣᲥᲝ?“ 89
■ ᲑᲔᲚᲐᲓᲘ
ᲛᲮᲔᲓᲐᲠᲗᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲡᲢᲐᲚᲘᲜᲘ (ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ) 90
■ ᲗᲘᲜᲔᲘᲯᲔᲠᲣᲚᲘ ᲞᲝᲜᲢᲔᲑᲘ
✓ᲔᲠᲗᲒᲕᲐᲠᲘ ᲘᲜᲢᲠᲘ�გᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲣᲠᲞᲠᲘᲖᲘ ᲚᲔᲥᲡ-ᲡᲔᲜᲘᲡᲒᲐᲜ 92
✓„ᲒᲖᲘᲓᲐᲜ ᲝᲠᲛᲐ ᲐᲠᲐᲙᲐᲪᲛᲐ ᲒᲙᲠᲐ ᲮᲔᲚᲘ, ᲐᲮᲚᲝᲑᲚᲔᲑᲛᲐᲪ ᲒᲘᲦᲐᲚᲐᲢᲔᲡ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲘᲪ ᲓᲐᲙᲐᲠᲒᲔ“ 93
■ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲐᲜᲘ
„ᲐᲠᲐ ᲮᲐᲛᲡ ᲓᲐᲗᲛᲔᲜᲐ — ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ ᲡᲯᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲗᲕᲘᲡ!“ 96
■ ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘ
✓ᲑᲝᲠᲝᲢᲑᲝᲛᲥᲛᲔᲓᲛᲐ ᲓᲘᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡᲘ ᲯᲔᲠ ᲡᲪᲔᲛᲐ, ᲨᲔᲛᲓᲒᲔ ᲒᲐᲐᲣᲞᲐᲢᲘᲣᲠᲐ 98
✓ᲙᲐᲚᲐᲫᲘᲡ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲖᲔ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔᲛ ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲐ ᲛᲘᲡᲪᲐ 99
■ ᲑᲝᲛᲑᲝᲜᲓᲘ
ᲮᲐᲢᲘᲐ ᲨᲐᲛᲣᲒᲘᲐᲡ ᲡᲣᲠᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ „ᲤᲐᲠᲗᲘ“ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲛᲝᲛᲦᲔᲠᲚᲔᲑᲘ 100
■ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲖᲐᲘᲙᲐ 101
■ ᲐᲕᲢᲝ 102
■ ᲞᲠᲝᲠᲝᲡᲙᲝᲠᲘ 103
■ ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘ 104
■ ᲢᲔᲡᲢᲘ 105
■ ᲙᲐᲚᲔᲘᲓᲝᲡᲙᲝᲠᲘ 106

ᲒᲐᲠᲔᲙᲐᲜᲖᲔ: ᲘᲠᲛᲐ ᲚᲘᲞᲐᲠᲢᲔᲚᲘᲐᲜᲘᲡ ᲙᲝᲚᲐᲟᲘ

ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲗ-ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲒᲖᲐ“
ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲙᲕᲘᲠᲐᲨᲘ ᲔᲠᲗᲮᲔᲚ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ
ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲞᲐᲚᲘᲢᲠᲘᲡ“ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲐ
ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲞᲠᲔᲡᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲗ.
ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲐᲖᲠᲘ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲡ ᲐᲖᲠᲡ.
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ: ᲖᲣᲠᲐᲑ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲔ
ᲛᲗ. ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘᲡ ᲛᲝᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ: ᲚᲐᲚᲘ ᲤᲐᲪᲘᲐ, ᲚᲘᲙᲐ ᲥᲐᲯᲐᲘᲐ
ᲛᲔᲜᲔᲯᲔᲠᲘ: ᲛᲐᲗᲔ ᲙᲑᲘᲚᲐᲫᲔ
ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑᲘᲫᲘᲡ Ქ. №49
ᲢᲔᲚ: 38-84-44, ᲤᲐᲥᲡᲘ: 38-08-63. email: gza@kvirispalitra.com
ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ „ᲒᲖᲐᲨᲘ“: 37-78-07; 38-78-70.

ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲐ ᲨᲔᲣᲧᲕᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲔ



„ᲮᲐᲚᲮᲡ ᲓᲦᲔᲛᲓᲔ ᲛᲐᲠᲗᲚᲐ ᲪᲝᲚ-ᲥᲛᲐᲠᲘ ᲕᲒᲝᲜᲘᲕᲐᲠᲗ. ᲑᲔᲕᲠᲯᲔᲠ ᲓᲐᲛᲭᲘᲠᲕᲔᲑᲘᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲐᲮᲡᲜᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲔ ᲣᲪᲝᲚᲝ ᲕᲐᲠ, ᲔᲙᲐ ᲙᲘ ᲒᲐᲗᲮᲝᲕᲘᲚᲘᲐ, ᲰᲧᲐᲕᲓ ᲥᲛᲐᲠᲘ, ᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ“.

30

ᲘᲝᲙᲝ ᲝᲜᲝᲡ „ᲡᲝᲮᲣᲛᲔᲚᲘ“ ᲑᲘᲪᲝᲚᲐ

— ᲗᲥᲕᲔᲜ ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲗ ᲔᲡ ᲥᲐᲚᲑᲐᲢᲝᲜᲘ?

— ᲙᲘ, ᲕᲘᲪᲜᲝᲑᲓᲘ ᲙᲘᲓᲔᲪ. ᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲐ ᲘᲥ — ᲐᲜᲐ ᲓᲐ ᲕᲐᲠᲕᲐᲠᲐ, ᲐᲜᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲝᲡᲘ ᲘᲧᲝ, ᲕᲐᲠᲕᲐᲠᲐ — ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠᲘ. ᲘᲡᲘᲜᲘ ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲨᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲜᲔᲜ. ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲗᲐᲕᲒᲐᲓᲐᲡᲐᲕᲐᲚᲘ ᲰᲥᲝᲜᲓᲐᲗ.

34

„ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲛᲭᲠᲔᲚᲘ“ ᲯᲝᲜᲘ ᲓᲔᲞᲘ

ᲤᲘᲚᲛᲘᲡ „ᲡᲕᲘᲜᲘ ᲢᲝᲓᲘ“ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲘᲡ ᲐᲦᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲛᲐᲠᲗᲣᲚ ᲞᲠᲔᲡᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ ᲯᲝᲜᲘ ᲓᲔᲞᲛᲐ ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲙᲕᲚᲔᲚᲘ ᲓᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲥᲛᲜᲘᲚᲘ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲐᲜ ᲡᲪᲔᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲛ ᲫᲐᲚᲖᲔ ᲛᲝᲮᲘᲑᲚᲐ.

88

— ᲠᲐᲡᲞᲘᲡᲜᲝᲘᲡ ᲜᲐᲚᲦᲚ ᲑᲐᲖᲠᲝᲑᲡ. ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲐᲕᲐᲚᲔᲡ ᲩᲔᲛᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲕᲐ.

— ᲕᲘᲪᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲛᲔ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲐᲛᲔᲖᲔ ᲕᲑᲐᲖᲠᲝᲑ, — Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ ᲚᲣᲙᲐᲛ, — ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲑᲔᲕᲠᲘ ᲠᲐᲛ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲐ!

— ᲠᲐ?!

— ᲐᲓᲠᲔ ᲩᲕᲔᲜ ᲧᲕᲔᲚᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲜᲘ ᲕᲘᲧᲐᲕᲘᲗ. ᲥᲣᲠᲓᲔᲑᲘ, ᲔᲠᲗᲘ ᲝᲯᲐᲮᲘ, ᲡᲐᲛᲛᲝ!.. ᲐᲮᲚᲐ ᲗᲣᲠᲛᲔ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲡᲐᲛᲛᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲐᲥᲕᲡ, ᲮᲐᲠᲙᲝᲕᲘᲡᲐᲡ — ᲡᲮᲕᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲡ — ᲡᲮᲕᲐ!.. ᲠᲐᲡᲞᲘᲡᲜᲝᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲐᲒᲕᲐᲠᲝᲡ. ᲨᲔᲐᲩᲔᲠᲝᲡ ᲡᲕᲐᲜᲔᲑᲘ!..

82

დემოკრატია თუ საარჩევნო ბლეფი

ანუ „ჯალისური ფეხცელი და ჯალისური ყალამი"

ამბობენ, ახალი წლის ღამეს ყველანაირი სასწაული ხდებაო. ეს სხვაგან, თორემ ჩვენთან პირიქითაა ყველაფერი: სასწაულები ახლა ხდება, თუ ხდება და უმთავრესი სასწაული 5 იანვარს მოხდება, თორემ ახალ წელს არანაირ სასწაულს არ ველით: ისევ დიდი გოზინაყი, ბევრი საცივი, გიგანტური ნაძვის ხე და მოყინულ სცენაზე მოსრიალე „სუხიშვილები". ან კი რა სასწაულს უნდა ველოდეთ? დიდი, დიდი, გამოძახებული თოვლის ბაბუა მოვიდეს და „მამასისხლად" ნაყიდი საჩუქარი მოუტანოს შენს შვილს, ან კიდევ, თოვლის ბაბუის ფორმაში გამოწყობილმა რომელიმე „მომავალმა პრეზიდენტმა" მოგიკაკუნოს და დილამდე იმდენი გელაპარაკოს, რომ ხმას კი არა, ფულსაც მისცემ, ოღონდ თავი დაგანებოს.

სამაგიეროდ, წინასაახალწლო სასწაულების მომსწრენი ყოველდღე ვხდებით მას შემდეგ, რაც საარჩევნო კამპანია დაიწყეს პრეზიდენტობის კანდიდატებმა და ისეთ იმედებს გვაძლევენ, რომ აღარ ვიცით, ვის მივცეთ ხმა. ეთერშიც უხვად გადის ზოგის უფასო პოლიტიკური რეკლამა, ზოგის — ფასიანი პოლიტიკური რეკლამა, ზოგის — პოლიტიკური რეკლამა ნისიად ანუ „იმ ძეხვს და არაყს მიაწერე" და ა.შ. ერთი ტერიტორიულ მთლიანობას გვპირდება, მეორე — ნატოში შესვლას, მესამე — „დაჟე" ნატოზე გადახტომას და პირდაპირ ევროკავშირში ტყაპანის გადენას, მეოთხე — ყველაფერს ერთად, მეხუთე — არაფერს გვპირდება, — ჯერ ამირჩიეთ და მერე მე ვიციო... იქნება, თვითონ მართლა კი იცის, მაგრამ ჩვენც ხომ უნდა ვიცოდეთ, რატომ უნდა მივცეთ ხმა?! ზოგისთვის არჩევნები უკომპრომისო ბრძოლაა და მხოლოდ გამარჯვებას მოელის, ზოგისთვისაც — ოლიმპიადა და მთავარი მასში მონაწილეობაა, რომ ბიუჯეტიდან საარჩევნო კამპანიისთვის გამოყოფილი თანხა მიიღოს; ორი პლაკატი შტაბის ჭიშკარზე გააკრას, სამიც — ქალაქის პრესტიჟულ ადგილებში, დანარჩენით თავისი სოციალური მდგომარეობა გაიუმჯობესოს და ჩვენთან ერთად გაიხაროს, რომ პრეზიდენტი არ გახდა. ასეა, საქართველო ხომ ახალი წლის გარეშეც სასწაულების ქვეყანაა?!

თუმცა, როგორც ამბობენ, მთავარი სასწაული თვითონ არჩევნების დღეს — 5 იანვარს მოხდება და ამ სასწაულს „ფოკუს-მოკუს-გაყალბება" ჰქვია. ამ ფოკუსის ავტორებად ოპოზიციური კანდიდატები, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას ასახელებენ და ბუნებრივიცაა, მე რომ პრეზიდენტობის კანდიდატი ვიყო, მეც წინასწარ ვიყვირებ მოსალოდნელ გაყალბებაზე, აბა, „ვერ გავიმარჯვეს" ხომ არ ვიტყვი — მერე რა ნამუსით გამოვალ უბანში, ბირჟაზე?! მაგრამ არ არსებობს გაყალბების შანსიო, — ვერც იმას იტყვის ვინმე, მიუხედავად უამრავი დამკვირვებლისა, ყველაფრის გაკეთება შესაძლებელია. მით უმეტეს, თუ ოპოზიციის პროგნოზი გამართლდა და ე.წ. „ჯადოსნური კალმების" აფერა განხორციელდა. თქვენს ყურამდეც მოაღწევდა ამბავი იმის შესახებ, რომ თურმე, ცესკოს დიდი რაოდენობით „სუპერკალამი" აქვს შემოტანილი, რომელიც უბანში მისულ ამომრჩეველს კაბინაში შესვლისას დახვდება. გულუბრყვილო ამომრჩეველი შემოხაზავს რომელიმე ციფრს და ვალმოხდილი წავა სახლში. თურმე, რამდენიმე წუთში, ეს საოცარი მელანი ორთქლდება, ქრება და ხმის დამთვლელებს სუფთა ბიულეტენები შერჩებათ ხელში, რომელზეც თვითონ შემოხაზავენ ციფრს.

იცინეთ, რამდენიც გინდათ, მეც ვიცინე თავიდან, მაგრამ რამდენი ამომრჩეველი საკუთარი ავტოკალმით მივიდეს არჩევნებზე, იმდენი სიხარული ჩვენ! ა, ბატონო, გაყალბების ეს მექანიზმი მარტივად ჩავუფლავეთ. მაგრამ არც ისეთი ქიმიური ხსნარია დეფიციტი, ჩვეულებრივ მელნით დაწერილსაც რომ აქრობს. ახლა რა ვქნათ? რა ვქნათ და, სასურველი ნომერი კი არ შემოვხაზოთ, კბილებით ამოვხვრიტოთ. ეს პრობლემაც მოიხსნა, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვაძლევს დემოკრატიულობის გარანტიას. ხომ შეიძლება, მარკირების სითხეც ისეთი შემოიტანონ, ერთ საათში რომ ორთქლდება და მოსყიდული ამომრჩეველი სხვადასხვა უბანში მივიდეს „კარუსელის" დასატრიალებლად?! მარკირების სითხეც სახლიდან უნდა წავიღოთ, მაგალითად, ქუთაისის „კრასკა" ორი თვე ვერაფერს ამოჰყავს.

მაინც, რა გვეშველება, არ ვიცი, რადგან გავიგე, რომ „სუპერამომრჩევლებიც" ჩამოუყვანია მთავრობას: მელანი და მარკირების სითხე კი არა, თვითონ ამომრჩეველი ორთქლდება თურმე ხმის მიცემიდან რამდენიმე წუთში. მერე ისევ გაჩნდება, მისცემს ხმას, ისევ აორთქლდება და ა.შ... ეს კიდევ არაფერია, იმასაც ამბობენ, რომ თუ წინა პრეზიდენტმა ვერ გაიმარჯვა, აორთქლდება და ვინც გაიმარჯვებს, იმის სახით მაინც თვითონ იპრეზიდენტებს ანუ, პრეზიდენტი იქნება ნათელაშვილი, მაგრამ სინამდვილეში — სააკაშვილი... რა ვერ გაიგეთ, გარედან იქნება ნათელაშვილი, შიგნიდან — სააკაშვილი, „გარეთ — ატლასი, შიგნით — ათასის" პონტია, რა!..

P.S. სწრაფად წაიკითხეთ ჩემი მონაჩმახი, თორემ ისეთი მელნითაა დაწერილი, რომ ორთქლდება და ქრება.

პროვოკატორი

„არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ“

გასულ კვირას ბევრი ადამიანისთვის საინტერესოც, აღმაშფოთებელიც და სასიხარულოც დასაქმების სამსახურის გარშემო მომხდარი ამბები გახლდათ. მოგეხსენებათ, რამდენიმე დღის განმავლობაში სხვადასხვა ადგილას გახსნილ სარეგისტრაციო პუნქტთან დასაქმების მსურველი უამრავი ადამიანი შეიკრიბა... გარდა ამისა, კვირის აქტუალურ თემად, რასაკვირველია, კვლავაც წინასაარჩევნო კამპანია რჩება. პრეზიდენტობის კანდიდატები ამომრჩევლებს ხვდებიან, საზოგადოება კი გულმოდგინედ ეცნობა მათ დაპირებებს და 5 იანვარს საკუთარი არჩევანის გასაკეთებლად ემზადება.

„არც ერთი კანდიდატი პრეზიდენტობის ღირსად არ მიმაჩნია“

ნათია ქივიძე

მარიამ ძნელაძე, *ფილოლოგი, 36 წლის:*

— აღმაშფოთებელი ფაქტი იყო დასაქმების სამსახურში განვითარებული მოვლენები. ორი დღე რიგში ვიდექი, რეგისტრაცია, როგორც იქნა, გავიარე, მერე კი ჩემთვის სამსახური არ აღმოჩნდა. სადაც მივედი, ყველგან უარით გამომისტუმრეს, მითხრეს, — ადგილები უკვე შევსებულიაო. გარდა ამისა, ორი კვირაა, ბანკში დავდივარ, რომ 10.000-ლარიანი სესხი ავიღო. არაფრით არ მაძლევენ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა მათ მოთხოვნას ვაკმაყოფილებ. სააკაშვილს ხომ კარგად ასესხეს 45 მილიონი ლარი, საარჩევნო პროგრამა რომ დაეფინანსებინა?! სწორედ ამიტომ შეარჩია პრემიერ-მინისტრად ლადო გურგენიძე და გაუმართლა კიდეც...

მარინა ჯაფარიძე, *ინჟინერი, 51 წლის:*

— მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ხელისუფლება საკადრის დონეზე არ არის, ხალხი მასზე უარესი ვართ. უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან მდგომ დასაქმების მსურველებს გვითხრეს, ქვემოთ ჩადით, თორემ კიბე ჩაინგრევაო. ვინც მათ დავუჯერეთ და ჩავედით, წავაგეთ, რადგან ბევრი არ დაემორჩილა ამ მოთხოვნას, ხალხი გადათელეს და რეგისტრაციაც უპრობლემოდ გაიარეს. მოგვიანებით, როგორც იქნა, რეგისტრაციაში მეც გამატარეს, მაგრამ სადაც მივედი, ყველგან ზედმეტი აღმოვჩნდი, „მიცვალებულების ორგანიზაციაშიც“ კი, რამაც ყველაზე მეტად აღმაშფოთა. ბოლოს, „სასკოში“ პატივი დამდეს და მიმიღეს. მაგრამ იქაც რიგს არავინ იცავდა, ყველა წინ გადიოდა და კომპანიის ერთ-ერთი თანამშრომელი მათ ამაში ხელს უწყობდა. უკმაყოფილება რომ გამოვთქვით, გვითხრა, — მე ასე მინდა და ახლავე შესვენებას გამოვაცხადებო!.. აი, ასეა, ყველას საკუთარი თავი ჰგონია მეფე. ქართველი მოსახლეობა თითქოს ახალ „ბაბილონის გოდოლს“ აშენებს.

მაკა არჩვაძე, *ფილოლოგი, 35 წლის:*

— არჩევნებზე აუცილებლად წავალ, რათა უნდობლობა გამოვუცხადო დღევანელ ხელისუფლებას და მხარი გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატს — ლევან გაჩეჩილაძეს დავუჭირო. არსებულ კანიდატებს შორის, ჩემში ყველაზე მეტ ნდობას და სიმპათიას სწორედ ის იმსახურებს და მის პროგრამაშიც მომწონს ბევრი რამ.

ლაშა გელაშვილი, *ეკონომისტი, 34 წლის:*

— არჩევნებისთვის გულმოდგინედ ვემზადები. ხმას აუცილებლად მიხეილ სააკაშვილს მივცემ. რასაკვირველია, მისი ყველა ნაბიჯი არ მომწონს და ხშირად მის მოქმედებას გავუღიზიანებივარ კიდეც, მაგრამ ვერ ვხედავ მის შემცვლელს. არც ერთ ოპოზიციონერს პრეზიდენტობისთვის შესაფერის კანდიდატად არ მივიჩნევ. მჯერა, რომ სააკაშვილი ქვეყანას კვლავ ააღორძინებს. ხალხს არ უნდა, აღიაროს, რომ მისი პრეზიდენტობის დროს საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა, რითიც მისი წინამორბედები ვერ დაიკვეხნიან. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც ბევრი რამ შეიცვლება. სხვა თუ არაფერი, ნატოსა და ევროკავშირის წევრები ხომ აუცილებლად გავხდებით?! ეს კი საქართველოს ბევრ რამეში დაეხმარება.

ვასილ ფოფხაძე, *პენსიონერი, 78 წლის:*

— არჩევნებზე წასვლას ნამდვილად არ ვაპირებ, შვილო. ჩვენს ქვეყანას მაინც არაფერი ეშველება. არც ერთი კანდიდატი პრეზიდენტობის ღირსად არ მიმაჩნია. ვისაც უნდა, იმან გამოიყენოს ჩემი ხმა...

ლამარა კანკავა, *პენსიონერი, 74 წლის:*

— არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ, მიუხედავად იმისა, რომ ჯანმრთელობა ხელს არ მიწყობს და შინიდან გასვლა მიჭირს. ხმას, რა თქმა უნდა, მიხეილ სააკაშვილს მივცემ, რომელიც ამბობს, რომ ჩვენ

აფხაზეთს აუცილებლად დავიბრუნებთ. მე თვითონ ლტოლვილი ვარ, სოხუმიდან, და დიდი სურვილი მაქვს, ჩემს სახლში დავბრუნდე. მჯერა სააკაშვილის და ამიტომაც, მას ხმას დაუფიქრებლად მივცემ.

ანა აფაძიძე, *ფილოლოგი, 45 წლის:*

— არჩევნებზე წასვლას აუცილებლად ვაპირებ და ხმას გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელს, ლევან გაჩეჩილაძეს მივცემ. ჩემი არჩევანი განპირობებულია იმით, რომ გაერთიანებული ოპოზიცია მესახება იმ ძალად, რომელიც საპრეზიდენტო ინსტიტუტის (რომელმაც სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანას კარგი არაფერი მოუტანა) გაუქმებას უზრუნველყოფს და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ნანუკა ცუცქირიძე, *სტუდენტი, 20 წლის:*

— კვირის კი არა, ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა 5 იანვრის არჩევნებია, რომელში მონაწილეობასაც აუცილებლად მივიღებ და ჩემს ხმასაც დავაფიქსირებ. არჩევანი ლევან გაჩეჩილაძეზე შევაჩერე. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ძალზე სიმპათიური მამაკაცია, ნამდვილი თბილისელია და სააკაშვილისგან განსხვავებით, სერიოზულიც არის. გარდა ამისა, ამდენი წლის განმავლობაში მივხვდით, რომ საპრეზიდენტო ქვეყანა ვერაფერს გვიშველის, გაჩეჩილაძე კი ამბობს, რომ 3 თვეში გადადგება და საპარლამენტო ქვეყანა იქნება. სწორედ ამიტომ მივცემ მას ხმას.

ანზორ ვაშაყმაძე, *იურისტი, 57 წლის:*

— მნიშვნელოვანი ვადამდელი არჩევნებია, რომელში მონაწილეობასაც აუცილებლად მივიღებ და ხმას დავით გამყრელიძეს მივცემ. მისი პროგრამით დაინტერესებული არ ვარ. უბრალოდ, ეს ადამიანი ჩემში ყველაზე დიდ სიმპათიას იწვევს. სიმართლე გითხრათ, არც კი მომისმენია, რას გვპირდება. ნათელაშვილი კი ვიცი, რომ ყველაფერს უფასოს გვთავაზობს, მაგრამ არასერიოზულ კანდიდატად მიმაჩნია და შესაბამისად, მისი არც მჯერა. მაისაშვილი საერთოდ, არ იწვევს ჩემში სიმპათიას...

ზურაბ არჩვაძე, *ფიზიკოსი, 36 წლის:*

— არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ და ხმას მიხეილ სააკაშვილს მივცემ. ეგ კაცი რასაც გვპირდება, ყველაფერს ასრულებს. ახლა დასაქმებას დაგვპირდა და იმედი მაქვს, მეც დამასაქმებენ. ეს დაპირება ახლანდელი დასაქმების სამსახურითაც დაამტკიცა. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

თამაზ მინდაძე, *ინჟინერი, 47 წლის:*

— არჩევნებში მონაწილეობა აუცილებელია. რაც შეეხება ჩემს ფავორიტ კანდიდატს, — მიმაჩნია, რომ ამ თანამდებობისთვის ყველაზე კარგად მომზადებული, შალვა ნათელაშვილია. მას და მის პარტიას უკვე კარგა ხანია, ჰყავს საკუთარი ელექტორატი, რომელიც ბატონ შალვას აუცილებლად მოუტანს ხმებს. აქვე იმასაც ვიტყვი, რომ მჯერა — შალვა ნათელაშვილი და ლეიბორისტული პარტია აუცილებლად შეასრულებენ იმ დაპირებებს, რომლებსაც დღეს ხალხს აძლევენ.

როგორც ჩანს, არჩევნებს მთელი საქართველო სულმოუთქმელად ელოდება. სწორედ ამიტომ, საზოგადოებისთვის ცნობილ ადამიანთა არჩევანითაც დავინტერესდით და მათ დავუკავშირდით.

ARCHEVANI UKVE GAKETEBULI MAQVS, MAGRAM 5 IANVRAMDE KIDEV ARIS DROO, RA VICIT, MANAMDE RA MOXDEBA?

თამუნა ამონაშვილი, *მომღერალი:*

— საერთოდ, პოლიტიკური კომენტარებისგან ყოველთვის თავს ვიკავებ. არჩევნებზე, რასაკვირველია, მივდივარ და ვისაც ვიცნობ, ამის გაკეთებას ყველა აპირებს. როგორ შეიძლება, რომ ვინმე არ წავიდეს? 5 იანვარს ხომ ქვეყნის ბედი წყდება!..

— უკვე იცით, ხმას ვის მისცემთ?

— არჩევანი უკვე გაკეთებული მაქვს, მაგრამ 5 იანვრამდე კიდევ არის დრო, რა ვიცით, მანამდე რა მოხდება? შესაბამისად, შესაძლოა, ჩემი არჩევანიც შევცვალო. თუმცა, აფიშირებას არ გავუკეთებ, ხმას ვის მივცემ. საერთოდ, არა მგონია, ამ შეკითხვაზე ვინმემ გიპასუხოთ, რადგან საარჩევნო უბნებში ფარდა იმიტომ არის ჩამოფარებული და იქ მარტო იმიტომ შედიხარ, რომ შენი არჩევანის შესახებ არავინ გაიგოს. ეს მხოლოდ ჩემი პირადი საქმეა.

ლაშა გულაძე, *მწერალი:*

— არჩევნებში მონაწილეობას აუცილებლად მივიღებ და ამის ძირითადი ბიძგი მომცა ბიულეტენში შეტანილმა შემდეგმა პუნქტებმა: ნატოში გაწევრება და ნაწილობრივ, საპარლამენტო არჩევნების ვადის საკითხმა. მიუხედავად იმისა, რომ საპარლამენტო არჩევნებისთვის გამოკვეთილი კანდიდატები ჯერ არ მყავს, მაინც, ბიულეტენში ეს პუნქტები რომ არ ყოფილიყო, არჩევნებზე წასვლისგან ალბათ თავს შევიკავებდი.

— პრეზიდენტობის კანდიდატად გამოკვეთილი ვინ გყავთ?

— ეს არავის საქმე არ არის.

— ნატოში გაწევრებას მიხეილ სააკაშვილი გვპირდება. გამოდის, რომ ხმას მას აძლევთ...

— მგონი, სხვა კანდიდატებიც დეკლარირებენ ამ პოზიციას. ყველა მათგანი — არა, მაგრამ რამდენიმე ოპოზიციონერი ლაპარაკობს ამ საკითხზე. შესაბამისად, ნატოში შესვლა მხოლოდ სააკაშვილით არ შემოიფარგლება. ჩემს არჩევანს მაინც არ გეტყვით...

■

ერთი დღე „საზოგადოებრივ დარბაზში“

საპრეზიდენტო მარათონი თანდათან აქტიურ ფაზაში შედის. მასში არა მარტო კანდიდატები და მათი მხარდამჭერი პარტიები, არამედ რიგითი მოქალაქეებიც აქტიურად არიან ჩაბმულნი. ამაში განსაკუთრებით მაშინ დავრწმუნდი, როცა ლევან გაჩეჩილაძის მხარდამჭერ „საზოგადოებრივ დარბაზს“ ვესტუმრე. თამამად შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული დარბაზის კარი არ იხურება: იქ უამრავი მოქალაქე მიდის, საკუთარ აზრს გამოთქვამს და სხვათა შორის, ზოგიერთი მათგანი ფავორიტ კანდიდატს ლექსაც უძღვნის...

„პირველ ლედობაზე დღეს ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ...“

თამუნა კვინიკაძე

დარბაზში შევედი თუ არა, წევრების რიგიანად გაცნობა ვერც კი მოვასწარი, როცა მისაღებში მოქალაქე დიანა სულაქველიძე შემოვიდა. ქალბატონი ცალკე ოთახში შეიყვანეს და გაესაუბრნენ. გასაუბრებიდან გამოსულმა კი მითხრა:

— უკიდურეს სიღარიბეში ვცხოვრობ. აქ იმიტომ მოვედი, რომ ჩემი გასაჭირი მეთქვა. გულისხმიერად მომისმინეს. ამ ადამიანებთან შეხვედრით კმაყოფილი ვარ.

— პრეზიდენტობის სხვა კანდიდატების შტაბებს რატომ არ მიაკითხეთ?

— ჩემი ნათესავი „ნაციონალურ მოძრაობაშია“. სულ ჩამჩიჩინებს: გინდა თუ არა, ხმა სააკაშვილს მიეცი. მან არ იცის, რომ პირადობის მოწმობა დაკარგული მაქვს და ხმას ვერავის მივცემ. ამის უფლება რომ მქონდეს, არავის ჭკუის დარიგება არ დამჭირდებოდა — ვიცი, ვისაც უნდა ვენდო.

ქალბატონ დიანა სულაქველიძის წასვლისთანავე, დარბაზში კიდევ ერთი მოქალაქე შემოვიდა. იგი დარბაზის ერთ-ერთ წევრს გაესაუბრა და შევამჩნიე, რომ რაღაც ფურცლები გადასცა. როგორც კი ლაპარაკი დაასრულეს, მამაკაცს გავეცანი და ვთხოვე, „საზოგადოებრივ დარბაზში“ მოსვლის მიზეზი ჩემთვისაც გაეხილა. იგი გასაუბრებაზე ანონიმურობის დაცვის პირობით დამთანხმდა და მითხრა:

— აქ იმიტომ მოვედი, რომ არ მინდა, არჩევნები გაყალბდეს. ამჟამად, ერთ-ერთი სიგარეტის გამყიდველი ფირმის მიერ გათამაშება მიმდინარეობს. კოლოფში მოთავსებულია პატარა ფურცელი, რომელშიც თანამიმდევრულად უნდა ჩაწერო ყველა ის მონაცემი, რომელიც პირადობის მოწმობაზეა მოცემული.

— ამაში საგანგაშოს რას ხედავთ?

— როგორ თუ რას ვხედავ?! პიროვნების გამზადებული მონაცემები ფინანსთა სამინისტროში მიდის და მერე, ამ მონაცემებით, საარჩევნო ბარათებს თავიანთ სასარგებლოდ ავსებენ. წარმოიდგინეთ, ასე რამდენ ხმას გააყალბებენ. ბიულეტენზე პირადობის მოწმობის მონაცემები იქნება ჩაწერილი. ჰოდა, მიდი და ედავე, რომ ხმა არ მიგიცია.

— ეს ინფორმაცია ვინმემ გადმოგცათ, თუ თქვენი დაკვირვების შედეგია?

— რადგან აქ მოვედი და ამ თემაზე თქვენთანაც ვლაპარაკობ, ე.ი. ამის თქმის საფუძველი მაქვს. ლატარიის გათამაშებები ადრეც ხდებოდა, მაგრამ მაშინ, პასპორტის მონაცემებს არ ითხოვდნენ.

— ლევან გაჩეჩილაძეს მხარს რატომ უჭერთ?

— იმიტომ, რომ ავის და კარგის გარჩევა იცის, ჭკვიანი პოლიტიკოსია. წლებია, რაც ამ ადამიანს ვიცნობ და მისგან „გატეხილი“ სიტყვა ჯერ არ მინახავს, დანაპირები არასდროს ავიწყდება. ვიცი, დღევანდელი მისი სიტყვა ხვალ საქმედ იქცევა.

*როგორც უკვე აღვნიშნე, დღის განმავლობაში, „საზოგადოებრივ დარბაზს“ უამრავი ადამიანი აკითხავს. როგორც დარბაზის ერთ-ერთმა წევრმა, **ანი მანჯგალაძემ** მითხრა, მათ ორ დღეში 179 მოქალაქე მიიღეს და 80-მდე სატელეფონო ზარს უპასუხეს:*

— რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, თხოვნით ძალიან ცოტა ადამიანი მოგვმართავს. აქ მოსულთა უმეტესობა მხარდაჭერას გვიდასტურებს. არიან ისეთებიც, რომლებსაც არა აქვთ გადაწყვეტილი, თუ ვის მისცემენ ხმას 5 იანვრის არჩევნებზე. ჩვენ ვიღებთ მათ შენიშვნებს, რათა შემდგომში გავითვალისწინოთ. ძალიან ბევრმა ადამიანმა გვითხრა, რომ დასაქმების პროგრამაში ვერ ჩაერთვნენ და იმედგაცრუებულნი ირწმუნებოდნენ, რომ ეს ბლეფია და ხელისუფლება მათ კვლავ მასხრად იგდებს.

*ამ დროს ანი მანჯგალაძეს კიდევ ერთმა მოქალაქემ, **ია მაძაცარიამ** მოაკითხა. როგორც მან აღნიშნა, არჩევნებზე ხმას ლევან გაჩეჩილაძეს იმიტომ მისცემს, რომ მის პროგრამას გაეცნო და მოეწონა:*

— ლევან გაჩეჩილაძე ამბობს: „ჩემი მიზანია ეროვნულ ტრადიციებზე დაფუძნებული ქართული დემოკრატიული, მდიდარი სახელმწიფოს აშენება“. ჩემი ხმით, მას ამ მიზნის მიღწევაში დავეხმარები. ასევე ძალიან მომწონს მისი სლოგანი — „გადავარჩინოთ საქართველო ერთად“.

*ადამიანები, რომლებიც „საზოგადოებრივ დარბაზში“ მისვლას ვერ ახერხებენ, იქ მომუშავეებს ტელეფონით უკავშირდებიან. როგორც დარბაზის წევრმა, **ირინა მუხირმა** გვითხრა, მათ მოქალაქეები სიებთან დაკავშირებული დარღვევების გამოც ურეკავენ:*

— ამბობენ, რომ მათ მისამართზე გაფორმებულნი არიან ადამიანები, რომლებსაც საერთოდ არ იცნობენ და რომელთაც აღნიშნულ მისამართზე არასდროს უცხოვრიათ.

— ამ შემთხვევაში თქვენ კი არა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას უნდა დაუკავშირდნენ.

— ჩვენც ეს ვურჩიეთ და მათ არაერთი შეცდომა გაასწორებინეს. მაგრამ მაინც, სიებთან დაკავშირებით უამრავი უზუსტობა არსებობს. რამდენიმე დღის წინ დაგვიკავშირდა ერთი ქალბატონი, რომელმაც ვინაობის გამხელა არ ისურვა და გვითხრა: მე აღმაშენებლის გამზირზე ვცხოვრობ. აქვე დგას 3 დიდი ავტობუსი, რომელშიც მოქალაქეები 15 ლარის სანაცვლოდ, პირდაპირ ქუჩიდან აჰყავთ და მხარდამჭერ აქციებზე მიჰყავთო...

— რეგიონებიდანაც თუ გიკავშირდებიან?

— რეგიონებიდან არაერთი ზარი შემოდის. უმეტესობას ჩვენი რაიონული შტაბის შესახებ ინფორმაცია აინტერესებს, ზოგი კი გვირეკავს და ზეწოლის ფაქტებზე ლაპარაკობს: მათ ეუბნებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხმას მიხეილ სააკაშვილს არ მისცემენ, შეშის და ფქვილის ვაუჩერებს ვერ მიიღებენ.

— თქვენ ამაზე როგორ რეაგირებთ?

— ჩვენ ამ ინფორმაციებს ვაწვდით შტაბს და ისინი რეაგირებენ.

*სანამ ქალბატონ ირინას ვესაუბრებოდი, „საზოგადოებრივ დარბაზში“ ლევან გაჩეჩილაძის მეუღლე, **ნინო მიქელაძე** მოვიდა. მან ჩემ მიერ დასმულ რამდენიმე კითხვას სიამოვნებით უპასუხა.*

— „საზოგადოებრივი დარბაზის“ შექმნის იდეა თქვენ გეკუთვნით?

— ეს გადაწყვეტილება მე და ლევანმა, ახლობლებთან ერთად მივიღეთ. დღეს

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ იდეამ გაამართლა — გახსნის დღიდან აქ მოქალაქეთა ნაკადი არ წყდება.

— პირადად თქვენთან შეხვედრას თუ ითხოვენ და რა საკითხებზე ამახვილებენ ყურადღებას?

— ამ დღეების განმავლობაში უამრავ ადამიანს შევხვდი, ვესაუბრე. მიუხედავად იმისა, რომ მოქალაქეთა უმეტესობა საკუთარი პრობლემებითაა დამძიმებული, აქ მოსვლისას, ყველაზე ნაკლებს სწორედ ამ პრობლემებზე ლაპარაკობენ. მათგან კეთილგანწყობილებას ვგრძნობ, თბილ სიტყვებს არ იშურებენ. ეს ყველაფერი კი ძალიან დიდ სტიმულს მაძლევს, ენერგიით მავსებს; ზოგი მათგანი რჩევასაც გვაძლევს; ზოგი მთხოვს, რომ უფრო აქტიური ვიყო. მათ ლევანის ოჯახის შესახებ ბევრი რამ აინტერესებთ. მაგალითად, რამდენი შვილი გვყავს, სად სწავლობენ და ა.შ.

— აქ მოსულ ადამიანებთან შეხვედრის დეტალებს, მათგან მიღებულ ემოციას ან რჩევებს დღის ბოლოს ლევანს თუ უზიარებთ?

— თავიდან, ყოველ საღამოს, ლევანს მთელი დღის ამბებს ემოციურად ვუყვებოდი. მაგრამ ბოლო დროს შინ ისეთი დაღლილი ბრუნდება, რომ პოლიტიკაზე ბევრს აღარ ველაპარაკები.

— ლევან გაჩეჩილაძე გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატია. ეს გადაწყვეტილება ლევანისთვის მოულოდნელი იყო? იქნებ, ის საღამო გაიხსენოთ, როცა შინ, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი, ისე დაბრუნდა. მღელვარება ეტყობოდა?

— ლევანი კარგად გრძნობს იმ პასუხისმგებლობას, რომელიც მას გაერთიანებულმა ეროვნულმა საბჭომ დააკისრა. იყო თუ არა ეს მოულოდნელი?.. უმჯობესია, ამ კითხვაზე თავად მან გიპასუხოთ.

— ბატონი ლევან, ისევე, როგორც მის გვერდით მდგომი პოლიტიკოსები, გამარჯვებაში დარწმუნებულნი არიან. რა აძლევთ მათ ამის საფუძველს?

— გამარჯვებაში მეც დარწმუნებული ვარ. ბუნებით ოპტიმისტი გახლავართ. მაგრამ ამ კითხვაზე მათ მაგივრად პასუხს ვერ გაგცემთ. მას შემდეგ, რაც „საზოგადოებრივი დარბაზის“ მუშაობაში ჩავები, უფრო დავრწმუნდი, რომ ლევანს ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

— თქვენი თავი პირველი ლედის ამპლუაში როგორ წარმოგიდგენიათ?

— ამაზე დღეს ყველაზე ნაკლებად ვფიქრობ. „საზოგადოებრივი დარბაზი“ მუშაობას არ შეწყვეტს. მე აქ, როგორც რიგითი წევრი, ისე ვიმუშავებ. მოქალაქეებს ჩემთან და ჩემს მეგობრებთან შეხვედრის საშუალება კვლავ ექნებათ.

— თქვენი შვილები ინგლისიდან ჩამოსვლას როდის გეგმავენ?

— მათ საახალწლო არდადეგები დაეწყოთ და უახლოეს დღეებში ჩამოვლენ. ორივენი ბიზნესმარკეტოლოგის სპეციალობას ეუფლებიან.

— მამის გადაწყვეტილება როგორ მიიღეს?

— ლევანი მათ ამ თემაზე ესაუბრა და ყველაფერი აუხსნა. რატი და გაგა ყველაფერს გაგებით შეხვდნენ, კოტო ჯერ მხოლოდ 11 წლისაა. მამასა და შვილებს ერთმანეთთან ძალიან თბილი, მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

— რატისა და გაგას ინგლისში მცხოვრები ქართველებთან ურთიერთობა ექნებათ. როგორია უცხოეთში მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების განწყობილება და რას ფიქრობენ ბოლო დროს საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე? შვილებთან ამ თემაზე თუ გილაპარაკიათ?

— სიმართლე გითხრათ, ამ თემაზე მათთან არ მისაუბრია. როცა შვილებს ვურეკავ, პირველ რიგში ვეკითხები, ხომ კარგად არიან, როგორ სწავლობენ და ა.შ.

— ლევანი თქვენს რჩევებს რამდენად ითვალისწინებს?

— ლევანი ჩემს აზრს პატივს სცემს. ის საოცრად გულწრფელი ადამიანია და ვინც კი იცნობს, ამაში ყველა დამერწმუნება. რთულია მეუღლეზე ლაპარაკი და ცოტა — უხერხულიც. თუ ქართველი ხალხი მას ნდობას გამოუცხადებს, ლევანს შესწევს იმის ძალა, რომ მათი იმედები გაამართლოს.

ქალბატონ ნინოსთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ, მისი ოთახიდან გამოსულს, მოქალაქეთა მისაღებში რამდენიმე ადამიანი დამხვდა. მათ შორის იყო გორიდან ჩამოსული ქალბატონი, რომელსაც პირადად ლევან გაჩეჩილაძესთან შეხვედრა სურდა. დარბაზის წევრმა, ანი მანჯგალაძემ მას აუხსნა, რომ პრეზიდენტობის კანდიდატი დარბაზში არ იმყოფებოდა და შტაბის მისამართი ჩააწერინა.

„საზოგადოებრივ დარბაზში“ ინტელიგენციის არაერთი წარმომადგენელია გაერთიანებული. ჩვენი იქ ყოფნის დროს, მოქალაქეებს პირადად მასპინძლობდა მსახიობი ***ნანა ლორთქიფანიძე****, რომელმაც მითხრა:*

— ამ შტაბის მუშაობაში აქტიურად ჩავები. ლევანი, გია და ნინო ჩემი მეგობრები არიან.

— ცხადია, ლევან გაჩეჩილაძეს ქვეყნის პრეზიდენტად მხოლოდ მეგობრობის გამო არ ირჩევთ. მასში, როგორც პოლიტიკოსში, რა გხიბლავთ? რით განსხვავდება იგი დანარჩენ კანდიდატებისგან და რატომ უნდა ენდოს მას საზოგადოება?

— ყველაზე მეტად, რაც ამ ადამიანში მხიბლავს, გულწრფელობაა. ის არასდროს ამბობს ტყუილს, მით უმეტეს, საკუთარ ხალხთან. არაერთი კანდიდატის საარჩევნო პროგრამას გავეცანი. ლევანის ხედვა მათგან განსხვავებულია. ის თითოეული ქართველის ღირსების დამცველი და პატივისმცემელი იქნება.

— რას ემსახურება „საზოგადოებრივი დარბაზი“?

— საზოგადოების მოთხოვნილებებს. მუშაობა იმაზე გაცილებით რთული აღმოჩნდა, ვიდრე წარმოგვედგინა. საზოგადოება პოლიტიზებულია, მოდიან და პროგრამის გაცნობას გვთხოვენ. ერთ ქალბატონს ვკითხე, სხვა დროს რომელიმე კანდიდატის პროგრამას თუ გასცნობიხართ-მეთქი? აღმოჩნდა, რომ ამას პირველად აკეთებდა. იმდენჯერ მოვტყუვდით, ახლა შეცდომის დაშვების უფლება აღარ გვაქვსო.

— ზეწოლის ფაქტებზე თუ ლაპარაკობენ?

— ძალიან ხშირად. ერთ-ერთი მუსიკალური სკოლის წარმომადგენელი მოვიდა და გვითხრა: მაძალებენ, ხმა საკაშვილს მივცე და თან მთხოვენ, რომ ბიულეტენს მობილური ტელეფონით სურათი გადავუღო და მერე ჩავაგდო. თუ ასე არ მოვიქცევი, სამსახურიდან წასვლით მემუქრებიანო... ჩვენ ისეთ ადამიანებთანაც გვქონდა შეხვედრა, რომლებიც სამსახურებიდან მიტინგზე წასვლის გამო გაათავისუფლეს, ზოგს კი ვითომდა საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის 400-ლარიანი ჯარიმები გამოუწერეს. ჩემი აზრით, გარკვეული ფორმით იმ ადამიანებზეც ხდება ზეწოლა, რომლებიც საკაშვილის მხარდამჭერ კონცერტებში მონაწილეობენ. მათ შორის ჩემი მეგობრებიც არიან. დარწმუნებული ვარ, ისინი ასე მხოლოდ 10.000 ლარისთვის არ იქცევიან. ცოტა ხნის წინ, ერთ-ერთი მათგანი შემხვდა და მკითხა: შენ ჩემზე ბრაზობო? ბუნებრივია, მისთვის ჩემი განწყობილება არ დამიმალავს და ვუთხარი, — დრო მოვა, საკუთარი საქციელის შეგრცხვებათ-მეთქი. — მე უკვე მრცხვენიაო... „საზოგადოებრივი დარბაზი“ არჩევნების შედეგების მიუხედავად, ფუნქციონირებას მომავალშიც გააგრძელებს. მიხეილ საკაშვილი გახდება პრეზიდენტი, ლევან გაჩეჩილაძე, დათო გამყრელიძე თუ სხვა ვინმე, ვაიძულებთ, საზოგადოება ყველა გადაწყვეტილების თანამონაწილედ აქციოს.

აი, ასეთი იყო „საზოგადოებრივ დარბაზში“ გატარებული რამდენიმე საათი. ფავორიტ პრეზიდენტობის კანდიდატს მხარდაჭერას ყველა თავისებურად ჰპირდება. მას, ვისაც მუზა სწყალობს, წერს: „გლეხი არ გაჩეხავს ვენახს, ვაზი გამოისხამს მტევანს, გააკეთე არჩევანი, შენი ხმა მიეცი ლევანს“ ან კიდევ, „ვინც რამეზე ღელავს, ხმა მიეცით ლევანს“.

რატი და გაგა ყველაფერს გაგებით შეხვდნენ, კოტო ჯერ მხოლოდ 11 წლისაა

საპროგრამო პრიორიტეტები: სოციალური დაცვა, დემოგრაფია, საზოგადოების გამთლიანება

ხათუნა ბახტურიძე

ეს ჩვენში პირველი არჩევნებია, როდესაც ქართველი საზოგადოება, მასში მონაწილე პოლიტიკოსთა პროგრამებით დაინტერესდა. თუ დღემდე აქცენტი კონკრეტულ პიროვნებებზე კეთდებოდა და ხალხი მხოლოდ ლიდერის პირად თვისებებზე დაყრდნობით აკეთებდა არჩევანს, ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა — საზოგადოება გასაკეთებელი საქმეების ნუსხასა და მათი შესრულების გარანტიას მოითხოვს. არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე, გადავწყვიტეთ, თითოეული საპრეზიდენტო კანდიდატის პროგრამის ძირითადი დებულებები წარმოგვედგინა თქვენთვის. ამჯერად, ორ მათგანზე შევჩერდებით. ჩვენი რესპონდენტები არიან: „ახალი მემარჯვენეების“ ერთ-ერთი ლიდერი მანანა ნაჭყებია და გაერთიანებული ოპოზიციის წარმომადგენელი დავით უსუფაშვილი.

— ქალბატონო მანანა, თქვენი გუნდის მიერ წარმოდგენილ საპრეზიდენტო პროგრამაში ძირითადი აქცენტი რა საკითხებზეა გამახვილებული? რა ცვლილებებს უნდა ველოდეთ, თუ პრეზიდენტად ხალხი „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერს დავით გამყრელიძეს აირჩევს?

მანანა ნაჭყებია:

— ჩვენს პროგრამაში ძირითადად, აქცენტირებულია ქვეყნის სტრატეგიული უსაფრთხოების დაცვა, ეკონომიკის ზრდა; ძალზე სერიოზული ყურადღება ექცევა მოსახლეობის

თუ კლიმატური პირობების გამო, გლეხებს მოსავალი გაუფუჭდებათ, მათ ზარალის 50%-ს ავუნაზღაურებთ

სოციალურ დაცულობას; განსაკუთრებულად გამოვყოფდი დემოგრაფიულ და სოფლის გადარჩენის პროგრამებს.

— ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრიორიტეტული არ არის?

— რა თქმა უნდა, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა პრიორიტეტულია. ამ საკითხთან დაკავშირებით, ცალკე ქვეთავი გვაქვს გამოყოფილი. ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირველ რიგში, რუსეთთან ურთიერთობას მოვაგვარებთ, მაგრამ ეს არ მოხდება საქართველოს სუვერენიტეტის შელახვის ხარჯზე. ვფიქრობთ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული, კონსტიტუციური მონარქიის მოდელი სრულიად ახლებურად წარმოაჩენს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და აფხაზი და ოსი ხალხების ქართველებთან თანაცხოვრების პერსპექტივას. ასევე ვფიქრობთ, რომ დევნილებს უნდა შევუქმნათ თავიანთ სახლებში ღირსეულად დაბრუნების პირობები, სახელწიფომ უნდა გაიღოს თანხა იმისათვის, რომ თითოეულმა დევნილმა მიიღოს ვაუჩერი და ააღორძინოს შიდა მეურნეობა. რაც მთავარია, ვეცდებით, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა, ომის რიტორიკის გარეშე მოვახერხოთ და ამ საქმეში საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა მოვიპოვოთ.

— თქვენი აზრით, კონსტიტუციური მონარქიის აღდგენის შემთხვევაში, საქართველოს სამეფო ტახტზე ვინ უნდა ავიდეს?

— პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ეს საკითხი ერთპიროვნულად არ გადაწყდება. აუცილებლად ჩატარდება რეფერენდუმი და თუ ხალხი კონსტუტუციურ მონარქიას დაუჭერს მხარს, მონარქობის რეალური კანდიდატის გამოჩენამდე, ქვეყანას რეგენტი მართავს. ისტორიული წყაროების მიხედვით, როდესაც საქართველოში მცირეწლოვანი უფლისწული ვერ ახორციელებდა თავის უფლებამოსილებას, მას ენიშნებოდა რეგენტი. ამის კლასიკური ნიმუში, ჭყონდიდელი გახლდათ. რაც შეეხება მონარქის ვინაობას, — ამას წმინდა სინოდი და უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე გადაწყვეტენ.

— რეგენტად ვინ გესახებათ?

— რეგენტად გვესახება უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე.

— ოპოზიცია ყოველთვის აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მძიმე სოციალური ფონია. თქვენ ამ პრობლემის მოგვარებას როგორ აპირებთ?

— პირველ რიგში, უნდა აღორძინდეს ეკონომიკა. გაცილებით მეტი სამუშაო ადგილი შეიქმნება, თუ კერძო მესაკუთრეებს საკუთარი ბიზნესის გაძლიერების საშუალებას მივცემთ. სუბსიდირების სახით, ხელს შევუწყობთ ადგილობრივი წარმოების განვითარებას, გლეხებს მივცემთ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეღავათიან ფასებში შეძენის შესაძლებლობას და დავაზღვევთ მათ შემოსავალს.

— შემოსავლის დაზღვევაში რას გულისხმობთ?

— თუ კლიმატური პირობების გამო, გლეხებს მოსავალი გაუფუჭდებათ, მათ ზარალის 50%-ს ავუნაზღაურებთ. ვფიქრობთ, რომ ძალზე მნიშვნელოვანია შეღავათების დაწესება სარწყავ წყალზე. სახელმწიფოს ხელშეწყობით, აგრარულ სექტორში საწარმოების 20%-იც რომ შეიქმნას, უმუშევართა 80% მაინც დასაქმდება. მთლიანობაში ეს შექმნის ეკონომიკური კეთილდღეობის საფუძველს და მოგვეცემა საშუალება, განვახორციელოთ სოციალური პროგრამა, რომელიც კერძო სადაზღვევო ან სახელმწიფო სადაზღვევო სისტემაზე ყველა მოქალაქის გადაყვანას ითვა-

პირველ რიგში, უნდა აღორძინდეს ეკონომიკა

ლისწინებს. ჩვენი აზრით, 6 წლის ასაკს მიღწეულ მოქალაქეთა სოციალურ დაცვაზე სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს. ძალიან ვამაყობ ჩვენი პროგრამის იმ ნაწილით, რომელიც დემოგრაფიული პრობლემების მოგვარებას ისახავს მიზნად. იმისათვის, რომ საქართველოს მოსახლეობა მომაკვდავ ერთა სიაში არ აღმოჩნდეს, აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ უფასო მშობიარობა, ფეხმძიმე ქალების უფასო მეთვალყურეობა, 14 წლამდე ასაკის ბავშვთა უფასო მკურნალობა, მრავალშვილიანი დედების 300, 400, 500-ათასლარიანი დახმარებები, ერთჯერადი დახმარება პირველსავე ბავშვზე, 500 ლარის ოდენობით, და დეკრეტული შვებულების ხანგრძლივობის გაზრდა. ეს სულაც არ არის ძალიან ძვირი პროგრამა, დაალოებით 367 მილიონი ლარი ჯდება და ამ ხარჯის გაწევის საშუალება ბიუჯეტს ნამდვილად აქვს.

— ბატონო დავით, რით გამოირჩევა სხვებისგან, გაერთიანებული ოპოზიციის საპრეზიდენტო კანდიდატი ლევან გაჩეჩილაძე და რა

ტერიტორიული მთლიანობა ცალკე საკითხად არ გვაქვს გამოკვეთილი

მნიშვნელოვან ცვლილებებს განახორციელებს ის ქვეყანაში?

დავით უსუფაშვილი:

— თუ საქართველოს მოსახლეობა პრეზიდენტად ლევან გაჩეჩილაძეს აირჩევს, იგი თავისი ნებით, ჩვენთან ერთად, განახორციელებს კონსტიტუციურ რეფორმას, რომლის შედეგადაც, ქვეყანა ინსტიტუციურად „დალაგდება“ და აღარ იარსებებს ისეთი სისტემა, რომელსაც თანამდებობაზე მოხვედრილი ადამიანები ჭკუიდან გადაჰყავს. ქვეყნის მმართველს საკუთარ თავზე კონტროლს აკარგვინებს განუსაზღვრელი ძალაუფლება, რომელიც არ არის დაბალანსებული საპარლამენტო კონტროლით, რეალური თვითმმართველობითა და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემით. გაჩეჩილაძის მთავარი საპროგრამო ამოცანა ამ საკითხების მოგვარება და 2008 წლის გაზაფხულზე სამართლიანი, თავისუფალი, დემოკრატიული არჩევნების ჩატარებაა. ხალხს თავისუფალი არჩევანის საშუალება უნდა მიეცეს, ქვეყანა კი იმ პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მართონ, რომელთაც საზოგადოება ენდობა და არა ბელადებმა. ამ იდეების წყალობით, ლევან გაჩეჩილაძე განსხვავებული მოვლენაა დღევანდელ პოლიტიკურ სივრცეში. ის ქვეყანაში ჩაატარებს რეფორმას, რომლის საშუალებითაც, ათასობით ქართველს პოლიტიკაში და საჯარო სამსახურში შრომის საშუალება მიეცემა.

— როგორია თქვენი ხედვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით?

— ტერიტორიული მთლიანობა ცალკე საკითხად არ გვაქვს გამოკვეთილი. ჩვენ ერთობლივად უნდა აღვადგინოთ ტერიტორიული და საზოგადოებრივი მთლიანობა.

— რას გულისხმობთ?

— აფხაზებს, ოსებსა და ყველა სხვა ერის წარმომადგენლებს, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მათთვის მისაღები წინადადებები უნდა შევთავაზოთ და არ უნდა გავუჩინოთ იმის განცდა, თითქოს მეორეხარისხოვანი ხალხია, ერთიან ქართულ სახელმწიფოში. ამასობაში, მსოფლიო უნდა დავარწმუნოთ იმაში, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ომის გზით არ ვაპირებთ. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ დასავლეთმა, ევროპამ და ნატომ საქართველო აღიქვან, როგორც საიმედო პარტნიორი და არა სიცრუეში გაწაფული მინისტრების მიერ მართული ქვეყანა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა მრავალპლანიანი საკითხია და მხოლოდ ძლიერი არმიის მეშვეობით ვერ გადაწყდება.

— სოციალური პრობლემების მოგვარებას როგორ აპირებთ?

— სოციალური პრობლემები ვერასოდეს მოგვარდება, თუ ხალხის დასაქმების მეთოდები არ შეიცვალა. სახელმწიფომ სოციალურად უნდა უზრუნველყოს პენსიონერები, უმწეოები და ის ადამიანები, რომლებსაც სხვადასხვა მიზეზის გამო მუშაობა არ შეუძლიათ, დანარჩენებს კი — შრომის საშუალება უნდა მისცეს. ეგრეთ წოდებული დასაქმების პროგრამა, რომელსაც დღევანდელი ხელისუფლება გვთავაზობს, მხოლოდ წინასაარჩევნო პიარია და მეტი არაფერი. ასეთი მიდგომა მძიმე სოციალურ ფონს კიდევ უფრო გაამძაფრებს. ჩვენ, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, პრობლემების სახით დაგვხვდება უსაფუძვლოდ გაცემული დაპირებები და ამ მიზნით გასაწევი ხარჯებით უსაზღვროდ დატვირთული ბიუჯეტი, რომელიც უზრუნველყოფილი არ იქნება სათანადო შემოსავლებით. შემოსავლებს ქმნის კერძო სექტორი და არა სახელმწიფო, ამიტომ ჩვენი სოციალური პროგრამა დაეფუძნება კერძო სექტორისა და ძლიერი მეწარმეობის განვითარებას, სახელმწიფო ზეწოლისაგან ბიზნესის გათავისუფლებასა და სამუშაო ადგილების შექმნას. რაც შეეხება იმ პირებს, რომ-

ჩვენ ერთობლივად უნდა აღვადგინოთ ტერიტორიული და საზოგადოებრივი მთლიანობა

ლებსაც შრომის უნარი არა აქვთ, მათთვის შეიქმნება სოციალური დახმარების სისტემა, რომელიც ბიუჯეტზე არ იქნება მიბმული. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ კერძო საპენსიო ფონდების შექმნა და სოციალური დაცვის პოლიტიკა მხოლოდ მატერიალურად გაჭირვებული ადამიანებისკენ არ იქნება მიმართული. ჩვენ ყველანი ვაპირებთ სიცოცხლეს საპენსიო ასაკის შემდეგაც, ამიტომ, სოციალური დაცვის სქემა ერთნაირად მნიშვნელოვანია ახალგაზრდისთვისაც და მოხუცისთვისაც. ასეთი სისტემა 15 წლის წინ რომ შემოგვეღო, საპენსიო ასაკის ადამიანები დღეს უკვე საპენსიო ფონდების მეშვეობით იქნებოდნენ უზრუნველყოფილნი, მათ ექნებოდათ კონტრაქტი და ვეღარავინ შეძლებდა პენსიებით მანიპულირებას. ვიდრე პენსიები ბიუჯეტზეა მიბმული და მის ოდენობას პრეზიდენტი ან პარლამენტი განსაზღვრავენ, პრობლემა არ მოგვარდება. ■

მუქარა, მოსყიდვა, დაშინება თუ აბსურდული ბრალდებები

ხელისუფლება, წინასაარჩევნო პერიოდში ზეწოლისა და შანტაჟის უპრეცედენტო ზომებს მიმართავს. „ახალი მემარჯვენეები“ და „კონსერვატორები“ ირწმუნებიან, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები არჩევნების მოსაგებად, „წესების გარეშე“ იბრძვიან, აშანტაჟებენ იმ ამომრჩევლებს, რომელთა მოსყიდვაც შეუძლებელია და ფიზიკურადაც კი უსწორდებიან მათ. ოპოზიციის მიერ წაყენებულ ბრალდებებს აბსურდულს უწოდებენ მმართველი პარტიის წარმომადგენლები და „ვირტუალურ დაზარალებულებზე“ ლაპარაკობენ. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა მოგეჩვენოთ, ამომრჩეველთა დიდი ნაწილი მართლაც, ასახელებს ზეწოლის ფაქტებს, მაგრამ თავს იკავებს, როგორც მოძალადეების, ისე საკუთარი ვინაობის გამჟღავნებისგან. ღიად მხოლოდ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები ლაპარაკობენ, თუმცა თავიანთი ბრალდებების კონკრეტულ ობიექტთა დასახელებისგან ისინიც თავს იკავებენ...

ანუ ვინ დაიცავს ელექტორატის უფლებებს...

ხათუნა ბახტურიძე

კუბა კპარტოზია, *„ახალი მემარჯვენეების“ სენაკის რეგიონული ოფისის ხელმძღვანელი:*

— თბილისიდან დაგვირეკეს და გვითხრეს, რომ სამარშრუტო ტაქსის მეშვეობით პარტიულ დოკუმენტაციას გვიგზავნიდნენ. სენაკის ცენტრში, საღამოს 9 საათზე დავხვდი და მძღოლს დოკუმენტები გამოვართვი. შემდეგ, ქალაქის „მარშრუტკაში“ ავედი, მაგრამ მისი დაძვრისთანავე, რამდენიმე შეირაღებულმა პირმა ჯერ უკანა ფანჯრის მინა ჩაგვიმსხვრია, შემდეგ — საქარე მინა; მგზავრებს მანქანიდან გადმოსვლა გვიბრძანეს, თან, ფული და ოქრო მოგვთხოვეს. აღმოჩნდა, რომ ფული და ოქრო არავის ჰქონდა. მე გვერდზე გამიყვანეს, გამჩხრიკეს და დოკუმენტაციასთან ერთად, მობილურიც წამართვეს.

— რაიმე პოლიტიკური მოთხოვნა თუ წამოგიყენეს?

— არა, მსგავსი არაფერი უთქვამთ.

— რა იცით, რომ ისინი „ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები იყვნენ და არა ჩვეულებრივი ყაჩაღები?

— ამის გარკვევა ჩემი პრეროგატივა არ არის, ალბათ ყველაფერს გამოძიება დაადგენს. მაგრამ რაღა მე გამჩხრიკეს და ჩემი მობილური წაიღეს?! ან, ჩვენი პარტიული დოკუმენტაცია რად უნდოდათ?

ლევან ტერაშვილი, *კონსერვატიული პარტიის წარმომადგენელი გორში:*

— გორელი „ნაციონალები“, ამომრჩეველებთან ერთად, ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა გადაბირებასა და დაშინებასაც ცდილობენ. ჩვენს თანაგუნდელებს ფულს და მათთან გადასვლას სთავაზობენ, ზოგსაც აშინებენ და პოლიტიკური მოღვაწეობისთვის თავის დანებებას ურჩევენ. ნაწილი ამ ფაქტების შესახებ ხმამაღლა ლაპარაკობს, მაგრამ ბევრი, სამსახურის დაკარგვის შიშით, ჩუმად ყოფნას ამჯობინებს.

— როგორც კონსერვატიული პარტიის ცენტრალურ ოფისში მითხრეს, ფიზიკური ზეწოლა თქვენზეც განხორციელდა.

— კი, იყო ამის მცდელობა. ღამის პირველ საათზე, როდესაც მე და შალვა ტლაშაძე პარტიული ოფისიდან გამოვედით, პატრულმა დაგვაკავა და საბუთები მოგვთხოვა. როდესაც ამის მიზეზი ვკითხე, მითხრეს, რომ ჩვენ მათში „ვიზუალური ეჭვი“ გამოვიწვიეთ.

— „ვიზუალური ეჭვი“ რას ნიშნავს?

— მეც ეგ ვკითხე, მაგრამ პასუხი არ გამცეს და ნარკოლოგიურში წაგვიყვანეს. იქ ერთი საათი დაგვაყოვნეს და გაგვათავისუფლეს.

— ბატონო კახა, რეალურად, თუ იცნობთ ადამიანებს, ვისზეც მმართველი პარტიის მხრიდან რაიმე სახის ზეწოლა განხორციელდა?

კახა კუკავა, *კონსერვატიული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი:*

— მერწმუნეთ, ასეთი ადამიანები რეალურად არსებობენ, ჩვენს ფუსაიტებზე მათი სრული ნუსხაა წარმოდგენილი. შეგახსენებთ, რომ „ნაციონალებმა“ გაიტაცეს და სცემეს ჩვენი რეგიონული წარმომადგენელი გარდაბანში, თემურ აფრასიძე, მისი ძმა კი სამსახურიდან გაათავისუფლეს; წყალტუბოს და სამგორის რაიონებში დაარბიეს საარჩევნო შტაბები; ამბროლაურში პოლიციის წარმომადგენელმა, შალვა ჩიკვილაძემ თავისთან დაიბარა იმ შენობის მესაკუთრე, სადაც რეგიონული ოფისი იყო განთავსებული, რის შემდეგაც მან პარტიას ფართის დაცლა მოსთხოვა; დაიხურა დეპუტატ ნიკოლოზ კვეზერელის ბიურო გურჯაანში... რომელი ერთი დაგისახელოთ?!.

— ამომრჩეველზე კონკრეტულად, რა სახის ზეწოლა ხორციელდება?

— მაგალითად, ახალციხეში მოსახლეობას ვანო მერაბიშვილის სახელით ურეკავენ და ემუქრებიან, რომ თუ ხმას სააკაშვილს არ მისცემენ, პრობლემები შეექმნებათ. მესაკუთრეებს სთხოვენ, გააუქმონ ხელშეკრულებები ოპოზიციის წარმომადგენლებთან და ფართი აღარ მიაქირაონ. ასეთივე ინფორმაცია მოგვივიდა წალენჯიხიდან და თბილისის სხვადასხვა რაიონიდან.

არსებული ფაქტების შეფასება ცესკოს თავმჯდომარეს, **ლევან თარხნიშვილს** *ვთხოვეთ.*

— ბატონო ლევან, გაქვთ თუ არა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ამომრჩეველზე სხვადასხვა სახის ზეწოლა ხორციელდება?

— ყველა ის განცხადება, რომელიც კონკრეტულ ფაქტებს ასახავს, ჩვენ მიერ შესწავლილია ან შესწავლის პროცესშია. ოპოზიცია ძალზე ხშირად აბსტრაქტულ განცხადებებზე ლაპარაკობს, რაზეც რეაგირებას ვერ მოვახდენთ.

— ასეთი ადამიანები რეალურად არსებობენ, მაგრამ საკუთარ ვინაობას, შიშის გამო, ვერ ამხელენ.

— ნებისმიერი ტიპის შანტაჟი ან მუქარა კრიმინალური დანაშაულია, ამიტომ ყველა ადამიანი ვალდებულია, ამის შესახებ შესაბამის ორგანოებში განაცხადოს. სხვაგვარად, როგორ ვიმოქმედოთ?.. ერთ-ერთი პარტიის წარმომადგენელმა ცესკოს სხდომაზე, ვითომდა, დარღვევის რამდენიმე ფაქტი დასახელა, მაგრამ შემდეგ თვითონვე განაცხადა, რომ მას არასწორი ინფორმაცია ჰქონია.

— თქვენ მიგაჩნიათ, რომ წინასაარჩევნო პერიოდი დარღვევებით არ მიმდინარეობს?

— გარკვეული ფაქტები მართლაც, არსებობს, მაგრამ ჩვენც ვახდენთ რეაგირებას.

— ოპოზიციური პარტიები არჩევნების გაყალბების სხვადასხვა მექანიზმზე ლაპარაკობენ. როგორც ცნობილია, დამატებით სიაში შეყვანილი ამომრჩევლები განსხვავებული ფერის ბიულეტენებით მისცემენ ხმას და თუ ერთი უბნის საარჩევნო ყუთში 15 ასეთი ბიულეტენი მოხვდება, ისინი დასათვლელად, ცესკოს უნდა ჩაბარდეს. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს ფაქტი ეჭვების საფუძველს იძლევა?

— სამწუხაროდ, მავანი ხშირად, არასწორ ინფორმაციას ავრცელებს. საუბნო კომისიას აქვს უფლება, თავად მიიღოს გადაწყვეტილება — ეს ბიულეტენები ადგილზე დაითვალოს თუ ცესკოში გაგზავნოს. პირადად მე, აქ ვერანაირ პრობლემას ვერ ვხედავ. სამწუხაროდ, ბევრი ალოგიკური ბრალდება ისმის და ყველა მათგანზე რომ ვუპასუხო, ფაქტობრივად, სხვა არაფერი აღარ უნდა ვაკეთო.

— როგორც ერთ-ერთმა მოქალაქემ ჩემთან საუბრისას აღნიშნა, მას სამსახურიდან გათავისუფლების მუქარით, პირობა დაადებინეს, რომ მიხეილ სააკაშვილს მისცემს ხმას და მოსთხოვეს, ამის დასტურად, უჩვენოს მობილური ტელეფონით გადაღებული ფოტო, რომელზეც ნომერი „ნ“ იქნება შემოხაზული...

— ...და კიდევ — გვირაბს ვთხრით — ლონდონიდან ბერლინამდე, არა?.. თქვენც ხომ გესმით, რომ მსგავსი ბრალდებები აბსურდულია?!. კანონში გარკვევით წერია, რომ ხმის მისაცემ კაბინაში ნებისმიერი სახის ფოტო თუ ვიდეოგადაღება აკრძალულია. ვინც ამ წესს არ დაემორჩილება, შესაბამისად, დაისჯება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხმის დათვლას დაახლოებით 30 ადამიანი დაესწრება. საარჩევნო უბნებს უპრეცედენტო რაოდენობის ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებელი დააკვირდება, ყველა ერთად დაბრმავდება?.. მინდა აღვნიშნო ისიც, რომ ყველა დიდ ქალაქში დამონტაჟებული იქნება სტაციონარული ვიდეოთვალი, ხმების დათვლა კი ონლაინ-რეჟიმში მოხდება. შემოსული ინფორმაცია იმწუთასვე დაიდება ვებსაიტზე და მაშინვე გახდება ცნობილი. ჩემი აზრით, ეს ყველაფერი საკმარისია იმისათვის, რომ არჩევნები დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდეს. ამომრჩეველი კაბინაში მარტო შედის და ვერავინ დაინახავს, თუ ვის მისცემს ის ხმას. ამიტომ, არც შანტაჟს აქვს აზრი და არც მუქარას. ■

14 დეკემბერს თბილისს ესპანელი მომღერალი, მსოფლიოში აღიარებული სოპრანო — მონსერატ კაბალიე, შვილთან — მონსერატ მარტისთან ერთად ეწვევა. მათი ვიზიტი საქველმოქმედო ფონდ „იავნანას“ ინიციატივით ხორციელდება, რომლის დამფუძნებელი და პრეზიდენტიც ჩვენი სახელგანთქმული თანამემამულე პაატა ბურჭულაძე გახლავთ. ფონდის მიერ ორგანიზებული ღონისძიებების კულმინაციას მონსერატ კაბალიეს კონცერტი წარმოადგენს.

ხატომ ფხახია მონსერატ კაბალიეს საქართველოში ჩამოსვლა

და ხას ჰპირდება იგი საქართველოს პატრიარქს

მაია ღუღუნიშვილი

თეო ვორბანაძე, *ფონდ „იავნანას“ სამხატვრო ხელმძღვანელი:*

— საოპერო სცენის ცოცხალი ლეგენდის ვიზიტი საქართველოში, ბატონი პაატასა და მონსერატის ახლო ურთიერთობის წყალობით მოხერხდა. მაგრამ თავდაპირველად მინდა, ამ სახელგანთქმული მომღერლის საოცარი ბიოგრაფიის რამდენიმე საინტერესო ფაქტი მივაწოდო მკითხველს. როდესაც ის პირველად წარდგა იტალიელი იმპრესარიოს წინაშე, მან ურჩია, დაბრუნებულიყო სამშობლოში, ქმარი „ეშოვა“ და შვილები გაეჩინა, რადგან მისი სხეული სცენას დაამძიმებდა... ის საერთოდ, არც დაინტერესებულა ქალის ვოკალური მონაცემებით. ამის გამო მონსერატი საშინლად დაითრგუნა, მისი ძმა კარლოს კაბალიე კი იმდენად აღშფოთდა, რომ გადაწყვიტა, თავად გამხდარიყო დის იმპრესარიო. კარლოსი ძალზე ნიჭიერი ადამიანია და სწორედ მისი წყალობით აღმოჩნდა მონსერატი დიდ სცენაზე... სხვათა შორის, მომღერლის ქალიშვილის კარიერაც საკმაოდ საინტერესოდ დაიწყო. ის ბალერინა, მაია პლისეცკაიას მოწაფე გახლდათ, მაგრამ ტრავმა მიიღო და სცენის მიტოვება მოუხდა. გარკვეული დრო მონსერატის ერთ-ერთ მეგობართან ცხოვრობდა და დროდადრო მღეროდა. ერთ დღეს, მისი მასპინძელი მიხვდა, რომ გოგონას შესანიშნავი ხმა აქვს. ეს ამბავი კარლოს კაბალიეს აცნობა. მან გოგონას ვოკალში მეცადინეობა დააწყებინა, თან ისე, რომ მის მშობლებს არაფერი შეატყობინა. ერთ დღეს კარლოსმა მონსერატი და მისი მეუღლე, რომელიც ასევე ოპერის მომღერალი — ტენორი გახლავთ, თავისთან მიიწვია და უთხრა, — ახალგაზრდა ნიჭიერი მომღერალი უნდა წარმოგიდგინოთო. დარბაზში, ცოლ-ქმრისთვის მულოდნელად, მათი შვილი შემოვიდა. როდესაც მონსერატ მარტიმ არია შეასრულა, დედამისს ცრემლები წამოსცვივდა. შემდეგ ის იხსენებდა, — მარტის ალბათ ეგონა, იმიტომ ავტირდი, რომ მან ცუდად იმღერა, მაგრამ ეს ბედნიერების ცრემლები იყო... ცოტა ხნის წინ ბარსელონაში გახლდით და ქალბატონ მონსერატს შევხვდი. ვკითხე — თუ როგორ აფასებს ის შვილის შემოქმედებას და ასე მიპასუხა, — არ არის აუცილებელი, ის მეორე მონსერატ კაბალიე იყოს, მთავარია, რომ გამოკვეთილი ინდივიდუალობის მქონე მომღერალია და მისი მოსმენა ძალიან მსიამოვნებსო.

— რამდენად რთული აღმოჩნდა ჩვენთან ჩამოსვლაზე მონსერატ კაბალიეს დათანხმება, მით უფრო — საქველმოქმედო კონცერტის ჩასატარებლად, რომლისთვისაც ის ჰონორარს არ მიიღებს?

— ბატონ პაატა ბურჭულაძეს არაერთხელ უთქვამს, — რაც უფრო მაღალი რანგისაა მომღერალი, მით უფრო ადვილია მისი დათანხმება საქველმოქმედო კონცერტზეო. ასეც მოხდა: როდესაც მან შეიტყო, თუ რისთვის ეპატიჟებოდნენ საქართველოში, მაშინვე დიდი სიამოვნებით დათანხმდა.

— თუ იცნობს ჩვენს ქვეყანას და როგორი წარმოდგენა აქვს მასზე?

— ის იცნობს პაატა ბურჭულაძეს. იცის, რომ საქართველო ლამაზი ქვეყანაა. კაბალიეს მთელი ოჯახი შეყვარებულია პაატაზე. მონსერატის ძმა ამბობს, — პაატას ისეთი ოქროს გული აქვს, რომ მე არ შემეძლო, მხარში არ ამოვდგომოდი მას ამ კეთილ საქმეშიო. ქველმოქმედება მონსერატისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ის სათავეში უდგას ფონდს, რომელიც XX საუკუნის 70-იანი წლებიდან არსებობს და უნარშეზღუდულ ბავშვებს ეხმარება. ერთხელ ჟურნალისტმა ჰკითხა, იღებდა თუ არა ის ძვირფას საჩუქრებს, რაზეც კაბალიემ უპასუხა, — ძვირფასი საჩუქრების მიღება არ მიყვარს, მაგრამ როდესაც ასეთ ნივთებს მიძღვნიან, მათ ყოველთვის საქველმოქმედო მიზნებს ვახმარ; ბიჟუტერია ბევრი მაქვს, სცენიდან უბრალოც და ძვირფასი სამკაულიც ერთნაირად ბრწყინავსო... საინტერესოა ასევე, ოჯახისადმი მისი დამოკიდებულება. მოგეხსენებათ, ადამიანებს ხშირად კარიერის გამო ოჯახები ენგრევათ. მონსერატი ამბობს, — გამიმართლა, რომ ისეთი ქმარი შემხვდა, რომელმაც ხელი შემიწყო წარმატებული კარიერის შექმნა-შენარჩუნებაში, თუმცა, არჩევანის წინაშე რომ დავმდგარიყავი, უეჭველად ოჯახს ავირჩევდი: მსოფლიო ჩემი ხმის გარეშეც იარსებებს, მე კი ჩემი ოჯახის გარეშე ვერ გავძლებო...

— როგორია სახელგანთქმული მომღერალი პირადი ურთიერთობისას?

— ძალიან უშუალო, თბილი, ხალისიანი. სულ რაღაც ერთი საათით ვიყავი კაბალიესთან ბარსელონაში და ამ ხნის განმავლობაში, მისგან მხოლოდ დადებითი, სასიამოვნო, ხალისიანი განწყობილება „მოდიოდა“. მან დაწვრილებით გამომკითხა ჩვენი ფონდისა და მისი საქმიანობის შესახებ. როდესაც ვუთხარი, რომ მის კონცერტზე ერთ-ერთი ოჯახი საკუთარ თავშესაფარს მიიღებს, ძალიან გაუხარდა და თქვა, ეს ძალზე ამაღელვებელი სანახაობა იქნებაო... ვაცნობე, რომ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია II-ეს არაერთხელ უთქვამს, — როდესაც თავისუფალი დრო მაქვს, ყოველთვის ამ მომღერლის ჩანაწერს ვუსმენო. ამ ამბავმა კაბალიე საოცრად გაახარა და მაშინვე მკითხა, — საქართველოში რომ ჩამოვალ, მიმიღებს? თუ ეს შესაძლებელი იქნება, მაშინ მე თქვენთან ერთი დღით ადრე ჩამოვალ, რომ პატრიარქს შევხვდეო. მონსერატი ძალზე მორწმუნე ადამიანია. ამბობს, რომ არავისგან განსხვავებული არ არის, უბრალოდ, ღმერთმა დააჯილდოვა ხმით, რომლითაც ბედნიერებას ანიჭებს ადამიანებს. ასეთია მისი მრწამსი.

— სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ უწმინდესისა და უნეტარესის აღსაყდრებიდან 30 წლისთავის საიუბილეო პერიოდს საქართველოში მისი საყვარელი მომღერლის ვიზიტი დაემთხვა...

— დიახ. მონსერატი იმდენად ბედნიერი იყო ამ ცნობის შეტყობისას, რომ მითხრა, — თუკი პატრიარქი შემხვდება, სპეციალურად მისთვის, შვილთან ერთად, სიურპრიზს მოვამზადებო... მოგეხსენებათ, მონსერატის კონცერტი მასშტაბური ღონისძიებაა და ჩვენი ფონდის მიერ გაწეული ქველმოქმედებაც შესაბამისად, მასშტაბური იქნება. მხოლოდ ერთი ბინის ყიდვით ამჯერად, არ შემოვიფარგლებით... ■

ერთი საათით ვიყავი კაბალიესთან ბარსელონაში და ამ ხნის განმავლობაში, მისგან მხოლოდ დადებითი, სასიამოვნო, ხალისიანი განწყობილება „მოდიოდა“

საქართველო სხვა ლოზუნგებს სკანდირებს

მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტად ტრიუმფული დაბრუნება „უქმდება“

ამ ბოლო 4 წლის მანძილზე საქართველო პრეზიდენტის გარეშე უკვე მეორედ დარჩა. 2004 წლიდან ამ პოსტზე მყოფმა მიხეილ სააკაშვილმა ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა და, როგორც ამას რესპუბლიკის კონსტიტუცია მოითხოვს, თანამდებობიდან გადადგა. რა თქმა უნდა, მას არჩევნების მოგებისა და ამ პოსტზე დაბრუნების იმედი აქვს. მაგრამ 4 წლის წინანდელი სიტუაციისგან განსხვავებით, როცა „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ პრაქტიკულად, მთელი საქართველო „მიშა, მიშას!“ სკანდირებდა, ახლანდელი არჩევნების შედეგებზე თავს ვეღარავინ დებს. ნოემბერში თბილისში ოპოზიციის მიერ შეკრებილი მრავალრიცხოვანი მიტინგი სულ სხვა ლოზუნგებით გამოდიოდა და ცვლილებებს ითხოვდა.

იანვრის არჩევნების წინ იმდენად რთული სიტუაცია ყალიბდება, რომ ადგილობრივი ანალიტიკოსები ერთ საკითხში უკვე დღეს თანხმდებიან: მათი აზრით, სააკაშვილის პრეზიდენტად ტრიუმფული დაბრუნება, რისი აშკარა იმედიც აქვს მის გარემოცვას, არ მოხდება. სამაგიეროდ, ამჟამინდელ საარჩევნო კამპანიაში მონაწილე ძირითად პოლიტიკურ ძალებს ქვეყნის მომავლის იმდენად განსხვავებული ხედვა აქვთ, რომ საქმე სასტიკი დაპირისპირების გარეშე ვერაფრით ჩაივლის. ამდენად, ის, რომ ქართველი ამომრჩეველი ამჯერადაც თავის წინანდელ კერპს მისცემს ხმას, უცილობელ ფაქტს ნამდვილად არ წარმოადგენს. ექსპერტთა ვარაუდით, „7 ნოემბრის სინდრომის“ შედეგების მინიმუმამდე დასაყვანად, სააკაშვილს დიდი თავგამოდება დასჭირდება, რადგან ძნელი წარმოსადგენია, თვენახევრიანი საარჩევნო კამპანიის მანძილზე მოხერხდეს ადამიანების გონებიდან იმის წაშლა, რაც 7 ნოემბერს მოხდა. ხელისუფლებამ, რომელმაც ექვსდღიან „ნერვების ომს“ ვეღარ გაუძლო, ოპოზიციური მიტინგის წინააღმდეგ პოლიცია და სპეცრაზმი გამოიყვანა, რომლებიც ქალაქში ხალხს გვიან ღამემდე, წყლის ჭავლითა და ცრემლსადენი გაზით ფანტავდნენ და გზად, ოპოზიციის აქციის მხარდამჭერი ტელეკომპანია „იმედიც“ დაარბიეს.

თუმცა სააკაშვილი, რომელმაც საკუთარი საარჩევნო კამპანია სხვებზე ადრე დაიწყო, გამარჯვების მისაღწევად ძალისხმევას ნამდვილად არ იშურებს. ზოგი რამ მან ჯერ კიდევ გადადგომამდე მოასწრო — შეცვალა არაპოპულარული პრემიერ-მინისტრი, ბიზნესმენებთან, პედაგოგებთან, კახელ გლეხებთან, შრომის ვეტერანებთან, კულტურის მუშაკებთან და სპორტსმენებთანაც კი, სრულფასოვანი წინასაარჩევნო შეხვედრების მთელი სერია ჩაატარა, აზერბაიჯანისა და თურქეთის პრეზიდენტებთან ერთად, მონაწილეობა მიიღო ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობის დაწყების საზეიმო გახსნაში. ხოლო მას შემდეგ, რაც პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატი გახდა, ექსპრეზიდენტი უკვე მთელ ქვეყანაში მოგზაურობს და ისევ დაპირებებს არიგებს. საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომლებს ხელფასების მომატებას ჰპირდება, ვეტერანებს — პენსიების მომატებას, გლეხებს — სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების გაზრდას.

მსგავსი წინასაარჩევნო სვლები სააკაშვილს ხმების გარკვეულ რაოდენობას ნამდვილად მოუტანს, მაგრამ არჩევნებში და მით უფრო, პირველ ტურშივე გასამარჯვებლად ეს შესაძლოა, საკმარისი არ აღმოჩნდეს. თუმცა სააკაშვილს „კოზირები“ ნამდვილად არ აკლია. დასასრულს მიახლოებული 2007, ისევე, როგორც მისი პრეზიდენტობის ოთხივე წელი, ეროვნული ეკონომიკის გამოცოცხლებით აღინიშნა. ეკონომიკური ზრდის ტემპის მიხედვით, საქართველო ამჟამად, მთელ პოსტსაბჭოთა სივრცეში შემავალი ქვეყნების უმეტესობას უსწრებს და წინასწარი მონაცემებით თუ ვიმსჯელებთ, ეს დინამიკა წლეულსაც შენარჩუნდება. სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების ნაკადი დაიძრა. ამჟამად სახელწიფო ბიუჯეტი არა დასავლეთის და პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების ფინანსური დახმარების, არამედ ძირითადად, საკუთარი რესურსების ხარჯზე ყალიბდება. წარსულს ჩაჰბარდა შეფერხებები ელექტროენერგიისა და გაზის მიწოდებაში. უფრო მეტიც — წელს საქართველომ საკუთარი ჭარბი ელექტროენერგიის თურქეთსა და რუსეთში იმპორტირებაც კი განახორციელა. თუმცა, სააკაშვილის მთავრობის მიერ დაწყებულმა ეკონომიკურმა რეფორმებმა სოციალური პრობლემები გაამწვავა. დღევანდელ საქართველოში კვლავაც უმუშევრობის მაღალი დონე რჩება, მოსახლეობის მესამედი კი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს. ეს ყველაფერი მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილის უკმაყოფილებას ზრდის, რაც სააკაშვილის, როგორც პრეზიდენტობის პრეტენდენტის რეიტინგს ამცირებს და მის პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს გამარჯვების შანსს აძლევს.

ამასთანავე, ოპოზიციამ იანვრის არჩევნების წინ რეალურად, გაერთიანებაც მოახერხა. და ამიტომაც, თბილისში უკვე ისიც აღარავის აშფოთებს, რომ საკუთარი საპრეზიდენტო ამბიციების თაობაზე ერთდროულად რამდენიმე ოპოზიციური პარტიის ლიდერმა გამოაცხადა. რა თქმა უნდა, ყოველი მათგანი ელექტორატის რაღაც ნაწილს მიიმხრობს და ამით ვითომდა, სააკაშვილის პოზიციის გაძლიერებას შეუწყობს ხელს. „მაგრამ ძირითადი ბრძოლა მაინც, ყოფილ პრეზიდენტსა და გაერთიანებული ოპოზიციის ერთიან კანდიდატ ლევან გაჩეჩილაძეს შორის გაიმართება. ძალების საბოლოო განლაგებაზე შეიძლება, კიდევ რამდენიმე კანდიდატმა, მაგალითად, „ახალმა მემარჯვენემ“ დავით გამყრელიძემ, ლეიბორისტული პარტიის ლიდერმა შალვა ნათელაშვილმა ანდა ბიზნესმენმა ბადრი პატარკაციშვილმა იქონიონ გავლენა. თუ საქმე მეორე ტურამდე მივა, ოპოზიცია შეიძლება, ერთ-ერთ მათგანზე შეჩერდეს, რაც სააკაშვილისა და მისი გუნდისთვის კატასტროფა იქნება“, — განუცხადა „ნეზავისიმაია გაზეტას“ თბილისელმა ექსპერტმა გია ხუხაშვილმა.

Независимая газета ***(რუსეთი).*** ■

პუტინის არჩევანის დემოკრატიული სარჩული

ვლადიმირ პუტინის მიერ პრეზიდენტის პოსტზე მთავარ კანდიდატად დანიშნული დმიტრი მედვედევის მოსვლით, რუსეთს შესაძლოა, საკუთარი კურსის პოლიტიკური ლიბერალიზაციისა და დემოკრატიზაციის მიმართულებით შეცვლის სერიოზული შანსი გაუჩნდეს. ხელისუფლებაში მისმა მოსვლამ შეიძლება, დასავლეთის მთავრობებსა და ორგანიზაციებს მოსკოვთან ურთიერთობის გაუმჯობესების საშუალება მისცეს.

42 წლის მედვედევის პიროვნების შეფასებისას არცთუ იშვიათად, პუტინთან ჯერ კიდევ 1990-იან წლებში მის ურთიერთობას უკავშირებენ. რუსეთის მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ვიცე-პრემიერს, როგორც კომპეტენტურ იურისტსა და ახალგაზრდა პოლიტიკოსს, მიესალმებიან. მისი საგარეო პოლიტიკური შეხედულებები ევროპულად (თუ არა მთლად პროდასავლურად) მიიჩნევა. მაგრამ მედვედევი პუტინთან შეხვედრამდეც (როცა ეს უკანასკნელი, აღმოსავლეთ გერმანიაში „კაგებეში“ მსახურობდა) პოლი-

რუბრიკის გაგრძელება იხ. გვ. 100

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„მათი გაკეთებული საქმე ჯერ არ მინახავს“

ხათუნა ბახტურიძე

საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები გამუდმებით იმას ირწმუნებიან, რომ ჩვენს ქვეყანაში აღმშენებლობა მიმდინარეობს, ეკონომიკური ვითარება დღითი დღე უმჯობესდება და ხალხის ყოველდღიური ყოფაც ბევრად უფრო ღირსეულია, ვიდრე „ვარდების რევოლუციამდე“ იყო. ასეთი განცხადებები კეთდება ქვეყანაში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სიღარიბის ზღვარს მიღმა იმყოფება და არათუ ღირსეული ცხოვრების, არამედ ადამიანურად არსებობის საშუალებაც კი არ აქვს. მარნეულის რაიონის სოფელ თამარისში, რომელიც თბილისიდან სულ რამდენიმე კილომეტრის მოშორებითაა, ხალხს სასმელი წყალი, ბუნებრივი აირი და მუდმივი ელექტროენერგია არ აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ქალაქ მარნეულიდან სოფელ თამარისამდე სულ 15 წუთის სავალი გზაა, დღის 5 საათის შემდეგ, იქ სამარშრუტო ტაქსიც კი აღარ დადის. ამ და სხვა ყოფითი პრობლემების შესახებ, ადგილობრივი მცხოვრები გვესაუბრა, რომელმაც თავისი სახელისა და გვარის გამულავნებისაგან თავი შეიკავა.

— ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური ზრდა თქვენს ოჯახსა და ზოგადად სოფელში მცხოვრებ ადამიანებზე, როგორ აისახება?

— როდესაც ხელისუფლების წარმომადგენლები ამბობენ, ქვეყანაში ეკონომიკური ზრდა მიმდინარეობსო, მრჩება შთაბეჭდილება, რომ დაგვცინიან. ეკონომიკური ზრდა მხოლოდ მათ ხელფასებსა და ცხოვრებაზე აისახება. უბრალო ხალხი კი უფრო მეტად გაღარიბდა, ვიდრე „ვარდების რევოლუციამდე“ იყო. პირადად მე, თავის დროზე, ამ ხელისუფლებას სწორედ იმიტომ დავუჭირე მხარი, რომ მეგონა, ხალხზე იზრუნებდა და გაზულუქებულ ჩინოვნიკებს ჩვენს ხარჯზე გამდიდრების საშუალებას არ მისცემდა. დღეს თანამდებობაზე 25-30 წლის გამოუცდელი ახალგაზრდები არიან, რომლებიც მრავალათასიან ხელფასებს სულ ტყუილად იღებენ (მათი გაკეთებული საქმე ჯერ არ მინახავს). ყველაზე მეტად, ჩვენს გაღიზიანებას ის ფაქტი იწვევს, რომ ეს ახალგაზრდები ხშირად ამბობენ, შევცდითო. ნუთუ შეიძლება, ღატაკი ხალხით დასახლებულ ქვეყანაში უზარმაზარ ხელფასს იღებდე და თან, შეცდომებს უშვებდე?

მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ 7 ნოემბერს ხალხი ქუჩაში ცხოვრების გაუსაძლისმა პირობებმა, საკუთარი ხელისუფლების მხრიდან უპასუხისმგებლო დამოკიდებულებამ გამოიყვანა და არა რუსეთის აგენტების მხარდაჭერის სურვილმა. დღეს პრეზიდენტმა გვითხრა, პენსიებსა და ხელფასებს იმიტომ ვერ ვზრდიდით, რომ პრიორიტეტად ინფრასტრუქტურის განვითარებას მივიჩნევდითო. კი, მაგრამ რაღა ჩვენს ხარჯზე უნდათ ინფრასტრუქტურის განვითარება? არ შეიძლება, თავადაც მოიკლონ რამე? რასაც ჩვენ მთელი თვის განმავლობაში გვიხდიან, ეგენი იმდენს მხოლოდ ერთ დღეში ხარჯავენ. თამარისი უზარმაზარი სოფელია, მაგრამ ხალხს სასმელი წყალი და ბუნებრივი აირი არა აქვს. ერთი მითხარით, რამდენად ნორმალურია, რომ XXI საუკუნეში, სოფელში 5 საათის შემდეგ ტრანსპორტი არ დადიოდეს? მთელ საქართველოში

ახლა ყველაზე მეტად წყლისა და გზის უქონლობა გვაწუხებს

დააგეს გზები და ჩვენ რა დავაშავეთ? „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, ჩვენს სოფელში არაფერი გაკეთებულა, ელექტროგაყვანილობა იმდენად ძველია, რომ ყოველი ქარის ამოვარდნისას შუქი ქრება.

— სასმელი წყალი საიდან მოგაქვთ?

— ზოგიერთ მოსახლეს ეზოში ჭა აქვს გათხრილი და ჩვენც იქიდან ვსარგებლობთ.

— იქნებ, ჭა ყველას თავის ეზოში გაეთხარა?

— წყალი ყველგან არ ამოდის, თორემ ჭის გათხრა არ გვეზარება.

— ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად საკრებულოს ან თქვენს დეპუტატს რატომ არ მიმართავთ?

— რა აზრი აქვს? ჩვენი წარმომადგენელი პარლამენტში, „ნაციონალური მოძრაობის“ წევრია და სურვილი რომ ჰქონდეს, ალბათ ბევრ პრობლემასაც მოაგვარებდა. ახლახან სოფელში გაზის შემოყვანა დაიწყეს, მაგრამ გვითხრეს, ყველა ქუჩაზე ვერ შემოვიყვანთო. ჩვენ ამ საკითხით დავინტერესდით და აღმოჩნდა, რომ პროექტი ბოლომდე არ ყოფილა დაფინანსებული.

— უკვე წინასაარჩევნო კამპანია მიმდინარეობს, ხმის მიცემის სანაცვლოდ, არაფერს გპირდებიან?

— მხოლოდ იმას გვეუბნებიან, შუქი და გაზი გექნებათო. გაზთან დაკავშირებულ ლაფსუსებზე უკვე მოგახსენეთ; შუქიც, ასე თუ ისე, გვაქვს. ჩვენ ახლა ყველაზე მეტად წყლისა და გზის უქონლობა გვაწუხებს, მაგრამ ამ პრობლემების მოგვარებაზე ჯერ ლაპარაკიც კი არ დაწყებულა.

— თქვენი გულის მოგებას არც ოპოზიციური პარტიები ცდილობენ?

— მაგათ მცდელობას რა აზრი აქვს? არა მგონია, ვინმეს კიდევ ვენდოთ. სააკაშვილისა და მისი გუნდის ისე მჯეროდა, უფსკრულშიც კი თვალდახუჭული გავყვებოდი, მაგრამ რა გამოვიდა? არათუ პრობლემები არ მოგვიგვარა, ღირსებაც კი ფეხქვეშ გაგვითელა. უამრავი უფასო სასადილო გახსნეს, ახლა ვაუჩერების და დახმარებების დარიგება დაიწყეს. ჩვენ მათხოვრები არ ვართ, დახმარება და მოწყალება კი არა, ღირსეული ხელფასი გვჭირდება. მე და ჩემს მეუღლეს უმაღლესი განათლება გვაქვს და ფიზიკურ ძალასაც არ ვუჩივით, მაგრამ სამსახურს ვერ ვშოულობთ იმიტომ, რომ ჩვენს რეგიონში ყველაფერი ნაცნობობით კეთდება.

— სოფელში რაიმე დაწესებულებები მაინც თუ არის, სადაც დასაქმება შეიძლება?

— მხოლოდ სკოლა და ბაღი გვაქვს. სხვა, სოფელს არაფერი გააჩნია. ამ დაწესებულებებშიც ისეთი ხელფასებია, კაცს მხოლოდ პურის ფულად თუ ეყოფა.

— როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, უახლოეს მომავალში ხელფასები ორჯერ მაინც გაიზრდება. როგორ ფიქრობთ, ეს თანხა ღირსეულად ცხოვრებისათვის საკმარისია?

— რა თქმა უნდა, არა. როგორც ჩანს, ხელისუფლებას ხალხი ბრიყვი ჰგონია. ხელფასების ზრდის პარალელურად, ფასებსაც ხომ აორმაგებენ? გამოდის, რომ რასაც ერთი ხელით გვაძლევენ, მეორე ხელით გვართმევენ. გარდა ამისა, პრეზიდენტი ხაზგასმით ამბობს, ხელფასი მხოლოდ პედაგოგებს მოემატებათო. სხვებმა რა ვქნათ?

— თქვენს ოჯახს შემოსავალი საიდან აქვს?

— მიწაზე ვმუშაობთ, მაგრამ ახლა, ამ მხრივაც პრობლემები შეგვექმნა: ხვნა-თესვაც დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული. სხვათა შორის, საკმაოდ დიდი ვენახები მაქვს, მაგრამ წელს, ასი ლარის ყურძენიც ვერ გავყიდე.

— პრეზიდენტის ინიციატივით, მოსახლეობას შეშის ვაუჩერები დაურიგეს. ამ ფაქტმა რაიმე პრობლემა მაინც თუ მოგიხსნათ?

— 5 კუბური მეტრი შეშა რას გვიშველის?! გაჭირვებული კაცისათვის ესეც შეღავათი იქნებოდა, ყველაფერს ისე რომ აკეთებდნენ, როგორც ამბობენ.

— რას გულისხმობთ?

— პრეზიდენტმა თქვა, შეშას სახლში მოგიტანენ და დაგიყრიანო, მაგრამ ადგილობრივი ხელისუფლება გვეუბნება, ვაუჩერები ხომ მოგეცით, მანქანაზე და „დრუჟბაზე“ თავად იზრუნეთო. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ნოემბერში მოჭრილი შეშა სულ სველია, 5 კუბური მეტრისათვის, მანქანისა და „დრუჟბის“ დაქირავება აღარც კი ღირს. ■

ქართველი მომღერალი და მსახიობი, რომელიც საქართველოში მუშაობაზე ოცნებობს

„ჩემი გმირი ლამაზი გოგონაა, რომელიც მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდის“

საზღვარგარეთ წასული იმ ქართველების გარდა, რომლებიც ლუკმაპურის საშოვნელად, არანაირ სამუშაოს არ თაკილობენ, ბევრი ჩვენი თანამემამულე საკუთარი პროფესიით საქმიანობს, ამა თუ იმ სფეროში წარმატებებს აღწევს და ბევრ ადგილობრივ კოლეგასაც სჯობნის. მათ რიგს, ვინც რუსეთის შოუ-ბიზნესში უკვე მყარად დაიმკვიდრა ადგილი, ახლო მომავალში კიდევ ერთი ქართველი გოგონა — თამთა ჯამალაშვილი შეემატება. ამის თქმის საფუძველს, ესტრადისა და ტელეკინოს სფეროში მის მიერ გადადგმული პირველი ნაბიჯები გვაძლევს. მის კარიერასა და წარმატებებზე უფრო ვრცელი ინფორმაციის მისაღებად მოსკოვში მცხოვრებ თამთას ტელეფონით დავუკავშირდით.

ნათია ქევიძე

— თამთა, პირველად როდის და რატომ გაემგზავრა შენი ოჯახი მოსკოვში?

— 1993 წელს, მამამ მოსკოვში დაიწყო მუშაობა. შესაბამისად, მე, დედა და ჩემი ძმაც საცხოვრებლად იქ გადავედით. მაშინ 5 წლის გახლდით. მე და ჩემმა ძმამ, გიორგიმ რუსული საერთოდ არ ვიცოდით. ამიტომაც, თავდაპირველად, მოსკოვში ცხოვრება გაგვიჭირდა. მაგრამ აქაურ გარემოს მალევე შევეწყვეთ და რამდენიმე თვეში, რუსებთან თავისუფლად ვურთიერთობდით.

მსახიობობაზე არასოდეს მიფიქრია

სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსკოვის სახელმწიფო მუსიკალური საესტრადო-ჯაზური ხელოვნების კოლეჯში ჩავაბარე. ამჟამად, მეოთხე კურსის სტუდენტი ვარ.

— როგორც ვიცი, შენი ვოკალური მონაცემების წყალობით, მოსკოვში საკმაოდ დიდ წარმატებას მიაღწიე.

— მშობლები მეუბნებიან, სანამ ლაპარაკს ისწავლიდი, მღეროდიო. ორწლი-ნახევრის ვიყავი, როცა დედამ ქალბატონ ირმა სოხაძესთან მიმიყვანა. მას ჩემი მონაცემები მოეწონა და ორი საბავშვო სიმღერა მომცა. თან, ჩემს მშობლებს ურჩია, იმ დროისთვის ყველაზე პოპულარულ საბავშვო გადაცემა „ბასტი-ბუბუში“ მივეყვანეთ. მოკლედ, იმ პერიოდში „ბასტი-ბუბუს“ პროგრამებშიც ვმონაწილეობდი და სხვადასხვა კონცერტების დროს, ფილარმონიის სცენაზეც გამოვდიოდი. ჩემს ე.წ. კლიპს, რომელიც ზოოპარკში გადამიღეს, ტელევიზიით უჩვენებდნენ. ფილარმონიასთან დაკავშირებით ერთი კურიოზული შემთხვევა გამახსენდა, რომელსაც ჩემი მშობლები ხშირად მიყვებიან: თურმე, 2-3 წლის ასაკში საკმაოდ მოუსვენარი ბავშვი ვიყავი, ერთ ადგილას ვერ მაჩერებდნენ. იმ პერიოდში ფილარმონიაში ბავშვებისადმი მიძღვნილი საქველმოქმედო კონცერტი ტარდებოდა. მე, როგორც ყველაზე პატარა და ცელქი მონაწილე, ერთ-ერთ უფროს გოგონას მიმაბარეს. კონცერტის დაწყებისთანავე, სცენაზე თემურ წიკლაური გავიდა. სახლში წიკლაურის ფირფიტა გვქონდა და მას ყოველთვის ვუსმენდით. ეს მომღერალი ძალიან მომწონდა, მაგრამ ჩემს განსაკუთრებულ სიმპათიას მისი წვერი იმსახურებდა. ჰოდა, მომღერალი სცენაზე რომ დავინახე (კონცერტს პირდაპირი ეთერით გადასცემდნენ), ჩემს „დარაჯს“ გავუსხლტი ხელიდან, სცენაზე გავვარდი, ბატონ თემურთან მივედი, ხელები გავუწოდე და ამიყვანე-მეთქი, — ვთხოვე. ისიც, არ დაიბნა, სიმღერა არ შეუწყვეტია, ისე ამიყვანა ხელში. მე კი ამაყად, გამარჯვებული სახით, წვერებში ხელჩაბღაუჭებული შევცქეროდი ჩემს „კუმირს“. სიმღერა რომ დაამთავრა, ბატონმა თემურმა მაკოცა, დამსვა და მოგვიანებით, ტელეფონის ნომერიც გამომართვა... როცა საცხოვრებლად მოსკოვში გადმოვედით, ალბათ, გარემოსა და ენის შეცვლამ იმოქმედა და 5-დან 14 წლამდე სიმღერა არც კი გამხსენებია. უფრო მეტიც, რაც ვიცოდი, ისიც დამავიწყდა. 14 წლისამ სიმღერის „შიმშილი“ ვიგრძენი. მშობლებს საწინააღმდეგო არაფერი ჰქონდათ და ნაცნობების დახმარებით, ცნობილ მომღერალთან, ტატიანა ანციფეროვასთან მიმიყვანეს. იგი შესანიშნავი პიროვნება აღმოჩნდა — დიდი გულმოდგინებითა და მზრუნველობით დამწყებინა სავოკალო ხელოვნების შესწავლა. სხვათა შორის, ტატიანასთან ახლაც შესანიშნავი ურთიერთობა მაქვს... ერთი წლის შემდეგ კი მოსკოვის სახელმწიფო მუსიკალურ-საესტრადო-ჯაზური ხელოვნების კოლეჯში ჩავაბარე (ძალიან ბევრ თანამედროვე რუსული ესტრადის წარმომადგენელს სწორედ ეს სასწავლებელი აქვს დამთავრებული). ახლა უკვე ბოლო კურსზე ვარ და სასწავლებელს წარმატებით ვამთავრებ. ორი წლის განმავლობაში, კოლეჯის პარალელურად საცეკვაო სკოლა-სტუდია „ტოდესში“ დავდიოდი. ეს მოსკოვში ერთ-ერთი ყველაზე ძლიერი საცეკვაო სკოლაა. თანამედროვე საესტრადო შემსრულებლისათვის ცეკვისა და ლამაზად მოძრაობის ცოდნა აუცილებელია. სამწუხაროდ, „ტოდესში“ სიარულს გადაღებების გამო ვეღარ ვახერხებ. ბევრ ახალგაზრდულ მუსიკალურ კონკურსში ვმონაწილეობდი (სოლო ვოკალის ნომინაციაში) და უმრავლესობის ლაურეატი ან გრან-პრის მფლობელი გავხდი.

— რამდენიმე თვის წინ, ერთ-ერთ რუსულ პოპულარულ სერიალში გადაგიღეს, რომელიც ამჟამად, „ერტეერ პლანეტაზე“ გადის. როგორ ათავსებ ერთმანთთან მსახიობობასა და მომღერლობას?

— მსახიობობაზე არასოდეს მიფიქრია. ერთხელაც, სრულიად მოულოდნელად, ჩვენი ოჯახის ნაცნობმა, ვალია კვიჟინაძემ მითხრა, სატელევიზიო შემოქმედებითი გაერთიანების სტუდიაში ახალგაზრდული სერიალის კასტინგი მიმდინარეობს და იქნებ, მიხვიდეო. სერიალს „ჩვენი გუნდი“ ერქვა. ის მოზარდი თაობისთვისაა განკუთვნილი და შესაბამისად, მისი გმირები 13-14 წლის ადამიანები არიან. თავდაპირველად, ეს წინადადება არასერიოზულად აღვიქვი, მაგრამ მოგვიანებით გავიფიქრე: ესეც ხომ შოუბიზნესია?! ალბათ, საესტრადო ასპარეზზე წინსვლაშიც დამეხმარება და იქნებ, მართლა მომესინჯა ძალები-მეთქი. მართალია, კასტინგმა კარგად ჩაიარა, მაგრამ როლზე არ დამამტკიცეს — 14 წლის მოზარდს არ ჰგავხარო (ალბათ, ესეც ღვთის ნება იყო, რისთვისაც მისი მადლიერი ვარ) და მირჩიეს, უფრო სერიოზული, შედარებით მოზრდილი ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი სერიალის — „დედინაცვლის“ კასტ-

ინგში მიმეღო მონაწილეობა. იქ გმირიც გაცილებით საინტერესო იყო და მეტი პასუხისმგებლობაც მეკისრებოდა. კასტინგი იქაც წარმატებით გავიარე. მოგვიანებით დამირეკეს და მითხრეს: ტელეარხმა როლზე დაგამტკიცა, მაისის ბოლოს გადაღებები იწყებაო. ამ ამბავმა ძალიან გამახარა, თავი სიზმარში მეგონა. სერიალ „დედინაცვალში“ ახალგაზრდებისთვის საკმაოდ აქტუალური, საინტერესო პრობლემებია წამოჭრილი. თან, სიუჟეტი ბანალური არ არის, ლათინურამერიკულ სერიალებსაც არ ჰგავს. მოქმედება მოსკოვთან მდებარე პატარა ქალაქში მიმდინარეობს. აქ რამდენიმე სიუჟეტური ხაზია — ოჯახური პრობლემები, ახალგაზრდების ურთიერთობა, სიყვარული, კრიმინალი და ა.შ. უფროსი თაობიდან — ცნობილი და საინტერესო მსახიობები თამაშობენ. სერიალის რეჟისორი ვალერი რიჟკო ნამდვილი პროფესიონალია. მე და ჩემი ოჯახის წევრებს მხოლოდ ის გვაწუხებდა, რომ უარყოფითი გმირის როლი უნდა შემესრულებინა (ჩემს გმირს ბარბი ჰქვია): იგი ლამაზი გოგონაა, მაგრამ ძალზე ანგარიშიანი, ეგოისტი, შურიანი და მიზნის მისაღწევად ყველაფერზე მიდის... სიმართლე გითხრათ, თავიდან თამაში ძალიან გამიჭირდა (ჩემ გარდა, ამ სერიალის ყველა მსახიობი გამოცდილია) და რეჟისორსაც ჩემ მიმართ ბევრი პრეტენზია ჰქონდა. გადაღებების დაწყებისას კოლეჯში გამოცდები დამეწყო, მაგრამ მაინც, მოვახერხე და სასწრაფოდ გავიარე სამსახიობო ხელოვნებისა და მეტყველების კულტურის რამდენიმე გაკვეთილი. ძალიან კარგ გუნდში მოვხვდი, ჩემ მიმართ ყველა კეთილგანწყობილია. ისინი განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე მიწყობდნენ ხელს, მეც საკუთარ თავზე ბევრი ვიმუშავე და ამ ყველაფერმა კარგი შედეგი გამოიღო (სხვათა შორის, ბევრი მუშაობა დამჭირდა იმისათვის, რომ ქართული აქცენტი დამეძლია). გადაღებები ამჟამადაც მიმდინარეობს. რეჟისორი და გადამღები ჯგუფის წევრები მეუბნებიან: ახლა ძალიან გვიყვარხარ და შენთან მუშაობა გვსიამოვნებს, თავიდან კი ეჭვი გვეპარებოდა, რომ რაიმეს შეძლებდიო. ისინი კომპლიმენტებსაც ხშირად მეუბნებიან, რაც, რა თქმა უნდა, მსიამოვნებს.

— მიუხედავად ამისა, სიმღერისთვის მაინც იცლი და ერთ-ერთი ფესტივალის გამარჯვებულიც გახდი...

— გადაღებებს საკმაოდ დიდი დრო მიაქვს და თან, ძალიან დამღლელი სამუშაოა. ამის გამო, კოლეჯშიც ხშირად მიწევს მეცადინეობის გაცდენა, მაგრამ რას ვიზამ, ეს ხომ ჩემი არჩევანია?! პედაგოგები ამ ამბავს გაგებით ეკიდებიან. მართალია, ამჟამად სიმღერისთვის ნაკლები დრო მრჩება, მაგრამ ყოველ თავისუფალ წუთს ვმღერი და ვცდილობ, როდესაც შესაძლებელია, კონკურსებსა და კონცერტებში მივიღო მონაწილეობა. ოქტომბრის ბოლოს, მოსკოვში, კლუბ „გოლდენ პალასში“ ჩატარდა კონკურსი, სახელწოდებით — „რუსეთის ოქროს ხმები“, რომელშიც „ესენგეს“ ქვეყნებიდან 100-მდე შემსრულებელი მონაწილეობდა. ამ კონკურსზე მეორე ადგილი დავიკავე, რითაც ძალზე კმაყოფილი ვარ. სხვათა შორის, ფინალში ჩემ გარდა, კიდევ სამი ქართველი მომღერალი მონაწილეობდა. პირველი ხარისხის ლაურეატი 28 წლის ბელორუსი გოგონა გახდა. წარმოიდგინეთ, რამდენად სასიამოვნო იყო, როდესაც ამ ბელორუსმა გოგონამ, ოვაციების შემდეგ, ბისზე „თბილისო“, თანაც, ქართულად იმღერა და საქართველოსა და ქართველების მიმართ დიდი სითბო გამოხატა.

„დედინაცვლის“ მეორე ნაწილის გადაღება კი ალბათ შემოდგომამდე გასტანს

— სერიალში შენს ვოკალურ მონაცემებს არ იყენებ?

— როცა სერიალის გადაღებები დაიწყო, მისი სცენარი ბოლომდე დაწერილი არ გახლდათ. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მქონდა, ფილმშიც მემღერა. მაგრამ ეს ფილმის ხელმძღვანელობას არ სურდა: შენი გმირი უარყოფითი პიროვნებაა და სიმღერა მის ხასიათს არ შეესაბამებაო. მერე, მამამ მირჩია, მათ სიმღერების ჩანაწერები მიუტანეო. ასეც მოვიქეცი. რამდენიმე დღის შემდეგ, პროდიუსერმა დამირეკა და მითხრა: გადავწყვიტეთ, შენი სიმღერა შენივე შესრულებით ჩავრთოთ ფილმშიო... დეკემბერში სერიალის გაგრძელების — „დედინაცვალი 2“-ის გადაღება იგეგმება. მასში ერთ-ერთი მთავარი როლი მექნება (გმირი იგივეა, მხოლოდ მისი როლია გაზრდილი). ჯერჯერობით, ამის შესახებ მეტს ვერაფერს გეტყვით.

— ორიოდე სიტყვით შენი ოჯახის წევრებიც გაგვაცანი...

— მყავს მამა — გელა ჯამალაშვილი, რომელიც პროფესიით ფიზიკოსია, დედა — ნინო კირვალიძე, ექიმი და ძმა — გიორგი, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის მეხუთე კურსის სტუდენტია და სარეკლამო დიზაინის სპეციალობას ეუფლება. ბებიები და ბაბუები თბილისში ცხოვრობენ. სამწუხაროდ, მათ მხოლოდ წელიწადში ერთხელ ვნახულობ.

— იმის გამო, რომ ქართველი ხარ, რუსებს შენი მისამართით რაიმე პრეტენზია ხომ არ გამოუთქვამთ?

— არასოდეს არანაირ პრობლემას არ წავწყდომივარ. ის კი არა, უფრო ხშირად, პირიქით ხდება: აქაურები ქართველებს ყოველთვის კარგად მოიხსენიებენ. ბევრ მათგანს ქართველი მეგობრებიც ჰყავს. იხსენებენ თბილისში გატარებულ დღეებს, მოსწონთ ჩვენი კულტურა, ტრადიციები, სამზარეულო. ბევრმა რუსმა ქართული ფრაზები და სიტყვებიც იცის. პოლიტიკას შეგნებულად არ ვეხებით.

— რამდენად ხშირად ჩამოდიხარ თბილისში? მოსკოვში ცხოვრება არ გიჭირს?

— თბილისში ჩასვლა ძალიან მიყვარს, იქაურობა სულ მენატრება. ამჟამად, სამშობლოში ხშირად ჩასვლას ვერ ვახერხებ და ამას ძალიან განვიცდი. თუ მომავალში ისე მოხდება, რომ საქმიანობის გაგრძელებას საქართველოშიც შევძლებ, გამიხარდება, მაგრამ ამჟამად, ამაზე მხოლოდ ოცნება შეიძლება... მოსკოვში ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე. სხვათა შორის, ერთ-ერთი მათგანი სახალხო არტისტი, ენგელინა ვასილევნა რაგალსკაიაა. იგი ერთ-ერთ მუსიკალურ ფესტივალზე გავიცანი, სადაც ენგელინა ჟიურის საპატიო წევრი გახლდათ. სხვათა შორის, მაშინ გრან-პრი ავიღე. მოგვიანებით, ისე დავმეგობრდით, რომ ოჯახში თითქმის ყოველდღე გვირეკავს. იგი ახლა 78 წლისაა. ყოფილი შოუბიზნესის წარმომადგენელი რჩევებითა და საქმითაც მეხმარება. ენგელინა ყველა ჩემს წარმატებას, ჩემთან ერთად განიცდის და უხარია (ის მსოფლიოში ერთადერთი არტისტია, რომელმაც ვატიკანში რომის პაპის, იოანე-პავლე მეორისა და 50000 მაყურებლის წინაშე, მოედანზე საცირკო წარმოდგენა ჩაატარა და პაპმა თავისი ოქროს მედლით პირადად დააჯილდოვა). მას ძალიან უყვარს თბილისი, ბევრი ქართველი მეგობარი ჰყავს. მოკლედ, მოსკოვში კიდევ ერთი საყვარელი ბებია და უფროსი მეგობარი შევიძინე.

— მომავლისთვის რა გეგმები გაქვს?

— რაც შეეხება მომავლის გეგმებს, ჯერ კოლეჯი უნდა დავამთავრო. „დედინაცვლის“ მეორე ნაწილის გადაღება კი ალბათ შემოდგომამდე გასტანს. ამ სერიალამდე მხოლოდ საესტრადო კარიერაზე ვფიქრობდი, ახლა კი ჩემს სამომავლო გეგმებში დიდი ცვლილებები მოხდა. მინდა, სამსახიობო განათლებაც მივიღო და მომავალში კინო და ესტრადა ერთმანეთთან შევათავსო.

85 წლის მოხუცის მიერ ცეკვაზე შესრულებული ფეხსელი

გასულ კვირას, თბილისს, ზემო სვანეთიდან, საუკუნოვანი ისტორიის მქონე ანსამბლი „ლატალი“ ესტუმრა, რომელმაც კონცერტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართა. მათი დედაქალაქში ჩამოყვანა ფოლკლორულ ანსამბლ „შავნაბადას“ წევრებმა გადაწყვიტეს. ისინი, ბატონი ანზორ ერქომაიშვილის გამოზრდილები არიან და შეიძლება თამამად ითქვას, მისი დაწყებული გზის ღირსეული გამგრძელებლებიც. ეს ადამიანები სისტემატურად ექსპედიციებში დადიან და უნიკალურ ფოლკლორულ ნიმუშებს კუთხეკუთხე დაეძებენ. სწორედ ასე იპოვეს ეს „საგანძურიც“, ანსამბლი „ლატალი“, რომელშიც უხუცესი წევრებიც არიან. ისინი ინდივიდუალობითა და საკუთარი ხელწერით გამოირჩევიან და ჭეშმარიტ ფოლკლორულ ნიმუშებს ასრულებენ. თუ როგორ მიაკვლიეს ანსამბლის წევრებმა უხუცეს სვანებს, ვინ დაეხმარათ მათ აქ ჩამოყვანაში და რას წარმოადგენენ საერთოდ ისინი, ამის შესახებ ანსამბლ „შავნაბადას“ ხელმძღვანელი დავით ცინცაძე გვიამბობს (ის პარალელურად „ლატალის“ სამხატვრო ხელმძღვანელიც არის).

თბილისს ერთი საუკუნის ანსამბლი ესტუმრა

მაია ღუღუნიშვილი

— ექსპედიციები გვქონდა ტაო-კლარჯეთში, გურიაში, სამეგრელოსა და სვანეთში. ამ კუთხეებში მართლაც საინტერესო ფოლკლორულ ნიმუშებს წავაწყდით. ერთ-ერთი მათგანი, სვანეთში საკმაოდ საინტერესო ანსამბლი „ლატალი“ აღმოჩნდა. მისი ხელმძღვანელი 84 წლის ალექსანდრე გვიჩიანი გახლავთ, რომელიც ასაკთან შედარებით, საკმაოდ ახალგაზრდულად გამოიყურება. სოფელი ლატალი ის ადგილია, საიდანაც მთელ სვანეთში, მუსიკალური კულტურა გავრცელდა. სამწუხაროდ, ანსამბლი „ლატალი“ წლებია, რაც თბილისში არ ყოფილა. სწორედ ამიტომაც გადავწყვიტეთ, მათი აქ ჩამოყვანა და თბილისელი საზოგადოებისთვის გაცნობა. რაც მეტი ანსამბლი ეყოლება თითოეულ კუთხეს, ქალაქსა თუ სოფელს, ეს სფერო მით უფრო განვითარდება და შესაბამისად, არც ქართული ფოლკლორი დაიკარგება. თბილისშიც მომრავლდა ფოლკლორული ანსამბლები, რაც ძალიან კარგია. მაგრამ დღეს ჩვენი ყურადღება ისეთ უნიკალურ ანსამბლებს სჭირდებათ, როგორიც „ლატალია“, მისი უხუცესი წევრები 80 წელს გადაცილებულები არიან. მათგან მაქსიმალურად ბევრი უნდა ვისწავლოთ, რომ ამ საგანძურს მერე ჩვენ ვუპატრონოთ.

— მოდი, უფრო დაწვრილებით გვიამბე ამ ანსამბლის წევრებზე...

— ...ცოტა ხნის წინ, მოხუცებს ახალგაზრდები დავამატეთ. ამრიგად, დღეს უხუცესებიდან ანსამბლში 17 წევრია, ხოლო ახალგაზრდებიდან — 12 (6 ვაჟი და 6 გოგო). სვანეთში ახალგაზრდობა კულტურის მიმართ ძალზე ინდიფერენტულად არის განწყობილი. ამით ჩვენ გარკვეულად სტიმული მივეცით მათ, რომ წარმოჩინდნენ და საზოგადოებამ ისინი ახლოს გაიცნოს. თუმცა, საბედნიეროდ, დღეს, როგორც არასდროს, ანსამბლს ბევრი მსმენელი ჰყავს. ისინი მონაწილეობენ სხვადასხვა სადღესასწაულო ღონისძიებაში. „ლატალი“ საგასტროლოდ არაერთ ქვეყანაშია ნამყოფი. იგი მონაწილეობდა სვადასხვა საერთაშორისო ფესტივალზე. აღსანიშნავია, რომ სწორედ ამ ანსამბლმა ბრეუნევის დაკრძალვაზე „ზარი“ იმღერა... ანსამბლის თბილისში ჩამოყვანის იდეა ასოციაცია „ლატალს“ შევთავაზეთ და ეს პროექტი სწორედ მათი ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. კონცერტი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გაიმართა. „ლატალთან“ ერთად კონცერტში მონაწილეობდა ანსამბლი „შავნაბადა“ და „დიდგორი“. პარალელურად, 8 დეკემბერს, სამების საკათედრო ტაძრის პირველ სართულზე მდებარე „სამების“ ახალგაზრდულ ცენტრში გამოფენა გაიხსნა. გაწეული დახმარებისთვის დიდი მადლობა მინდა გადავუხადო მის მესვეურებს. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნა 50-მდე ფოტო: ძველი ანსამბლების, მათი წევრების, რომლებიც გადაღებულია 1901 წლიდან 80-იან წლებამდე. 1903 წელს ჩატარებული ექსპედიციის კადრები, პირველი გრამოფონი საქართველოში 1901 წელს შემოვიდა, ხოლო სვანეთში 1903 წელს, ზაქარია ფალიაშვილის წყალობით ჩაღწია, იქ ამის ამსახველი ფოტოც ვიხილეთ. ასევე წარმოდგენილი იყო ხელნაწერები: ლოტბარების მოსაზრებები ამა თუ იმ სიმღერაზე; სიგელები, დიპლომები. უამრავი საინტერესო მასალა. ასევე სვანური საყოფაცხოვრებო ნივთები. მათ შორის, მახვშის (წინამძღოლი, ბელადი) საკარცხული და ჯოხი. ძალიან საინტერესოა ეს ჯოხი, რომელსაც აქვს პატარ-პატარა ტიხრები, იგი გამარჯვების სიმბოლოა, რაც უფრო მეტი ტიხარი აქვს ჯოხს, მით უფრო მეტი დამსახურების მქონეა მახვში. კიდევ ერთი საოცარი ნივთიც გახლდათ: სვანური საყვირი. ის თუჯისგანაა დამზადებული და თითქმის ერთი მეტრი სიგრძისაა. იგი სვანეთში „მობილური ტელეფონის“ ფუნქციას ასრულებს, ამ საყვირის მეშვეობით თანასოფლელები ერთმანეთს ეხმიანებიან. საოცარ ხმას გამოსცემს, მისი საშუალებით ერთი სოფლიდან მეორეში აგებინებენ სვანები ერთმანეთს... რაც შეეხება კონცერტს, წარმოდგენილი იყო: ანსამბლის 1926 წლის და 1962 წლის საარქივო ჩანაწერები, რომლებიც ეკრანზე გავიდა. ეს სიმღერები მაყურებელმა ჯერ ჩანაწერის სახით მოისმინა, შემდეგ უკვე ცოცხლად. კონცერტის ბოლოს, სიურპრიზიც მომზადდა. შესრულდა „თამარ დედოფლის ფერხული“. მოგეხსენებათ, ანსამბლში უფროსი ასაკის წევრებიც არიან. ყველაზე უხუცესმა, 85 წლის ადამიანმა, ცერებზე შემდგარმა იცეკვა ფერხული.

...ცოტა ხნის წინ, მოხუცებს ახალგაზრდები დავამატეთ

— ანსამბლ „შავნაბადაზეც“ გვითხარი ცოტა რამ. რა გეგმები გაქვთ?

— სამომავლოდ გეგმაში მესამე დისკის გამოშვებაც გვაქვს. ამჟამად, მზადდება ჩვენი საიტი www.shavnabada.com რომლის მეშვეობითაც საზოგადოებას საშუალება ექნება, უფრო კარგად გაიცნოს ჩვენი ანსამბლი.

ჟეჟრიფეზელი ანა

ჟურნალისტი ქალის დღიურები

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-49

ინგა ჯაყელი

გიგის შუბლზე წითლად აჩნდა ნაიარევი და ანას შერცხვა.

— მაპატიე... კიდევ კარგი, მართლა რომ არ მოგკალი, მაგრამ იმწუთას მხეცი იჯდა ჩემში.

— არა უშავს, ამ ჭრილობას ეშველება, მაგრამ გულს ვერაფერს მოვუხერხებ და მას შენ თუ გამიხეთქავ, მხოლოდ! — გულში ჩაიკრა გიგიმ ანა. — ვერ წარმოიდგენ, ვინ ხარ ჩემთვის...

— თავიდან იწყებ?! — მისი მკლავებიდან გათავისუფლება სცადა ანამ. კაცს წინააღმდეგობა არ გაუწევია, გაუშვა.

— ყავას დალევ?

— ხომ იცი, ყავის დიდი მოყვარული არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ახლა ექიმმა მისი დალევა საერთოდ ამიკრძალა... შენი გადაღებული სურათები ვნახე.

— ის გაზეთი შენს ხელში საიდან მოხვდა, როცა თითქმის მთელი ტირაჟი გაანადგურეს?!

— მე იმ წრეში ვტრიალებ, ვინც ის „გაანადგურა“ და ეს შენც კარგად იცი. მინდა გითხრა, რომ საიდუმლო თათბირები ჩატარდა, დავალებებიც გაიცა...

— მეძებენ?!

— მოსაძებნი არაფერია... იქ დაცვის ერთ-ერთ წევრს დაუნახავხარ და ისე აღწერა შენი გარეგნობა, რომ მაშინვე მივხვდი, ვისზეც იყო ლაპარაკი...

— ჩემი გაქრობა გაქვს დავალებული?!

— არა, ჯერ ამისი საჭიროება არაა, მაგრამ თუ საქმის ქექვას არ შეეშვები, გამორიცხული არაფერია... რა გინდა, ბოლოს და ბოლოს?! აზრზე ხარ, ვისაც უპირისპირდები?! შენ სახელმწიფო, სიყვარულით დაბრმავებული გიგი თეთრაძე ხომ არ გგონია, რომელიც ყველაფერს გაპატიებს?!.

— ვილაცამ ხომ უნდა ამოიღოს ხმა?!

— ჩემი საერთოდ არ გჯერა?

— ჰკითხა გიგიმ და ამოიხვნეშა.

— ამით, რისი თქმა გინდა?

— შეჩერდი!.. ცოტა მოიცადე და თავად დაერევიან ერთმანეთს. ისე აირია სიტუაცია, რომ გადარჩენის ინსტინქტს აყოლილები, ვირთხებივით დაჭამენ ერთურთს...

— ისე ლაპარაკობ, ვითომ შენც ერთ-ერთი მათგანი არ იყო! — ხელი აუქნია ანამ.

— მერედა, ვინ ამბობს, რომ სხვაზე უკეთესი გახლავარ?! — მხრები აიჩეჩა გიგიმ. — მე „ჭანჭიკი“ ვარ და მხოლოდ ის შემიძლია, რომ შენ შეგაჩერო. გეხვეწები, დამიჯერე და ცხოვრებაში ერთხელ მაინც ნუ იმოქმედებ ჩემს ჯიბრზე.

— ვერ შეგპირდები, რომ დიდხანს შევძლებ გულხელდაკრეფილი ჯდომას! — გულახდილი იყო ანა.

— ორი კვირა მაინც გაჩერდი. ამ დროის განმავლობაში აუცილებლად გაირკვევა რამე და გარწმუნებ, საქმეც ბლომად გაგიჩნდება. ახლა კი მთავარი არ მითქვამს, — ჯიქურ ჩახედა გიგიმ ანას თვალებში და მცირე პაუზის შემდეგ ჰკითხა: — როგორ მოხვდი შემთხვევის ადგილზე? ოღონდ, ახლა იმის მტკიცება არ დაიწყო, რომ ეს შემთხვევითობა იყო.

— გეფიცები, ეს მართლა შემთხვევითობა იყო: საცობში მოვყევი და ტაქსიში ჯდომა მომბეზრდა, ფეხით ვცადე გზის გაგრძელება... შენი აზრით, იქ საგანგებოდ „მიმიწვია“ ვინმემ?

— ჩემს აზრს ვინ დაეძებს?! იქ, „ზემოთ“ ფიქრობენ, რომ ტერაქტის დამკვეთების დავალებას ასრულებდი და გითვალთვალებენ.

— ე.ი. ისიც იციან, რომ ახლა ჩემთან ხარ, არა?

— ეცოდინებათ!

— მერედა, რატომ რისკავ?

— იციან, რომ საყვარლები ვართ და დიდი ხანია, კავშირი გვაქვს ერთმანეთთან. ამიტომაც, ეს არც გაუკვირდებათ...

— რომ გაუკვირდეთ?!

— რა ვიცი... იმაზე უარესი რაღა მოხდება, რაც შენ გამო მჭირს... კარგად იცი, წმინდანი არასოდეს ვყოფილვარ და უამრავი ქალი იყო ჩემს ცხოვრებაში. სხვათა შორის, ზოგჯერ შენს ჯიბრზეც ვაკეთებდი ამას...

— მე რა შუაში ვარ?! ღმერთმა იცის, არც არასოდეს მიეჭვიანია და არც შენი ქალების ამბებით დავინტერესებულვარ.

— ვიცი, ყოველთვის თუ არა, ხშირად „გეკიდე“ და ამან უფრო გაამძაფრა ჩემი სიყვარული... ჩემი დევნა რომ დაგეწყო, ადვილად შეგელეოდი, რადგან შეყვარებული ქალებისგან დევნა და იმის მტკიცება, რომ უჩემოდ ვერ იცოცხლებენ, ყოველთვის გულს მირევდა. კარგად იცი, ჩემი სიყვარულით „თავის გაგიჟება“ ცოლსაც ვერ ვაპატიე. ლიკას კი უბრალოდ, აღარ ვიცი, რა ვუყო...

— მცოდნოდა მაინც, შენი ხასიათი! — ხუმრობა სცადა ანამ.

— დარწმუნებული ვარ, იცოდი და ამიტომაც „დამაბი“! — სავსებით სერიოზულად უპასუხა გიგიმ და რატომღაც, ანა ამ სიტყვებმა დაასევდიანა.

— გიგი, მართლა არ ვიცი, რა ხდება ჩემს თავს... ვხვდები, ხშირად თავად ვირთულებ ცხოვრებას და ამით, შენ ან ვინმეს კი არა, ცეცხლსა და თავად ბედისწერას ვეთამაშები, ვერც თავად ვპოულობ სიმშვიდეს და სხვასაც ვტანჯავ... გეფიცები, მიზნად არასოდეს დამისახავს ვინმეს „გამოჭერა“...

— სულ არ გიყვარვარ?! — ეს თქვა და ანასთან ისე ახლოს მივიდა, რომ ქალი ნაცნობმა სურნელმა შეაშფოთა. მან თავად ჩაუყო ცხვირი კისერში კაცს და ვნებამორეულმა უთხრა:

— მაგიჟებს შენი სურნელი და ყოველთვის ეს მიბნევდა თავგზას...

გიგიმ თავი ააწევინა და მისი ტუჩები მოძებნა... არა, რაც მართალია, მართალია — ეს ტუჩებიც განუმეორებელი იყო — რბილი, თბილი და საოცრად ტკბილი...

უცებ, ანამ სისუსტე იგრძნო და თვალთ დაუბნელდა. ეს არ იყო ვნებამორეული ქალის სისუსტე. გიგიმ ხელი შეაშველა:

— რა გჭირს?!

— ეტყობა, ძალიან გადავილალე. საწოლამდე მიმიყვანე, რა!..

გიგიმ ანა ხელში აიყვანა, საწოლ ოთახში შეიყვანა და როცა დარწმუნდა, საშიში არაფერი სჭირდა, თავადაც გვერდით მიუწვა. ანამ თავი მკერდზე დაადო და გაიტრუნა. გიგი თმაზე ეფერებოდა, თან რაღაცაზე ფიქრობდა. დუმილი კარგა ხნის შემდეგ დაარღვია:

— რა გვეშველება მე და შენ, ანა?! ჩვენ აშკარად, ერთმანეთისთვის ვართ შექმნილები, მაგრამ სხვაზე რომ არაფერი ვთქვათ,



ერთმანეთს სიმშვიდის უფლებას თავადაც არ ვაძლევთ...

— ყველაფერი ღვთის ნებაა!

— ალბათ და ძალიან გთხოვ, თავს გაუფრთხილდი... მართლა მიყვარხარ და რაიმე რომ მოგივიდეს, თავს ვერ ვაპატიებ!

— ხომ იცი, ვერაფერს დაგპირდები, რადგან ღმერთს მშვიდი ცხოვრებისთვის არ მოვუვლენივარ ამქვეყნად! — ანა ახლაც გულწრფელი იყო.

გიგი ნაშუაღამევს ისე წავიდა, რომ სექსი არც ერთს არ გახსენებია...

თავბრუსხვევა მომდევნო დღეებშიც აწუხებდა ანას. ერთხელაც, როცა რედაქციის სასადილოში, ნიკასთან ერთად იჯდა, გულისრევა იგრძნო და სასწრაფოდ, საპირფარეშოსკენ გაიქცა.

— ამ დღეებში რაღაც ვერა ვარ. მგონი, მოვიწამლე, — უთხრა უკან მობრუნებულმა ნიკას, რომელმაც თავი საეჭვოდ გააქნია და სათქმელი პირდაპირ უთხრა:

— ფეხმძიმედ ხომ არა ხარ?!

— რა სისულელეა?!

— კარგი, კარგი... ხომ იცი, სანამ ჟურნალისტიკაში ჩავეფლობოდი, უნივერსიტეტში კი არა, სამედიცინო ინსტიტუტში ვსწავლობდი და სწორედ გინეკოლოგობა მქონდა გადაწყვეტილი. უამრავი ფეხმძიმე ქალი მინახავს.

— უკაცოდ დაფეხმძიმებული?! — ისე თავხედურად შეუყვირა ანამ ნიკას, ვითომ, შიშველი კაცი სურათზეც არ ჰყავდა ნანახი.

— არა, უკაცოდ დაფეხმძიმებული ქალი მე კი არა, ისტორიას არ ახსოვს. ოღონდ, რა თქმა უნდა, წმინდა ღვთისმშობელზე არ ვლაპარაკობ, — სავსებით სერიოზულად, მაგრამ ორაზროვნად უპასუხა გაჟურნალისტებულმა გინეკოლოგმა ქალს, რომელიც ადგა და უსიტყვოდ გაეცალა...

ექიმთან მისვლა არც უფიქრია, მაგრამ ფეხმძიმობის ტესტი იმავე საღამოს ჩაიტარა და... დადებითი პასუხი მიიღო. მიხვდა, დათოს შვილს ატარებდა მუცლით. ანამ მტკიცედ გადაწყვიტა, რომ ბავშვს აუცილებლად გააჩენდა. ბუნებრივია, ძალიან მოუნდა, ეს ამბავი დათოსაც გაეგო, მაგრამ ის არსად ჩანდა, აღარც რეკავდა; მხოლოდ ანას სიზმრებში ჩნდებოდა, დროდადრო და ამ სიზმრების შემდეგ, ქალს ყოველთვის უძნელდებოდა რეალურ სამყაროში დაბრუნება...

ანას რატომღაც არ უნდოდა, მისი ფეხმძიმობის შესახებ სხვებს, თუნდაც გიგის ან ნიკას გაეგოთ, რადგან ერთსაც შეეძლო მისთვის პასუხი მოეთხოვა და მეორესაც, მიუხედავად იმისა, რომ ერთგულებას არც ერთს არ დაჰპირებია. ქალმა საზღვარგარეთ წასვლა და იქ მშობიარობა გადაწყვიტა...

ისე გაამზადა საბუთები, რომ ეს ამბავი არავისთვის, ნიკასთვისაც კი არ გაუმხელია. გადაწყვიტა, მისთვის საზღვარგარეთიდან დაერეკა და ეთქვა, რომ აღარ დალოდებოდა, რადგან შეიძლება, საქართველოში დაბრუნების სურვილი არც არასოდეს გასჩენოდა...

უკვე სამი თვის ფეხმძიმე იყო. რამდენიმე დღეში მიემგზავრებოდა. ბარგი ჩაალაგა, სახლი მიალაგა და დეიდა ლილის გასაღები ჩააბარა, რომელსაც გული აუჩუყდა და ტირილი დაიწყო:

— ხომ იცი, შვილივით მყავხარ და ვის იმედად მტოვებ, უშენოდ რა მეშველება?!.

იმ ღამით ტელევიზორის წინ იჯდა, ყავას სვამდა და თან, რაღაც ფილმს უყურებდა. მოულოდნელად, ფილმის ჩვენება შეწ-

ყდა და საგანგებო საინფორმაციო გადაცემა დაიწყო. — ნეტავ, რა უბედურება დატრიალდაო?! — გაიფიქრა ანამ. ამასობაში, დიქტორიც გამოჩნდა: „შინაგან საქმეთა სამმართველოს საგანგებო ოპერაცია წარმატებით დასრულდა და ორთვიანი თვალთვალის შემდეგ, განადგურებულია დაქირავებული მკვლელი, რომელსაც არაერთი სიცოცხლის ხელყოფა ედება ბრალად. დაკავებისას, კილერმა წინააღმდეგობა გაუწია სამართალდამცავებს და ამიტომაც, ის ადგილზევე იქნა ლიკვიდირებული“... ამის შემდეგ, მოკლულის ფოტოსურათები უჩვენეს და... ანას უკვე აღარ ესმოდა, თუ როგორ სთხოვდა ჟურნალისტი საზოგადოებას, რომ ისინი სამართალდამცავებს მოკლულის ვინაობის დადგენაში დახმარებოდნენ, რადგან მაშინვე იცნო დათო, რომელიც მკვდარიც კი საოცრად ლამაზი იყო, თითქოს, ეძინა...

— ღმერთო, რისთვის მსჯი ასე სასტიკად, რისთვის?! — იყვირა ანამ და ფინჯანი კედელს მიანარცხა. მერე, პირზე აიფარა ხელი, რათა მის მოთქმას მეზობლების ყურადღება არ მიექცია. ქალს ტკივილმა ჯერ სული „დაუხანჯლა“, მერე — სხეული და ბოლოს, თითქოს, ალესილი დანა გამოუსვესო გულ-მუცელში:

— ოღონდ ეს არა, ეს არა, ღმერთო! — მუცელზე წაივლო ხელი და იატაკზე ჩაიკეცა, უგონოდ...

გონს საავადმყოფოში მოეგო. იქვე გიგი იდგა და თმაზე ეფერებოდა.

— რა მოხდა?! — იკითხა დაბნეულმა ანამ, რადგან იმწუთას მართლა აღარაფერი ახსოვდა.

— ეგ შენ უნდა გვითხრა, ანა... საქმეზე მოვდიოდი შენთან და ტელეფონებზე რომ არ მიპასუხე, მერე პირდაპირ ამოვედი. რადგან კარი არ გააღე, შეგვეშინდა და გასაღები ლილი დეიდამ მომცა. როცა შემოვედი, იატაკზე ეგდე და სისხლში ცურავდი.

ანამ მუცელზე წაივლო ხელი:

— ბავშვი?!

პალატაში ექიმი შემოვიდა, რომელსაც გიგი სასოწარკვეთილი სახით მიაცქერდა. ანამ მზერა მასზე გადაიტანა და სასწრაფოდ ჰკითხა:

— ექიმო, ჩემს შვილს საფრთხე ემუქრება?

— ანა, თქვენ ბავშვი დაკარგეთ... ვწუხვარ, მაგრამ ძალიან გვიან მოხვედით ჩვენთან. ისე გვიან, რომ თქვენს სიცოცხლესაც საფრთხე ემუქრებოდა.

ანას თვეების წინ ნანახი სიზმარი გაახსენდა — ის, „გული“ რომ შობა, რომელიც მერე, კუბოდ იქცა და შიგ ჩვილი იწვა. „სიზმარი ამიხდა... სიკვდილი მესიზმრა!“ — გაიფიქრა და ისეთი სიცარიელე იგრძნო, რომ ღამის მიცვალებულივით გაეყინა სხეული: იწვა თვალდახუჭული და ტირილიც აღარ შეეძლო...

— ანა! — დაუძახა გიგიმ.

— სიცოცხლე აღარ მინდა! — თქვა ქალმა ჩურჩულით.

— რა სისულელეა?! ჩვენ კიდევ გვეყოლება შვილები!.. რატომ არ მითხარი, ფეხმძიმედ თუ იყავი? — ჰკითხა გიგიმ და თან, ხელები დაუკოცნა.

გიგი არაფერს ეჭვობდა და რა თქმა უნდა, ვერც იმას ხვდებოდა, რომ ანამ ბევრად მეტი რამ დაკარგა, ვიდრე შვილი ან საყვარელი მამაკაცი...

— მარტოობა მინდა! — წაიჩურჩულა ისე, რომ თვალები არ გაუხელია.

ექიმმა გიგის პალატის დატოვება სთხოვა. ანას დამამშვიდებლები გაუკეთეს და ცოტა ხანში, ყველაფერი ისეთ წყვდიადში ჩაიძირა, ეგონა, მოკლე გზით პირდაპირ ჯოჯოხეთში მიექანებოდა, რომლის კართან ვატო სიხარულიძე იდგა. ის ბოროტად უღიმოდა და ეუბნებოდა: ბოლოს და ბოლოს, მაინც ჩემთან მოხვედი და ვეღარსად წამიხვალო! — ის-ის იყო, ანასთვის ხელი უნდა წაევლო მკლავში, რომ საიდანღაც დათო გამოჩნდა და ერთხელ მოკლული კაცი მეორედ მოკლა, ტყვია თვალებს შუა დააჭედა...

ანამ დათოსკენ გაიწია, მკლავებში ჩაუვარდა და სთხოვა:

— არ მიმატოვო, შენთან ერთად არც ჯოჯოხეთის მეშინია!

დათომ უარის ნიშნად გააქნია თავი:

— არა, ჩვენი გზები სამუდამოდ გაიყარა. ანა, შენ უჩემოდ უნდა გააგრძელო სიცოცხლე!

— როგორ?!

— ამას მალე გეტყვი! — თქვა და ხილვაც გაქრა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთი ლიდერი კახა ძაგანია „ერუდიტში“ სტუმრობაზე სიამოვნებით დაგვთანხმდა. ბავშვობაში მას კითხვა ისე ძალიან ჰყვარებია, რომ ვორონცოვის მოედნიდან ვაკის საცურაო აუზზე სავარჯიშოდ მიმავალი, დროს უქმად არ კარგავდა და გზაში წიგნის კითხვით იქცევდა თავს. ასე წაუკითხავს ჯერ „სამი მუშკეტერი“, შემდეგ კი „გველის პერანგის“ ზოგიერთი ეპიზოდი. მისი საყვარელი მწერალი გრიგოლ რობაქიძეა. ამბობს, რომ წიგნი არასდროს მოუპარავს. ლიტერატურული პერსონაჟებიდან მეგობრის არჩევა უჭირს, მცირე პაუზის შემდეგ კი დათა თუთაშხიას ასახელებს. აქვე დასძენს, „ლეიბორისტები“ აბრაგებივით ვცხოვრობთო და დევნაში სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირებს ადანაშაულებს.

ვზაში წაკითხული წიგნები და „ვზის“ კითხვებზე გაცემული პასუხები

თამუნა კვინიკაძე

რატომ ცხოვრობენ „ლეიბორისტები“ აბრაგებივით

— რომელი ქალაქია 120 კუნძულზე განლაგებული?

— ვენეცია.

— დაასახელეთ მსოფლიოში ამჟამად არსებული ყველაზე ძველი მონარქია.

— (*ფიქრობს*) მონარქიული ქვეყნებია ესპანეთი, ჰოლანდია...

— მიგანიშნებთ. იგი ჩვ.წ.აღ-მდე 660 წელს დაარსდა.

— ვერ გეტყვით.

— იაპონიის მონარქია. „ატარეთ ნაცრისფერი ტანსაცმელი, იდექით ჩრდილში და ნურასდროს გამოიჩენთ ინიციატივას“, — ასეთი იყო ტალეირანის მიერ ჩამოყალიბებული, უნივერსალური რეცეპტი იმ ადამიანისათვის, ვინც სამომავლოდ აპირებდა რის გაკეთებას?

— ტალეირანის ბიოგრაფია წაკითხული მაქვს. ის იყო მექალთანე და ჩინოვნიკების ცოლებთან „დაძვრებოდა“.

— კითხვაზე რატომ არ მპასუხობთ?

— თუ შეიძლება, გამიმეორეთ. — (*გამეორების შემდეგ*)... კარიერის გაკეთებას.

— 1872 წელს თბილისსა და ფოთს შორის რკინიგზის გახსნის შემდეგ, თბილისის ერთ-ერთი უბნის ტერიტორია 2 ნაწილად გაიყო. რკინიგზის გაღმა, აღმოსავლეთ ნაწილში, მუშახელი უნებართვოდ იკავებდა მიწებს და სახლდებოდა. რა ეწოდა ახალ უბანს?

— ნაძალადევი.

— პენტაგონის შენობაში საჭიროზე ორჯერ მეტი საპირფარეშოა. რატომ?

— ამ შენობას ხუთკუთხედის ფორმა აქვს, ალბათ, იმისთვის, რომ ერთი ფლიგელიდან მეორეში გასვლა არ დასჭირდეთ.

— ეს თქვენი ვარაუდია. პენტაგონის შენობა 1940 წელს აშენდა. იმ დროს კი თეთრკანიანები და შავკანიანები სხვადასხვა საპირფარეშოთი სარგებლობდნენ.

— (*იცინის*) მისი აშენების თარიღი არ გავითვალისწინე.

— რას უწოდებდა სულხან-საბა თინეიჯერებს?

— ნინველებს.

— მისი ტექნიკური მახასიათებლები ასეთია: საწყისი სისწრაფე — 12 მეტრი წამში, ფრენის სიმაღლე — 14 მეტრი, გასროლა ცეცხლსასროლი იარაღის პრინციპით ხდება...

— (*ფიქრობს*) შამპანურის საცობი?

— პასუხი ჩაგეთვალათ. რა ერქვა ცნობილ მოგზაურს — მაგელანს?

— ვერ ვიხსენებ. ვიცი, რომ ვესპუჩის ამერიგო ერქვა.!

— ფერნანდო. რუსეთის რომელი იმპერატორის მმართველობის პერიოდში მოღვაწეობდა გრიგორი რასპუტინი?

— ნიკოლოზ II-ის დროს.

— ინგლისის სათავადაზნაურო იერარქიაში რომელ ტიტულს ეკავა საშუალო ადგილი ბარონსა და რაინდს შორის?

— ვერ გიპასუხებთ.

— ბარონეტს. ამ ტიტულს ატარებდნენ 1453-1918 წლებში ავსტრია-უნგრეთის ჰაბსბურგთა დინასტიის პრინცები?

— ვერ გეტყვით.

— ერცჰერცოგს. თურქეთის რომელი ქალაქის ძველი სახელწოდებაა სმირნა?

— იზმირის. იქ წელიწად-ნახევარი ვცხოვრობდი.

— რომელ წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირი?

— რევოლუცია 1917 წელს მოხდა, რამდენიმე წელში საბჭოთა კავშირიც შეიქმნა.

— უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, 1922 წელს. როდის დაარსდა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია?

— II მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ.

— 1945 წელს. რომელი მეფე დაიღუპა გარისის ბრძოლაში?

— (ფიქრობს).

— მიგანიშნებთ. ეს მეფე შემდეგ, წმინდანად შერაცხეს.

— ვერ გეტყვით.

— ლუარსაბ I. რომელმა რომაელმა სარდალმა გაანადგურა კართაგენი?

— სციპიონმა.

— სკოლაში გეოგრაფიას კარგად სწავლობდით?

— ნამდვილად ასე იყო.

— მაშინ მითხარით, რომელი ქვეყნის საპორტო ქალაქია ბილბაო?

— ესპანეთის.

— პირობითად რომელ ქალაქზეა გავლებული ნულოვანი მერიდიანი?

— გრინვიჩზე.

— რომელი ოკეანე დააკავშირა ატლანტის ოკეანესთან პანამის არხმა?

— წყნარი ოკეანე.

— რომელი ჩანჩქერი მდებარეობს მდინარე ზამბეზიზე?

— ვიქტორია.

— გეოგრაფია მართლა კარგად გისწავლიათ. ისიც თუ იცით, რომელ ოკეანეში მდებარეობს კუნძული მადაგასკარი?

— (*იცინის*) წყნარ ოკეანეში.

— ცდებით.

— მაპატიეთ, ინდოეთის ოკეანე უნდა მეთქვა.

— რომელი ზღაპართა კრებული გადმოგვცემს შაჰრიარ მეფისა და მისი ვეზირის ასულის — შაჰრაზადას ამბავს?

MK

— „ათას ერთი ღამე“.

— არასოდეს ისეთი „მრავალჟამიერი“ არ მახსოვს, ვანო სარაჯიშვილმა, პაოლო იაშვილმა და მე რომ ვიმღერეთო, — ვინ ჩაწერა ეს სიტყვები თავის დღიურში?

— არ ვიცი.

— მიგანიშნებთ, მას პოეტების მეფეს უწოდებენ.

— გალაკტონი?

— დიახ. რა ერქვა დანტეს სატრფოს, რომელსაც პოეტმა თავისი შემოქმედების დიდი ნაწილი მიუძღვნა?

— არ ვიცი.

— ბეატრიჩე. ამ მწერლის დაკრძალვის დღეს, პარიზის ყველა საროსკიპომ გლოვა გამოაცხადა. დაასახელეთ იგი.

— (*ფიქრობს*) ვერ დაგისახელებ.

— ის სატრფიალო თავგადასავლებით იყო ცნობილი.

— გი დე მოპასანი. ძლივს არ მიმახვედრეთ?!

— „სრმალი გავსტყორცე, გარდვიჭერ, ვეფხი შევიპყარ ხელითა,/ მის გამო კოცნა მომინდა, ვინ მწვავს ცეცხლითა ცხელითა“. ვინ არის ამ სტროფის ავტორი?

— ვაჟა-ფშაველა.

— დარწმუნებული ხართ?

— ერთხელ კიდევ გამიმეორეთ. (*გამეორების შემდეგ*) ეს რა დამემართა? „ვეფხისტყაოსნის“ სტროფია, ავტორი კი — შოთა რუსთაველი გახლავთ (*იცინის*).

— რომელ ქართველ მეფეს ეკუთვნის ლექსი — „გაბაასება რუსთველთან“

— არ ვიცი.

— თეიმურაზ II-ეს. „შეცდომაა იმის ფიქრი, რომ ბევრისმცოდნეობა ღირსებაა. მნიშვნელოვანია არა ცოდნათა რაოდენობა, არამედ მათი ხარისხი. შეიძლება ძალიან ბევრი რამ იცოდე და არ იცოდე მისი უსაჭიროესობა“. ვისი სიტყვებია?

— არ ვიცი.

— მან დაწერა „ანა კარენინა“.

— ლევ ტოლსტოიმ.

— რა გვარის წარმომადგენელი იყო სარგის თმოგველი, რომელმაც თმოგველობა 1191 წელს მიიღო?

— ვერ გიპასუხებთ.

— მხარგრძელი. ვინ იყო ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მთავარი რედაქტორი?

— ვერ გეტყვით.

— ირაკლი აბაშიძე. რომელი კომპოზიტორის მიუზიკლია „არგონავტები“?

— ვაიმე, ამ ადამიანის სახელსა და გვარს ვერ ვიხსენებ.

— მეტსახელი მაინც მითხარით.

— ბუთხუზი.

— ალექსანდრე ბასილაია. რამდენი სიმი აქვს ვიოლონჩელოს?

— 3.

— არასწორად მიპასუხეთ, 4 სიმი აქვს. რომელია მუსიკალური გამის მე-5 საფეხური?

— სოლ.

— რომელი ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა დიდი სახელმწიფო ხურალი?

— არ ვიცი.

— მონღოლეთის. ქართული ხალხური ეპოსის რომელი გმირი იყო ნადირობის ქალღმერთის დალისა და უცნობი მონადირის შვილი.

ტალეირანის ბიოგრაფია წაკითხული მაქვს

— ამირანი.

— რამდენი დღით უსწრებს ბზობა აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს?

— 7 დღით.

— რომელი მულტფილმის პერსონაჟია ფიცხელა?

— „წუნა და წრუწუნასი“.

— სპორტის რომელ სახეობაში გაითქვა სახელი ლევან თედიაშვილმა და ოლიმპიური ჩემპიონიც გახდა?

— თავისუფალ ჭიდაობაში.

— ვინ იყო ძველი ბერძენი დრამატურგი, რომელმაც მედეა შვილების მკვლელად გამოიყვანა?

— ვერ ვიხსენებ.

— ევრიპიდე. „აბესალომ და ეთერი“, „დაისი“, „ლატავრა“, „თქმულება შოთა რუსთაველზე“ — ამ ოპერებიდან, რომელი არ არის ზაქარია ფალიაშვილის?

— „თქმულება შოთა რუსთაველზე“. მისი ავტორი დიმიტრი არაყიშვილია.

— ვინ ასრულებს ხანუმას როლს ფილმში „ქეთო და კოტე“?

— არ ვიცი.

— თამარ ჭავჭავაძე. ანდაზის მიხედვით, კარგი ცხენი რას არ დაირტყამს?

— მათრახს.

— როდესაც კინემატოგრაფი პირველ ნაბიჯებს დგამდა, მეტად უჩვეულო ფაქტი მოხდა. ძმები ლუმიერების მიერ გადაღებული ფილმის ჩვენებისას, მაყურებლები შიშისგან დარბაზიდან გარბოდნენ. რა იყო ნაჩვენები ეკრანზე?

— (*იცინის*) სადგურში მატარებლის შემოსვლა.

— ვინ ჩაიდინა პირველი მკვლელობა დედამიწაზე?

— კაენმა.

— რომელმა ისტორიკოსმა აღწერა „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“?

— ვერ ვიხსენებ.

— ჯუანშერმა. დაასახელეთ კუნძული წყნარ ოკეანეში, სადაც უცნობი წარმოშობის გიგანტური ქვის სკულპტურებია აღმოჩენილი. ამ კუნძულს ქრისტიანული დღესასწაულის სახელი ეწოდება.

— (*ფიქრობს*) თქვენი რუბრიკის მსგავსი სხვა ჟურნალსაც აქვს, როდესაც მათი ჟურნალისტი ჩემთან ინტერვიუს ჩასაწერად მოვიდა, ვუთხარი, — რა მარტივი კითხვები გაქვთ-მეთქი, თქვენ კი ძალიან რთული კითხვები გაქვთ.

— დასმულ კითხვაზე ვერ მიპასუხებთ?

— ვერა.

— აღდგომის კუნძული. მას შეუძლია აღაგზნოს ადამიანის გონება, რათა ფული გამოსძალოს. ეს არის საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი ძალა.

— (*ფიქრობს*)

— მიგანიშნებთ — მას ტელეეკრანზე ხშირად უჩვენებენ.

— რეკლამა (*იცინის*).

— რიცხვის მერამდენედ ნაწილს შეადგენს 1%?

— მეასედს.

— დაბოლოს: დაასრულეთ ბენჯამინ ფრანკლინის ცნობილი გამონათქვამი — „გამოცდილება ისეთი სკოლაა, სადაც ყოველი გაკვეთილი ძვირად გვიჯდება, მაგრამ მაინც კი ერთადერთი სკოლაა, სადაც...“

— სადაც... (*ფიქრობს*) როგორ სრულდება, ვერ ვიხსენებ.

— „...უჭკუონიც კი ჭკუას სწავლობენ“. ■

„მის ბიკინით“ მოსიბღუტი უსამსი ვართ

და რისი უფლება მისცა მან საკუთარ თავს

„Comedy შოუს“ „საინფორმაციოს“ წამყვანი ვართ, იგივე ავთო მარგველაშვილი და „მის ბიკინი 2007“ ნანკა მამასახლისი ერთმანეთს „ჟურნალისტის როლში“ შევახვედრეთ. ფილიპინებიდან ცოტა ხნის წინ დაბრუნებულმა ნანკამ, ვართეს საკუთარი შთაბეჭდილებები გაუზიარა და მის მიმართ სიმპათიაც თამამად გამოხატა. ბატონმა ავთომ კი, ჯენტლმენობა გამოიჩინა და საკუთარი რესპონდენტი ჯერ „სპაიდერმენით“ დასაჩუქრა, ხოლო ბოლოს საახალწლო კონცერტზეც დაპატიჟა.

სოფო ჭონიშვილი

ჟურნალისტი – ავთო მარგველაშვილი
რესპონდენტი – ნანკა მამასახლისი

— შენი გაცნობა ძალიან გამიხარდა. წელს შენ „მის ბიკინის“ ტიტული გერგო. შენი აზრით, რამდენად მზად არის საქართველო „მის ბიკინის“ კონკურსისთვის?

— „მის ბიკინის“ კონკურსს საზოგადოებაში არანაირი გაღიზიანება არ გამოუწვევია. პირიქით... ეს კონკურსი ყოველთვის აუზზე ტარდება, სადაც ყველა საცურაო კოსტიუმშია ხოლმე გამოწყობილი. ამიტომ, აქ გასაკვირი და მიუღებელი არაფერია.

— მიხარია, რომ ამ მხრივ წინ მივიწევთ. იმედია, გაისად „მის ბიკინის“ კონკურსზე დამპატიჟებთ. როგორც ვიცი, მომავალ კონკურსზე შენ ჟიურის წევრი უნდა იყო.

— დიახ, ასეა. აუცილებლად დაგიკავშირდებით და დაგპატიჟებთ.

— შენთან შეხვედრის შემდეგ, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ჟიური კომპეტენტური ყოფილა. ეს შეგიძლია ჩემგან კომპლიმენტად მიიღო.

— დიდი მადლობა.

— რამდენადაც ვიცი, „მის ბიკინის“ შემდეგ, საერთაშორისო არენაზეც გახვედი.

— დიახ. სულ ახლახან ფილიპინებზე კონკურსში — „მის დედამიწა“ ვმონაწილეობდი. „მის დედამიწა“ საკმაოდ მასშტაბური და პრესტიჟული კონკურსია, რომელიც ყოველ წელს ტარდება. მასში 80 ქვეყანა მონაწილეობს. საუკეთესო რვიანში მოვხვდი, რიგით მე-4 ადგილი მერგო.

— გილოცავ, ეს მართლაც წარმატებაა. „მის ბიკინის“ მსოფლიო კონკურსზე როდის მიემგზავრები?

— „მის ბიკინის“ მსოფლიო კონკურსი ამ თვის ბოლოს ტარდება. წავალ თუ არა, ეს ჯერ გადაწყვეტილი არ არის. უნივერსიტეტში ბევრი გაცდენა დამიგროვდა, გარდა ამისა, ფინანსური პრობლემებიც არსებობს, ვნახოთ, რა იქნება, გამორიცხული არ არის, რომ წავიდე.

— უნივერსიტეტში რომელ კურსზე ხარ?

— მეოთხეზე. წელს ვამთავრებ. რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე ვსწავლობ.

— Очень хорошо (*იცინის*). შენთვის რომელი უფრო მთავარია, ის პროფესია, რომელსაც ეუფლები თუ სამოდელო კარიერა, რომლის დასაწყისშიც უკვე საკმაოდ წარმატებული გახდი?

— ამ ეტაპზე მოდელობას ბევრ დროს ვუთმობ. თუმცა ჩემთვის მოდელობა მაინც დროებითია. ეს საქმიანობა შესაძლებელია, 30 წლამდე გაგრძელდეს. მაგრამ შემდეგ ხომ მინდა ცხოვრება გავაგრძელო?! სწორედ ამიტომ, ჩემთვის პროფესია უფრო პრიორიტეტულია.

— ესე იგი, 30 წლის ასაკში შესაძლოა, პედაგოგად გიხილოთ?

— რატომაც არა?! აქ შეუძლებელი არაფერია.

— ბედნიერ მასწავლებელი იქნები, შენს გაკვეთილს არც ერთი მოსწავლე არ გააცდენს. უფრო მეტიც, შეიძლება სხვა კლასებიდან ბავშვები გამოიპარონ და შენს გაკვეთილს დაესწრონ (*იცინის*).

— ამდენი კომპლიმენტით ნუ მაწითლებ. ვფიქრობ, რომ ქალს პროფესია აუცილებლად უნდა ჰქონდეს, რათა ის დამოუკიდებელი და მიზანსწრაფული იყოს.

— იქნებ ფილიპინების ამბები მომიყვე, მაინტერესებს, იქაურმა საზოგადოებამ ასეთი ლამაზი გოგონა როგორ მიგიღო?

— იქიდან ძალიან კარგი შთაბეჭდილებებით დავბრუნდი. ფილიპინელები თბილი და სტუმართმოყვარე ხალხი ყოფილა. ხელისგულზე გვატარებდნენ. კონკურსის მონაწილეები 3 ჯგუფად დაგვყვეს, მთელი ფილიპინების კუნძულები და ღირსშესანიშნავი ადგილები მოგვატარეს.

— რა კერძს გაუსინჯე იქ გემო ისეთს, რაც მიგაჩნია, რომ „საზიზღრობა“ იყო?

— ძირითადად, ზღვის პროდუქტებს მივირთმევდით. თითოეულ მაგიდასთან ქურა იდგა. იქვე თეფშით მოლუსკები და ლოკოკინები გვქონდა, შეგეძლო, იქვე მოგეხარშა და გეჭამა.

— შენ თუ დააგემოვნე?

— კი. თითქმის ყველაფერი გავსინჯე, სხვათა შორის, გემრიელი იყო (*იცინის*).

— საერთოდ, გურმანი ხარ?

— კი. გემრიელი კერძები ძალიან მიყვარს.

— ქართული კერძებიდან ყველაზე მეტად რა გიყვარს?

— მწვადი, ხინკალი, საცივი.

— შენ რას ამზადებ გემრიელად?

— არაჩვეულებრივად ვწვავ მწვადს.

— ვაა!.. მართლა?! გასაკვირია. მწვადის შეწვა ძირითადად, მამაკაცებს გვევალება და გვეხერხება ხოლმე. ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე, ოჯახიდან თუ შეგხვდა რაიმე დაბრკოლება?

— არანაირი. მამაც და ძმაც ყველანაირად მხარში მედგნენ.

— ანუ შენი ოჯახის წევრებს,

მამაც და ძმაც ყველანაირად მხარში მედგნენ

ისეთი შეხედულება არ აქვთ, რომ მანდილოსანი მარტო სამზარეულოში უნდა ტრიალებდეს?

— ყველაფერს თავისი ახსნა აქვს. როცა ჩემი ოჯახის წევრებს დავუჯექი და ავუხსენი, თუ რა კონკურსია „მის ბიკინი“ და რა წარმატება შეიძლებოდა, ამას ჩემთვის მოეტანა, მათ წინააღმდეგობის გაწევის სურვილი აღარ გასჩენიათ.

— **ბევრი შემთხვევა ვიცი, ისეთი, რომ ქართველ გოგონას ოჯახის გამო წარმატებებზე უარი უთქვამს.**

— გეთანხმები. ამ თანადგომის გამო მინდა, ჩემი ოჯახის წევრებს დიდი მადლობა ვუთხრა. ისინი ამ მხრივ ყოველთვის მხარში მიდგანან.

— **თუ უტაქტო შეკითხვად არ ჩამითვლი, მინდა გკითხო, შეყვარებული თუ გყავს?**

— არა, შეყვარებული არ ვარ. ვინმეს თუ ვუყვარვარ, ისიც არ ვიცი.

— **ფილიპინებში თაყვანისმცემელი არ გაიჩინე?**

— იქ ყველა გოგოს გვეთაყვანებოდნენ, მოდიოდნენ და ჩვენთან ერთად ფოტოებს იღებდნენ, ავტოგრაფებს გვთხოვდნენ.

— **შენმა ფილიპინელმა თანატოლებმა, კონკურსანტებმა საქართველოს შესახებ რა იცოდნენ?**

— საქართველოს შესახებ ბევრმა არაფერი იცოდა. თავიდან ყველას ეგონა, რომ ჯორჯია ამერიკის შეერთებულ შტატებში იყო. უკვირდათ, ინგლისურს აქცენტით რატომ ლაპარაკობო?! ვუხსნიდი, რომ ეს ჯორჯია ამერიკაში არ არის, ვუყვებოდი ჩვენი ქვეყნის შესახებ, სად მდებარეობს, რომელი ქვეყნები გვესაზღვრება და ა.შ. თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებმაც საქართველოს შესახებ ბევრი რამ იცოდნენ. გასაოცარია, მაგრამ ჩვენს შიდა პოლიტიკურ ამბებზეც მეკითხებოდნენ. რამდენიმე ფილიპინელმა გადაწყვიტა, საქართველოს ესტუმროს და აქაური ღირსშესანიშნაობები დაათვალიეროს.

— **ძალიან კარგი. ეი. ეს შენი დამსახურებაა. იქაურ ხალხს საქართველოში მოგზაურობის ინტერესი გაუღვივე.**

— დიახ, ასეა. მგონი, ცუდი საქმე არ გამიკეთებია.

— **ფილიპინელებმა რით დაგასაჩუქრეს?**

— უამრავი სამახსოვრო საჩუქარი გადმომცეს. მათ შორის, ძალიან ლამაზი, მარგალიტებით მოჭედილი ჩანთა, იქაური ძვირად ღირებული კოსმეტიკის სრული კრებული, ყელსაბამი და კიდევ უამრავი რამ.

— **დაბოლოს, საკუთარ თვისებებზეც მითხარი: როგორი ხარ — უკარება და ცივი თუ უშუალო და თბილი?**

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა გამიჭირდება. მაგრამ მაინც... თუკი მეგობრებისა და ახლობლების ნათქვამს გავიმეორებ: ვარ „თბილი“, მოსიყვარულე და ჭკვიანი (*იცინის*).

— **ძალიან კარგი. ეჭვი არ მეპარება, გეტყობა, რომ ასეთი ხარ.**

ჟურნალისტი – ნანა მამასახლისი
რესპონდენტი – ავთო მარგველაშვილი

— **პირველ რიგში, გეტყვი, რომ მთელი ოჯახი, თქვენს გადაცემებს ყოველთვის სულმოუთქმელად ველოდებით. მაინტერესებს, როგორ ახერხებთ იმას, რომ მუდმივად ახალ-ახალი იდეები გიჩნდებათ?**

— კომპლიმენტისთვის დიდი მადლობა. დაგეთანხმები, რომ იდეები მუდმივად ახალი გვაქვს. კონკრეტულ ხუმრობებს არასოდეს ვიმეორებთ. პირველი, მეორე და მესამე გადაცემა ყოველთვის უფრო ეფექტურია, ვიდრე მე-80. „შაბათის შოუ“ პირველად რომ გავიდა ეთერში, ხალხი ვანოზე, მიშაზე, ვასოზე, ნიკა გრიგოლიაზე აფანატებდა. ლამის კერპებად აქციეს. ახლა, ამ ეტაპზე „Comedy შოუ“ იმ დონეზე ეფექტური აღარ არის, იმიტომ, რომ უკვე 2 წელია, ეთერში ვართ. ის, რომ გადაცემამ პირველი დღის მსგავსი რეიტინგი ბოლომდე შეინარჩუნოს, შეუძლებელია. რეალურად რომ ვიმსჯელოთ, იუმორი ყველაზე რთული გასაკეთებელია.

— **რამდენი ხანია, რაც „კომედი შოუში“ ხარ?**

— „ღამის შოუს“ დაწყების დღიდან.

— **შეგიძლია მითხრა, როგორ მოხვდი „ღამის შოუში“?**

— ჩვენ აქ ყველანი „კავეენშიკები“ ვართ. ყველაზე ვეტერანი „კავეენშიკები“ მე და „ჩაინიკა“ გახლავართ. როცა დათო გოგიჩაიშვილმა ამერიკიდან „ღამის შოუს“ პროექტი ჩამოიტანა, რამდენიმე სცენარისტი შეკრიბა, მათ შორის აღმოვჩნდი მეც.

— **როცა ხასიათზე არ ხარ, იუმორის მოფიქრებას როგორ ახერხებ?**

— ჩვენ არ გვაქვს უფლება, რომ ცუდ ხასიათზე ვიყოთ, პრობლემები და ცუდი ხასიათი გარეთ უნდა დავტოვოთ. აქ რომ შემოვალთ, ისეთები უნდა ვიყოთ, როგორიც საქმეს სჭირდება. სხვა გზა უბრალოდ არ გვაქვს.

— **ოჯახში როგორი ხარ?**

— სახლში საშინლად დაღლილი ვბრუნდები.

— **ისეთი, რომ იუმორის თავის აღარ გაქვს?**

— ღმერთმა ნუ ქნას, რომ იუმორის ხასიათზე არ ვიყო. ეს უკვე ცუდის ნიშანი იქნება.

— **რამდენი შვილი გყავს?**

— ორი. 18 წლის — გიორგი და 13 წლის — ლაშა.

— **თავად რამდენი წლის ხარ?**

— 41-ის.

— **შვილებს ხომ არ გამოუთქვამთ სურვილი, შენს პროფესიას გაჰყვნენ?**

— ყოველ შემთხვევაში, იუმორის გრძნობა აქვთ, კრიტიკულებიც არიან (ეს ყველაფერი ძალიან მახარებს): თუ არ მოსწონთ, არ მიმალავენ, პირდაპირ მეუბნებიან. როცა „საინფორმაციოს“ გაკეთება დავიწყეთ, უმცროსმა, ლაშამ წინააღმდეგობა გამიწია, — დიდი კაცი ხარ, იქ ტინგიცობა არ მოგიხდებაო (*იცინის*).

— **„ქლაბ-შოუში“ საკუთარ თავს უხამსს რატომ უწოდებ?**

— იქ, ისეთ რაღაცებს ვამბობ, რასაც არასდროს ვიტყვი, გადაცემაში კი არა, ახლობლებშიც კი. „ქლაბ-შოუ“ თამამი იუმორის პროექტია. ამიტომაც შედარებით გვიან გადის და 12 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის რეკომენდებული არ არის.

— **როგორ ახერხებ, რომ საინფორმაციოს წაყვანის დროს, სერიოზულ სახეს ინარჩუნებ? მაგალითად, მე რაღაც სასაცილოს რომ ვყვები, თავადაც გულიანად მეცინება.**

— ეს ელემენტარული რაღაცაა. რაც ჩვენთვის იუმორისტებისთვის აუცილებელი პირობაა. საკუთარ ნათქვამზე თუ გაგეცინა, ეს უკვე... და კიდევ, „საინფორმაციოს“ წამყვანი ყოველთვის სერიოზული უნდა იყოს.

— **როგორ ფიქრობ, თქვენმა ახალმა პროექტმა „ქლაბ-შოუმ“ გაამართლა?**

— რა თქმა უნდა, გაამართლა. ამ გადაცემას ძალიან კარგი გამოხმაურება აქვს. ჯერ მხოლოდ 4 გადაცემა გავიდა. კიდევ უფრო დიდ წარმატებებს ველოდებით. ვფიქრობ, დროული იყო, რომ ასეთი ტიპის გადაცემა გაკეთებულიყო.

— **უახლოეს მომავალში რა გეგმები გაქვთ?**

— 14 დეკემბრიდან, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში ჩვენი გუნდის კონცერტები იწყება, სრულიად განსხვავებული ხუმრობებით და კიდევ... მეტს აღარ ვიტყვი.

— **პროფესიულ საქმიანობაში წინსვლას გისურვებ. თქვენ ბევრ ადამიანს ახალისებთ.**

— დიდი მადლობა, ჩემო კარგო. ასეთი ჭკვიანი და ლამაზი ყოფილიყავი ცხოვრების ბოლომდე, დიდი მადლობა ჟურნალ „გზას“ რომ ერთმანეთი გავგვაცნო.

— **„გზას“ მართლაც, დიდი მადლობა. აქ, თქვენს სტუდიაში მოსულმა, ბევრი ვარსკვლავი ვნახე, რომელიც აქამდე მხოლოდ ტელეეკრანზე მინახავს.** ■

მინისტროების ტოლფასი, დამლაგებლის ადგილი, დასაქმების რიგში ნაცემი მოქალაქეები და წყლით „გაგრილებული“ უმუშევრები

დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამა დიდი პიარ-კამპანიის თანხლებით დაიწყო, ამიტომ პირველსავე დღეს, სარეგისტრაციო პუნქტებთან ათასობით სამუშაოს მაძიებელმა მოიყარა თავი. საპატრულო პოლიცია და სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადები დილიდან იყვნენ მობილიზებული, მაგრამ პირველს, ხალხის სიმრავლის გამო, წესრიგის დამყარება უჭირდა, ხოლო მეორეს, წარმოქმნილი ჭყლეტის გამო, დაძაბულ რეჟიმში მუშაობა უხდებოდა. ორასლარიანი სტიპენდიის მიღების პერსპექტივამ ადამიანებს ერთმანეთის დანდობის უნარი დააკარგვინა, შედეგად, დასაქმების პროგრამას ერთი ქალბატონის სიცოცხლე შეეწირა, ასობით ადამიანმა კი სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება მიიღო.

ის, რომ ქვეყანაში უმუშევრობის მაჩვენებელი კატასტროფულად მაღალია, აღნიშნული პროგრამითაც დადასტურდა: მხოლოდ ორ დღეში, თბილისის მასშტაბით, 114 ათასმა ადამიანმა გაიარა რეგისტრაცია, რის გამოც ეს პროცედურა ვადაზე ადრე შეწყდა...

ემა ტუხიაშვილი

5 დეკემბერს, დილით, დიქტოფონითა და ფოტოკამერით შევიარაღდი და გორგასლის ქუჩაზე მდებარე სარეგისტრაციო პუნქტს მივაშურე. ქუჩაში ყველა შემხვედრს ხელში საინფორმაციო გაზეთი ეჭირა, სადაც ვაკანსიების ჩამონათვალი იყო მოცემული და ხარბად კითხულობდა. ზოგი ასე, სახეზე გაზეთაფარებული, კითხვა-კითხვით მიიჩქაროდა სადღაც და გზიდან თუ არ ჩამოეცლებოდი, შეგეჯახებოდა... აქვე გეტყვით, რომ ჩემ მიერ შერჩეული სარეგისტრაციო პუნქტი კრივისა და მკლავჭიდის სკოლაში იყო განთავსებული, ხოლო იქ მიმდინარე მოვლენები სრულ შესაბამისობაში მოდიოდა სპორტის ამ სახეობებთან, ოღონდ — ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე... საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს სამუშაოს მაძიებლები ორ ჯგუფად დაეყო: ერთი, სარეგისტრაციო პუნქტის სიახლოვეს იდგა, მეორე კი — 100-ოდე მეტრის მოშორებით. ხალხისთვის ყველა მხრიდან ყვითელი ლენტი შემოერტყათ გამაფრთხილებელი წარწერით — „გადაკვეთა აკრძალულია“ — და პოლიცია ყველა ღონეს ხმარობდა, რომ ეს აკრძალვა არავის დაერღვია. ბუნებრივია, არათანაბარ პირობებში ყოფნა მეორე ჯგუფის უკმაყოფილებას იწვევდა და პოლიციისგან დაჟინებით მოითხოვდნენ, სარეგისტრაციო პუნქტთან მისვლის ნებართვა მათთვისაც მიეცათ.

— შეგვყარეს აქ, როგორც ცხვრები ბაკში და უნდა ველოდოთ, როდის მოგვცემენ საძოვარზე გასვლის უფლებას! — ცხარობდა შუახნის მამაკაცი.

— შეხედე, შეხედე, საიდან მიძვრება ის ბიჭი! რამ დაგაბრმავა, შე შეჩვენებულო?! ის გაივლის რეგისტრაციას, იშოვის სამსახურს და მე შორიდან ვადევნო თვალი?! რას გამოგვამწყვდიეთ, კრიმინალებივით, ამ ლენტის მიღმა? მომეცით საშუალება, მეც ვიშოვო ლუკმაპური! — მთელი ხმით უყვიროდა ახალგაზრდა ქალი პოლიციელს. იმანაც, რაკი საზღვრის დამრღვევი დაინახა, შევარდნაძის დროინდელი, ღიპიანი პოლიციელივით ზანტად კი არა, თანამედროვე, „მოწინავე პატრულისთვის შესაფერისი“ რეპლიკით მიმართა წესრიგის დამრღვევს, — სად მიდიხარ, შე ჩემაო?!. ამ დროს ფოტოკამერა მოვიმარჯვე და ერთი კადრის გადაღება ვცადე. პოლიციელს არ გამორჩენია მისკენ მიმართული ობიექტივი და ირონიით მკითხა, — კარგი ფოტო გამოვიდაო? უარყოფის ნიშნად, თავი გავიქნიე და დიდი სინანულით ვაუწყე, — როგორც ჩანს, არაფოტოგენური ხართ-მეთქი. არ ვიცი, რატომ, მაგრამ პოლიციელს ერთბაშად შეეცვალა სახის გამომეტყველება, მისი ირონია სადღაც გაქრა და ისეთი ხმით მითხრა, — იცი, ღამის 4 საათიდან აქ ვდგავარ და ხალხს წესრიგისკენ მოვუწოდებო! — რომ ცოტაც და შემეცოდებოდა...

— ადამიანები არ ხართ, კოჭებამდე წყალში რომ გვამყოფებთ?! ჩვენ თუ არ

— „ნორკის“ „შუბა“ მაცვია, ფრთხილად, ზედ არ შემომახიოთ!

— „ნორკის“ „შუბა“ თუ გქონდა, აქ რას მოეთრეოდი?! ან, არ იცი, სად რა უნდა ჩაიცვა?

ისევ ჩემს სამკურნალოდ დამჭირდება?! — ამბობდა სანდომიანი სახის ქალბატონი. მხოლოდ მაშინ შევნიშნე, რომ ქუჩაზე წყლის ნაკადი მოედინებოდა და ალაგ-ალაგ მოიყინა კიდეც.

— გამაგებინეთ ერთი, იმ ადამიანებს თუ აქვთ მზეზე და მშრალ ადგილას დგომის უფლება, ჩვენ რა დავაშავეთ? ცხოვრებამ ხომ გაგვაუბედურა და ახლა თქვენ გინდათ მოგვიღოთ ბოლო?! — ამბობდა ერთ-ერთი ქალი და ხელს იმ ხალხისკენ იშვერდა, ვინც სარეგისტრაციო პუნქტის სიახლოვეს იდგა.

— არა მგონია, აქ ჩემზე გაჭირვებული კიდევ იყოს ვინმე. ყველაფერს გეფიცებით — უკვე 3 წელია, სახლში ელექტროენერგია არ მაქვს. გათბობას ვინ ჩივის? ტელევიზორს რომ ვუყურო, იმის შესაძლებლობაც კი არ მაქვს. ინვალიდი ქმარი მყავს, ყავარჯნებით ძლივს გადაადგილდება და საცოდავი, რომ არ გამეყინოს, 3 ქურთუკი აცვია სახლში. არადა, ერთ დროს, მეოთხე სამშობიარო სახლში უფროსი მედდა ვიყავი. ახლა დამლაგებლის ადგილიც რომ შემხვდეს, გეცოდებით, ეს ახალგაზრდები მაინც შეიცოდეთ, შვილის გაჩენა ხომ უნდათ. ან რად მინდა ისეთი 200 ლარი, რომელიც

ეს ჩემთვის მინისტრობის ტოლფასი იქნება, — ნამტირალევი ხმით ამბობდა ჭაღარათმიანი ქალი.

— მერედა, რატომ იყინებით აქ, ქალბატონო ან ამ ჭყლეტაში რაიმე რომ დაიშავოთ, ვინ იქნება თქვენი ინვალიდი მეუღლის პატრონი?.. წაბრძანდით, იყიდეთ გაზეთი „სიტყვა და საქმე“ და მშვიდად მოძებნეთ რაიმე სამსახური. თქვენ გგონიათ, ამ პროგრამით სხვა რამეს გთავაზობენ? — რჩევას აძლევდა მას, საპატრულო პოლიციის თანამშრომელი. ამ დროს ერთმა, ჩასუქებულმა ქალბატონმა პოლიციელთა უყურადღებობით ისარგებლა, გამაფრთხილებელი ზღუდე გაარღვია და ისეთი სისწრაფით გაიქცა სარეგისტრაციო პუნქტისკენ, რომ პატრულმა მისი შეჩერება ვერ შეძლო. ეს რომ ათასობით „დატყვევებულმა“ ადამიანმა დაინახა, გული მოეცათ, ყვირილი ატეხეს, თვალის დახამხამებაში გაარღვიეს პირობითი საზღვარი და ისინიც ხალხის მეორე ჯგუფს შეუერთდნენ.

— თქვენ ხალხი კი არა, ადამიანის სამოსში გამოწყობილი ნადირები ხართ! — ამბობდა პოლიციელი, თან შარვლის დამტვერილ ტოტებს იფერთხავდა. აშკარა იყო, რომ ხალხის აბობოქრებულმა ტალღამ არც სამართალდამცველები დაინდო და მსუბუქად რომ ვთქვათ, გადარბენის დროს გადათელა.

— ახლა ხომ არის ეს ხალხი იმის ღირსი, რომ „დუბინკებით“ გავუმასპინძლდეთ! — კბილებში გამოცრა ერთერთმა პოლიციელმა. მე კი მხოლოდ მაშინღა შევნიშნე, რომ ხელკეტებისთვის გამეტებულ ადამიანებს შორის, ბევრი ორსული ქალბატონი იყო, ზოგიც — მცირეწლოვან ბავშვთან ერთად მოსულიყო; ისეთებიც იყვნენ, ვისი ასაკიც 65 წელს აშკარად აღემატებოდა. ამ დროს, ხმა გავარდა — ძალიან ცოტა ვაკანსიაა და სამუშაო ყველას ვერ შეხვდებაო! ამ ინფორმაციამ ვითარება უკიდურესად დაძაბა. ერთმანეთს სასიკვდილოდაც იმეტებდნენ, ოღონდ კი დროულად მიეღოთ სარეგისტრაციო ბარათი და მოშურნის თვალით უყურებდნენ მათ, ვისაც უკვე მოესწრო რეგისტრაციის გავლა. რამდენიმე ადამიანი შეუძლოდ გახდა და სიმჭიდროვის გამო, ექიმები მათთან მისვლასა და ხალხის მასიდან მათ გამოყვანას ვერ ახერხებდნენ. ისმოდა შეძახილები:

— ნაოპერაციები ვარ, ასე ძალიან ნუ მაწვებით, შეიძლება, ჭრილობა გამეხსნას!

— ჯიბეში კი არ გიყოფ ხელს, გეჭიდები, რომ არ წამაქციონ და ლავაშივით არ გამაბრტყელონ.

— ავადმყოფი გულის პატრონი ვარ, ნუ მაწვებით, სუნთქვა მიჭირს!

— „ნორკის“ „შუბა“ მაცვია, ფრთხილად, ზედ არ შემომახიოთ!

— „ნორკის“ „შუბა“ თუ გქონდა, აქ რას მოეთრეოდი?! ან, არ იცი, სად რა უნდა ჩაიცვა?

— ქალბატონო, მაგ თქვენი „ნორკის“ ქურქის საფასურს აქ ვერაფერს აიღებთ, ამიტომ, წაბრძანდით მანამ, სანამ ჯერ კიდევ მშვენივრად გამოიყურებით.

— ბავშვი, ბავშვი გამეჭყლიტა!

— ეი, პატრულო, თუ ღმერთი გწამთ, ორსულები და ბავშვიანები ურიგოდ გაუშვით, ამათ საცოდაობას ნუღარ გვაყურებინებთ!

ბიძიკო, შენ რომ გამოხვალ, „მათხოვე“ მაი შენი ბაღანა. შევალ, გავიღი რეგისტრაციას და დაგიბრუნებ უკან.

— ბიძიკო, შენ რომ გამოხვალ, „მათხოვე“ მაი შენი ბაღანა. შევალ, გავიღი რეგისტრაციას და დაგიბრუნებ უკან.

— ორსულად ვარ და გთხოვთ, ურიგოდ გამატაროთ. ასეთ ჭყლეტაში რომ ჩავდგე, რა ბავშვი შემრჩება?!. — პატრულმა აათვალიერ-ჩაათვალიერა ამ თხოვნის პატრონი და ორსულობის გარეგნული ნიშნები რომ ვერ აღმოაჩინა, მშვიდად მიუგო, — ფეხმძიმობის შენ არაფერი გეტყობა და ახლა ამ რიგში თუ დაორსულდი, არ ვიცი...

მოკლედ, ბევრი რამ ითქვა უმუშევართა არმიაში. ზოგი ამბობდა, — მთელი ეს დასაქმების პროგრამა ფარსია და ჩვენს მონაცემებს საარჩევნო „კარუსელისთვის“ გამოიყენებენო... ისიც ითქვა, — ყველა კარგი ვაკანსია „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტებმა დაინაწილეს და ჩვენ აქ ტყუილად ვხოცავთ ერთმანეთსო. ისიც მოვისმინე, რომ ამბობდნენ, — საინფორმაციო გაზეთში მოცემულ ყველა ტელეფონის ნომერზე დავრეკეთ და გვპასუხობენ, ვაკანსიები უკვე შევსებულიაო. სხვათა შორის, აღნიშნულ გაზეთში ჩემი ბინის ტელეფონის ნომერიც აღმოვაჩინე, მის გასწვრივ კი ეწერა, რომ მეორასე ბაგა-ბაღი დაასაქმებდა პედაგოგს და შემდეგ, მთელი კვირის განმავლობაში მირეკავდნენ დასაქმების მსურველები. დასაქმების საპრეზიდენტო პროგრამის სარეგისტრაციო პუნქტი კი, ერთ რამეში დარწმუნებულმა დავტოვე: უმუშევართა ფენა ჩვენი საზოგადოების ყველაზე უფლებააყრილი ნაწილია.

ფეხმძიმობის შენ არაფერი გეტყობა და ახლა ამ რიგში თუ დაორსულდი, არ ვიცი...

რამდენიმე დღის შემდეგ...

დასაქმების პროგრამაში მსურველთა რეგისტრაციის დასრულების შემდეგ, პროგრამის ზოგიერთ მონაწილეს დავუკავშირდი. როგორც დავადგინე, რამდენიმე ქალბატონს რეგისტრაციის რიგში გამოჩენილი თავგანწირვა დაუფასდა და დროებით დასაქმდა. მაგრამ რა იქნება სამთვიანი ვადის ამოწურვის შემდეგ, ამაზე ფიქრიც კი არავის სურს.

ანა გოშაძე, *30 წლის:*

— სიტყვებით ვერ გადმოგცემთ, რა გადავიტანე იმისათვის, რომ სარეგისტრაციო ბარათი მომეპოვებინა. ზურგი ახლაც მტკივა. უკნიდან ხალხი მთელი ძალით მაწვებოდა, ზოგი ზურგში გამეტებით მირტყამდა, მე კი თავის მობრუნებასაც ვერ ვახერხებდი, რომ ვინმესთვის საყვედური მეთქვა. რეგისტრაციის პირველსავე დღეს, გაზეთში მოცემულ ყველა ტელეფონის ნომერზე დავრეკე, ბევრ მისამართზე მივედი კიდეც, მაგრამ ყველგან ერთსა და იმავეს გვეუბნებოდნენ, — დაგაგვიანდათ, ყველა ვაკანსია უკვე შევსებულიაო. ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს სულში ჩამაფურთხეს, დამცინეს და სახეში სილა გამაწნეს. ჩვენს ხელისუფლებას სამაგიეროს არჩევნებზე გადავუხდი.

ზინა ნერგაძე, *50 წლის:*

— სამედიცინო განათლება მაქვს და იმედი მქონდა, სამსახურს ჩემი პროფესიით ვიშოვიდი, მაგრამ არათუ მედდის, არამედ დამლაგებლის ადგილიც ვერსად ვნახე. ამიტომ, ცოტა საეჭვოდ მეჩვენება მთელი ეს დასაქმების პროგრამა. ახლა უფრო მიმყარდება ეჭვი, რომ შესაძლოა, ჩვენი პირადობის მოწმობის ასლები და ხელმოწერები, რომლებიც რეგისტრაციის გავლისას დაგვატოვებინეს, არჩევნების დროს ვიღაცამ საკუთარი მიზნებისთვის გამოიყენოს. ახლა ძალიან ვნანობ, რომ არაფრის გამო, ამდენი ვიწვალე. თავისუფალი სამუშაო ადგილის ძიებისას დახ-

არჯულ ფულს ვინ ჩივის? გვერდები ისე მაქვს დაბეჟილი, თითქოს ვიღაცამ გამეტებით მცემა. არ მინდა, ჩემზე ვინმემ თქვას — ინტრიგანიაო, მაგრამ უსამართლო ქვეყანაში რომ ვცხოვრობთ, რად უნდა ამას ლაპარაკი?! ჩემი მეზობელი საერთოდ არ ყოფილა მისული სარეგისტრაციო პუნქტში, მაგრამ სამუშაო სოლიდურ კომპანიაში იშოვა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მისი მეუღლე საპატრულო პოლიციაში მუშაობს, დასკვნების გაკეთება კი თქვენთვის მომინდვია...

ნანა ირემაშვილი, *32 წლის:*

— პროფესიით სტომატოლოგი გახლავართ. ჩვენს დროში რომელიმე კერძო სტომატოლოგიურ კლინიკაში რომ დაიწყო მუშაობა, 2-3 ათასი დოლარი მაინც უნდა გედოს ჯიბეში. რა თქმა უნდა, იმის ილუზია არ მქონია, რომ დასაქმების პროგრამის დახმარებით, სტომატოლოგის თავისუფალ ვაკანსიას ვიშოვიდი, მაგრამ რაც ვიშოვე, იმისთვისაც მადლიერი ვარ. თუმცა, რის ფასად დამიჯდა დროებითი სამსახურის შოვნა, ეს სხვა საუბრის თემაა. მეგონა, რაკიღა სარეგისტრაციო პუნქტთან შექმნილ ჭყლეტას გადავურჩი, დასაქმებისთვის საჭირო, დარჩენილი რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა უფრო იოლი და უმტკივნეულო იქნებოდა. თურმე ძალიან ვცდებოდი: როგორც კი სარეგისტრაციო ბარათი მოვიპოვე, პირველად, რკინიგზის დეპარტამენტის შენობისკენ გავემართე. წინასწარი ინფორმაციით, სწორედ რკინიგზა აპირებდა ყველაზე მეტი ადამიანის დასაქმებას. რაც იქ ვნახე, ჩემი მეხსიერებიდან არასდროს ამოიშლება: შენობასთან უამრავი სამუშაოს მაძიებელი შეკრებილიყო. ისინი შენობაში შესვლასა და დაპირებულ სამუშაოს ითხოვდნენ, მაგრამ პასუხი უარყოფითი იყო, ბანალური საბაბით — თავისუფალი ვაკანსიები უკვე შეივსოო. მაგრამ საეჭვოდ მომეჩვენა ის, რომ დეპარტამენტში ვიღაც-ვიღაცები შეჰყავდათ... უმუშევრობით, უსამართლობითა და რიგში დგომით განაწამები ადამიანები უკან დახევას არ აპირებდნენ. დასაქმების მსურველებს საქართველოს რკინიგზაში კარი რომ არ გაუღეს, ქალები ღობეზე გადაძრომას შეეცადნენ. ამ დროს შენობის ერთ-ერთი ფანჯრიდან ვიღაც ქალბატონმა იქ შეკრებილ ხალხს ელექტროჩაიდნით წყალი რამდენჯერმე გადმოასხა. მოკლედ, ძალიან დაგვამცირეს. ჩვენი პროტესტის გამოსახატავად, ორასამდე ადამიანმა მერიას მივაშურეთ. ხალხი აქაც ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდა, რომ როგორმე შენობაში მოხვედრილიყო. ქალაქის მუნიციპალიტეტი დაგვპირდა, რომ 15 დეკემბრიდან, სატრანსპორტო დეპარტამენტში დაგვასაქმებს, ზოგს — კონდუქტორად, ზოგსაც — დამლაგებლად. მაგრამ ისიც გვითხრეს, რომ გარანტირებულ სამსახურს მხოლოდ ერთი თვით გვპირდებიან და გაგრძელდება თუ არა დასაქმების პროგრამა, საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებზე ყოფილა დამოკიდებული... ■

ასტროლოგია,

პრეზიდენტობის კანდიდატები და ხალხიანები, რომლებიც თებერვალში მოხალოდნელი

კირჩხიბი, მერწყული, მორიელი, ვერძი და ორი მშვილდოსანი — ეს ჩვენი (რეალური) საპრეზიდენტო კანდიდატების ზოდიაქოს ნიშნებია. როგორ განლაგდებიან 5 იანვარს პლანეტები? ზოდიაქოს რომელი ნიშნისთვის არის ეს დღე ხელსაყრელი? როგორ განვითარდება მოვლენები არჩევნებამდე და არჩევნების შემდგომ პერიოდში? — ამ კითხვებზე ასტროლოგი რამაზ გიგაური გვიპასუხებს.

თამუნა კვინიკაძე

— პიროვნების პირადი ჰოროსკოპის შედგენის დროს ასტროლოგები დაბადების თარიღს, საათს, ადგილს და ცის კაბადონზე პლანეტების განლაგებას ითვალისწინებენ. მოგეხსენებათ, პლანეტები სულ მოძრაობენ, არ ჩერდებიან. როცა ისინი ამა თუ იმ მდგომარეობას დაიკავებენ, ნეგატიური ან პოზიტიური პერიოდები მაშინ იკვეთება.

— ჩვენი საპრეზიდენტო კანდიდატებიდან, რომლისთვისაა ამჟამად პოზიტიური პერიოდი?

— მიხეილ სააკაშვილი და გია მაისაშვილი მშვილდოსნები არიან. ამ ზოდიაქოს ნიშანს, 2003 წლის მეორე ნახევრის შემდგომ პერიოდში, დადებითი ენერგიის მატარებელი პლანეტა იუპიტერი მართავდა. სააკაშვილის პოლიტიკურ ცხოვრებაშიც ყველაფერი კარგად აეწყო. ის პრეზიდენტი გახდა. 2007 წლის სექტემბრის შუა რიცხვებიდან, მშვილდოსნებს ნეგატიური პერიოდი დაეწყოთ. პლანეტა სატურნმა, რომელიც ასტროლოგიაში უიღბლობის პლანეტად არის მიჩნეული, ის ადგილი დაიკავა, რომელიც 2003 წელს იუპიტერს ეკავა. სააკაშვილს ნეგატიური პერიოდი ირაკლი ოქრუაშვილის სკანდალური განცხადებების შემდეგ დაეწყო. მან პირველი ნეგატიური მუხტი შექმნა, რამაც შემდგომ პერიოდში ქვეყანაში განვითარებული პროცესები გამოიწვია.

— სააკაშვილისთვის ნეგატიური პერიოდი როდემდე გრძელდება?

— მისთვის ნეგატიური პერიოდი 2008 წელსაც გრძელდება. 2007 წელს, შავი მთვარე მორიელის ზოდიაქოში მოძრაობდა, 2008 წლიდან კი მშვილდოსნის ზოდიაქოში შედის. 2007 წელი არაერთი მორიელისთვის იყო ნეგატიური. ამ ნიშნის ქვეშ, ბადრი პატარკაციშვილი, ირაკლი ოქრუაშვილი, გიორგი თარგამაძე არიან დაბადებულები. იუპიტერი მშვილდოსნის ზოდიაქოს ამა წლის 18 დეკემბერს დატოვებს. მშვილდოსნებს იღბლიანი პერიოდი „გამოერთვებათ“.

— იღბლიანი პერიოდი ზოდიაქოს რომელ ნიშნებს დაეწყებათ?

— თხის რქებს და მორიელებს. სააკაშვილისთვის განსაკუთრებით სახიფათო 15-25 დეკემბრის პერიოდია; ამ დღეებშია მისი დაბადების დღეც (21 დეკემბერი), ის არც სერიოზული შეცდომებისგანაა დაზღვეული. მის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზე ძალიან ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. ოპოზიცია ყველანაირად ეცდება, რომ სააკაშვილმა პირველ ტურში არ გაიმარჯვოს. თუ მეორე ტური დაინიშნა, მისი გამარჯვება უკვე სათუო იქნება. იმ შემთხვევაში, თუ არჩევნები გაყალბდება, რის ეჭვსაც ოპოზიციის წარმომადგენლები უკვე გამოთქვამენ, მაშინ ამ ფაქტს სერიოზული შეხლა-შემოხლა მოჰყვება. არეულობის კულმინაცია თებერვალში იქნება. სააკაშვილს ასევე რთული პერიოდი ექნება ივლისშიც. შესაძლოა, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემებიც შეექმნას.

— თქვენ აღნიშნეთ, რომ გია მაისაშვილიც მშვილდოსანია. საფრთხე მასაც ემუქრება?

— მშვილდოსანია, მაგრამ ის გაცილებით სუსტი ფსიქოტიპია. მასში ინდივიდუალიზმის მომენტი ნაკლებად არის გამოხატული. მასების მართვა და მათზე ზეგავლენის მოხდენა უჭირს. იგივე ენერგია საკმაოდ ძლიერია ნათელაშვილის ჰოროსკოპში. იგი მერწყული გახლავთ. იდეურ დონეზე საკმაოდ კარგი წინამძღოლია, მაგრამ ვერ იწვევს იმ მუხტს, რომელიც გადაიყვანს მასას ფიზიკურ მოქმედებაში. მას რისკზე წასვლაც არ შეუძლია, რაშიც ბადალი არ ჰყავს მიხეილ სააკაშვილს. მშვილდოსნებში ბევრი ავანტიურისტიც არის. ისინი მიზნის მისაღწევად არაფერს ერიდებიან.

— ბადრი პატარკაციშვილის შესახებ რას გვეტყვით? როგორც ცნობილია, ის 31 ოქტომბერს არის დაბადებული.

— დიახ, მისი ზოდიაქოს ნიშანი მორიელია. ძლიერი ჰოროსკოპი აქვს. მორიელი

საინტერესო ნიშანია. არასდროს იბრძვის ხმამაღლა და ყოველთვის მოწინააღმდეგეს მტკივნეულ ადგილებში ურტყამს. მორიელთა ეს თვისება კარგად გამოჩნდა ირაკლი ოქრუაშვილის ქმედებაშიც. რამდენიმე ინტერვიუთი დაამსხვრია სააკაშვილისა და მისი გარემოცვის იმიჯი, არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. მან განცხადებით გააკეთა ის, რაშიც შეიძლება, ვინმეს ძალიან დიდი ფული გადაეხადა და ასეთი შედეგისთვის მაინც ვერ მიეღწია. მორიელები სტრატეგიული და ტექნიკური მებრძოლები არიან. მათ წინააღმდეგ წასვლა და მათზე გამარჯვება იოლი არ არის. მორიელია ჟურნალისტი გიორგი თარგამაძეც, რომელიც ერთ დროს პოლიტიკაში იყო. მან ზუსტად იცის, როდის და სად უნდა იმყოფებოდეს.

— ლევან გაჩეჩილაძის ზოდიაქოს ნიშანს როგორ დაახასიათებთ?

— ლევან გაჩეჩილაძე 20 ივლისს არის დაბადებული, ის კირჩხიბია. კირჩხიბები თითქმის ისეთივე მებრძოლები არიან, როგორებიც მორიელები, ბიოლოგიურად, ეს ორი არსება ერთმანეთს ძალიან ჰგავს. კირჩხიბებს დარტყმების მიყენება არ ეხერხებათ. ჩემი აზრით, ლევან გაჩეჩილაძე სხვა კანდიდატებს შორის ყველაზე დემოკრატიული ადამიანია. კონკურენტები ერთმანეთს ნეგატიურ პიარს „უგორებენ“. ლევან გაჩეჩილაძეს ვერაფერს უძებნიან, მას სერიოზული შეცდომები არ ჰქონია დაშვებული. რაც შეეხება დავით გამყრელიძის ზოდიაქოს ნიშანს, — იგი 2 აპრილს არის დაბადებული და ვერძი გახლავთ. ვერძები კი ენერგიულობით გამოირჩევიან. ვფიქრობ, გამყრელიძე თავისი ზოდიაქოს ნიშნის თვისებების მატარებელია. 5 იანვრამდე დრო არის, შეიძლება კანდიდატებთან დაკავშირებით სერიოზული ცვლილებებიც მოხდეს.

— რას გულისხმობთ?

— შესაძლოა, ზოგიერთმა თავის კანდიდატურა მოხსნას. საქართველოს არც ერთი პრეზიდენტი პოსტიდან საკუთარი ნებით არ წასულა, თანამდებობა ყველას ვადაზე ადრე, იძულების წესით დატოვებინეს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ წყევლის მომენტი „მუშაობს“. ჩვენი ქვეყანა ლომის ნიშნით იმართება, პრეზიდენტად არჩეულ ქართველს დიქტატურისაკენ სწრაფვა უჩნდება და თუ არჩევნებში საკაშვილმა გაიმარჯვა, მის წინააღმდეგ, საშიში კოდი ჩაირთვება. მართალია, მან სახელმწიფოს დროშა, ჰიმნი, გერბი შეცვალა, მაგრამ მოსალოდნელია, მანაც წინამორბედების ბედი გაიზიაროს.

— 5 იანვრის დღეზე რას გვეტყვით? როგორი იქნება პლანეტების განლაგება და ზოდიაქოს რომელი ნიშნისთვისაა ეს დღე ხელსაყრელი?

— მთვარე, რომელიც ყველაზე სწრაფად მოძრაობს, 5 იანვარს მშვილდოსნის ზოდიაქოში იმყოფება და მისთვის დადებით მუხტს ქმნის. მაგრამ ეს არჩევნები, როგორც ჩვეულებრივი არჩევნები, არ ჩატარდება. 5 იანვრის გამოძახილი თებერვალში გველის, შემდეგ კი — ივნისში.

— ეს დღე ასტროლოგიური თვალსაზრისით, რამდენად სწორად იქნა შერჩეული?

— საქმე ის გახლავთ, რომ ჩვენ საქმე არ გვაქვს ასტროლოგიურ შერჩევასთან. ციფრი 5, 1-იდან 9-მდე — შუა ციფრია. ის 1-დან 4-მდე და 6-დან 9-მდე ციფრებს გადაწონის. 5 არის მაგიური ციფრი და საკმაოდ ძლიერ ენერგიას ფლობს. ამ ციფრის მნიშვნელობა ძალიან კარგად იციან აშშ-ში. ამ ქვეყანაში თავდაცვის სამინისტროს შენობისთვის 5-კუთხა ფორმის შერჩევა შემთხვევით როდი მოხდა...

— 2008 ვირთხის წელია...

— დიახ. ვირთხის წელი დაგროვების წელია, ადამიანები უფრო აქტიურები და ენერგიულები უნდა გახდნენ. გულუბრყვილობა დამღუპველი იქნება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ვირთხის წლით ზოდიაქოს 12-წლიანი ციკლი იწყება — ის პირველი ნიშანია. აღმოსავლური ასტროლოგიის მიხედვით, ვირთხის წელი 2008 წლის 7 იანვრიდან იწყება და მომდევნო 6 წელი ძალიან ნეგატიური იქნება. მოხდება სერიოზული კატაკლიზმები, მათ შორის, შეიარაღებული დაპირისპირებებიც. არ არის სასურველი, რომ ამ დაპირისპირებათა რიგის დაწყება კავკასიიდან მოხდეს. 2008-14 წლებში ბევრი ცვლილებაა მოსალოდნელი.

— ვირთხის წელი ზოდიაქოს რომელი ნიშნებისთვის არის პოზიტიური?

— ეს წელი ყველაზე კარგი, მიწის სტიქიის ნიშნებისთვისაა, შემდეგ კი — წყლის სტიქიის ნიშნებისთვის. ყველაზე კარგი თხის რქებისთვის იქნება, რადგან პლანეტა იუპიტერი მთელი 2008 წლის განმავლობაში მათ ზოდიაქოში იმოძრავებს. კარგი იქნება კუროებისა და ქალწულებისთვის, შემდეგ კი — მორიელებისა და თევზებისთვის. 2008 წელი ნეგატიური იქნება კირჩხიბებისთვის, (რადგან ეს ნიშანი თხის რქის საპირისპიროდ მდებარეობს) და ცეცხლისა და ჰაერის სტიქიის ნიშნებისთვის.

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაქი

ეოჩა დვალი
უბის წიგნაკიდან:

1. მიოკარდიუმი გულის კუნთოვანი კედელია.
2. მიუნხენს ლუდის მოყვარულთა მექას ეძახიან.
3. ბელფასტი ჩრდილოეთ ირლანდიის დედაქალაქია.
4. ოქრო და პლატინა ალერგიას არასდროს იწვევს.

5. უცხოელები რუსულ აბანოს „რაშენ კრემატორის“ ეძახიან.
6. ლოთარ მათეუსის მამა „პუმას“ ფირმაში დარაჯად მუშაობდა.
7. საჰარის უდაბნო ღია ფერის დიდ ლაქად მოჩანს კოსმოსიდან.
8. თხილამურები ჩვენი წელთაღრიცხვის VI საუკუნეში გამოიგონეს.
9. ადამიანი ძილის დროს საშუალოდ, ოცდაათჯერ იცვლის გვერდს.
10. ამობურცულ ბეჭდვის სისტემას უსინათლოთათვის, ექტიპოგრაფია ეწოდება.
11. „თავდაცვა თავდასხმაზე უფრო ძნელია“, — ამბობდნენ იაპონელი სამურაები.
12. გლადიატორებს, რომლებიც არენაზე მტაცებელ ცხოველებს ებრძოდნენ, პესტიარებს ეძახდნენ.
13. „სამააკუპაემასტ კულტური ტაკუე ნელეპა, კაკ სამოვიკაპაემოსტ კარტოშკი“, — ამბობენ რუსი ხელოვნები.
14. ნორჩ მცენარეებს დაბურულ ჯუნგლებში სწრაფად გაზრდის, მზის სხივებამდე მიღწევისა და ღია ცის ქვეშ საკუთარი ადგილის მოპოვების მცირე შანსი აქვთ. მახრჩობელა ლეღვის ხე ამ მხრივ გამონაკლისია. ეს პარაზიტი მცენარე მსხვილ ხეს შემოეხვევა, მისი წვენით საზრდოობს, იზრდება და კენწერომდე აღწევს. დროთა განმავლობაში ხე კვდება და იფშვნება. ფესვებგამაგრებული ლეღვის ხე კი, რომლის შიგნით ერთგვარი გვირაბია გაკეთებული, განაგრძობს არსებობას.
15. XIV საუკუნეში მოღვაწე იტალიელი პოეტი ფრანჩესკო პეტრარკა ორ ენაზე, იტალიურ და ლათინურ ენებზე წერდა ლექსებს.
16. ჰაინრიხ შლიმანის ცხედარს უკანასკნელ გზაზე სხვებთან ერთად, საბერძნეთის მეფე და ტახტის მემკვიდრე მიაცილებდნენ.
17. ნარკოტიკი ნესკალინი 1970 წელს აკრძალეს. ამ ძლიერ ჰალუცინოგენს სისტემატურად მოიხმარდა ჟან პოლ სარტრი.
18. „ნემცი, იაპონცი ნე შიბკო ტამ, კ

ჩოგოჩია შეუვარჯავული ბიძინა მახარაძე და ჩა ჩჩევეს აძლევდა მას ეკა ქუბანაძე

მსახიობმა ეკა მუავანაძემ და პაროდისტმა ბიძინა მახარაძემ ერთმანეთი მარჯანიშვილის თეატრში გაიცნეს. მათი დამეგობრება კი სერიალ „საპონის“ გადაღებების დროს მოხდა. მარჯანიშვილის თეატრში ჩვენს დათქმულ პაემანზე მოსვლა ქალბატონმა ეკამ ბატონ ბიძინას დაასწრო, რამაც ის ძალზე გააკვირვა. მან ქალბატონ ეკას უთხრა: უკვე მოხვედი?! „მალადეც“, შენ გამოსწორებულხარ; მე გასაშლელი „ლეჟანკით“ ვაპირებდი წამოსვლასო...

მარეხ ჭონიშვილი

— როგორ გაიცანით ერთმანეთი?

ბიძინა:

— მინიატიურების თეატრის ჩამოყალიბებას ვაპირებდი და მსახიობი ქალი მჭირდებოდა, რომელიც სახასიათო როლებს ითამაშებდა. დახმარება მარჯანიშვილის თეატრის მსახიობს, ავთო მიქაძეს ვთხოვე და მან ეკა გამაცნო.

ეკა:

— პირველად რეპეტიციაზე რომ მივედი, უამრავ რაღაცას ვუყვებოდი ბიძინას, ის კი ჩუმად იყო და მისმენდა. შემდეგ, მონოლოგზე დავიწყეთ მუშაობა.

ბიძინა:

— სამწუხაროდ, ეს თეატრი ვერ შევქმენით, მაგრამ ერთმანეთი გავიცანით და

ბიძინა ურთიერთობაში „ბულკიეით“ მამაკაცი, თავისი საქმის პროფესიონალი და უზომოდ კეთილი ადამიანია...

დავმეგობრდით. „იმედის“ არხზე ნიკა ქავთარაძის შოუსთვის სკეტჩი უნდა ჩამეწერა, რომელშიც ჩემს მსახიობებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ ისინი არაპროფესიონალები იყვნენ, ხან აგვიანებდნენ, ხან სულ არ მოდიოდნენ. გავიფიქრე, არ დამაღალატონ-მეთქი და მალულად დავიწყე რეპეტიციები ეკასთან ერთად. მართლაც, გადაღებიდან სამი დღით ადრე მოვიდნენ და ერთ-ერთმა მითხრა: ვერ წამოვალთ, მამაჩემმა მითხრა, — ტელევიზორში რაფერ უნდა დაიჯღანოო?!. — ამიტომ, მე და ეკამ ვითამაშეთ ნიკას შოუში.

ეკა:

— ერთმანეთს უფრო მეტად, სერიალ „საპონის“ გადაღებების დროს დავუახლოვდით, სადაც ერთი წლის განმავლობაში ერთი ოჯახივით ვიყავით, ერთი სახლი, ერთი საფიქრალი, ერთი სამუშაო გვქონდა. ამ სერიალში ბიძინას წყალობით მოვხვდი.

ბიძინა:

— და შენი პროფესიონალიზმის წყალობით.

— თქვენი აზრით, რა არის მთავარი მეგობრობისთვის?

— მეგობრობა არის ურთიერთობა, ურთიერთპატივისცემა, ერთმანეთის გვერდით დგომა და ერთურთის გატანა.

ეკა:

— მეგობრობა ჩემთვის ყველაფერია. ცოტა ხნის წინ, ჯგუფელები შევიკრიბეთ, ერთად ყოფნამ ისე გაგვამხიარულა, რომ 18 წლის გოგო-ბიჭებად გადავიქეცით — ბავშვებივით ვცელქობდით, ერთმანეთს ვჩქმეტდით, ვხუმრობდით. მეგობრებთან ურთიერთობა სიცოცხლეს მიხანგრძლივებს.

— ხშირად ჩხუბობთ?

— ჩხუბით — არა, საჩხუბარი რა გვაქვს? კამათით კი, რეპეტიციების დროს ხშირად ვკამათობდით. ჩვენი კამათის საგანს ასევე

წარმოადგენდა ჩემი დაგვიანებები.

ბიძინა:

— ეკასი კარგად მესმის — მას ოჯახი ჰყავს და ეს დაგვიანებები ეპატიება. მე კი მარტო ვცხოვრობ, მხოლოდ ჩემი საქმით ვარ დაკავებული.

— ერთმანეთს რჩევებს თუ აძლევთ ხოლმე?

— სერიალის გადაღების პერიოდში შეყვარებული ვიყავი და უფრო მე მჭირდებოდა ეკას რჩევები.

ეკა:

— გადაღებების შემდეგ, ბევრჯერ ფეხით წამოვსულვართ. ბიძინა მიამბობდა თავისი სიყვარულის ამბებს. მე კი ჩემი ოჯახის ამბებს ვუყვებოდი. ერთმანეთზე ყოველთვის გული შეგვტკიოდა და დღესაც ასეა, მიუხედავად იმისა, რომ იშვიათად გვიწევს ერთმანეთის ნახვა. ბიძინას წარმატებები ყოველთვის მახარებს.

— როგორი იყო შეყვარებულობის პერიოდში ბიძინა მახარაძე?

ბიძინა:

— ხომ იცით, შეყვარებული ადამიანი არ არის ნორმალური, დაბრმავებული ვიყავი და სამყაროს საღი თვალით ვერ ვუყურებდი. ამიტომ მჭირდებოდა ეკას რჩევები.

ეკა:

— მანდილოსნებს მინდა ვუთხრა, რომ ბიძინა ურთიერთობაში „ბულკივით“ მამაკაცი, თავისი საქმის პროფესიონალი და უზომოდ კეთილი ადამიანია...

— თქვენზე ჭორები თუ გსმენიათ?

— სანამ სერიალი ეთერში გავიდოდა, მანამდე ერთმა ნაცნობმა დამირეკა და მოკითხვის შემდეგ მითხრა: გავიგე, გათხოვილხარ და გილოცავო! გამიკვირდა: მან იცოდა, გათხოვილი რომ ვიყავი, ჩემი გაოცება რომ შენიშნა, დაამატა, — ვიღაც მახარაძეს გაჰყოლიხარო. მაშინ კი მივხვდი, რაშიც იყო საქმე, გამეცინა და ვუთხარი: ერთ კვირაში „იმედზე“ სერიალი იწყება, უყურე და იქ ჩემს ახალ ქმართან ერთად მნახავ-მეთქი.

ბიძინა:

— ხალხს დღემდე მართლა ცოლ-ქმარი ვგონივართ. ბევრჯერ დამჭირვებია იმის ახსნა, რომ მე უცოლო ვარ, ეკა კი გათხოვილია, ჰყავს ქმარი, შვილები.

— როგორი რეაქცია გაქვთ ასეთ ჭორებზე?

ეკა:

— გვეცინება და ვხალისობთ ხოლმე.

ბიძინა:

— ასეთ ჭორზე რა რეაქცია უნდა გქონდეს? მაგრამ პროფესიონალური თვალსაზრისით, მიხაროდა კიდეც: ეტყობა, ისე კარგად, ისე ბუნებრივად ვითამაშეთ, რომ ხალხს ჩვენი ცოლქმრობა ნამდვილად დავაჯერეთ.

ეკა:

— ერთ წელზე მეტი გავიდა, რაც ეს სერიალი დამთავრდა და ხალხს კვლავ ახსოვს. ამ არეულობის დროს, სადღაც მივდიოდი, ცუდ ხასიათზე ვიყავი. ერთმა ქალმა გამაჩერა და მკითხა: შენ მსახიობი არა ხარ? — კი-მეთქი, — თავი დავუქნიე და მოვალეობის მოხდის მიზნით გავულიმე. ცოტა ხნის შემდეგ კი ამ ქალმა წამოიძახა: კი, გიცანი, შენ „ბიძინაში“ ირინას რომ თამაშობ, ის მსახიობი ხარო: სერიალის სახელი ვეღარ გაიხსენა და ასე ამიხსნა.

— ახალი შემოთავაზებები ხომ არ გაქვთ?

— ჯერჯერობით ახალი არაფერია, მაგრამ იმედი მაქვს, რომ მე და ბიძინა კვლავ ვითამაშებთ ერთად. ხომ არ შეიძლება, სულ პოლიტიკას უყურო და დაძაბული იყო! ხალხს განტვირთვა უნდა და სახალისო სერიალები ამის მშვენიერი საშუალებაა.

ბიძინა:

— მე მქონდა შემოთავაზება, რომ სერიალი გამეკეთებინა. დავწერე სცენარი, სადაც მე, ცუცას და კიჭას უნდა გვეთამაშა. სცენარის მიხედვით, მოქმედება ერთ ოჯახში ხდებოდა და პოლიტიკური მოვლენებიც იუმორისტული ფორმით უნდა ყოფილიყო ასახული. ცუცას პერსონაჟი მთავრობის მხარეს იყო, ჩვენ კი — ოპოზიციის, თანაც ლოთები ვიყავით.

ხალხს დღემდე მართლა ცოლ-ქმარი ვგონივართ

— ცხოვრებაშიც ასეთი ხალისიანები ხართ?

ეკა:

— ისეთ დაძაბულ სიტუაციაში ვცხოვრობთ, თუ იუმორის გრძნობა არ გაქვს, ან გააფრენ, ან — მოკვდები. მინდა, ხალხს უყვარდეს ერთმანეთი და იღიმებოდნენ. ბიძინას რომ ვხვდები, ყოველთვის მეცინება, თან, სერიოზულიც რომ ვიყო, ისეთ რამეს მეტყვის, უეჭველად გამაცინებს.

ბიძინა:

— ცხოვრებაში იუმორის გრძნობა რომ არ მქონდეს, ხალხის გამხიარულებასაც ვერ შევძლებდი.

— მეგობარი ჭირში უფრო შეიცნობა თუ ლხინში?

ეკა:

— მეგობარი თუა, როცა დაგჭირდება, შენ გვერდით უნდა იყოს, არა აქვს მნიშვნელობა — გიჭირს თუ გილხინს.

ბიძინა:

— მეგობარი უნდა გიყვარდეს ისეთი, როგორიც არის. ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა დვალი

უბის წიგნაკიდან:

ვამ აბრაშჩაიუ სვოი სტიხ, პო აკურატნეე ს მაშინამი, ნამ ეშჩო იეზდიტ ნა ნიხ“, — აფრთხილებს გერმანელებსა და იაპონელებს ანდრეი ალიაკინი.

19. თავდაპირველი წესების მიხედვით, კალათბურთელს ბურთის დაუფლების შემდეგ მხოლოდ ორი რამ შეეძლო მოემოქმედა — პასი მიეცა თანაგუნდელისათვის ან ბურთი კალათში ესროლა. დრიბლინგი მხოლოდ 5 წლის შემდეგ იქნა შემოღებული.

20. ინდირა განდი 66 წლის ასაკში მოკლეს. დაცვის ორმა წევრმა 20 ტყვია დაახალა ინდოეთის პრემიერ-მინისტრს. სისხლისგან ნახევრად დაცლილმა ქალმა საოპერაციო მაგიდაზე 4 საათი კიდევ იცოცხლა, მაგრამ ბოლოს გონზე მოუსვლელად გარდაიცვალა.

21. ერთი კვირის წინ სასამართლომ დამნაშავედ ცნო ვინმე ლილია მუჰამედოვა, რომელიც ფილიპ კირკოროვის საგრიმიოროდან მომღერლის კუთვნილი 2.000 დოლარი, MP3 პლეერი და ნახევარ მილიონ დოლარად ღირებული, „ბრეკეს“ ფირმის მაჯის საათი მოიპარა.

22. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც კერძო საკუთრება ლამის ხელშეუხებელ სიწმინდედ მიიჩნევა, დაკეტილი სახლის კარზე შესაძლოა, თვალი მოჰკრათ წარწერას: „არ შეხვიდეთ, გესვრიან! ცოცხლად გადარჩენილებს გაასამართლებენ!“

23. საბჭოთა კავშირის დამსახურებული არტისტი ტატიანა პელტცერი მოსკოვში, გერმანელთა სასაფლაოზე — „ვედენსკოეზეა“ დაკრძალული. მის გასვენებაში მიმავალ ერთ ქალბატონს, როცა გაიგეს, ვის დაკრძალვაზეც მიდიოდა, ყვავილებით მოვაჭრე ჯიხურში უფასოდ მისცეს ყვავილები.

24. „თქვენზე ამბობენ, სამხედრო ფორმის შიგნით ჯავშანჟილეტს ატარებსო, მართალია?“ — ჰკითხა 1980 წელს ამერიკაში დიპლომატიური ვიზიტით ჩასულ ფიდელ კასტროს ერთმა ჟურნალისტმა. კასტრომ პასუხად პერანგი გაიღეღა: „აი, თავად დარწმუნდით, რომ არავითარი ჯავშანჟილეტი არ მაცვია. ჩემს სხეულს მხოლოდ მორალური ჯავშანჟილეტი იცავს!“

25. ამერიკელ მომთვინიერებელ ქალს, კარენ პრაიორს, დელფინების წვრთნისას ხშირად უწევდა მათი დასჯა. სასჯელი ერთობ თავისებური გახლდათ: კარენი წყვეტდა წვრთნას და გასახდელში მიდიოდა, რაც ამ გონიერ, ფიზიკურად ძლიერ, მაგრამ მგრძნობიარე ფსიქიკის მქონე ცხოველთათვის ფიზიკურ სასჯელზე უფრო მძიმე ასატანი იყო.



მაშინ, როცა კოსოვოს სტატუსი დიდ პოლიტიკაში ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება, აფხაზეთში დამოუკიდებლობის აღიარებისთვის ემზადებიან. ოფიციალური მოსკოვი ამის შესახებ განცხადებების გაკეთებას უკვე აღარც ერიდება. მეტიც, პოლიტიკური მოძრაობა „ედინაია როსიას“ ლიდერ ბორის გრიზლოვის განცხადებით, სათათბიროს ახალი შემადგენლობა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთისთვის დამოუკიდებლობის მინიჭების ან რუსეთთან მიერთების საკითხზე იანვარში იმსჯელებს. თუმცა, როგორც ჩანს, მოსკოვისთვის მეორე ვარიანტი უფრო მისაღებია — რუსულ რუბლზე რომ აღარაფერი ვთქვათ, რომელიც წლების განმავლობაში ადგილობრივების შეუცვლელ ვალუტას წარმოადგენს, აფხაზეთში რუსული სამხედრო ტექნიკის შემოყვანაც აქტიურად მიმდინარეობს.

საკურორტო ზონა თუ სამხედრო რეგიონი?!

„ეაცმა არ იცის, საქართველოს აგრესიისგან გვიცავენ თუ მუქთად ნაშოვნ ქონებას უფრთხილდებიან“

ლალი პაპასკირი

გუდაუთის სამხედრო ბაზაზე, რომელიც ჯერ კიდევ 90-იან წლებში, სტამბოლში მიღწეული ხელშეკრულების შედეგად გაუქმდა, ბოლო დროს, რუსული ძალების გადაადგილება შეინიშნება. ადგილობრივთა თქმით, სამხედრო ბაზა საბოლოოდ არც არასდროს გაუქმებულა, მაგრამ ბოლო დროს, იქაურობა საგრძნობლად გამოცოცხლდა, რაც შეშფოთების საფუძველს ნამდვილად იძლევა. გუდაუთის ადგილობრივი თვითმმართველობა იქაურ აფხაზებს ოჯახებში რუსი სამხედროების შესახლებასაც სთავაზობს — ზოგს გარკვეული ქირის საფასურად, დანარჩენებს კი ისე, უფასოდ.

გული, *63 წლის, გუდაუთელი აფხაზი:*

გუდაუთაში მხოლოდ თითო-ოროლა ქართველი ცხოვრობდა და შესაბამისად, იქ ცარიელი სახლები თითქმის არ არის. რუსების შემოსახლებაზე დიდი ხნის წინ საუბრობდნენ, მაგრამ ვერ ვიჯერებდით. მართალია, ის სამხედრო ბაზა, სადაც სამხედრო აეროპორტიც იყო განთავსებული, დასახლებიდან საკმაო მანძილითაა დაშორებული, მაგრამ „ვილისების“, სამხედრო მანქანებისა და საბრძოლო ტექნიკის გადაადგილება შეინიშნება. ჩვენმა პრეზიდენტმა ბრძანა, აფხაზეთის არმია ჩვენი სიძლიერეაო, მაგრამ მე აფხაზი ჯარისკაცი თითქმის არ მინახავს.

— რატომ? აფხაზ ბიჭებს სამხედრო სამსახურის მოხდა არ უწევთ?

— კი, მაგრამ ისინი ძირითადად, რუსეთში მიჰყავთ. თუმცა ყველა ცდილობს, ჯარში სამსახურს საერთოდ თავი აარიდოს. ერთი რამ ფაქტია, აფხაზ ახალგაზრდას ადგილობრივი ჯარის გაუსაძლისი პირობების გამო, ურჩევნია, სავალდებულო სამხედრო სამსახური ისევ რუსეთში მოიხადოს. ის, ვისაც პატრონი არ ჰყავს და ქვეყნიდან წასვლას ვერ შეძლებს, იძულებულია, ადგილობრივ ჯარში იმსახუროს. აქაურ ჯარში უფრო რუსები, კაზაკები, ჩეჩნები და მეტწილად, სხვა კავკასიელებიც არიან... ჩემი მეუღლე სკოლაში, მასწავლებლად მუშაობს. ამას წინათ, შინ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები მოჰყვნენ, რომლებმაც ჩვენი საცხოვრებელი ფართი დაათვალიერეს. რა ხდება-მეთქი? — რომ ვიკითხე, სოფლის გამგებელმა, სტეფან გრიგორიჩმა თავაზიანი ღიმილით მიპასუხა, — შესაძლოა, რუსი სამხედროების ცოლ-შვილი შემოგისახლოთ. იმედია, აფხაზურ სტუმართმოყვარეობას გამოიჩენთ და მათთვის ერთი პატარა ოთახი არ დაგენანებათო. მირჩევნია, სახლი დავწვა, ვიდრე რუსი შემოვისახლო.

— რატომ არის ამის აუცილებლობა? სამხედროები ხომ ყაზარმებში ცხოვრობენ...

— სამხედროები კი, მაგრამ ისინი ოჯახებით, ცოლ-შვილით ჩამოდიან და მათ ცხოვრებისთვის ნორმალური პირობები სჭირდებათ.

— რატომ ხართ წინააღმდეგი? თუკი ბინის ქირას გადაგიხდიან, თქვენთვის ეს ყოველთვიური შემოსავალი იქნება...

— ფული ჩემთვის ყველაფერი არ არის. გარდა ამისა, ან გადამიხდიან, ან — არა. ვერ გეტყვით, რომ საბჭოთა საქართველოს დროინდელ პატრიოტად დავრჩი, მაგრამ აფხაზებს არა აქვთ ისეთი ზიზღი ქართველების მიმართ, როგორიც რუსებს. ეს იმიტომ კი არ მოსდით, რომ ჩვენი ჩაგვრის წინააღმდეგნი არიან. უბრალოდ, ასეთი პოლიტიკით აფხაზეთში თავს იმკვიდრებენ. ყველა შეხვედრაზე გვესმის, — ჩვენ დაგიცავთ საქართველოს აგრესიისგანო. კაცმა არ იცის, საქართველოს აგრესიისგან გვიცავენ თუ მუქთად ნაშოვნ ქონებას უფრთხილდებიან. ქართველებთან ომი გვქონდა და ვიცით, რაც მოხდა, მაგრამ ამათ უთოფოდ დაგვიპყრეს.

— რუსი სამხედროების შემოსახლება მარტო თქვენ შემოგთავაზეს თუ სხვებსაც?

— სხვებსაც. ასე ამბობენ, რაღაც წვრთნები უნდა დაიწყოს და დროებით იცხოვრებენო. მთელი გუდაუთა და საერთოდ, აფხაზეთი სავსეა რუსი სამხედროებით. არ ვიცი, რამდენ ხანს უნდა გაგრძელდეს ეს წვრთნები და ასეთი გაურკვევლობა. ომი არ არის, მაგრამ საომარი ვითარება მაინც გრძელდება. აქ ჩამოსვლის მიზეზი ყოველთვის აქვთ: ჯერ თხილის ბინზესს აკონტროლებენ, მერე თხილს ციტრუსი მოჰყვება. გალიდან ზუგდიდში კი არა, ფსოუს საზღვარზე უნდა წაიღონო.

მე აფხაზეთი აფხაზებისთვის მინდოდა და არა რუსი სამხედროებისთვის

— თქვენც რუსეთის მოქალაქეობა გაქვთ მიღებული?

— არა, მე ძველი, საბჭოთა დროინდელი წითელი პასპორტით ვსარგებლობ. შეიძლება, არ დაიჯეროთ, მაგრამ სოხუმს იქით მცხოვრებ ხალხს უფრო აქვთ რუსეთის მოქალაქეობა. ისინი ძირითადად, ქართველები არიან. რუსეთის მოქალაქეობა მათთვის გარკვეულწილად, უსაფრთხოდ ყოფნის გარანტია... სანამ ხელისუფლებაში სერგეი ბაღაფში მოვიდოდა, მის მიმართ გარკვეული სიმპათიით ვიყავით განწყობილნი მეც და დანარჩენი აფხაზებიც. ერთი პერიოდი მის მხარდამჭერთა გუნდის ლიდერიც ვიყავი. დღეს ამ ყველაფერს ვნანობ.

— რატომ?

— მე აფხაზეთი აფხაზებისთვის მინდოდა და არა რუსი სამხედროებისთვის. დღევანდელ აფხაზეთში დღითი დღე იკარგება ჩვენი ერის თვითმყოფადობა, კულტურა, ტრადიციები. მთავარია, რუსი სამხედროები გრძნობდნენ თავს კომფორტულად და ხალხის ბედი არავის აღელვებს. უკვე სახლებში გვიცვივდებიან და გვეუბნებიან, გიცავთო. ქუჩაში გამოსვლა არ მინდა, ყველგან ავტომატიან ხალხს ვხედავ. აფხაზეთი ერთ დიდ სამხედრო რეგიონად აქციეს და კიდევ გვეუბნებიან, ზაფხულში ჩვენი ხალხი რომ არ ჩამოდიოდეს, მშვიერები მოკვდებოდით, არც ერთი ტურისტი აქაურობას არ გაეკარებოდაო. რომელი ნორმალური ადამიანი ჩამოვა ზღვაზე იქ, სადაც მის გვერდით კბილებამდე შეიარაღებული სამხედროები ისეირნებენ?!

— თქვენი განწყობილება ხელმძღვანელობამ თუ იცის?

— სხვისი არ ვიცი, მაგრამ გამუდმებით ვეუბნები ყველას, სადაც კი ამის თქმის საშუალება არსებობს, რომ ამ ყველაფრისგან დავიღალეთ. ტყვიის სროლა უკვე „იავნანასავით“ ჩამესმის და რეაქცია აღარც მაქვს. გვეუბნებიან, ცოტაც მოითმინეთ და ყველაფერი მოგვარდებაო, მაგრამ ფაქტია, რომ პირიქით ხდება, სამხედროების რიცხვი ყოველდღიურად იზრდება. თავიდან, სამშვიდობოებიც თითქოს დროებით იყვნენ ჩამოსულები, მაგრამ ახლა, მათ სახლები დაუთმეს ცენტრალურ ქუჩებზე, რომლებიც დაიკანონეს კიდეც. ალბათ, თქვენთვისაც ცნობილი იქნება, რომ აფხაზეთში სახელმწიფო ენად აფხაზური უნდა გამოცხადდეს. ჩვენს სკოლას უნდოდა, საშუალო სწავლება ადგილობრივ ენაზე განხორციელებულიყო. შესაბამისი პროგრამის შექმნაზე, ჩვენი მეცნიერები წლების განმავლობაში მუშაობდნენ და თითქმის დასრულებული იყო. რუსები ჯერ იმაზე გვედავებოდნენ, რომ ენა, რომლის დამწერლობაც გასულ საუკუნეში შეიქმნა, სახელმწიფოს სტატუსს ვერ მიიღებსო. როცა ამ საკითხს სოხუმში მიწვეული ინგლისელი ენათმეცნიერები განიხილავდნენ, რუსები მთელი ძალით იბრძოდნენ, განხილვა როგორმე ჩაშლილიყო. იურიდიული ტერმინები არა გაქვთ და ხალხს ახალი სიტყვების სწავლა და გამოგონება მოუწევსო, — გვეუბნებოდნენ. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ კბილებით გაიტანა ყველა არგუმენტი, რომელიც სტატუსის მინიჭებისთვის იყო აუცილებელი. მაშინ, როცა გვეგონა, პირველ ეტაპზე საშუალო სკოლებში მაინც იქნებოდა აფხაზურ ენაზე სწავლება, სამხედრო წვრთნები დაიწყეს.

— სამხედრო წვრთნები ენასთან რა კავშირშია? იმის თქმა გინდათ, რომ მათი შვილები ადგილობრივ სკოლებში ისწავლიან?

— დიახ, ასეა. თუ კლასში 7 აფხაზი მოსწავლე და 8 რუსი ბავშვი იქნება, ფაქტია, რომ რუსები აფხაზურად ვერ ისწავლიან. შესაბამისად, სწავლება „დროებით“, ისევ რუსულ ენაზე უნდა გაგრძელდეს.

*რუსეთის განცხადებას მორიგ პროვოკაციას უწოდებს კონფლიქტოლოგი **პაატა ზაქარეიშვილი**. მისი თქმით, რუსეთის ორივე პალატას მსგავსი საკითხები არაერთხელ განუხილავს, თუმცა ჯერჯერობით, საბოლოო გადაწყვეტილება არ მიუღია...*

— პირველი შემთხვევა არ არის, როცა რუსეთის დუმა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის სტატუსს ან ამ რეგიონების რუსეთისთვის მიერთების საკითხს განიხილავს. მაგრამ კენჭისყრისას ის ჩავარდა. ეჭვი მეპარება, რომ დუმამ ამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტის პასუხისმგებლობა იკისროს — მას სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე კონფლიქტების ამგვარი გადაწყვეტის უფლება არ აქვს. უპრიანი იქნებოდა, ასეთი განცხადება პრეზიდენტს ან საგარეო საქმეთა სამინისტროს გაეკეთებინა.

— ამ ცოტა ხნის წინ, ხომ განაცხადა სერგეი ლავროვმაც...

— დიახ, მაგრამ ეს ყოველთვის განცხადებების დონეზე რჩება და არანაირი ქმედება არ ხორციელდება, რადგან ამას საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევა მოჰყვება და რუსეთისთვის ცუდად დამთავრდება. უბრალოდ, ასეთი განცხადებებით რუსეთი ცდილობს, დასავლეთს კიდევ ერთხელ დაუმტკიცოს, რომ აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში სიტუაციას თვითონ აკონტროლებს და მათ გარეშე კონფლიქტების მოგვარება შეუძლებელია. ეჭვი მეპარება, რომ რუსეთს მართლა უნდოდეს აფხაზეთის აღიარება ან თუნდაც მიერთება იმიტომ, რომ მას პრობლემები არ სჭირდება. მით უფრო, რომ აფხაზეთი ისედაც მიერთებული აქვთ, რასაც უნდათ, იმას აკეთებენ: იქ რუსული კაპიტალი ტრიალებს, მატარებელი შეიყვანეს, სამხედრო ტექნიკა შეაქვთ და ჯარსაც შეიყვანენ.

— ადგილობრივები გუდაუთის სამხედრო ბაზის აღდგენაზე საუბრობენ, თქვენ რა ინფორმაციას ფლობთ ამის შესახებ?

— გუდაუთის სამხედრო ბაზის არსებობის ერთადერთი აზრი — სამხედრო აეროპორტია. რუსეთი შავი ზღვის აკვატორიას გუდაუთიდან აკონტროლებდა, რაც დღეს არ ხდება. თუმცა სამხედრო კონტინგენტი მაინც რჩება. ანუ ბაზა საბოლოოდ არ დახურულა და ვიცი, რომ ის თავის ფუნქციას სანახევროდ, მაგრამ მაინც ასრულებს და იქ რუსული და აფხაზური სამხედროების მნიშვნელოვანი ნაწილია განთავსებული.

■



„სექენდ–სამშობლოს უცხოეთში", იოკო ონოს „სოხუმელი" ბიცოლა და ხომანოვების გადახჩენის ქახთული კვისია

„ჩვენი სამშობლო ისეთია, როგორებიც ვართ ჩვენ. ჩვენი შვილების სამშობლო ჩვენი შვილებისნაირი იქნება", — ეს ჩანაწერი მწერალ გურამ ოდიშარიას წიგნად გამოცემულ დღიურში ამოვიკითხე... და წამომცდა: თუ სულ არ დაცარიელდა-მეთქი: ასე მგონია, საქართველოდან გადახვეწილი ქართველები რომ აქ გვყავდნენ, ამდენი უბედურებისა და უსამართლობის ჩადენას ვერავინ გაბედავდა. არც ისინი იხეტიალებდნენ „სამშობლოს, უფრო ზუსტად, სექენდ-სამშობლოს უცხოეთში", — ესეც ბატონი გურამის დღიურში ამოვიკითხე, — აღარასოდეს გადაიღებდნენ „ფესვებს" და აღარასოდეს აგვაცრემლებდა ვიდეოთვალით მეორე აცრემლებული წყვილი თვალის დანახვა. სამაგიეროდ, ვიმოგზაურებდით, ბევრ ქვეყანას ვნახავდით, უამრავ ადამიანს გავიცნობდით, დავუახლოვდებოდით და ყველას ვეტყოდით, რომ „კულტურა აქვავებს აგრესიას და ხელოვნების ნიმუშად გარდაქმნის"...

ირმა ხარშილაძე

— 10 წელზე მეტია, რაც სახალხო დიპლომატიის ეგიდით, ბილიკებით დავდივარ, ვხვდები აფხაზ მეგობრებს, სომხებს, აზერბაიჯანელებს, რუსებს, ბევრ სხვადასხვა კონფლიქტთან დაკავშირებულ კონფერენციაში ვმონაწილეობ და შესაბამისად, ხშირადაც ვმოგზაურობ. ამ წლების განმავლობაში დღიურის სახით ჩანაწერებს ვაკეთებდი, ზოგიერთი ნაწარმოებებშიც გამოვიყენე, ახლა კი ჩემს ჩანაწერებს თავი მოვუყარე, პატარა წიგნად ვაქციე, „გაუცხოების პლანეტა" ვუწოდე და „კავკასიური სახლის", ჰაინრიჰ ბიოლის ფონდის და საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს ხელშეწყობით, ქართულ და რუსულ ენებზე გამოვეცი. ცოტა ხნის წინ, მეგობრებს აფხაზეთშიც გავუგზავნე და ახლახან იქიდან ჩამოსულმა კაცმა მითხრა: ხელიდან ხელში გადადის და დიდი ინტერესით ვკითხულობთო. ძალიან მესიამოვნა და ვაპირებ, რამდენიმე ეგზემპლარი კიდევ გავატანო.

— ძალიან უყვარხართ სოხუმელებს...

— ალბათ, იმიტომ, რომ იქაური ვარ და მათ ტკივილზეც ვლაპარაკობ. ერთ-ერთ შეხვედრაზე (*შეგახსენებთ, რომ ბატონმა გურამმა და მისმა მეგობრებმა თბილისში დააარსეს „მთხრობელთა კლუბი", რომელსაც აფხაზეთიდან ჩამოსული აფხაზებიც სტუმრობენ ხოლმე. — ავტ.*) აფხაზმა ქალბატონმა მითხრა: არ დაგავიწყდეს, რომ შენ არა მარტო ქართველი მწერალი, ასევე სოხუმელი მწერალიც ხარო. ჩემთვის ეს დიდი კომპლიმენტი იყო... ამას წინათ მწერლები: ოტია იოსელიანი, ბაღათერ არაბული, პოეტები ქეთი შენგელია, ვანო იბერი და მე მიგვიწვიეს (ოღონდ არა კონფლიქტებთან დაკავშირებით) ესპანეთში, კერძოდ — ბარსელონაში. იქაურმა ქართველებმა — ემიგრანტებმა იჯარით აიღეს ძალიან დიდი ტერიტორია მართლმადიდებლური ეკლესიისთვის და ბარსელონაში ქართული კულტურის ცენტრის ჩამოყალიბება სურთ. ბარსელონა ულამაზესი ქალაქია და კლიმატითა და შენობებით სოხუმი მომაგონა. თუმცა ფანტასტიკური ქალაქია, ბევრად დიდი და „ძლიერი". უმშვენიერესია მისი არქიტექტურა. აღვფრთოვანდი უდიდესი არქიტექტორის — გაუდის აშენებული რამდენიმე სახლით, განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო „საგრადა ფამილია" — „წმინდა ოჯახი", რომლის მშენებლობა დღესაც მიმდინარეობს. იქ ცხოვრობდა გაუდი, რომელიც 74 წლის ასაკში ტრამვაიმ გაიტანა... შესანიშნავია კიდევ, გაუდის მეგობრის, გუელის პარკი. ქალაქი ტურისტებითაა სავსე და მითხრეს, ნახევარზე მეტი გაუდის ქმნილებების სანახავად ჩამოდისო. მოკლედ, კულტურის, ხელოვნების, სიმშვიდის ქალაქი ვნახე. ჩვენი მიზანი იქ მცხოვრებ ქართველებთან შეხვედრა იყო. სოხუმელებიც ვნახე, თბილისლებიც, სვანებიც, მეგრელებიც... საერთოდ, მთელ ესპანეთში ლეგალურად, დაახლოებით, 20 ათასი ქართველი ცხოვრობს, თურმე, ერთი ამდენი კიდევ — არალეგალია. გამოდის, რომ საქართველოს ერთი, საშუალო სიდიდის ქალაქის მოსახლეობა მარტო ესპანეთში სახლობს, თანაც — იძულებით, ლუკმაპურის საშოვნელადაა წასული. ძირითადად, მშენებლობებზე მუშაობენ. მახსოვს, ერთი იმერელი შეგვხვდა და პირველ

იოკო ონოს ბიცოლა — ანა ბუბნოვა შვილთან ერთად



რიგში, ოტია იოსელიანს გაეცნო: წყალტუბოდან ვარ, ბატონო ოტიაო. ოტიამ მაშინვე ხელისგულები შეუმოწმა: აბა, დაკოჟრილი თუ გაქვს, თუ მუშაობ, ხომ არ ხულიგნობ ან ბანდიტობო? მე და ბატონი ოტია ერთ ნომერში ვცხოვრობდით და ძალიან ბევრს ვსაუბრობდით: მიყვებოდა თავისი ახალგაზრდობის თუ „ძველგაზრდობის" ამბებს, როგორ გამოსცემდა წიგნებს, მოკლედ, მთელი სამყარო შევიმეცნე მასთან ურთიერთობით. ოღონდ გამბოლა — სამი ჩიბუხი ჰქონდა და არ აქრობდა. საერთოდ, როცა ოტიასთან ხარ, მნიშვნელობა არა აქვს, მწეველი ხარ თუ არა, — ითვლება, რომ მაინც ეწევი (*იცინის*)... მოკლედ, ისევ იქ მცხოვრებ ქართველებს მინდა, დავუბრუნდე. ძალიან ენატრებათ საქართველო. ამბობდნენ: ფაბრიკა-ქარხნები, სამუშაო რომ ყოფილიყო, ესპანეთში — ასე შორს — რა წამოგვიყვანდაო?!. უკვე ოჯახებიც წაიყვანეს. სამშენებლო ორგანიზაცია აქვთ, აშენებენ სახლებს, ესპანელებთანაც კარგი ურთიერთობა აქვთ, სამშენებლო საქმის უახლეს ტექნოლოგიებს იცნობენ და საქართველოში უკვე პროფესიონალები დაგვიბრუნდებიან.

— დაბრუნდებიან კი?..

— მართლა, ბევრ ოჯახს კვებავენ იქიდან, ამიტომ ჯერ ვერც ჩამოვლენ. ჩვენს ხელისუფლებას ძალიან დაუგვიანდა სოციალური რეფორმები. ვერ მივხედეთ ხალხს და ისინიც გარბიან აქედან. ძალიან განვიცდიდით, მათ — აცრემლებულებს რომ ვხედავდით. იმდენად მოენატრათ სამშობლო, რომ იქ ეძებენ საყრდენს. ფული მოაგროვეს, ბარსელონის ცენტრში ტერიტორია დაიქირავეს და მრავალსართულიანი სახლის პირველ სართულზე ეკლესია-სამლოცველო მოაწყვეს. შესანიშნავი მოძღვარი ჰყავთ — მამა ლუკა, რომელიც უწმინდესმა და უნეტარესმა, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ მიავლინა სამოღვაწეოდ.

— ეკლესიას დიდი მრევლი ჰყავს?

— საკმაოდ. 2-3 ათასი კაცი იქნება. კვირაობით იკრიბებიან ხოლმე და რიგრიგობით შედიან ტაძარში სალოცავად, რადგან ერთბაშად ვერ დაეტევიან. ქართველი მგალობლების გუნდი ჰყავთ, ერთ-ერთი მგალობელი, სხვათა შორის, სოხუმელი აღ-

მოჩნდა. საქართველოში ახლობელი რომ გარდაეცვლებათ და სამძიმარზე აქ ვერ ჩამოდიან, იმ ეკლესიაში უხდიან პანაშვიდებს. ყველა საეკლესიო დღესასწაულს აღნიშნავენ და საერთოდაც, ეკლესია არის მათი შეხვედრის ადგილი და... მათი საყრდენი.

— ალბათ, კულტურის ცენტრსაც მალე ჩამოაყალიბებენ, ხომ?

— მადრიდში ამ საქმეს მწერალმა დათო ტურაშვილმა ჩაუყარა საფუძველი. დათო დროებით იქ ცხოვრობს და სამწერლო გაერთიანება აქვს. ყველაფერს აკეთებს, რომ ესპანელებს კარგად გააცნოს საქართველო. მადრიდშივეა გათხოვილი ახალგაზრდა ქართველი ქეთო გორგილაძე, რომელიც ასევე, ბევრს აკეთებს ქართულ-ესპანური ურთიერთობების გასამყარებლად. ბარსელონაში ახლა იდგმება პირველი ნაბიჯები — ჩვენი სტუმრობაც ამის დასტური იყო. ყველას ვეუბნებოდით, — იქნებ, როგორმე მოახერხოთ და დაბრუნდეთ საქართველოში-თქო, — რადგან ღმერთმა ნუ ქნას და, თუ ჩვენს ქვეყანაში პრობლემები მოგვიმრავლდა, ემიგრანტებიც მომრავლდებიან. 12-15 წლის წინ წასულებს ყველა ქართული ტრადიცია შენარჩუნებული აქვთ, ოჯახშიც ქართულად ლაპარაკობენ, მაგრამ შვილებმა ქართული წერა-კითხვა თითქმის არ იციან. თუმცა ისეთებიც გავიცანი, ვინც ჩემს ნაწარმოებს — „პრეზიდენტის კატას“, რომელიც ახლახან ჟურნალ „ჩვენს მწერლობაში“ იბეჭდებოდა, ინტერნეტგვერდიდან კითხულობდნენ. ასე რომ, სამყარო მართლა საოცარია და დღეს ტექნიკური საშუალებებიც ისეთი არსებობს, რომ კულტურისა და სიკეთისთვის გამოსაყენებელი უნდა გახადოს კაცობრიობამ. იცით, კიდევ რა მესიამოვნა ბარსელონაში?.. ქუჩაში, სკვერში, სკამზე მსხდომ ესპანელებს წიგნით ხელში ვხედავდი — მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდნენ. ამ დროს, ჩვენთან თითქოს დამკვიდრდა სტერეოტიპი, რომ წიგნმა თავისი დრო მოჭამა. აღარავინ კითხულობს. იქ შესანიშნავი წიგნის მაღაზიები აქვთ, ბევრი ვეძებე, მაგრამ, სამწუხაროდ, ესპანურ ენაზე ნათარგმნ ქართულ წიგნს ვერსად წავაწყდი. ასე რომ, ბარსელონაში ქართული კულტურის ცენტრის შექმნა ქართველი მწერლების პოპულარიზაციასაც შეუწყობს ხელს...

— ბატონო გურამ, სოხუმზე რომ არ გკითხოთ, ისე ვერ დაგემშვიდობებით. ამბობენ, თქვენს ქალაქში ჯონ ლენონის ქვრივის, იოკო ონოს ახლო ნათესავი ცხოვრობდა...

— კი, ბატონო, ბიცოლა ცხოვრობდა. იოკო ონო ინტერნეტით გავრცელებულ ერთ ინტერვიუში ამბობს, რომ ჰყავდა რუსი ბიცოლა — ანა ბუბნოვა, რომელმაც მას ვიოლინოზე დაკვრა ასწავლა. ანა დმიტრიევნა ძალიან ლამაზი ქალი იყო...

— თქვენ გახსოვთ ეს ქალბატონი?

— კი, ვიცნობდი კიდეც. ორი და ცხოვრობდა იქ — ანა და ვარვარა, ანა მუსიკოსი იყო, ვარვარა — მხატვარი. ისინი აფხაზეთში ომის დაწყებამდე გარდაიცვალნენ. საინტერესო თავგადასავალი ჰქონდათ. ბუბნოვები პეტერბურგში დაიბადნენ და თავადაზნაურთა წრიდან იყვნენ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ, იძულებით დატოვეს რუსეთი და მოხვდნენ იაპონიაში. იქ ანა ბუბნოვა ცოლად გაჰყვა იოკო ონოს მამის ძმას, საკმაოდ მაღალი წრისა და შეძლების ადამიანს. საერთოდ, იოკო ონოს ოჯახი ძალიან წარჩინებული იყო. ანას და იოკოს ბიძას ჰყავდათ ერთი ვაჟი, რომელიც 14 წლისა გარდაიცვალა. ანამ, შვილთან ერთად ფაქტობრივად, ბევრი რამ დაასაფლავა. ქმარსაც გაერიყა. 60-იანი წლების დასაწყისში ანა და ვარვარა ჩამოვიდნენ და დასახლდნენ სოხუმში, საოცარ ქალაქში, რომელმაც რევოლუციის შემდეგ გადმოხვწილი ბევრი ადამიანი შეიფარა. თავდაპირველად, ბუბნოვები ხუბუტიების ოჯახში ცხოვრობდნენ ქირით, თუმცა საბოლოოდ მათ ფული არ გადაახდევინეს. შემდეგ ბინა — ეგრეთ წოდებული „ხრუშჩოვკა“ მიიღეს და იქ გადავიდნენ. ვარვარა ბუბნოვას ოჯახი არ შეუქმნია. ის შესანიშნავი მხატვარი იყო, სოხუმში მან შემოიტანა მხატვრობის იაპონური სტილი; ვარვარას კარგად ვიცნობდი. ხშირად ვსტუმრობდი და ბევრს ვსაუბრობდით მხატვრობაზე. ანა დმიტრიევნა კი, ძალიან კარგი მუსიკოსი იყო და სოხუმელ ბავშვებს ვიოლინოზე დაკვრას ასწავლიდა.

— არასდროს სტუმრებია იოკო ონო ბიცოლას?

— მიუხედავად იმისა, რომ იოკო ინტერვიუში ძალიან დიდი სითბოთი და სიყვარულით იხსენებს თავის ბიცოლას, სოხუმში ვერაფრით ესტუმრებოდა, რადგან ამის უფლებას საბჭოთა კავშირის მთავრობა არ მისცემდა — მაშინ „ბითლზისგან“ „იცავდნენ“ საბჭოთა ახალგაზრდობას და ჯონ ლენონის ცოლს სოხუმში ვინ ჩამოუშვებდა?! სხვათა შორის, „ბითლზზე“ გვისაუბრია ბუბნოვებთან, თუმცა ხაზგასმით არასდროს უთქვამთ, რომ იოკო ონო მათი ნათესავი იყო. რამდენიმე ადამიანმა კი ვიცოდით ეს ამბავი, მაგრამ ამდენად ახლობელი თუ იყო, არ გვეგონა.

დგანან: გურამ ოდიშარია და ვანო იბერი სხედან: ქეთი შენგელია და ოტია იოსელიანი

— ბატონო გურამ, რომ ბრძანეთ, — სოხუმმა ბევრი ადამიანი შეიფარაო, — გამახსენდა: არსებობს ზღაპარი თუ ნამდვილი ამბავი რომანოვებზე — ნიკოლოზ მეორის ოჯახზე, რომელიც თითქოს არ დაუხვრეტიათ და სოხუმში ცხოვრობდა...

— მყავს ერთი მეგობარი — ვახტანგ ჯორჯიკია, სოხუმელი კაცი, რომელიც ახლა წყნეთში ცხოვრობს. ვახტანგი არისტოკრატების ოჯახიდან არის. ბებიამისი — მენიკი დადიანი ლევან დადიანის შტოს წარმომადგენელი იყო, ბაბუა — ალექსანდრე გრიგოლია — ექიმი-პროფესორი, წლების განმავლობაში საქართველოს კურორტოლოგიის ინსტიტუტის აფხაზეთის ფილიალის დირექტორი. ბაბუას ურთიერთობა ჰქონდა სტალინთან, ბერიასთან, მანამდე კი — რუსეთის მეფის ოჯახთან. ეს კაცი ოჯახში ინახავდა რამდენიმე ფოტოსურათს, რომელიც შემდგომ, ჟურნალისტებისა და იურისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. მეც ჩემს წიგნში — „სოხუმში დაბრუნება“ — ერთი თავი მივუძღვენი რომანოვების სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოს. რიგელი იურისტი და მწერალი ანატოლ გრიანიკი დანიის სამეფო ოჯახმა დააფინანსა, რათა ჩასულიყო აფხაზეთში და გამოეკვლია, მართლა ცხოვრობდნენ თუ არა იქ რომანოვები, რომლებიც, გავრცელებული ვერსიით, 1918 წლის 18 ივლისს, ღამის ორ საათზე ეკატერინბურგში დახვრიტეს. გრიანიკის გამოკვლევით, რომანოვები არ დაუხვრეტიათ, დახვრიტეს მათი ორეულები, ხოლო მეფე, ბერიოზკინის გვარით, მისი ოჯახის წევრები სხვადასხვა გვარით, აგრეთვე, მათი კარისკაცები, გენერლები, ფრეილინები სოხუმსა და თბილისში ცხოვრობდნენ. დედოფალი და ერთი ქალიშვილი ერთხანს სოხუმში ცხოვრობდნენ. მაშინ დედოფალი ვახტანგის ბაბუასთან, სოხუმის ერთ-ერთ საავადმყოფოში მედდად მსახურობდა, შემდეგ, ქალიშვილთან ერთად, თბილისში გადმოვიდა. აქ გარდაიცვალა და ფონიჭალაშია დაკრძალული. ქალიშვილი კი მოგვიანებით ამტკიცებდა, მეფის ასული ვარო, სასამართლო პროცესებიც კი მოეწყო თბილისში... მოკლედ, ეს ანონსი იყო, დაწვრილებით და დაზუსტებით კი ყველაფერს ვახტანგ ჯორჯიკია გიამბობთ და არაჩვეულებრივ ფოტოარქივსაც გაგაცნობთ. ის მოგიყვებათ, როგორ შეიფარა მეფის ოჯახი მისმა ბაბუამ, როგორ მფარველობდა რომანოვებს სტალინი და ასე შემდეგ... საინტერესოა, არა?

— თქვენ გჯერათ ამ ვერსიის?

— ეს ბევრჯერ უკითხავთ ჩემთვის. გადაღებულია ორსერიიანი ამერიკული ფილმი „ანასტასია“ — რომანოვების გადარჩენის ამერიკული ვერსია. რატომ არ უნდა არსებობდეს მათი გადარჩენის ქართული ვერსია? გრიანიკმა სოხუმში მცხოვრები ბერიოზკინის ფოტო შეადარებინა ნიკოლოზ მეორის ფოტოს ლატვიის სასამართლო ექსპერტიზისა და კრიმინოლოგიის სამეცნიერო-საკვლევ ლაბორატორიაში და მიიღო დასკვნა, რომ ფოტოებზე ერთი და იგივე პიროვნება იყო აღბეჭდილი... ასე რომ, რომანოვების ამბის ქართული ვერსიას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება. ■

ოსკვირიანი „ყაიფი"...

ინგა ჯაყელი

82 წლისაა გერნოტი მშვილდაძე და რა გასაკვირია, ავადმყოფობა მორეოდა მოხუცს?! განსაკუთრებით სახსრების ტკივილმა შეაწუხა — ღამის ერთი საათი უნდებოდა სკამიდან წამოდგომას და მერე, კედელ-კედელ დადიოდა, წაქცევის შიშით. თუ არ წვიმდა ან თოვდა, თითქმის სულ ჭიშკართან იჯდა. გამვლელს არ გაატარებდა მოკითხვისა და გამოლაპარაკების გარეშე — რა ექნა, უყვარდა ძველ მასწავლებელს ლაპარაკი და სხვისთვის ჭკუის დარიგება. არადა, სახლში არც შვილები უჩერდებოდნენ და არც შვილიშვილები. კი, მართალია, მუშაობდნენ, სწავლობდნენ და მოცლა არ ჰქონდათ, მაგრამ მისთვის მაინც, ძნელი ასატანი იყო მთელი დღეები სახლში გამოკეტვა და ათი წლის წინ გარდაცვლილი ცოლის სურათთან ლაპარაკი, რომელსაც ხშირად საყვედურობდა:

— რა გეჩქარებოდა, შე ქალო, გევლო ამ ქვეყანაზე და მარტოობისთვის არ გაგეწირე! — თითქოს ვასასის ნებაზე ყოფილიყო სიკვდილიც და სიცოცხლეც!..

ცოლი ძალიან უყვარდა გერონტის — მომთმენი ქალი იყო, „უენო". მის გარდა, ვინ გამიძლებდაო?! — აღიარებდა, რადგან იმსახურებდა თუ არა, მაინც ყველაფერზე შენიშვნას აძლევდა. ბევრჯერ დაუყვედრებია: არა, მე სხვანაირი მარიფათიანი ქალი მერგებოდაო!

ახალგაზრდობაში მართლა კარგი ბიჭი ყოფილა. ამას მეზობლებიც ადასტურებენ და სინანულით აქნევენ თავს:

— ეე-ჰ, მართლა წუთისაა წუთისოფელი, ადამიანზე საცოდავი კი არავინ გაუჩენია უფალს — კაცს რავა უნდა უსურვო, არ დაბერდეო, არადა, გერონტის მაყურებელს რავა მოგინდება სიბერე?!

თავის დროზე კაი მსმელი და თამადა ყოფილა გერონტი და... ქალების რისხვაც — იმდენ ქალს შეუჩნდა, არ მისცა მოსვენება და გაუტეხა სახელი, რომ რაც ახსოვს და თითებზე ითვლის, სხვაა და რაც აღარ ახსენდება, სხვა... ჰოდა, იხსენებს წარსულს და ბოღმას სიგარეტში ახრჩობს — დღეში სამი კოლოფი არ ჰყოფნის და მისი ოთახის ფანჯრიდან ისეთი კვამლი გამოდის, რომ ზოგჯერ, ხანძარი გეგონება კაცს!

ჭიშკართან მჯდომიც, გამარჯობის შემდეგ, პაპიროსს სთხოვს გამვლელს:

— რაცხა ახალი გექნება, მომაწევინე!..

იმ დღეს კი ისე მოხდა, ერთმა კაცმა არ ჩამოიარა მწეველმა, თავისიც გაუთავდა და ღამის გული წაუვიდა, სიგარეტის სურვილით. არც სახლში იყო ვინმე და რომ გადარია მოწევის ჟინმა, ჯერ შვილის ოთახი და კარადის უჯრები გადმოაქოთა, მერე — შვილიშვილის და მიაგნო კიდეც, ორ ღერს, რომელიც აშკარად, ხელით იყო შეკეთებული, ომისდროინდელი თუთუნივით და ფორმაც უსაშველოდ წაგრძელებული ჰქონდა, მაგრამ ამას დაეძებდა?! — მაშინვე ჩაჯდა თავის ძველ სავარძელში, მოუკიდა და ნეტარებით ჩაისუნთქა კვამლი...

ათი წუთიც არ იყო გასული, რომ თავბრუ დაესხა და უცნაური სიმსუბუქე იგრძნო, გაიფიქრა, — ეუჰ, მგონია წნევა ამივარდაო! და ყოველი შემთხვევისთვის, ორი აბი ადელფანი გადაყლაპა, მუდამ გულის ჯიბით რომ დაატარებდა. თან, მეორე ღერსაც მოუკიდა და თვალები მოჭუტა... მოჭუტა და ბიჭოს, — არ დაინახა „კარებში შემოსული" თამუნიე, შვილიშვილის ტოლი და უბნის „ფეხსუსტი" გოგო?! გადმეყარა დეკოლტედან ძუძუები და ისეთი მოკლე კაბა ეცვა... თუ, არც ქე ეცვა?!.

— ვიცი, ჩემზე დიდი ხანია, თვალი გიჭირავს, გერონტი ბაბუა და, ა, მევედი, მითხარი, რა გინდა, ყოლიფერზე თანახმა ვარ!

— ა, მოი და აგერ დამაჯექი! — გულზე დაიბრაგუნა მუშტი გერონტიმ.

— მაქანე რა მინდა?! — ჩაიკისკისა თამუნიამ.

— მაგ ოხერი არ იშლის თავისას, სხვა აბა, მე არაფერი შემიძლია! — აღიარა მოხუცმა და ამ დროს „დაინახა" „გაცეცხლებული", „სურათიდან გადმოსული" ვასასი, რომელსაც კოპები შეეკრა და ყვიროდა:

— ამ გათახსირებულს ჩემს სახლში რა უნდა?!

წამით შეცბა გერონტი, მაგრამ მალე მოეგო გონს და იყვირა:

— კვტარი ხარ შენ და წაი, საიდანაც მოსულხარ! მერე ჯოხი ესროლა თანამეცხედრეს და მართლა რომ გაქრა ვასასი, ხარხარი აუტყდა მოხუცს — ხარხარებდა და ვერ ჩერდებდა. არადა, ღამის სუნთქვა შეეკრა და გული გაუჩერდა... სწორედ ასეთ მოხარხარხეს მოუსწრო რძალმა და მეზობლებიც შეყარა მისმა კივილმა: მიშველეთ, მამამთილი გამიგიჟდაო!..

პატრულის და „სასწრაფო დახმარების" ეკიპაჟები ერთად მოვიდნენ... „სასწრაფომ" გერონტი წაიყვანა, პატრულმა მისი შვილიშვილი — გერონტი (გიგი) უმცროსი, რადგან ის საგულდაგულოდ შენახული პლანი, ღამის ბაბუამისი რომ იმსხვერპლა, მისი აღმოჩნდა. კარგა ბლომად ფულიც „აახიეს" მის მშობლებს, ციხეში რომ არ გაეშვათ...

გერონტი კი ზუსტად ორი კვირა ვერ მოიყვანეს ჭკუაზე, სულ ერთი და იმავეს იმეორებდა:

— სადაა თამუნიე, ვასასის ხვარ შეეშინდა?! — და ხარხარებდა, კვდებოდა სიცილით... ■

რუბრიკას უძღვება ექიმი თამარ მამაცაშვილი

ჰერპესზე არსებული ცხრა მცდარი წარმოდგენა

ჰერპესის შესახებ ჯერ კიდევ ჩვ.წ.აღ-მდე 100 წლით ადრე, ჰეროდოტე წერდა. სწორედ მან უწოდა ჰერპესს მისი ამჟამინდელი სახელიც. ბერძნულად „ჰერპესი“ ცოცვას ნიშნავს. დაავადებას კი ასე, კანზე გაჩენილი პირველადი ბუშტიდან წყლულების სხვადასხვა მხარეს „გაცოცების“ უნარის გამო ეწოდა.

რა ვიცით ჰერპესის შესახებ? ამ კითხვაზე უმეტესობა უპასუხებს, რომ ეს გაცივებისას ტუჩებზე გაჩენილი გამონაყარია, ვიღაც კი, ალბათ, გენიტალიებთან მის კავშირსაც გაიხსენებს... თუმცა ამ დაავადებასთან ადამიანის მრავალსაუკუნოვანი „მჭიდრო ურთიერთობის“ მიუხედავად, მასზე, მართალზე ბევრად მეტი მცდარი წარმოდგენა და ვარაუდი არსებობს. მათგან ყველაზე გავრცელებულებს ჩვენც განვიხილავთ.

1. ჰერპესი გადამდები არ არის

არადა, სინამდვილეში, საქმე პირიქითაა. ჰერპესი ჰაერწვეთოვანი (ხველების, ცემინების, ლაპარაკის) გზით, კონტაქტის (კოცნის, საერთო ჭურჭლით, პომადით, მუნდშტუკით სარგებლობის) დროსა და აგრეთვე, სქესობრივი გზითაც გადადის. ასევე შესაძლებელია, დედის საშოში ნაყოფის დასნებოვნებაც. ეს, როგორც წესი, მაშინ ხდება, თუ დედა გენიტალიური ჰერპესით, ფეხმძიმობის მესამე ტრიმესტრში ავადდება და იმავდროულად, მის ორგანიზმში ნაყოფისთვის გადასაცემი ანტისხეულებიც ვერ ასწრებს გამომუშავებას. პლაცენტის დაზიანების შემთხვევაში კი ნაყოფის დაავადება დედის საშოში ყოფნის ნებისმიერ პერიოდშია შესაძლებელი და ასეთი ჰერპესი უკვე თანდაყოლილი იქნება.

ჰერპესვირუსების ოჯახი მარტო უბრალო ჰერპესის ვირუსებით როდი იფარგლება. ასე მაგალითად, ჰერპესის ვირუსის მესამე ტიპი, რომელიც ვარიცელა-ზოსტერის სახელითაცაა ცნობილი, ჩუტყვავილას გამომწვევიცაა. ეპშტეინ-ბარის სახელით ცნობილ მეოთხე ტიპს პირხახის, ლიმფური კვანძების, ღვიძლის და სისხლის ინფექციური მონონუკლეოზის, ზოგჯერ კი ავთვისებიანი სიმსივნის გამოწვევაც შეუძლია. ხოლო მეხუთე ტიპი — ციტომეგალოვირუსი, როგორც წესი, მძიმე იმუნოდეფიციტური მდგომარეობის დროს მჟღავნდება და ერთდროულად მრავალ ორგანოს აზიანებს. ჰერპესვირუსების დანარჩენი ტიპები ქრონიკული დაღლის სინდრომისა და ზოგიერთი ავთვისებიანი სიმსივნის გამოწვევა-განვითარებას უწყობს ხელს.

2. ჰერპესი გაცივების გამოვლინებაა

სინამდვილეში, ჰერპესი უბრალო ჰერპესის ვირუსით გამოწვეული, დამოუკიდებელი დაავადებაა. ის გადაცივების დროს აქტიურდება, თუმცა შეიძლება, სტრესის, გადაღლის, ქრონიკული დაავადებების გამწვავების ანდა საერთო იმუნიტეტის დაქვეითების შემთხვევაშიც გამომჟღავნდეს.

3. ტუჩებზე გამონაყარის გაჩენა იმის ნიშანია, რომ გაცივება უკან იხევს

ეს საკმაოდ გავრცელებული, მაგრამ სრულიად მცდარი აზრია. სინამდვილეში, გამონაყარი იმის ნიშანია, რომ გადატანილმა რესპირატორულმა ინფექციამ ორგანიზმის იმუნიტეტი დაასუსტა და ჰერპესის ვირუსს აქტიური მოქმედების საშუალება მისცა.

4. გამონაყარის გაძრობა ჰერპესის მორჩენის ნიშანია

მართლაც ასე რომ იყოს, რაღა აჯობებდა?! მაგრამ სამწუხაროდ, ორგანიზმიდან ჰერპესის ვირუსის საბოლოო გამოდევნა შეუძლებელია. ის ადამიანის ორგანიზმში სამუდამოდ რჩება, ჩვენ კი მხოლოდ ისღა დაგვრჩენია, რომ ეს ვირუსი მუდმივად „მთვლემარე“ მდგომარეობაში ვამყოფოთ და გამომჟღავნების საშუალება არ მივცეთ. ჰერპესის ვირუსი ადამიანთა 95%-ს, თანაც, უმეტესობას — 3-4 წლის ასაკიდანაც კი აქვს, თუმცა მის მოქმედებას მხოლოდ 20% თუ გრძნობს.

5. მხოლოდ გამონაყარის არსებობის დროსაა გადამდები

ჰერპესით ავადმყოფობის აქტიურ ფაზაში, ვირუსული ნაწილაკების მართლაც, მეტი რაოდენობა გამოიყოფა და გადადების ალბათობაც იზრდება. მაგრამ კანისა და ლორწოვანი გარსის უხილავი მიკროტრავმების მეშვეობით ინფექციის გადაცემა ნებისმიერ მომენტშია შესაძლებელი.

6. ტუჩების (ლაბიალური) და სასქესო ორგანოების (გენიტალიური) ჰერპესი ორი სრულიად სხვადასხვა დაავადებაა, ორალური სექსის დროს დასნებოვნება არ ხდება

ეს აზრი მხოლოდ ნაწილობრივაა სწორი. სინამდვილეში, ლაბიალური ჰერპესი უფრო ხშირად, უბრალო ჰერპესის ვირუსის პირველი ტიპითაა გამოწვეული, ხოლო გენიტალიური — მეორეთი. თუმცაღა ვირუსის ორივე ტიპს, როგორც ტუჩებზე, ისე გენიტალიებზე შეუძლია გამონაყარის გამოწვევა. „საცხოვრებელი ადგილის“ ასეთ ხშირ ცვლას კი, სწორედაც რომ ორალური სექსის დროს აქვს ადგილი.

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად

ინტერნეტ მაღაზია

www.elva.ge

წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის ჟურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

პრესის გავრცელების საagენტო

ქ. თბილისი
ოთხვილის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

7. პრეზერვატივი სრულიად გვიცავს გენიტალიური ჰერპესისგან

პრეზერვატივი დაავადების რისკს მართლაც ამცირებს, მაგრამ ასპროცენტიან გარანტიას ნამდვილად არ იძლევა. ვირუსის გადაცემა შეიძლება, სხეულის იმ ნაწილებით მოხდეს, რომლებიც პრეზერვატივით დაცული არ არის ანდა ეს „რეზინის მეგობრის“ გარკვეული დეფექტების (მაგალითად, უხარისხობის ან ზედმეტი ფორიანობის) გამო მოხდეს.

8. ჰერპესის სამკურნალო საუკეთესო საშუალება — სპირტით, იოდით ანდა ბრილიანტის მწვანეთი გამონაყარის მოწვა

ჰერპესსა და მისი ვირუსის აქტიურობაზე მოწვა არ მოქმედებს, სამაგიეროდ, ამ გზით დაზიანებული კანის ანდა ლორწოვანის დამწვრობის მიღება ნამდვილად არ გაჭირდება. ამიტომ ჯობს, გამონაყარზე ისეთი ანტისეპტიკური მალამო წავისვათ, რომელიც სპირტს საერთოდ არ შეიცავს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჰერპესს შეიძლება, ჩირქოვანი ინფექციაც დაერთოს. თვით ჰერპესის გართულებას კი სპეციალური ანტივირუსული პრეპარატებით მკურნალობენ, რომელიც ვირუსის გამრავლებას უშლის ხელს. ხშირი გართულების შემთხვევაში, იმუნიტეტის მასტიმულირებელ წამლებსა და ზოგადად გამაძლიერებელ საშუალებებსაც იყენებენ.

9. ჰერპესი საშიში დაავადება არ არის და მხოლოდ კანს აზიანებს

სართოდ, ჰერპესს ვირუსული ინფექციებით სიკვდილიანობის საქმეში, გრიპისა და სხვა მსგავსი ინფექციების შემდეგ, მეორე „საპატიო“ ადგილი უჭირავს. უბრალო ჰერპესის ვირუსი, როგორც წესი, ნერვული უჯრედების გენომში „ჩაშენდება“ ხოლმე. ამიტომაც ჩნდება გამონაყარი ნერვული დაბოლოებების ადგილებში და თან ძლიერი ტკივილიც ახლავს. თეორიულად, ჰერპესი ადამიანს ყველა იმ ადგილზე შეიძლება გაუჩნდეს, სადაც ნერვული ქსოვილია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ის პრაქტიკულად, ნებისმიერ ორგანოში ჩნდება. საერთო და ადგილობრივი იმუნიტეტის დაქვეითების დროს ჰერპესული ანთება შეიძლება, პირ-ხახის ლორწოვან გარსში, თვალის რქოვანასა და კონიუქტივში, ლიმფურ კვანძებზე, შიდა სასქესო ორგანოებზე, ნაწლავებში, ღვიძლში, თირკმლებში, ფილტვებსა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაში გაჩნდეს. ჰერპესით თავის ტვინის დაზიანების შემთხვევაში, ავადმყოფების უმეტესობა კვდება ანდა ინვალიდდება.

გარდა ამისა, თანდაყოლილ ჰერპესს ახალშობილის განვითარების მრავალი ნაკლოვანების და სიკვდილის გამოწვევაც კი შეუძლია, ხანგრძლივად არსებული გენიტალიური ჰერპესი კი, ქალებში — საშვილოსნოს ყელის, ხოლო მამაკაცებში — წინამდებარე ჯირკვლის კიბოს იწვევს.

თუმცა — არის ერთი ნიუანსი...

ისიც აუცილებელია ითქვას, რომ ჰერპესის ვირუსების ისეთი მავნე თვისებები, როგორიცაა ორგანიზმში ადვილად შეღწევა, მასში მუდმივად დარჩენა და ვირუსული დნმ-ს დიდი ზომები მათი „მშვიდობიანი მიზნებით“ გამოყენების იმედსაც იძლევა. გენური თერაპიისთვის პერსპექტიულადაც, სწორედ მიკრობების ეს ოჯახი მიიჩნევა. ამ პროცესის განსავითარებლად, მიკრობებს დაავადების უნარს ართმევენ და ამით ვირუსულ გენომში სასარგებლო გენების ჩაშენებას ახდენენ. თავად ვირუსს, ავადმყოფის დნმ-მდე ამ გენების მიტანის დიდი უნარი აქვს. იქ კი ეს გენები ორგანიზმს მარტო იმ ნივთიერებების სინთეზირებაში კი არ ეხმარებიან, რომლებიც მას აკლია, არამედ სხვა ვირუსებსაც ებრძვიან. ასე რომ, არცთუ ისე შორს უნდა იყოს ის დრო, როცა ჰერპესს ჰერპესის ვირუსითვე განკურნავენ.

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში

შეაგროვე და აკინძე

ჟურნალი ჟურნალში

ფლაშ ნილები

13.12-19.12.2007

ხელახლა დაწყებული ცხოვრება

მეცამეტე

ახლა ყველა შავი მაგიის მიმდევარს დავუკავშირდები და დავადგენ, როგორ რიტუალებს ატარებენ

ჯი, დამესიზმრა, მაგრამ თუ იცით, ვინ? ვინ და ჯონდი, თანაც – ბალათურია. ამაში რომ ბედი არ მაქვს, უგეც მიშას ბრალია...

რა მაშინებს, იცი? ემანდ, ღმერთი არ გაუწყრეს და პანაშვიდის რეპეტიცია არ მოინდომოს...

ფოტოტესტი



როცა იმასაც მიაღწევ, რომ მასზე გამოსახული ნივთების დანახვისას არ აღფრთოვანდები, გამოჯანმრთელებამდე სუფთა ცოტა იქნება დარჩენილი...

გრაფი თარხანი

მოხეტიალე ქვა

15 წლის შემდეგ, ქვა ისევ „მოძვრა“ მიწის ზედაპირზე და იქაურ მცხოვრებლებს ჯვლავ ძველებური ბრწყინვალებით წარუდგა

ხელახლა დაწყებული ცხოვრება



პანაშვიდის რეპეტიცია და დანგრეული ჯონდი ანუ ჩემს მკლავებში ორი ქმარი ვანებივრე

მარი ჯაფარიძე

„მაააარ, რომელიმე კლუბის შეფი რომ არ გავხდე, ჩამოვიკონწიალებ თავს „კვირის პალიტრის“ რედაქციასთან. ან უფრო მაგარი — თავს ავიფეთქებ შენ თვალწინ. :) ჰოდა, ვერ აუხვალ მერე ჟურნალში ნეკროლოგებსა და ბრალდებებს. ჩემი ცოდვით ვერც „გზავნილები“ გაიხარებს და ვერც „გზა“! მეეეერე, წამოვლენ ჩემი ახლობლები შურის საძიებლად, მათ მთელი სამეგრელო გამოჰყვება, გზადაგზა სხვა რეგიონებიდანაც შემოუერთდებიან და დაიწყება ქვეყნის შიგნით არეულობა და აჯანყებები... მერე ჩაერევა ამერიკა, ჩაერევა რუსეთი და... დაიწყება მსოფლიო ომი. :) „ვოტ ტაკ“! ახლა შენ დაფიქრდი და გადაწყვიტე, გავხდები შეფი თუ დაიწყოს მსოფლიო ომი? :) სამეგრელოში აღარ ვარ და იქ ვერ შევქმნი კლუბს. მარტო თსუ-ც არ მაკმაყოფილებს. :(კანიბალკა“.

ასეთი ამბავი რომ არ მოხდეს, სწორედ ამის გამო შემოგთავაზეთ, რომ თქვენ თვითონ გამოგეთქვათ სურვილი, ვინ იქნებოდა ამა თუ იმ კლუბის შეფი. ჰოდა, ახლა დროა, გამოავლინოთ თქვენი ორგანიზატორული ნიჭი და დაფაცურდეთ. მე კი ველი თქვენგან ასეთ შეტყობინებას: „მარი, მე უკვე ჩამოვაყალიბე კლუბი, რომელშიც „ამდენი და ამდენი“ წევრი გავაერთიანე, კლუბს ჰქვია „ესა და ეს“ და ველით შენთან შეხვედრას“. დანარჩენი უკვე ჩემზე იყოს. რაც შეეხება მოწოდებას, კლუბში გასაერთიანებლად შეგიძლიათ, „გზავნილების“ ტრიბუნა გამოიყენოთ. მეტი რა ვქნა? ახლა პირველი მკითხველის მესიჯს გავეცნოთ.

ღიმილიც იყო...

„ცხოვრებაში არსებობს ისეთი მომენტი, როცა გგონია, შენს ცხოვრებას წერტილი დაესვა და ყველაფერი დამთავრდა. ყველაფერს გლოვის ფერი აქვს, არის უამრავი ცრემლი, აღარ არსებობს საღი აზროვნება, აცნობიერებ, რა ბედნიერი ყოფილხარ, მაშინ, როცა ბედნიერად არ მიიჩნევდი თავს... ღიმილი? კი, ეს იყო... ხუმრობა? კი, ესეც იყო... ერთ უბედურებას მეორე მოსდევს, მეორეს — მესამე და ა.შ. გიკვირს, შენი უბედურების, მაგრამ შენ არ იცი, რომ როცა განსაცდელში ხარ, ღმერთი შენთან არის. ეს არის ერთი აბზაცი ზოგიერთი ადამიანის ცხოვრებიდან და მათ შორის — ჩემიც. მაგრამ ამ დროს მოგევლინება ისეთი რაღაც და ისეთი ვიღაც, ვინც დამთავრებული ცხოვრების თავიდან დაწყებაში დაგეხმარება. მეგობრები და რა თქმა უნდა, „გზა“. „გზამ“ დიდი როლი ითამაშა ჩემს ცხოვრებაში. ეს გლოვის ფერი სადღაც გაქრა და ყველაფერი ცისარტყელას ფერებმა მოიცვა. ახლა ჩემთან ხართ თქვენ და ვარ ბედნიერი. აქედან დასკვნა: თურმე ვცოცხლობ და ვარსებობ! მიყვარხართ, მგზავნელებო. ნათათო“.

ახალი სიცოცხლე გარდაცვალების შემდეგ

„ვიყავი ერთი ჩვეულებრივი გოგო, გვერდით უამრავი ადამიანი მყავდა. ზოგს ვერც კი ვამჩნევდი. თავი ძალიან კარგი ტიპი მეგონა. ჩემს



პასუხისა, რომ 2 შეყვარებული ადამიანიდან ერთი ეოცვლიოს „სიყვარულ“?

კლასში ერთი გიორგი იყო. მერე ჩემი კურსელიც გახდა, მაგრამ ის თბილისის ზღვაზე დაიხრჩო. მაშინღა აღმოვაჩინე ის „ოქროს“ თვისებები, რაც გიოს ჰქონდა. არა, არ ვაზვიადებ, მისნაირები არ არსებობენ. მას მერე ყველაფერში გიო მეხმარება და იცით, როგორ? გამოუვალ სიტუაციაში ყოველთვის ისე ვიქცევი, როგორც გიო მოიქცეოდა ან მირჩევდა და ყველაფერი თავის ადგილას ლაგდება. ეს გარდაცვალება იყო ჩემი მეორე სიცოცხლის დასაწყისი. ის ტკივილი კი, რაც გიომ დამიტოვა, ისევ მოუშუშებლად მტკივა. კახელი სალომე“.

ტრაგიკომედია

„მინდა, ერთი პატარა, ტრაგიკომიკური ამბავი გიამბო. ვახო ბათუმში მუშაობდა. იქ ქობულეთელი იზა გაიცნო. იზა სამედიცინოზე სწავლობდა. ვახოს მაგრად შეუყვარდა, მაგრამ იზას სხვა უყვარდა და ამიტომ მხოლოდ მეგობრობაზე იყო თანახმა. ჰოდა, ერთ დღეს ვახომ რაღაც ჩაუყარა სასმელში და ის ღამე მასთან გაატარა. ამის შემდეგ დააშანტაჟა და უთხრა, რომ მათ ფიზიკური ურთიერთობა ჰქონდათ და თუ ცოლად არ გაჰყვებოდა, ამ ამბავს ყველას მოუყვებოდა. იმ დროს იზას შეყვარებული უკრაინაში იყო. უკვე ქორწილის დღეც დაინიშნა. იზა ძალიან ცუდად იყო — არ უყვარდა ვახო. ერთ დღეს ბიჭი სახლში მიადგა და მაგრად იკამათეს, თურმე. ბოლოს ვახო მოლბა და გადაწყვიტა, იზა შემოერიგებინა. მის წინ დაიჩოქა და პატიება სთხოვა. გაბრაზებულმა იზამ არც აცია, არც აცხელა და მიახალა: — დაჩოქება

საკუთარ ხაფანგში გაბმული

„25 წლის ისე გავხდი, გათხოვებას ვერც მიხსენებდი. კარგი სამსახური მქონდა, უამრავი მეგობარი მყავს, ჰოდა, ვატარებდი დროს და ვიყავი. თაყვანისმცემლები მყავდა — „ოპტომ“, მაგრამ რომ ვუყურებდი ამ ჩემს დაქალებს, თმაგაჩეჩილები, შეშლილი სახეებით, როგორ ხარშავდნენ ბულიონს და ებრძოდნენ დედამთილებს, არ მინდოდა ბატონო და ჰე! ჰოოდა, ერთ დღეს „აყირავდა“ ჩემი უსაყვარლესი, გამზრდელი ბებია, დაარტყა წნევამ და „ვსო“, კვდება „ნაგლად“. აუუუ! აღარ ვიყავი ჭკუაზე. ერთ დღესაც, მოიხედა ბებულიამ და მითხრა: მაინც ისე მიშვებ საიქიოში, რომ პატრონს არ ჩაბარდიო? დაიწყო ტირილი. შეიძლებოდა ახლა, წნევიანის ნერვიულობა? ჰოდა, ვინც ბებოს მოსწონდა ყველაზე მეტად, იმ ბიჭზე ვუთხარი — გადაწყვეტილი გვაქვს უკვე ყველაფერი და ველარ მოვასწარი, შენთვის მეთქვა-მეთქი. გადაირია, მომიყვანე ბებო აგერ, ერთად დამანახეთ თქვენი თავი, დაგლოცოთ მინდაო. რა მექნა? დავურეკე იმ ბიჭს, ავუხსენი ყველაფერი და ვთხოვე, ბებოსთან უნდა წამყვე-მეთქი. მეტყოდა უარს? არ მეტყოდა! ჰოდა, ჩემო მარიო, მივედით, გაშალა ბიძაჩემმა სუფრა, ატყდა რიგინი. რო მეგონა, კვდება ცუცა-მეთქი, არ მოვიდა ფერზე? ამ ჩემმა ვითომ საქმრომ რა ქნა, თუ იცი? წამოდგა შუა ქეიფის დროს და მე და მაიკომ გადავწყვიტეთ, დღესვე შევქმნათ ოჯახი და ცუცა ბებო დიდხანს აღარ ვალოდინოთო (ჰმ, ბებოც რომ გახდა უკვე!). დავკრიჭე კბილები, ავიქოჩრე, შემოვიხიე ტანზე ყველაფერი — მე უქორწილოდ არ გავთხოვდები-მეთქი, მაგრამ ვილამ გაცადა? ბიძაჩემმა — 2 კვირაში გადაგიხდით, ბიძია, ქორწილსო. ამ სულელმა კიდევ — არ ამალაპარაკო ახლა აქ და ხელახლა არ შემაბრუნებინო ბებიაშენი წინაპრებისკენო. აჰყვნენ ერთმანეთს და მართლა არ გამათხოვეს?!მერე გავიგე, რომ ვიდრე სუფრასთან დავსხდებოდით, ბიცოლაჩემს უკითხავს: კი მაგრამ, რა მოხდა, როგორ დაითანხმეო? ამას კიდევ, ოხვრით უთქვამს სიმართლე. ჰოდა, ბიცოლაჩემს უთქვამს, დამიჯერე ახლა მე შენ და მაგი თვითონ გავაბათ საკუთარ დაგებულ ხაფანგშიო“.

რად გინდა, ისედაც „სამთხვევ“ ადგილზე მწვდებიო (ვახო იზაზე მთელი ოცი სანტიმეტრით იყო დაბალი). ვახო ისე გააგიჟა ასეთმა დამცირებამ, რომ წამოხტა და მის თვალწინ ვენები გადაისერა. მეორე დღეს, როცა გონს მოეგო, უთხრეს, რომ იზამ უღალატა. იზა კი იმ დროს უკვე ოდესის გემში იჯდა და სატრფოსკენ მიიჩქაროდა. აბა�ა, ასეც ხდება. მაესტრო-21“.

მოწადინებული

„ჩემი ნაცნობი ორჯერ მოიტაცა შეყვარებულმა და ორჯერვე დააბრუნა მზრუნველმა მამიკომ. თან ისე მაგრად სცემა სასიძო, რომ გადააფიქრებინა „მის ხელში გატანჯული, საწყალი ბავშვის“ ცოლად შერთვა, მაგრამ ნურას უკაცრავად! ზუსტად ჩემ თვალწინ ამ „გატანჯულმა ბავშვმა“ თვალი ჰკიდა მანქანით მიმავალ სატრფოს, ხელი დაუქნია, გააჩერა, მანქანაში ჩაუჯდა და უყვირა: რას მიყურებ ცხვარივით, დროზე დაიძარი ახლა, ვიდრე მამაჩემი დაგვინახავს და ისევ შინ მიმაბრუნებსო! უნდოდა გათხოვება ადამიანს და რა ექნა?! თანაც, რა ენაღვლებოდა, უარეს შემთხვევაში, მამამისი ისევ საწყალ ბიჭს „დაზელდა“, რომელსაც ჯერ კიდევ დალურჯებული ჰქონდა ცალი თვალი. ორი კვირის შემდეგ კი ახალგამომცხვარმა პატარძალმა მგლოვიარე სახით შემომჩივლა: ეეეჰ! მესამედ მომიტაცა და იძულებული ვიყავი, დავრჩენილიყავიო. ჩემი თვალით მაინც არ მენახა, საწყალი ბიჭის თვალები, რომელიც შიშობდა, შავბნელი (ან თუნდაც კიდევ უფრო „დალურჯებული“) მომავლის გამო. მის ანაკონდა“.

შაკირა

„2 თვეა, გავთხოვდი. მეუღლემ თავის სოფელში რომ მიმიყვანა (ბაღდათის რაიონი, სოფელი ობჩა), დამხვდნენ მეუღლის 83 წლის ვერია ბებია და 3 თვის ლეკვი, სახელად — შაკირა. სტუმრები რომ მოდიოდნენ, ბებო გარეთ ხვდებოდა. ჰოდა, ერთ-ერთმა სტუმარმა ვერია ბებოს ჰკითხა: რა ჰქვია, ვერია, შენს რძალსო? ბებიამ გაიგონა, ძაღლს რა ჰქვიაო; არ დააყოვნა და უპასუხა: რა ჰქვია და შაკირაო. სტუმარს გაეცინა — რატომ მატყუებო? ბებიამაც აიჩემა — ასე ჰქვია და რა ვქნაო? მერე კი გაიგო, რაც მერქვა, მაგრამ ბებომ შაკირად გააცნო ჩემი თავი სტუმარს. აი, ეს მინდოდა მომეყოლა. გკოცნით ყველას“.

„შატალო“

„მარი, იქნებ „ჩამიფორთოჩკო“? მართალია, თემას არ ეხება, მაგრამ გულით მინდა გიამბოთ ერთი ამბავი, რაც VII კლასში ყოფნის დროს შემემთხვა. კლასი „შატალოზე“ წავედით — იმ დროს და იქ, სადაც რუსთაველი მანიაკი გოგონებს კლავდა. ჩვენი სამი კლასელი ბიჭი წავიდა და გვითხრეს, მოვალთო. ჩვენ ბორიალს განვაგრძობდით. გავიდა ნახევარი საათი. ეს ჩვენი კლასელი ბიჭები მოცვივდნენ და გვითხრეს, რომ კანაოს წააწყდნენ და ქვევით სისხლიანი ლეიბი, შავი კატა და თავის ქალა ნახეს. არ დავუჯერეთ, მაგრამ სანახავად მაინც გავყევით. თან ძალიან გვეშინოდა. სისხლიანი ლეიბი, მკვდარი კატა და თავის ქალა ჩვენც ვნახეთ. კარგად რომ დავაკვირდით, შევნიშნეთ, რომ გვირაბივით იყო გათხრილი, საიდანაც სანთლის შუქი გამოდიოდა. მერე რაღაც ხმაური გავიგონეთ და სასწრაფოდ დავტოვეთ იქაურობა. ალბათ დაუჯერებლად გეჩვენებათ, მაგრამ მართლა ასე იყო. პუპსიკა“.

„რას გვიშვრება სააკაშვილი?!“

„ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო აკვიატებული მაქვს ფრაზა — „რას გვიშვრება ეს სააკაშვილი?!“ ქუჩაში თუ ტალახია — რას გვიშვრება სააკაშვილი; ჩექმას თუ ქუსლი მოტყდა — რას გვიშვრება სააკაშვილი; ვაგონში თუ ჭყლეტაა — რას გვიშვრება სააკაშვილი; მეზობელს ძაღლმა უკბინა? — ნწუ, ნწუ, ნწუ (სინანულის გამომხატველი სახით თავს ვიქნევ), რას გვიშვრება ეს სააკაშვილი-მეთქი? ერთი სიტყვით, ყველაფერი, რაღა თქმა უნდა, სააკაშვილის ბრალია — ის, რომ ამ ბოლო დროს მეტისმეტად აცივდა და ისიც, რომ აცივდა თუ არა, ბებიაჩემს სახსრებში „ტეხს“. ჰოდა, გუშინ ჩემს მეზობელს უკვე მერამდენედ ჩავუშვი წყალი და რემონტი „მივულამაზე“ (ეს ერთი და სხვა მრავალი). ცოტა ხანში, როგორც მოსალოდნელი

მშვიდი, კეთილი და წარმატებული

„მარი, ჯერ სულ არ ბეჭდავდი და წინა ნომერში ჩემი სამივე მესიჯი გამოგიქვეყნებია. აჰ, რა საჭირო იყო... :) ამ კვირის თემის საშუალებით შანსი მეძლევა, მოგეფეროთ, მოგესიყვარულოთ... ალბათ, ამას ბევრი მოგწერს, მაგრამ ფაქტი — ფაქტია. ხელახლა დავიწყე ცხოვრება, როცა „გზავნილების“ ლამაზ ოჯახში უნებართვოდ შემოვიჭერი. აი, ასე! სახლში ვიჯექი მოწყენილი, არც მახათი მქონდა, საქმე რომ გამომენახა ჩემი თავისთვის და უცებ, დამასკუპდა მხარზე ჭინკა (ჭინკა იყო თუ ანგელოზი, ეგ ჯერ კიდევ საკითხავია) და მირჩია, „გზაში“ დამემესიჯებინა. :) წინათ სხვანაირი ვიყავი: საშინელი მელანქოლიკი, ყოველ 15 წამში ერთხელ თვითმკვლელობაზე ვფიქრობდი. ახლა სხვანაირად ვცხოვრობ. უფრო მშვიდი, კეთილი და წარმატებული (თფუ, თფუ, თვალი არ მეცეს) გავხდი. დღეს „მარშრუტკის“ მესაჭე ბიძიას, მგზავრმა ჩასვლისას, რკინის 1-ლარიანი მიაწოდა, მძღოლს კი ხელიდან გაუვარდა და მე მომხვდა თავში. აზრზე ვერ მოვედი, რა მოხდა, ვიდრე მძღოლმა, იმის ნაცვლად, რომ ბოდიში მოეხადა, — „სად წავიდა? რა იქნას?“ ძახილით ჩემს კალთაში დასვენებული ჩანთის ზედაპირზე არ მიაგნო თავის 1-ლარიანს, დაითრია და დამშვიდებულმა განაგრძო გზა. წინათ ასე რომ მომქცეოდა ვინმე, მაგარ სკანდალს „ავაგდებდი“, „მოსიარულე ნევროზი“ ვიყავი. არა, არა, აღარასოდეს ვიჩხუბებ (გარდა უკიდურესი შემთხვევისა). არც აქ, ამ ლამაზ სამყაროში და არც მის გარეთ. ცხოვრებაზე ვარ შეყვარებული, მარიამულისა და ყველა მგზავნელის წყალობით. მიყვარხართ, აბსოლუტურად ყველა! :) მამაცი თოჯინა“.



თითოეული ჩვენგანში ვენიერს ძლინავს და ერეკ დრო ვალის — ოდესმი ლმერთ.

იყო, კარზე კაკუნი გავიგონე. გავაღე და მეზობელმაც გამწარებული სახით მაცნობა — ისევ ჩამომივიდა წყალიო. მეც, ჩვეულებისამებრ, სინანულით გადავაქნიე თავი და თანაგრძნობით აღსავსე ხმით ვუპასუხე: აბა, აბა, კაცო, რას გვიშვრება ეს სააკაშვილიმეთქი? — ვაییი... ძლივს გავასწარი... ეჰ, რა მეზობელი დავკარგე?! არადა, მეზობელო კარისაო... ისე, ეგეც მაგარია, რა! რით ვერ დაიმახსოვრა, რომ არა აქვს აზრი ყოველკვირას ჭერის შეთეთრებას და რემონტის შელამაზებას? ხომ იცის, რომ მეორე დღეს მაინც წყალი უნდა ჩაუვიდეს? გამიგია, ასეთი გულმავიწყობა? რა უგულისყურო გახდა ეს ხალხი. ნწუ, ნწუ, ნწუ, რას გვიშვრება ეს სააკაშვილი?! პენსიონერი“.

გადარჩენილი

„მამაცი თოჯინასა და კამელიას ამბები რომ წავიკითხე, მეც გამახსენდა ჩემი ცხოვრების ერთი შავბნელი დღე. ყველაფერი იმის ბრალია, რომ ოდესღაც ქებული ყვითელი ავტობუსის საფეხურზე ჩემდა სავალალოდ, რაღაც რკინა იყო ამოწეული. სწორედ ამ რკინას წამოედო წინადღეს ნაყიდი ჩემი 11-სანტიმეტრიანი ფეხსაცმლის ქუსლი და... რამდენიმე წამის შემდეგ ჩემი „შპილკების“ ორივე ქუსლი ერთ ხელში მეჭირა, მეორეში კი — მობილური და მამაჩემს ვურეკავდი კატეგორიული მოთხოვნით, მოსულიყო მანქანით და შინ მივეყვანე. მერე, რადგან გაჩერებაზე ხალხი იდგა და ინტერესით მათვალიერებდა, როგორც იმწუთას კისრის მოტეხას გადარჩენილს, ცოტა მოშორებით გავედი და... მაშინ დაიწყო, რაც დაიწყო. 5 წუთში ხუთმა მანქანამ გააჩერა, მამრობითი სქესის წარმომადგენლებით სავსემ. გულის შეტევას მეორედ გადავურჩი. როგორც იქნა, მოვიდა მამაჩემი და რომ დაინახა, სად ველოდებოდი, ისე გაბრაზდაააა! მაგრამ არ მითხრა, რატომ. მესამედ — მამაჩემის რისხვას გადავურჩი. თარსი დღე იყო, რაااა! მის ანაკონდა“.

ვისია „ტრუსიკი“?

„ჩემმა დაქალმა სარეცხი ჩამოხსნა თოკიდან და ერთი ძვირფასი საწმერთული აივნიდან გადაუვარდა. ადრე აზღუდი ჩაუვარდა და მერე ძაღლები მანამ დაათრევდნენ წითელი ალამივით, აქეთ-იქით, სანამ სულ არ დაანაკუწეს. არ უნდოდა, ამასაც იგივე ხვედრი რგებოდა წილად, ამიტომ ეზოში რომ ჩავიდა (ქალაქში მიდიოდა), აიღო და ჩანთაში ჩაიდო. მერე მთელი დღე აქეთური-იქითური, რამერუმე... და დღის ბოლოს მეც შემომიარეს სამსახურში, ძმაკაცის მანქანით. მოკლედ, დილით ურეკავს ეს ძმაკაცი და ეუბნება — ჩემს მანქანაში „ტრუსიკი“ გდია და ხომ არ იცი, საიდანო? ამასაც გაახსენდა და იკივლა, ჩემიაო. არადა, წარმოიდგინეთ, მანქანაში ცოტა მოგრძო და ქერა თმის ბეწვი რომ უსიამოვნებას ვერ გადაურჩება შინ და ახლა, არც მეტი, არც ნაკლები — საწმერთული? კიდეც გადაასახლებდნენ საქართველოდან. აბაა!“

მოსკოველი

„1 წელია, რაც საქართველოში ჩამოვედი. ჰოოოდა, მოსკოვურ წეს-ჩვეულებებს შეჩვეულ ქალს, მომიწია თბილისის წეს-ჩვეულებებს შევჩვეოდი. უიი, როგორ გამიჭირდა თავიდაან... თბილისი ჩემი ოცნების ქალაქი იყო, სულ იმას ვოცნებობდი, თბილისში მესწავლა. ჰოდა, ამიხდა სურვილი (მადლობა პუტინს!), მაგრამ აქ ჩამოსულმა ისე უცხოდ ვიგრძენი თავი, თითქოს ხელახლა ვიწყებდი ცხოვრებას. ახალი სასწავლებელი, ახალი კურსელები, ახალი ნაცნობები, ახალი სახლი, ყველაფერი ახალი. მე კი ყველაფერი ძველი მენატრებოდა. ბოლოს, შევეჩვიე თბილისურ ცხოვრებას. ბევრსაც დავუმეგობრდი და რაც მთავარია, „მარშრუტკით“ მგზავრობას მივეჩვიე, მძღოლ-

კიდევ სცადეთ!

„მაარ, შენი ორიგინალური იდეა, ჩარჩოში ჩაგესვა საუკეთესო გზავნილები, ძაან მაგარია! „პროსტა“ ფანტასტიკა! :) და იცი, რატომ? ამით შენ სტიმულს აძლევ ყველა მგზავნელს და მათ შორის — მეც-იმით რომ — ზოგიერთი აბდაუბდა და დაუწყობელი აზრი, რაც კი თავში მოგვივა, არ გამოგიგზავნოთ და არ დავანაგვიანოთ შენი საბრძანებელი (ეგრეთ წოდებული „მაილ-ბოქსი“) — ჯანსაღ კონკურენციას ჩაუყარე საფუძველი, სადაც ჩარჩოს „დასაპყრობად“ გამორჩეული მგზავნელები იბრძოლებენ, მათ შორის მხოლოდ რამდენიმე გაიმარჯვებს და ელირსება „გზის“ დედოფლის, მარიამ ჯაფარიძის დაფნის ფოთლის გვირგვინის თანამედროვე ვარიანტს, „მის უდიდებულესობა“ ჩარჩოს! რას ითხოვს მისი „უგზავნილესობა“, მარი, მგზავნელი რაინდებისაგან? ამბიცია დამანახვეთო — გვეუბნება ჯაფარიძის ძლაბი; დამანახვეთ, რომ თქვენც შეგიძლიათ კალმის ლირსეულად ცვეთა და თქვენი ტვინის ნაცრისფერი უჯრედებიც მოძრაობს, 220 კმ/სთ სიჩქარით და 180 გრადუსითო. გახდი საუკეთესოთა შორის საუკეთესო! ხოლო მას, ვინც საერთოდ ვერ მოხვდება „გზის“ გვერდებზე, მოვუწოდებთ: „კიდევ სცადეთ“ ან „წერეთ, წერეთ, მგზავნელებო, წერეთ სიგრძივ-სიგანით, თუ ჟურნალში ვერ მოხვდებით, ბეჭდვას მაინც ისწავლით“. წინ, მამაცო რაინდებო და ასულებო, კალმით აიღეთ ჯაფარიძის „გზის“ ქაჯეთის ციხე. მიჰბაძეთ, ჩვენს სახელოვან „გულის პრინცესას“, კარდიოლოგს. მოკლედ, ბევრი რომ არ ვილაქლაქო, ბრძოლა ჩარჩოსთვის დაიიიწყოოოოოო! ლიმონა-მანიუ“.

საც გაბედულად ვეუბნები, გამიჩერე-მეთქი. :-) თავიდან ხმის კანკალით ვამბობდი. გკოცნით ყველას. კნუტი“.

„გაკვანძული“

„იმ ავარიის დროს, რომლის შესახებაც თქვენს ჟურნალში წერია, ერთი სტუდენტი გადარჩენილა. ეგეც შენი ახალი სიცოცხლე. მე მშვენივრად მესმის მისი. ახალი სიცოცხლე დავიწყე მაშინ, როცა ჩემმა უფროსმა ხალხის წყალობით გადავრჩი და „გაღმა“ არ გავედი“.

წკაპუნა

„მარ, რატომ გააუქმე „საჩივრის სვეტი“? სულერთია, ჩემს დას მაინც უნდა ვუჩივლო. თუ ახლაც ვერ გაიგო, მაშინ მართლა მოვალანდებ სტრასბურგს. ენა არ ვიცი თუ რა?! ზურიკელა ვაშალომიძის ბაბუასავით, სულ ხელებით ავუხსნი მოსამართლეს ჩემს გასაჭირს.

პანაშვიდის რეპეტიცია

„ქორწილი, ქორწილი... ეჰ, არაფერი მახსენდება და მირტყით, თუ გინდათ... ااا, დაკრძალვა კი, იცოცხლე! იძულებითი არა, მაგრამ ნებაყოფლობითი ნამდვილად გამიგონია (ახლა მეტყვი, სად გინახავს, მკვდარი „არ მინდას“ ძახილით დაეკრძალოთო?), მაგრამ... ერთი მეზობელი მყავს. რაც 75-ს გადააბიჯა, მას მერე ჩემოდნების ჩალაგება დაიწყო, იმ ქვეყნად გასამგზავრებლად. მართლა, მართლა! ალაგებს და ალაგებს! ქეთინო, „კარაკულის“ ქურქი მომიტანე, ნარგიზა, სადაა ჩემი „ფრანცუსკებიიი“? და ა.შ. მერამდენედ შეცვალა პანაშვიდის რეპერტუარი, ალარც მახსოვს. სულ ჩამოწერილი აქვს, ვინ ვის შემდეგ უნდა იტიროს და რა მუსიკით უნდა გააცილონ. იმ დღეს ვილაცამ უთხრა, მეზობლის მიცვალებულის ჭირისუფალს, მოძღვარმა საფლავში არაფრის ჩატანების უფლება არ მისცაო და ისეთი ამბავი ატეხაااა... მოძღვარს სულ ჯოჯოხეთის მოციქული ეძახა. თან საქმე რა არის იცით? იმდენი ბარგი აქვს, თავის შვილს ეჩალიჩებოდა გუშინ, „სპეცკუბო“ დაამზადებინე, რამე თუ დამრჩა აქ, იმ ქვეყნად ვერ მოვისვენებ და ღამე სიზმრები გაგტანჯავსო. მე რა მაშინებს, იცით? ემანდ, ღმერთი არ გაუწყრეს და პანაშვიდის რეპეტიცია არ მოინდომოს. 2 წელია, მაბამს, შენ უნდა მიტიროო. გულში კი ვფიქრობ: მანამდე არაფერი ჭამა ბოკერია-ნადირაძემეთქი, მაგრაამ თუ გამაჩეჩინა თმაااა... ااا, მერე ნახეთ ჩემი გასაჭირი. ილინი“.

მეგობარმა, 11 წლის წინ ლურჯ მონასტერში მიმიყვანა და გამაცნო მაშინდელი იქ მოღვაწე მოძღვარი, მამა ზაქარია. მაშინ დავრწმუნდი, რომ ამქვეყნად არის ღმერთი. მანამდე ღმერთის არ მწამდა და სულ სხვაგვარად ვუყურებდი ცხოვრებას. კიდევ მაშინ დავიწყე ახალი ცხოვრება, როცა ცურვის დროს ფეხი „გამეკვანძა“ და ჩაძირვა დავიწყე. ღმერთმა დაიფაროს ყველა და არავის არ გამოაცდევინოს. ერთ წამში გამირბინა მთელმა ცხოვრებამ თვალწინ. სიკვდილს ჩავხედე თვალებში. კეთილი :) მოკლედ, ამ ბოლო დროს, ძალიან ბევრს ვმესიჯობ. დილის 6.30-დან რომ ვიწყებ, შუაღამემდე ა(ვე)რ ვჩერდები. საბანში ვარ გახვეული და მაინც ესმის წკაპუნი. სულ მემუქრება, აივანზე გაგასახლებო. ზაფხული მაინც იყოს, ჩემით გავიდოდი. :(რა ჩემი ბრალია, თუ თვითონ დაწოლისას თვალების დახუჭვა ავიწყდება? მერე უკვირს, რატომ ვერ ვიძინებ ან თვალები რატომ „მეყინებაო“?. :) თან მთელი წელი მემუქრება, უნდა გაგათხოვოო. აი, ასე ილახება დემოკრატიულობის ეტალონ(!) ქვეყანაში ნაღდი ევროპელის უფლებები! დაიკო, ბამბა არ გიცდია? :) გენაცვალე, ცხვირში. მაგარი „პრიკოლი“ ხარ. პარიჟანკა“.

მისტერ „გულის ვარდი“

„ჩემი თავიდან დაწყებული ცხოვრება ის იყო, ამ ზაფხულს ზღვიდან რომ ჩამოვედი შეყვარებულს დაშორებული და ცხოვრება აღარ მინდოდა. თუმცა, ჩემმა ნათესავმა რომ გაიგო, რომ ჩემი ექსგულის ვარდი პოლიციელი იყო, ასე მითხრა: მადლობა ღმერთს, რომ დაშორდი, შვილო, შენ არ იცი, რა ნერვების ფასად დაგიჯდებოდა, მისი ცოლობაო. :) მერე მეგობრებმაც შემიფუცხუნეს და ქე დავიწყე ახალი ცხოვრება, მისტერ გულის ვარდის გარეშე, მაგრამ უსიყვარულოდაც. ამ ახალ ცხოვრებაში კი ძალიან დიდი ადგილი დაიჭირეს მგზავნელებმა. ილინი, შეწირული, მეგრელი მგელო, კანიბალკა, მონასტრის ბიჭი, ბაჭია, ნელკა, ბოა და სესი ის ადამიანები არიან, ვინც უფრო ახლოს გავიცანი. ილინი ჩემი პაწაწუნა შვილიკოა და ძალიან მიკალს. არა, მე ყველა მგზავნელი მიყვარს, მაგრამ ისინი — განსაკუთრებულად. მინდა პენსიონერს ვუთხრა, რომ ილინი არაა „მეექვსელი“ ჟურნალისტი. მე კი დავამთავრე უკვე „მეექვსე“ და ალბათ მაინც არ გეცოდინები. ისე, მიხარია, რომ აქ ბევრი კოლეგა მყოლია. მგლის და“.

წინანდლელი პიკული და ჯექსონა

„გამარჯობა, მარიკუნა. ძალიან მიხარია, რომ შენისთანა ადამიანები დადიან ამქვეყნად და იცი, რატომ? იმიტომ, რომ შენ ხარ „გზავნილების“ ავტორი. ყოველ ხუთშაბათს დიდი გულისფართხალით ველოდები, მაგრამ არასოდეს მომიწერია რატომღაც. ჰოოოდა, გუშინ ვთქვი: როდემდე და სადამდე შეიძლება სხვის ხარჯზე ვიცინო-მეთქი და გადავწყვიტე, მეც მოგწერო. იმედია, „სახეგაბადრულს“ არ დამტოვებ. დებიუტი მაქვს და არ მინდა, უკუაგდო ჩემი წერილი. ახლა

ჩემს ამბავს მოგიყვებით: ერთხელ, სოფელში წასვლა გადავწყვიტე. ბებომ წინადღეს დამირეკა, მეზობელ უბანში მიცვალებულია, ხვალ ასაფლავებენ და დღის 2-3 საათის მერე ჩამოდიო. დილით კორტებზე წავედი, კარგად ვივარჯიშე, ვითამაშე და იქიდან ბარგაკიდებული წინანდლისკენ გავეშურე. ჩოგნით და მოზრდილი სპორტული ჩანთით ხელში მივადექი ჩემი სახლის ჭიშკარს, მაგრამ მოდიოდა, ვიფიქრე, მიტინგი ხომ არ იწყება-მეთქი. ავდექი და ეს ჩემი ჩანთა და ჩოგანი ეზოში გადავყარე. მერე ქურდულად დავზვერე უბნის ქვედა და ზედა მხარე და როცა დავრწმუნდი, რომ კაციშვილი არ ჭაჭანებდა, ამ ჩემს ჭეშკარს შემოვახტი და გადაძრომა დავიწყე. ნახევრად გადასული ვიყავი და თავი უკვე სამშვიდობოს მეგონა, რომ ჩემმა ჯექსონმა (ძაღლს მეტისმეტი სიშავისთვის შევარქვი) ისეთი ამბავი ატეხაااა... არნახული! ისეთ დღეში ჩავარდა, ვიფიქრე, რომ ჩავიდე, ჩემი თმის ღერიც აღარ დარჩება-მეთქი. ჰოდა, ჭიშკარზე გადამჯდარი, ასე, არსენა მარაბდელივით, რომელიც ცხენზე შემჯდარი თავს იწონებდა, გავშეშდი. ველარც გადავდივარ, ველარც გადმოვდივარ... ყველა სიკეთესთან ერთად, ხალხის ახალი ნაკადიც შევნიშნე. სხვა გზა არ იყო. თავი შევიმაგრე და ჯექსონის კლანჭებში ჩავარდნა ვამჯობინე. ერთი მივეფერ-მოვეფერე ჩემს ჯექსონიკოს და ცოტა დამშვიდდა, მაგრამ მთავარი ის იყო, რომ ქელეხში ჩემი ბებიაც მისულა და იქ უთქვამთ, თქვენს ეზოში ვიღაც გადახტაო. ბებოს გული გახეთქია, ალბათ ქურდიაო და სახლში „ჯარით" მომადგა. მას მერე ორი თვე გავიდა და ისე ვარ, სოფლისკენ გახედვა

ვაიმე, ბედო, უკუღმართოო! ბებო ჯერ ისევ წასული იყო და კარს იმხელა ბოქლომი ედო, ვიფიქრე, სახლი ალბათ „სპეცნაზმა" დააყადაღა-მეთქი. დიდ გასაჭირში აღმოვჩნდი, ალტერნატივა უნდა მომეძებნა, მაგრამ რა? ჩვენი ქუჩა თითქმის ცენტრალურ ქუჩად მიიჩნევა და ესეც რომ არა, ხალხი ქელეხისკენ მიიჩქარის, „ჩერეზ" ჩემი ქუჩის გავლით. იმდენი ხალხი მოვიდა, ვიფიქრე, ალბათ ბებოს ეზოში ბინა ეყიდა-მეთქი. ბებოს ეზოში ბინა ეყიდა-მეთქი. ეს ამბავი

შევეტენე ავტობუსში, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით. როგორც კი გავიფიქრე, უკვე მყარად დავდექი ცალ ფეხზე-მეთქი, მძღოლმა ისე მოხია, რომ თავით წავედი ვიღაც ქალბატონისკენ. ჰაერში კი ჯერ ჩემმა ჩანთამ მოხაზა წრე, მერე „გზაც“ მიჰყვა, ნავარდით. „ექსკურსიის“ შედეგად, ორივე ვიღაც ტიპთან მოხვდა. „მადლობა-არაფრის“ ცერემონიის შემდეგ, ადგილიც დავითრიე და მომდევნო თემაზე გწერთ. უსიყვარულოდ ჩაიარა ჩემი სიცოცხლის 18-მა წელმა. არ ჩამოდგა ჩემი სიყვარულის მატარებელი და რა ვქნა? რა ჩემი ბრალია, ქვის გული რომ მაქვს, მარა რადგან 18 წლის ვარ, დაველოდები კიდევ პაწა ხანს, რა თქმა უნდა, თუ ამ ცხოვრებამ დამაცადა. ამ პრობლემის გადასაჭრელად, მე და ჩემმა დაქალმა ბეჭდები გავცვალეთ. გვითხრეს, საბედო დაგესიზმრებათო. კიი, დამესიზმრა, მაგრამ თუ იცით, ვინ? ვინ და ჯონდი, თანაც — ბაღათურია. ამაში რომ ბედი არ მაქვს, ეგეც მიშას ბრალია. ჰოდა, რას გეუბნებით... თუ სადმე ჩემს სიყვარულს იპოვით, არ დაიზაროთ, გზა მიასწავლეთ და ლიმონასკენ გამოუშვით! P.S. ოღონდ ჯონდი არა... ლიმონა-მანიუ“.

კარდიოლოგი მიდის

„გამარჯობა, მარი. ალბათ მე ერთადერთი მგზავნელი ვარ, ვისაც გაუხარდა, რომ მისი გზავნილი არ დაიბეჭდა. ახლა რკინიგზის საავადმყოფოში ვარ, თერაპიის კურაციას გავდივართ ლექტორთან, რომელიც ორიოდე კვირის წინ იმ ჯგუფის ბავშვებს ასწავლიდა, ტრაგიკულად რომ დაიღუპნენ... ყველა ჩვენი ამხანაგი იყო, უნიჭიერესები და კეთილშობილები. მათზე წარსულში ვლაპარაკობთ უკვე, რის გამოც არ ვცდილობთ და ვერც ვახერხებთ ცრემლის შეკავებას. ამ ამბის შემდეგ მე ვეღარ შევძლებ მხიარული გზავნილების გამოგზავნას. ამიტომ დღეიდან დაგემშვიდობებით. თეო, კანიბალკა, ფინტიკოზა, ლეო, პენსიონერო, ილინ, კამელია, ტაის, ლილუ, პოეზიის დედოფალო, ლელუჩი, ელისო, მამაცო თოჯინა, პარიჟანკა, მონასტრის ბიჭო, ნელკა, მესიჯომანო, წარმატებებს და მხიარულ დღეებს გისურვებთ, გულწრფელად. მშვიდობით. კარდიოლოგი“.

დაწუნებული სასიძო

„თურქეთში ჩასვლის მეორე დღეს, თავზე ჩემი კარის მეზობელი ბიჭის დედა და და დაგვადგნენ, კალათით ხელში (როგორც მოგვიანებით გავიგე, ჩემს დასანიშნად). ჯერ ორჯერ უნდა გადაკოცნოო, მერე ამ ქალმა ხელი გამომიწოდა. თურმე წესია, უფროსს ხელზე უნდა აკოცო და მე რა ჯანდაბა ვიცოდი?! ვუყურებ, რას მაჩვენებს ეს ქალი-მეთქი? მოკლედ, მოვეწონე სარძლოდ სადედამთილოს, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადე და ლამის გავყარე. ეჰ, იქნებ გავყოლოდი და ხელახლა დამეწყო ცხოვრება, თურქის ბიჭთან ერთად? :(პაწია“.

მომღერალი მამამთილი

„ჩემს მამამთილს ძალიან უყვარს ქეიფი და სიმღერა. მისი ნამღერი ფრიად სასიამოვნო მოსასმენია. შეუძლია, მთელი ღამე იმღეროს და არც თვითონ დაიძინოს და არც სხვა დააძინოს. რეპერტუარს თვითონ ირჩევს და ახალ სიმღერებსაც წერს. ერთხელ მთვრალი მოვიდა და ჭიშკარი ვერ იცნო, რადგან იმ დღეს სხვა ფერად შევღებეთ. ამიტომ ჩვენი „მომღერალი“, სხვა ქუჩაზე წავიდა და ისევ მობრუნდა. შემდეგ ისევ წავიდა და თან მღეროდა: ეს ახალი ჭიშკარი, მგონი ვეღარ ვიცანი, საყვარელო, ჩემო დედიი! ბედად, მე-5 „კრუგზე“ მეზობლის კაცმა შენიშნა მისი უთავბოლო ტრიალი და მოიყვანა სახლში, სიმღერით დაღლილი და ტვინარეული. გერასიმე“.

დანგრეული ჯონდი

„ამ თემამ ერთი კაცი გამახსენა, რომელიც სოფელ ენისელში ცხოვრობს. მას „დანგრეული ჯონდი“ ჰქვია და ოთხჯერ დაიწყო ახალი ცხოვრება. ერთხელ, ხიდზე ველოსიპედით მიდიოდა და ელექტრობოძს შეასკდა. იმ დროს ფეხი მოიტეხა. მეორედ, ისევ ხიდზე, მანქანამ დაარტყა და ტვინის შერყევა აიკიდა. მესამედ — ხიდან ჩამოვარდა და ხელი მოიტეხა. მშობლები ერთი თვე არსად უშვებდნენ და მეოთხედ დენმა დაარტყა, როცა ტელევიზორს შლიდა. ეს ყველაფერი სინამდვილეა. ახლა ჯონდი პაპა 68 წლისაა. მრ.გ „თ“.ა“.

ახალი დედა

„ქუჩაში ხუთიოდე წლის ბავშვმა გამიღიმა. მეც მივეფერე, მან კი თანმხლებ მამაკაცს სახელოზე მოქაჩა და უთხრა: მა, არ შეიძლება, ეს ლამაზი დეიდა ჩემი დედიკო იყოს და შინ წავიყვანოთო? რამდენიმე დღის შემდეგ ამ ბავშვს ისევ გადავეყარე. მანაც არ დააყოვნა და ქალს (ვისაც ბავშვი მიჰყავდა), ჩემზე მიუთითა: დე, ეს დეიდა მოგვეწონა მე და მამას, ახალ დედადო. ამბის გაგრძელება კი უკომენტაროდ... ვალენტინა“.

ახლა კი მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

ნეტავ, ქმარუკამ არ წაიკითხოს

„სკაიპში“ მიწერია, სიყვარული არ არსებობს და ნურავინ შემომედავებითმეთქი. ამაზე გუშინ ნახევარმა თბილისმა მაგინა, როგორ არ არსებობსო?! :) გოგონები მლანძღავდნენ, ბიჭები კი მეუბნებოდნენ, გაიხარე, ჯიგარი ხარო. ვაჰ, კაცო, „ნეუჟელი“ მამრი ვარ და ვერ ვხვდები? არა? ჰმ, მაშ საიდან, ასეთი „კაცური“ აზრები? :) მაშ, ასეა, ასეე! ილინი“.

„ვაუ! ხელახლა ცხოვრება მაშინ დავიწყე, როცა „გზა“ ხელში ავიღე. მგზავნელებში ჩემი მეორე ცხოვრებაა. ყველა მგზავნელს ჩემს ახლობლად მივიჩნევ, მათი სიხარული მიხარია, როცა ჩხუბობენ, გული მტკივა. კვირიდან კვირამდე ვითვლი დღეებს, რომ კვლავ დაგიბრუნდეთ. თუმცა, ისედაც სულ თქვენთან ვარ, ფიქრებით.

ჩემს მოწყენილ, ერთფეროვან ცხოვრებას მგზავნელები მიხალისებენ. მართალია, მეგობრობა შევთავაზე და ყურიც არ მიგდეს, მაგრამ მაინც ძალიან მიყვარხართ ყველა. გიბრუნდებით და ვეცდები, აღარ დავიკარგო. მონატრებული ამალთეა".

„აუ, რა მაგარია, როცა შენს მესიჯს კითხულობ! უი, თემას რომ დავხედე, ჩემი მასწავლებელი გამახსენდა — ალბათ ახლა იწყებს ცხოვრებას თავიდან. 65 წლისაა და გუშინ მოკლე, ტანზე მოტკეცილი ლიკრის ბრიჯები ეცვა და მთელი ავლაბარი „მოჰქონდა", თანაც, დაახლოებით 120 კილოა. ეჰ, ალბათ სიცოცხლის მუღამზე მოვიდა. მეტიჩარა".

„რამდენჯერაც ცხოვრების ხელახლა დაწყება დავაპირე, იმდენჯერ უარესში ვდურთე თავი. არადა, ძაან საკალელივარ. ჰოოდა, ამ ცხოვრების ხელახლა დაწყების იმედით, ორი ქმარი ვანებივრე ჩემს მკლავებში, მაგრამ არ შეიფერეს და რა ჩემი ბრალია? ამიტომაც ღმერთი სამობითაო და მესამედაც ვცდი. თუ ამჯერადაც არ გაამართლა, მერე... მერე... მართლა, რა უნდა ვქნა მერე? ღმერთო, დამეხმარე... ქეთი".

„ბებიაჩემი 14 წლის, ბაბუა კი 18-ის იყო, რომ დაქორწინდნენ. ბებია უკვე 12 წელია, გარდაიცვალა, მაგრამ ბაბუაჩემმა ვერ შეძლო ცხოვრების ხელახლა დაწყება. დღემდე მისტირის თავის გარდაცვლილ პირველ სიყვარულს, როგორც თითონ უწოდებს. ამის მერე როგორ დავიჯერო, რომ სიყვარული არ არსებობს? ყოველ საღამოს ცოლის სურათთან ტირის. პაწია".

„აუ, მარ, ძაან ორიგინალური აზრები გაქვს, მშვენიერი იდეაა. მე პირადად, ძალიან მომწონს. ჰო, იმ ადამიანს ვეხმიანები, ჭერიდან ძლივს რომ ჩამოხსნეს. :-) აუ, მეც ჭიათურელი ვარ. ძალიან მაინტერესებ, ვინ ხარ და თუ ვინმეა აქ ჭიათურელი, შემეხმიანეთ. მუზკა".

„პენსიონერს ვეთანხმები. სანამ ჩვენთან შემოხვალთ, კართან ფეხები გაიწმინდეთ და ცუდი თვისებებიც დატოვეთ. :) წასვლისას კი წაიღეთ, მაგრამ არა მგონია, წასვლა მოგინდეთ. ილინი".

„ხელახლა? ე.ი. სუუულ თავიდან, არა? არაა, არ გამოვა მაი ამბავი! თავიდან ნაღდად ვერაფერს დავიწყებ! ჰმ, რა გაუძლებს დედაჩემს: ეს ლუკმაც შეჭამე, თორემ ეწყინება ბესო ძიას და ამოგაჭრის მაკრატლით გლანდებსო... ჟურნალში თავკომბალები უდევს ლალი მასწავლებელსო. ჯერ ყოველდღე ბებიაჩემის სათვალის დასამალავად ახალ-ახალი ადგილის პოვნა არ გინდა? მეერე, დედაჩემის კივილს — „ელენე, ამოდი ახლავე" — უსმინე! კუტო ძიას თივასაც ცეცხლი უნდა მოვუკიდო, მის ქათმებს ბუმბულები „დავაპტკვნა"... მერე, დარიკო ბაბოს მატლიან ბალს ჭამა არ უნდა? :) ჭიაკოკონაზე ხტუნვა და... ააარა, გენაცვალე, რაღა დროს ჩემი ეგეთებია? ილინი".

„მე ყოველდღე ხელახლა ვიწყებ ცხოვრებას, მაგრამ ისევ ძველით ვცხოვრობ. ველური ყვავილი".

„აუ მარ, არც კი ვიცი, როგორ გამოვხატო ჩემი სიხარული. ჟურნალი გადავშალე და ჩემი გზავნილი ჩარჩოში არ არის? შენ ჩვენი ცხოვრება ძალიან შეცვალე. ყოველ ხუთშაბათს მოუთმენლად ველი, არა მარტო იმიტომ, რომ ჩემი ნაცოდვილარი „გზის" ფურცლებზე ვნახო, არამედ იმიტომ, რომ სხვის სიხარულსა და ტკივილსაც ვიგებ, მათთან ერთად მიხარია მათი სიხარული და განვიცდი მათ წუხილს და ეს ყველაფერი შენი დამსახურებაა. დიდი მადლობა, რომ არსებობთ და ჩვენც გვიხალისებთ ცხოვრებას. რაც შეეხება თემას, დარწმუნებული ვარ, რომ ჩემსავით ბევრმა ადამიანმა დაიწყო ხელახლა ცხოვრება მაშინ, როცა „გზავნილებში" „თავით გადაეშვა" და შენ მიერ შექმნილი სამყარო შეიცნო. მანამდე ხომ ჩემი ცხოვრება ერთფეროვანი იყო: სკოლა — სახლი, სახლი — სკოლა. აბა, ჰე, გკოცნით ყველას. პუმა".

„ყოველთვის, როცა გერასიმეს მესიჯებს ვკითხულობ, გული მითბება. ის ისეთი სევდიანია, ისეთი საყვარელი... ძალიან მიყვარს ეს ადამიანი, ძალიან. ბაჭია".

„მგზავნელებო, მუხიანში ვინც ცხოვრობს, გამომეხმაურეთ. თუ 3-ზე მეტი შევგროვდით, ჩორი-ჩორი კაპიტანი იქნება. რას იტყვით? მარიკუდა, გენაცვალე, მაგარი აზრები მოგდის, მაგ ტვინიკოსა თავში".

„ახლა ჩემს ამბავს გეტყვით: 3 წლის ვიყავი, მამამ რომ მიგვატოვა მე და დედა. იმის მერე ვიზრდები და ბევრ ცუდს ვაწყდები. რაც ძალიან მაწუხებს. 15 წლის ვიყავი, გოგომ წამიყვანა სახლიდან და 4 დღე დანის მუქარის ქვეშ დავყავდი. ოთხი დღის შემდეგ სულ უცხო ადამიანის დახმარებით გამოვექეცი. მილიცია და მთელი ამბები იყო ჩარეული. მერე ისე მოხდა, რომ მომიტაცა ბიჭმა. ძალიან ვუყვარდი, მაგრამ ბიჭის ოჯახის წევრებმა იმდენი ქნეს, დაგვაშორეს ერთმანეთს და მე სახლში დავბრუნდი. რატომ მოვყევი, გეტყვით: ახლა მიყვარს ბიჭი და მან არ იცის ეს ამბები. რომ ვუთხრა, დავკარგავ. მე კი ცხოვრების თავიდან დაწყება მინდა. თამუნა".

„პრივეტიკი", როგორ ხართ? მყავს შეყვარებული. მე მიყვარს და მშობლებს (როგორც ყოველთვის ხდება) — არა. ვაპირებ გაპარვას... ჰოდა, რომ მომკლავენ მშობლები, დავიწყებ ხელახლა ცხოვრებას".

„მარ, მაგარი იდეაა. პენსიონერი, ილინი, ვირუსა-89 და მე უნივერსიტეტ-



ში შევქმნით „მგზავნელთა კლუბს“. უნივერსიტეტელებო, შემოგვიერთდით! ნინიქოქი“.

„ვა, მარ, რა მაგარი ხარ, შენს ახალ „იდეუჩკებთან“ ერთად! მართალია, ჩემი მესიჯი არ გაალამაზე შენი ჩარჩოთი, მაგრამ მაინც გამიხარდა, რომ დაბეჭდე და პირდაპირ „არქივში“ არ გაგზავნე. აბა, რას იტყვით, გავხსნათ ჭავჭავაძის უნივერსიტეტის VIP-კლუბი? დავიჯერო, იქიდან არავინ ამესიჯებს? გელოდებით. ქეი“.

„ხელახლა დავიწყე ცხოვრება, როდესაც ჩემი დაქორწინებული შეყვარებული ისევ გვერდზე ამოვიყენე, მაგრამ ეს ხომ გულმა გამაკეთებინა? გულმა, რომელიც მასსავით ვერასოდეს ვერავის შეიყვარებს. არ მაინტერესებს, ვინ რას იფიქრებს. სიყვარულს ვერავინ დამიშლის — მისი ცოლი და ჩემი ქმარიც კი. ასე სჯობია, ვიდრე ათეული წლის მერე სინანული. პაწკუ“.

VIP-კლუბები მაგარი იდეაა. მოდი, ვინც ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ვსწავლობთ, ჩამოვაყალიბოთ თსუ-ის კლუბი. მერე კი ყველა კლუბში შევხვდეთ. მოკლედ, ვისაც მართლა გინდათ, შევხვდეთ ხვალ, ანუ პარასკევს, 14 დეკემბერს, 4 საათზე, პირველი კორპუსის ეზოში, (წყალთან). გკოცნით, ლელუჩია“.

„მარი, შენ უმაგრესი მეგობარი ხარ, მესიჯი რომ დამიბეჭდე და საჩუქრად უმაგრესად უნდა გაცინო. ჩემი მაზლისცოლი და მე წინასაარჩევნო ცხელებაზე ვსაუბრობდით. ის მეკითხება: „შენ ვის აძლევ, პატარკაციშვილს?“ უნებლიე ქვეტექსტმა გამაცინა. მან კი გააგრძელა: „მე გაჩეჩილაძეს უნდა მივცე...“ ჩემმა მაზლმაც ღიმილით დაუდასტურა: „მიეცი, მიეცი...“ შერიფის ცოლი“.

„ესე იგი, ბიძაშვილი მყავს, ნაღდი „ანტიკვარი“. 5 წლის ბიჭია. იმ დღეს სტუმრად მივედი, რაღაცას მიყვებოდა და ბოლოს თქვა: არა, ის კი ვიცი, რომ ბავშვები მუცლიდან ჩნდებიან, მაგრამ იქ რაფერ შედიან, ეგ ჯერ ვერ გამირკვევიაო. ჭრიჭინა“.

„შეყვარებული მყავდა, რომ მომიტაცეს და 10 წუთში უკან წამოვედი. მერე გადავწყვიტე, ცხოვრების ჩვეულებრივად გაგრძელება, მაგრამ ეს ჩემი მომტაცებელი შემოეჭრა ჩემს შეყვარებულს და „სროკზე“ გაუშვეს. იქ ცოლი მოიყვანა და ორივემ ხელახლა დავიწყეთ ცხოვრება. ვნახოთ, რა იქნება 10 წლის მერე. პაწია“.

„ოლეგარიოოო! რომ იცოდე, რა მემართება შენს მესიჯებზეეე... მეც მინდა შენნაირი ქმარი. :) არა, მართლა, „უძალიანმაგრესი“ ხარ, შემოგევლე :) და გაკოცეთ ყველას, ბევრებიიი! :) ტუსკა“.

„ვაუ, რა საჩემო თემაა! შეყვარებული მყავს, უკვე 2 წელია, მაგრამ ჩემებს უნდათ, სხვაზე გამათხოვონ. მომიტრიეს ვიღაც, კაცს მაინც ჰგავდეს. :) მაგრამ მალე ჩემს სიხარულს გავყვები და გადავრჩები იძულებით გათხოვებას. დიპლომიანი სარძლო“.

„მინდა ერთ ნაცნობზე გიამბოთ, რომელსაც ძალით „შეტენეს“ ცოლი, შეყვარებული რომ არ მოეყვანა. თან, რა ლოყებღაჟღაჟა გოგო! იძულებითი ქორწინება ჯერჯერობით კოწახურიანი ლობიოსავით დუღს. დიმიტრა“.

„მინდა, ყოფილ მეუღლეზე მოგწეროთ. ჩემი შვილის მამა გამოიჭირეს, თოკი მოაბეს და თავისკენ გაქაჩეს. ასე დააქორწინეს დათი. პუპსიკა“.

„რა იქნება, ჩემს მესიჯებს „გზის“ ფურცელზე მოხვედრა აღირსოთ? დამიბეჭდე, იქნებ მეღირსოს და გავსაღდე, ქორწილში კი უეჭველი გაგჩითავ. მპუა... სუსო“.

„ჰმ, არა, რااا! მაინც ძაან მაგრები ვართ, ეს ქუთაისელები. :) 12 საათზე დავადექით მეგობარს ბებიის პანაშვიდზე. ჩვენი მეგობარი აივანზე ბრძანდებოდა გადმოყუდებული და მშვიდად აბოლებდა. ავძახეთ მე-4 სართულზე: გიო, ამოვიდეთ-თქო? — არა, მანდ იყავით, არ შეწუხდეთ და ბებიაჩემს გადმოვახედებო. მაგარია ქუთეისი. :) ტუსკა“.

„იძულებით არ გავთხოვილვარ, მეგონა, სიყვარულით გავთხოვდი და ეს სიყვარული 1 წელიწადში დამთავრდა. ჩემი აზრით, ამას ჰქვია იძულება. ახლა დასაოჯახებელი შვილები მყავს და ამათ გამო უკვე იძულებით ქორწინებაში ვიმყოფები, ხალხის თვალის ასახვევად. ესაა, ცხოვრება? მარი, დაბეჭდავ — კარგი, არ დაბეჭდავ — უკეთესი“.

„მარი, ჩემო სიხარულო, ჩემო საყვარელო მგზავნელებო, როგორ ხართ? ძალიან, ძალიან მაგრად მომენატრეთ. რამდენი ხანია, არ დამიმესიჯებია, ერთი პატარა მიზეზის გამო: ჩემმა გერმანიაში მცხოვრებმა ბიძამ გადაწყვიტა, ჩემთვის სიურპრიზი მოეწყო და თავისთან წამიყვანა, ცოტა ხნით. :) მართლა ძალიან მაგარი დრო გავატარე, მაგრამ მალევე შემომაწვა ნოსტალგია. ყველანი ძალიან მენატრებოდნენ: ოჯახის წევრები, მეგობრები და რა თქმა უნდა, ჩემი უსაყვარლესი „გზავნილები“. საშინლად ცივი ხალხია იქ. პირდაპირ გაძლებაზე ვიყავი, რა! სკოლაშიც მაგარი ამბები დამხვდა. ისე ვარ, თითქოს 10 წელია, იქ ვყოფლიყავი. არადა, სულ რამდენიმე თვით ვიყავი. მოკლედ, დაგიბრუნდათ თქვენი უერთგულესი მკითხველ-მგზავნელი და ძველებურად განაგრძობს კონტაქტს საყვარელ „გზავნილებთან“. მიყვარხართ და გკოცნით ბევრს, თქვენი თაფლაკვერა“.

„გათხოვილი ჯერ არ ვყოფილვარ, მაგრამ პავლიკამ



რომ მთხოვოს, ყოველგვარი იძულების გარეშე გავყვები. რა უნდა, მშვენიერი გოგო ვარ, ახლა იურიდიულზე უნდა ჩავაბარო და გამომძიებელი ცოლი ეყოლება. :) კანიბალკა, დამეხმარე, თანამშრომლები ტყუილად ხომ არ უნდა ვიყოთ? :) თან, ჩვენს ქორწილში ყველა მგზავნელი დაპატიჟებული იქნება და იქ მაინც ვნახავთ ერთმანეთს. ხედავთ, რა სარფიან წინადადებას გთავაზობთ და რამხელა მსხვერპლს ვიღებ თქვენ გამო? :) კლეოპატრა“.

„მოკლედ, სერიოზული ავარია მომივიდა და აგერ, უკვე თვეზე მეტია, პალატაში ვარ გამოკეტილი. ექიმები ფეხზე „მეჩალიჩებიან“ და მამშვიდებენ, არც შეგეტყობა, ისე ივლიო. ჟურნალისთვისაც მოვიცალე და „გზავნილებმა“ მიიპყრო ჩემი პალატაში გაბნეული ყურადღება. მას მერე დიდი სიამოვნებით ვათვალიერებ ყოველ ახალ ნომერს. ასე გააგრძელეთ და ბევრი ადამიანის ცხოვრებას შეცვლით, სასიკეთოდ! შუმახერა“.

„მარი, მართლაც კარგი აზრია, რომ „გზავნილების“ ვიპ-კლუბი შევქმნათ. რუსთაველებო, შევიკრიბოთ და გადავწყვიტოთ, ვინ იქნება კლუბის შეფი. პუპსიკა“.

„წინა თემაზე დღეს გწერთ. წარმოიდგინეთ, დედისერთა, თავმომწონე ბიჭს ძალით რომ დააქორწინებენ. ასე დაემართა ეგრეთ წოდებულ ბუას. თავი მაგარი კაცი ეგონა და მამამ ისეთი ქალი დაუსვა ცოლად, ღამით რომ დაინახო, ინფარქტს მიიღებ. არადა, რა ბიჭი გაფუჭდა! აფსუს! მეგრელების სარძლო“.

„ქორწილზე გამახსენდაააა... :) ერთი ნაცნობი მყავს, მესამედ მოიყვანა ცოლი. პირველი ერთ წელში გაექცა, მეორე 7 წელი ჰყავდა, მესამე კი ერთი კვირის წინ მოიყვანა ისე, რომ მეორემ არაფერი იცოდა, ხოლო როცა გაიგო, იქ ამბავი მოხდაააა... მტრისაას! P.S. შეწირულო, რა კარგი ხარ, სურათებში. :) ნიკოლი“.

„ამ თემის წაკითხვისას ჩემი მეზობელი გამახსენდა. მასზე ლეგენდები დადის. :) ქალი 14 წლის გათხოვდა, 6-ჯერ წავიდა ოჯახიდან, მთელი სკანდალით და წივილ-კივილით და ექვსჯერვე მობრუნდა. დაბრუნებული კი ისე ვნებიანად კოცნის (სად აღარ) თავის ქმარს, რომ გეგონება, ის კი არა, მე ვიწყევლებოდი და „ვუჟაპუნებდი“ საწყალ კაცს გაბრიგინებულ ჩანთას, თავში. მე-7 გაქცევაც იგეგმება. :) ეჰ, ამ ჩემი ცოდვით სავსეებს არც გამოსდით, „ვითომ“ ოჯახური იდილია და არც ეშვებიან. :) ამისთანა არაფერი მინახავს. უჰ... :) ლუსი“.

„უჰ, რა მაგარია „გზა“! თბილისიდან სვანეთისკენ მიმავალ, შორ გზაზე აღვიქვამ მარტო ამას, :) როცა „მარშრუტკის“ „სიდენიებში“ ვარ ჩაკვეხებული. ცხოვრებას ხელახლა ალბათ თაგვის წელში დავიწყებ. მეც თაგვის წელში დავიბადე. ეჰ, არ დამიბეჭდავ, მაგრამ რას იზამ... რასმუს“.

„გამარჯობა, მარი, დიდი ხანია, შენთვის აღარაფერი მომიწერია. ვერც ერთხელ ვერ დავიმსახურე შენი „წყალობა“ და გაგებუტე. სულელი ვარ, არა?! ვიცი, მაგრამ რა ვქნა, ასეთი ჯიუტი ვარ. :) სოფ.7“.

„აუ, მარ, გენიოსი ხააააარ! დღეს იმხელა ვიყვირე, შენი ახალი ჩანაფიქრი რომ წავიკითხე, კინაღამ თავით გადმომიძახა ძირს ტაქსის მძღოლმა. რა თქმა უნდა, „წერეთელშიც“ გახსნი ხომ, ქუთაისელი მგზავნელების კლუბს? ჰოდა, მე მისი აქტიური წევრი ვიქნები. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება მისი პრეზიდენტი — თაისი, ჭინკა, ეშმაკუნა, ფლამინგო თუ ვინმე სხვა. თუ დაიწყებენ ბუტიაობას, შეუძლიათ, რიგრიგობით დაიკავონ ეს საპატიო თანამდებობა. მთავარია, რომ მგზავნელებს ერთმანეთის გაცნობის საშუალება გვექნება. მართლა გენიოსი ხარ, მარორიტა. :) შენ გაიხარე! ესმერალდა“.

„გზავნილებში“ პირველად ვწერ და იმედია, თქვენს „სასტავში“ მიმიღებთ. ჩემი თანაკლასელი ბავშვთა სახლიდან იყო. ის ძალინ კარგად სწავლობდა. მისთვის ახალი ცხოვრება ალბათ მაშინ დაიწყო, როცა მშობლებმა სახლში წაიყვანეს. ფეხბურთის ფანი“.

„ხელახლა დაწყებული ცხოვრებაო? რაო? არა, რა! რამდენჯერ უნდა ვთქვა, რომ ჩემთვის „გზაში“ დამესიჯება უკვე ხელახლა დაწყებული ცხოვრებაა. ვაი, ჩემმა ქმარმა არ გაიგოს და ჩემი ტელეფონი შუაზე იცით, რატომ გადატეხა? ერთმა მგზავნელმა რომ მომწერა და მომიკითხა, იმიტომ. რომ ჰკითხო, მე ვარ ეჭვიანი და ძაან გადავირიე რა, უძაანესად. ხომ აზრზე ხართ? ღმერთო, ღმერთო, გთხოვ, ქმარუკამ არ წაიკითხოს, რა! მარ, ამ ბოლო დროს „მაიგნორებ“ და რატომ? LILY19“.

„მარი, კარგი რამ მოგიფიქრებია. გპირდებით, აქტიურად ჩავერთვები ყველაფერში და ოჯახშიც დავბზრიალდები. მე ეს ძაან მჭირდება ახლა, როცა მეგობრები შორს მყავს. იმედია, დამეხმარებით. მე მზად ვარ, მაგ ამბებისთვის. ხალხებო, აბა „ჩავძაბეთ“ და დავფაცურდით! გკოცნით, მეჩე“.

„შეენც, მარი? მესიჯი რატომ არ დამიბეჭდე, არ მოგეწონე? კარგი, ეგ არაფერი, ოღონდ შენ და მგზავნელები მყავდეთ კარგად და როგორმე ავიტან. თემას რაც შეეხება, ხელახლა მაშინ დავიწყებ ცხოვრებას, როცა ნამდვილი და ლამაზი სიყვარული დამდებს პატივს და მეწვევა. ჯერჯერობით კი ჩემი ცხოვრება უფერულია... მიყვარხართ ყველა! ჯეინ ეარი“.



ამ დაკვირვებულ, ოთხ ამოთელილ ამ ანაზღაურებს ერთისანს ისე, ოთვალებ ამის გვერდით დაწერილი ხოლოებ.

„წელან „გზა“ გადავათვალიერე, ჩემი თავი ვერ ვიპოვე და დანაღვლინებულმა გაკვეთილის სწავლა დავიწყე. ახლა ჩავუჯექი, რომ გულიანად წამეკითხა და ჩემი გზავნილი ვიპოვე. აუ, იცი, რა დამემართა? ვერ აღგიწერ. შემრცხვა ახლა და მხოლოდ მადლობის მოსახდელად გწერ. უღრმესი მადლობა, მართლა ძალიან მიყვარხარ. ამაზონკა“.

„ყოჩაღ, მარი, მესიჯი რომ არ დამიბეჭდე! იმ ამბის მერე ამდენი ხანი გავიდა და მე კი დღეს მოვედი აზრზე. ამიტომაც გიმესიჯებ. შენ რა იცი, რას ნიშნავს ჩვენთვის, მგზავნელებისთვის, ჟურნალში თავის დამკვიდრება? შენი და მგზავნელების „იგნორი“ მაგიჟებს და უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ „გზავნილებში“ ჩემი ადგილი არაა. ყველანი მომენატრებით, მაგრამ არა უშავს, ხანდახან წავიკითხავ კანიბალკას, ილინის, ელისოს, მონასტრის ბიჭის, სხვების მესიჯებს და გავიქარვებ დარდს. პატარა მავნე“.

„აუ, ძაან მაგარია! ქუთაისელებმაც დავნიშნოთ შეხვედრა და შევხვდეთ. თუნდაც გავიყინოთ. მერე რა?! :-) აუ მარ, დამიბეჭდე, გთხოოოვ... 7676“.

„ახალ ცხოვრებას ჩემი კატა იწყებდა ხოლმე, სოფელში ჩემი ყოველი ჩასვლისას. კატებიც ძალიან მიყვარს და მათი წვალებაც. ჰოდა, ეს კატა რომ დამინახავდა, ისე გარბოდა, გეგონებაოდა ფულის გამოსართმევად მისული მევალე ვიყავი. თუ ეზოში გამასწრებდა, ხომ კარგი, მაგრამ თუ სახლში დავიჭერდი, ბავშვის „პილიონკებში“ ვხვევდი და დავათრევდი აქეთ-იქით. უბედური, კატის გარდა ყველაფერს ჰგავდა. :) მესიჯომანი“.

„როგორ მიყვარხართ მარი და მგზავნელეეეეებოოო! რატომ ხართ ყველანი ერთმანეთზე უკეთესები? :) ელისო, გმადლობ, გამხნევებისთვის. პენსიონერ, მაპატიე, გამომრჩი, თორემ შენ როგორ არ მიმაჩნიხარ სერიოზულ მგზავნელად?! მეც პენსიონერი კანიბალკა ვარ და ჩემს სკლეროზს დააბრალე. :) მარი, გმადლობ გვერდში დგომისა და სითბოს გამოხატვისთვის, მაგრამ მოდი, მიმტევებლები ვიყოთ და მივუტევოთ ყველას შეცდომები. მეოცნებე, მაგრები მეგრელები კი არა, მთლიანად ქართველები ვართ. VIND69, გმადლობ, გენა. მე სიცოცხლე ხელახლა „გზავნილებში“ დავიწყე. აქ ხელახლა გავამყარე ის სამყარო, რომელიც დასანგრევად იყო განწირული. მარ, მიაწერე ეს მესიჯი სადმე, გთხოვ. კანიბალკა“.

„დღევანდელი დღე საკმაოდ უიღბლო იყო. ჯერ იყო და, დილას „მარშრუტკიდან“ ჩამოსულს, ერთმა მაგარმა ბიჭმა თითი კარში მომაყოლა ისე, რომ ძვალი მიჩანდა. :) მერე გაკვეთილზე შევედი და მასწავლებელმა რომ თქვა, წიგნები და რვეულები ამოიღეთო, მივიხედ-მოვიხედე და სადაა ჩანთა? თურმე სახლში დამრჩენია. ეჰ, დავტეულიყავი სახლში, არ სჯობდა? 666“.

„სხვა ცხოვრება რომ დავიწყე — ძველისგან ძალიან განსხვავებული, მაშინ გავაცნობიერე, მედიცინის ფაკულტეტზე როცა ამოვყავი თავი. :) ლიტრობით ყავა (ღამის 3-4 საათზე წიგნზე რომ არ ჩამომერტყა თავი), გვამები (სიზმარშიც ყოველთვის ჩემთან), გვერდზე გადადებული პოეზია, მეგობრების საყვედურები — შენ გარდა არავინაა სტუდენტიო? :) მოკლედ, გამოვიწურე ლიმონივით. თუმცა, იყო პირველი სტიპენდია და ბეევრი ენდორფინი, ახალი, ძალიან, ძალიან კარგი მეგობრები... ამისთვის ღირდა! კარდიოლოგო, ჩემო კოლეგავ, საინტერესო ადამიანი ხარ და ეჭვიც არ მეპარება — ერთ-ერთი საუკეთესო მომავალი კარდიოლოგი! კარდიოქირურგობას ვერ დავიბრალებ, უსამართლობა იქნება! :) პოეზიის დედოფალი“.

„ყოველი კვირის ორშაბათიდან ხელახლა ვიწყებ ცხოვრებას; ადრე ავდგები, ლოცვებს წავიკითხავ, ვივარჯიშებ, დავიცავ დიეტას, არ დავაგვიანებ სამსახურში და ვიმეცადინებ უცხო ენებში. აი, ჩემი კვირა საღამოს ფიქრები, რომელიც უკვე სამი ათეული წელია, ვერ განვახორციელე და ისევ ძველი ცხოვრებით ვცხოვრობ. ეეჰ... ბოხო“.

„გაუმარჯოს „გზას“ და მგზავნელებს! როგორ ხართ? მინდა გითხრათ და ეს უჩემოდაც იცით, რომ ძაან მაგარი „ნაროდი“ ამესიჯებს თქვენთან. ყველა მიყვარხართ: კანიბალკა, პარიჟანკა, მონასტრის ბიჭი, ფინტიკოზა, ილინი, პატარა მავნე, ელისო და მარი, რა თქმა უნდა, შენ. დიდი მადლობა იმისათვის, რომ არსებობ და ასეთი იუმორის გრძნობა გაქვს. როგორც უკვე გითხარით, ყველანი მაგრები ხართ და მინდა, ზოგიერთს შევახსენო, რომ კანიბალკასნაირი ადამიანი ძალიან ცოტაა. ამიტომაც, ძალიან გთხოვთ, პატივი ეცით მას, თორემ მისი „გზავნილებიდან“ წასვლით კარგს ვერაფერს მიაღწევთ. მოკლედ, ყველანი მაგრები ხართ და მაგრად მიყვარხართ. ფრანცუჟანკა (იმედია, პარიჟანკა არ გამინაწყენდება, რადგან ეს სახელი ძალზე „მევასება“ და სხვა ჩატებშიც ამით ვარ ცნობილი; ფრანგულიც ვიცი და საფრანგეთზე ხომ საერთოდ, ვაფანატებ)“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — სიყვარულის მხვერპლი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომრეზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მე კი ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. კითხვა „მოკლე ჩართვისთვის“ — რას ნიშნავს ცუდი გოგო?



ყველაზე დიდი ადამიანს ხანმოკლე სიცოცხლე ჰქონდა. მაღალი, მეც ვერ ვიცი ყმაწვილი.

შენ წინაშეა ცივილიზაციის უკანასკნელი მილწევა. ეს გახლავთ ადამიანის ფსიქიკური მდგომარეობის ინდივიდუალური განმსაზღვრელი. ტესტირებისთვის კი — ძალზე იოლი და მოსახერხებელი. ჟურნალი ორივე ხელით დაიჭირე, მკლავები ბოლომდე გაშალე და კარგად დააკვირდი, 10 წუთის განმავლობაში. შემდეგ ტესტის პასუხებს დახედე.





1. თუ ახლა არც კი კითხულობ, აქ რა წერია, შეშფოთების საფუძველი არ გაქვს. შენი ფსიქიკა სრულ წესრიგშია, რადგან მისი შემოწმების სურვილიც კი არ გაგიჩნდა. სავარაუდოა, რომ სამყაროს შესახებ ინფორმაციას სხვების დაუხმარებლად იღებ. თუმცა, ისიც შესაძლებელია, რომ უბრალოდ, „გზის“ ეს ნომერი ვერ იყიდე. შემდგომში თადარიგი უფრო ადრე დაიჭირე ან მეგობარს ეთხოვე.

2. ფოტომ გაგანაწყენა? სავარაუდოა, რომ მიხვდი, შენს მოტყუებას რომ ვცდილობდი. შენი აზრით, მე ვფიქრობდი, რომ ერთ-ერთ სულელთან მქონდა საქმე, რომელსაც, რასაც ვეტყვი, იმას გააკეთებს. იქნებ სულაც სხვა რამეს ვგულისხმობდი? ასეც ხომ ხდება? მეგობარო, ეს პარანოიაა. კიდევ ერთხელ დახედე ფოტოს და დარწმუნდი: იქ უბრალოდ, საპონი, ასანთი და მარილია აღბეჭდილი. დარწმუნდი, რომ არანაირ ეშმაკობას ადგილი არ აქვს? რამდენჯერმე კიდევ დახედე ფოტოს და წყენა აუცილებლად გაგივლის.

3. „სურათზე რაღაც ისე ვერ არის“, — ეს გაიფიქრე? ფიქრობ, რომ რაღაც დავაკელი? მარილი ცოტა მსხვილად მოჩანს. ასეა? არც ასანთი გამოიყურება მთლად რეალურივით... რას იზამ? ეს იმას ნიშნავს, რომ პრობლემა გაქვს. შენს თავში სტერეოტიპები მყარადაა გამჯდარი. ამან კი შესაძლოა იქამდე მიგიყვანოს, რომ გარე სამყაროსთან კავშირზე საერთოდ უარი თქვა. ცხოვრების ბოლომდე, ცოლის ნაცვლად შენ მოწმენდ იატაკს და ჭურჭლის რეცხვაც შენს მოვალეობად იქცევა. ეცადე, გარეთ გახვიდე, მარილი იატაკზე დაყარე, საპონი — გადამალე. თუ არ გიშველის, შეგიძლია, ასანთით ითამაშო. ამან ბევს უშველა...

4. სურათით უზომოდ კმაყოფილი დარჩი? ეს სულელი მარი ჯაფარიძე დაგცინის და ფიქრობს, რომ ყველაზე ჭკვიანია. რაღაც სისულელე დაბეჭდა და ამაში თურმე, ფულსაც კი უხდიან. სურათს სულ რამდენიმე წამით დააკვირდი და ამ ყველაფერს მაშინვე მიხვდი? მეც! ეს რეაქტიული ფსიქოზია! სასწრაფოდ ამოხიე ეს გვერდი, დაანაკუწე და სპეციალისტს მიმართე!

5. გამოსახულებამ შეგაშფოთა და გაიფიქრე, რომ რაღაც ისე ვერ არის? საპონი, მარილი და ასანთი... მარილი, ასანთი და საპონი... სამყაროს დასასრულია? ომია? შიდსი? ატიპური პნევმონია? არა, არჩევნებია, მეგობარო, საპრეზიდენტო არჩევნები! პირველ რიგში პასპორტი და ფული მოძებნე, ოჯახის წევრები მოიკითხე... ყველაფერი შეიძლება მოხდეს... მერე მაღაზიაში გაიქეცი და საპონი, ასანთი და მარილი მოიმარაგე. გაცილებით მშვიდად იგრძნობ თავს, შენც და მეც!

6. სურათს ზუსტად 10 წუთის განმავლობაში ერთ ნივთს უყურებდი, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, ბევრი ინფორმაციის აღქმა ერთდროულად არ შეგიძლია. ადამიანებს შენთვის ყველაფრის ორ-ორჯერ გამეორება უწევთ. შენი ფსიქიკა ისეა მოწყობილი, რომ მხოლოდ ერთ რამეზე შეგიძლია კონცენტრირება. ნუ განაწყენდები, შენ თანამიმდევრულად აზროვნებ და არა — პარალელურად. დაიწყე რაიმის შეგროვება — ან ასანთის, ან მარილის, ან... სწორია, საპნის...

8. ფოტოზე დაკვირვებისას გულიანად იცინე? მიხვდი, რომ ეს ყველაფერი ხუმრობა იყო? მართლაც, მე უბრალოდ, ვიხუმრე. კარგად მოვიფიქრე, არა? აჩვენე ფოტო მეგობრებს. იცი, ისინი რატომ არ იცინიან? იმიტომ, რომ გაწონასწორებული ადამიანები არიან. შენ კი არასტაბილური ფსიქიკა გაქვს. აბა, რა არის აქ სასაცილო? საპონი, ასანთი და მარილი? ახლა მზად ხარ, რომ გამინაწყენდე, არა? აი, რას გეტყვი: შენთვის აუცილებელია გაცილებით სერიოზული ემოციები. იყიდე სენბერნარი. ეს ძალზე დინჯი ძაღლია. ფოტოზე დახედვისას შენ მთელი გულით იხარხარებ, ის კი თავისი ჭკვიანური თვალებით დაგიწყებს ყურებას. ეს აუცილებლად გიშველის.

9. ფოტოს 10 წუთზე მეტხანს აკვირდებოდი? მაგარია! უბრალოდ, ფოტო მოგეწონა, ეს კი სავსებით ნორმალურია. ის მეც მომწონს და სწორედ ამიტომაც დავბეჭდე. ამოჭერი და კედელზე გააკარი. მე უკვე ასე მოვიქეცი.

10. ფოტოს დახედე თუ არა, მიხვდი, რომ შენ არ ხარ მასზე გამოსახული და გაიფიქრე, რომ შენ სხვა ნივთებს იყიდდი. მაგალითად, შამპუნს, სუნელებს და სანთებელას ან ქურქს, საათს და „მერსედესს“... ან კიდევ, რაიმე ჭრელს, სასიამოვნოს, რომანტიკულს... ესეც სავსებით ნორმალურია. უბრალოდ, დანამდვილებით ვიცი, რომ ქალი ხარ და ისიც ვიცი, რომ ახლა, ამ წუთში, ამ ტექსტს კითხულობ. ●

ოდესმე თუ დაგითვლიათ, რამდენი პოლიეთილენის პაკეტი მიგაქვთ შინ, მაღაზიიდან, დღის განმავლობაში ან თვის განმავლობაში? ზოგი აკურატულად კეცავს და უჯრაში აწყობს, რათა კიდევ გამოიყენოს, ზოგი კი მაშინვე ნაგვის ვედროში უკრავს თავს. ძალიან ცოტამ თუ იცის, რომ ამით გარემოს ზიანს აყენებენ.

ბრძოლა პოლიეთილენის პაკეტების წინააღმდეგ

ყოველწლიურად მსოფლიოში ტრილიონი ისეთი პაკეტი მზადდება, რომლის გადამუშავება და ხელახალი გამოყენება შეუძლებელია. წარმოიდგინეთ, რომ რასაც მხოლოდ რამდენიმე წუთით ვიყენებთ, სრულად მხოლოდ 400 წლის განმავლობაში იხრწნება, ხოლო მისი დაწვის შედეგად ისეთი ნივთიერება გამოიყოფა, რომელიც გარემოს აბინძურებს.

პოლიეთილენის მავნებლობის შესახებ ამ ბოლო დროს ხშირად ლაპარაკობენ. ეკოლოგების აზრით, ადამიანის მიერ გადაყრილი ნაგვის 7-9%-ს პოლიეთილენის პაკეტი შეადგენს. თუმცა, მას ისე შევეჩვიეთ, რომ ცხოვრება პოლიეთილენის პაკეტების გარეშე წარმოუდგენლადაც კი მიგვაჩნია. მთელ მსოფლიოში პოლიეთილენის პაკეტების წინააღმდეგ ბრძოლაა გაჩაღებული.

პაკეტებს ყველაზე სასტიკი ბრძოლა ტაივანში გამოუცხადეს, სადაც, 2003 წლიდან, მთლიანად ამოიღეს სახელმწიფო თუ კერძო სავაჭრო ობიექტებიდან. ამერიკაში კი სპეციალური ჯარიმაა შემოღებული მათთვის, ვინც ქაღალდისგან დამზადებული პაკეტების ნაცვლად პოლიეთილენისას გამოიყენებს. პარიზის მერიამ დადგენილება გამოიტანა პაკეტების გამოყენების შეწყვეტის თაობაზე და საინფორმაციო კამპანიაც ჩაატარა, რომლის შედეგად, მოსახლეობამ ამ გადაწყვეტილების მიზეზი შეიტყო. ბრიტანეთში მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მხოლოდ ისეთი პაკეტები გამოიყენონ, რომელიც მეორად გადამუშავებას ექვემდებარება. პრემიერ-მინისტრმა, ჯორჯ გორდონმა ყველას მოუწოდა, რომ შეძლებისდაგვარად, პოლიეთილენის ნაცვლად, ქაღალდის პაკეტები გამოიყენონ.

თუმცა, სუპერმარკეტების მფლობელები ასეთი ცვლილებებისთვის მზად არ არიან. საქმე ისაა, რომ პოლიეთილენის პაკეტების დამზადება თითქმის 10-ჯერ უფრო იაფი ღირს; ხოლო თუ იმასაც გავითვალიწინებთ, რომ მაღაზიებში მათ, პროდუქტთან ერთად, უფასოდ აძლევენ, მაშინ მაღაზიის მფლობელების პოზიცია სრულიად გასაგებია.

ა.წ. 1-ელი ნოემბრიდან ლატვიაში პოლიეთილენის პაკეტებზე გადასახადი შემოიღეს. მას ნაყიდი პროდუქტის წონით საზღვრავენ. იგივე ხერხი გამოძებნეს ისრაელში. მიღებული შემოსავალი ეკოლოგიის ფინდში ირიცხება. მსგავსი გადასახადი, 1 პაკეტზე 15 ცენტის ოდენობით, უკვე დიდი ხანია, ირლანდიაში მოქმედებს. ბოლო 6 თვის განმავლობაში კი ეს გადასახადი 2-ჯერ გაიზარდა.

სად დაიბადა ნიშანი „O.K.“

ინგლისური გამოთქმა — „O.K.“ ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებულია მსოფლიოში. ის უკვე დიდი ხანია გამოიყენება სიმბოლოდ, რომელიც ნიშნავს, რომ „ყველაფერი რიგზეა“.

ამ სიტყვის წარმოშობის ბევრი ვერსია არსებობს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია ის, რომელიც ამტკიცებს, რომ „O.K.“ წარმოიშვა ამერიკის პრეზიდენტის, ვან ბიურენის დაბადების ადგილის შემოკლებული სახელწოდებიდან. ის Old Qinderhoki იყო, რომელიც ნიუ-იორკის შტატში მდებარეობს. ვან ბურენმა ფსევდონიმად იმ ადგილის დასახელება აიღო, სადაც დაიბადა და

მიიღო სარეკლამო სლოგანი — „Old Qinderhoki არის O.K.“ მის მხარდასაჭერად დემოკრატიული პარტიის მიერ ჩატარებულმა კომპანიამ 1840 წელს, სარეკლამოდ სწორედ ეს სლოგანი აირჩია.

წარმოშობის მეორე ვარიატი გახლავთ, რომ გამოთქმა „ო.კ“ „Oll Coreqtis“-ის აბრევიატურაა („Oll Coreqtis“ არასორი ვარიანტია). კიდევ ერთი ჰიპოთეზა ის გახლავთ, რომ ამერიკის პრეზიდენტმა, ჯექსონმა ეს გამოთქმა ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტის დროს გამოიყენა.

აგრეთვე არსებობს გამოთქმის წარმოშობის ნაკლებგავრცელებული, ე.წ. ფოლკლორული ვერსია. მაგალითად, ფრანგები მიიჩნევენ, რომ ეს გამოთქმა ომის დროს წარმოიშვა. მაშინ, როდესაც დაღუპული ჯარისკაცების რაოდენობის შესახებ ყოველდღიური „რაპორტი“ კეთდებოდა, წერდნენ ხოლმე — „0 killed“, რაც იმას ნიშნავდა, რომ არც ერთი დაღუპული ჯარისკაცი არ იყო. მისი შემოკლებული ვარიანტია „O.K.“ მოგვიანებით კი ეს გამოთქმა მეორე მსოფლიო ომში ინგლისელი მფრინავების საყვარელ გამოთქმად იქცა. ისინი ბაზას ასე აცნობებდნენ ხოლმე, რომ არც დაღუპულები ჰყავდათ და არც რაიმე პრობლემა ჰქონდათ.

კიდევ ერთი ვერსიის თანახმად, „O.K.“ წარმოშობილია თანამედროვე ბერძნულიდან — „ოლა კალა“, რომელსაც ბერძენი მეზღვაურები და მატარებლის ლიანდაგის გამყვანები იყენებენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი რიგზეა.

ოკლაჰომას მცხოვრებნი ამბობენ, რომ გამოთქმა ერთ-ერთი წინასაარჩევნო კამპანიის დროს, მათი მშობლიური შტატის შემოკლებული სახელწოდებიდან წარმოიშვა.



ალფრედ ნობელი

- ყველაზე უწმაწური სიტყვებით შედგენილი ანდერძი მარსელში მცხოვრებმა მეწაღემ დატოვა. მასში შესული 123 სიტყვიდან 94-ის წარმოთქმა ყველაზე უზრდელ საზოგადოებაშიც კი მიუღებელია.
- ყველაზე მოკლე ანდერძი ლონდონელმა ბანკირმა დატოვა — „მე გავკოტრდი“.
- ყველაზე გრძელი ანდერძი თომას ჯეფერსონმა დაწერა. ქონების განაწილებასთან ერთად, ის ამერიკის ისტორიასაც მიმოიხილავდა. ამ ანდერძის თანახმად, ჯეფერსონის მემკვიდრენი იმ შემთხვევაში მიიღებდნენ ქონებას, თუ ყველა მონას გაათავისუფლებდნენ.

ყველაზე საინტერესო ანდერძები

- ყველაზე საწყენი ანდერძი შუა საუკუნეებში, ერთმა ფერმერმა დატოვა. მან ცოლს 100 ლივრი დაუტოვა, მაგრამ დასძინა, რომ თუ ის გათხოვდებოდა, დამატებით 100 ლივრს კიდევ მიიღებდა. ამას კი იმით ხსნიდა, რომ მის საწყალ, მეორე ქმარს ეს ფული აუცილებლად დასჭირდებოდა.
- ისტორიისთვის ყველაზე სასარგებლო ანდერძი უილიამ შექსპირმა დატოვა. ის ძალზე პედანტური აღმოჩნდა და თავისი ქონება — დაწყებული ავეჯით და დამთავრებული ფეხსაცმლით, ბოლომდე გაანაწილა. ანდერძი თითქმის ერთადერთი დოკუმენტია, რომელიც შექსპირის არსებობას ადასტურებს.
- ყველაზე გაუგებარი ენით დაწერილი ანდერძი ფიზიკოს ნილს ბორის ლაბორანტს ეკუთვნის. მას იმდენი უცხო ტერმინი ჰქონდა გამოყენებული, რომ ექსპერტ-ლინგვისტის გამოძახება გახდა საჭირო.
- ყველაზე დიდი თანხა ჰენრი ფორდმა 4157 სასწავლო და საქველმოქმედო ფონდს უანდერძა. მის მიერ დატოვებული თანხა 500 მილიონ დოლარს შეადგენდა.
- ყველაზე ცნობილი ანდერძი ალფრედ ნობელს ეკუთვნის, რომელიც მისმა ნათესავებმა გაასაჩივრეს. მათ მხოლოდ ნახევარი მილიონი კრონი მიიღეს, ხოლო დანარჩენი 30 მილიონი, ნობელის პრემიის ფონდში გადაირიცხა.
- ყველაზე საიდუმლო ანდერძი მილიარდერმა, მიშელ როტშილდმა დატოვა. „კატეგორიულად ვკრძალავ ჩემი ქონების აღწერას, ნებისმიერ სასამართლო ჩარევასა და ჩემი ქონების რაოდენობის გამოქვეყნებას“, — წერდა ის. ასე რომ, მისი ქონების რეალური მდგომარეობა დღემდე უცნობია.

ქალს ეკრძალება
იყოს სოლოლი, თუ მას
დიდი მკერდი აქვს.



მსოფლიოს სხვადასხვა ხალხის ენის მასალეები

იაპონური

„კონოტაკეგაკინიტაკეტატეკა-კეტანოვა, ტაკეტატეკაკეტაკატა-კარატაკეტატეკა კეტა“. ეს ნიშნავს: „ბამბუკის წკნელი, რომელიც ბამ-ბუკის თოკში იმიტომ ჩავაყოლე, რომ ასე მინდოდა“.

ჰოლანდიური

„ალე ვლიგენ ვლიგენ ენ ბიჯენ ვრიჯენ, ვლიჯენ დე ვლიჯენ დე ვრიჯენდე ბიჯენ, ვლიჯენევლუგ ბუურბიჟ!“ — „როცა ბუზები დაფრინავენ და ფუტკრები სი-ყვარულობენ, ბუზები იმ ფუტ-კრებს, რომლებიც „სიყვარულო-ბით“ არიან დაკავებული, ძალიან სწრაფად მისდევენ“.

თურქული

„სუ კარსიკი კურუკახვეცინი გაგასი ციკიკ ბურნუ კირიკ კარა-კანსოლოზ კალფასი ჰაკკი კარისიკ-ლიგა გეთირიპ კახვეიე კავრუკ კაკულე კირიგა კატი“ — „ხაკი, რომელსაც გრძელი, მოტეხილი ცხვირი და მახინჯი სახე აქვს, ბუფეტიდან, ქუჩის მეორე მხრიდან, ყავაში სწრაფად ამატებდა მოხ-ალულ ბალახოვან ტოტებს, როცა არავინ უყურებდა“.

უნგრული

„იოტ ტიორროკ იოტ გიორრი-ოდოტ დიოგიონიოზ იორიოკიოშ კიოზიოტ“ — „5 თურქი 5 ბერძენს მასაჟს უკეთებს და უსაზღვრო სიამოვნებას ანიჭებს“.

მალტური

„ირ-რე ტა ლ-ინგლიტერა, გი მალტა ჯიქსტრი ტ-ტერა. მელა ლ-ინგლიტერა მხემა ტერა ბიქს ირ-რე ტა ლ-ინგლიტერა გი მალტა ჯიქსტრი ტ-ტერა“ — „ინგლისის მეფე მალტაში ჩამოვიდა, რათა ბავშვის პუდრი იყიდოს. რატომ ჩამოვიდა ინგლისის მეფე მალტაში, იმისთვის, რომ ბავშვის პუდრი იყიდოს? ნუთუ ინგლისში ბავშვის პუდრი არ იშოვება?“

ფინური

„ხამარა მაკარა კამნეი მახასა“, — „ზებუნებრივი მოსკიტი თავის თავს ელაპარაკებოდა“.

ფრანგული

„ლე შოზეტ დე ლარშიდი-უშეს ცონტელ ცეშე? არშისეშე“ — „ჰერცოგინიას წინდები მშრალია? უმშრალესი არ არსებობს“.

ინგლისური

„სქაიქ ეტ ონ ე სტამპ ენდ სანკ ზე სტამპ სტანკ, ბეთ ზე სტამპ სანკ ზე სკანკ სტანკ“ — „სკუნსი იჯდა კუნძზე და ფიქრობდა, რომ კუნძი ყარდა, ხოლო კუნძი ფიქრობდა, სკუნსი ყარდა“.

რატომ ვამესიჯებ „გზაში“?

• „გზაში“ იმიტომ ვამეს-იჯებ, რომ ცხოვრებას ვიხალ-ისებ და ვცდილობ, ბედნიერი ვიყო ამით. მუზკა.

• რატომ ვამესიჯებ და იმიტომ, რომ ვცდილობ, ყველა თემა ჩემს რჩეულს დავუკავშირო. დავიღალე გულის ფორმის ბალიშების გზავნით და მჯერა, რომ ჩემი გრძნობების საქვეყნო აღიარება უფრო დააფიქრებს და გააოცებს. როცა კაცს რაიმეთი გააკვირვებ, ის ჯერ კიდევ შეიძლება, სიკეთისკენ მოაქციო! გესმით, შეყვა-რებულო მგზავნელებოოო? ლოკოკინა.

• იმიტომ, რომ ამ პა-ტარა და ლამაზ სამყაროში ყოფნა ცხოვრებას მიხალ-ისებს. ჩორი-ჩორი.

• „გზავნილებში“ იმი-ტომ ვამესიჯებ, რომ აქ ჯი-გარი ხალხი ვიყრით თავს და მაგარი სიტუაციაა. უკარება.

• „გზაში“ რატომ ვამე-სიჯებთ და იმიტომ, რომ სხ-ვანაირად ველარ წარმოგვიდ-გენია. ეს ერთ-ერთი ხერხია, რომ ცალკე, სხვა პლანეტაზეც იცხოვრო, მეორე ცხოვრებით. მიყვარხართ. ელისო.

• 9122, ხედავ, რაფერ დაგაფასა ჯაფარიძიანთ ქალმა? :) კარგი, გიპასუხებ: ჯერ „გზას“ უბრალოდ ვკითხულობდი. მერე მარტო კითხვა აღარ მაკმაყო-ფლებდა, ისე შემიყვარდა ეს „მგზავნელები“. თან ვიფიქრე, მარი „ზემლიაკია“ და დამიბე-ჭდავს მესიჯებს-მეთქი. ჰოდა, იმის მერე ვამესიჯებ და ვამე-სიჯებ. ველური ყვავილი.

• „გზა“ მაგარი კი არა, უმაგრესი ჟურნალია მთელ მსოფლიოში. ნუუ, ყოველი შემთხვევისთვის — ჩემთვის! მე აქ ვიპოვე ჩემი თავი, თუმცა, ჯერ ახალი ვარ. მარი19.

• იცით, „გზაში“ რატომ ვამესიჯებ? იმიტომ, რომ 10 წლის სიცოცხლე მემატება, როცა „გზის“ ფურცლებზე ჩემს მესიჯს ვკითხულობ. მის ბეღურა.

• „გზავნილების“ წაკითხვის შემდეგ გამიჩნდა სურვილი, მეც მომეწერა. ისე, ძნელია, ნდობას რომ დაკარგავ და დაქალი რომ გიღალატებს. პაწია.

• იმიტომ, რომ აქ ოჯახური გარემო, სითბო და სიყვარულია. და კიდევ, ჩვენს გულისტკივილს ყვე-ლა გაგებით ეკიდება და დახმარებას გვთავაზობს. იაზვა15.

• მესიჯს მე არ ვწერ, მესიჯი თვითონ მწერს, მწ-ერს რომ გაგანდოთ მე, ლი-მონამ ჩემი ფიქრები, ცოტაც და მალე თქვენს რიგებში მეცა ვიქნებიიი! ვაშაააა! და იმ ბედნიერ დღეს გაუმარ-ჯოს, როცა „გზა“ გაჩნდა ამ ქვეყანაზე! ლიმონა-მანიუ.

ფიცარი

დასაწყისი იხ. „გზა“, №45-49

ერთადერთი ქართველი სერიული მკვლელი, „რუსთაველ მანიაკად“ წოდებული, ფრიდონ პირტახია გახლავთ. მკითხველს შევახსენებ, რომ მის მიერ ჩადენილი მკვლელობების სერია 1999 წლის 13 აგვისტოს დაიწყო და ბოლო, მეექვსე მკვლელობა 2000 წლის 29 ივლისსაა დაფიქსირებული, ხოლო 2001 წლის 12 ნოემბერს ფრიდონ პირტახია მარტვილში, ბავშვის გაუპატიურების მცდელობის გამო დააკავეს. უკვე რამდენიმე კვირაა, ჟურნალ „გზაში“ ამ რეალური მოვლენების საფუძველზე აგებული დეტექტიური ამბავი იბეჭდება. სერიული მკვლელის მსხვერპლთა ოჯახების მდგომარეობის გათვალისწინებით, ყველა მოქმედი პირის სახელი და გვარი შეცვლილია, მთავარის გარდა. წინა კვირას თხრობა იმ მომენტში შევწყვიტეთ, როცა რუსთავში, „აზოტის“ საავადმყოფოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბავშვებმა ადამიანის თავის ქალა იპოვეს და პოლიციას შეატყობინეს. გარდაცვლილ გოგონაში სამართალდამცველებმა ზაფხულში დაკარგული ბავშვი ამოიცნეს.

მარი ხაფარიძე

მეორე დილით, როდესაც დავითი სამსახურში მივიდა, კაბინეტთან შუახნის მამაკაცი ელოდა. დავითმა მასში დაკარგული გოგონას მამა ამოიცნო. სახეგაქვავებული, კედელთან იდგა და სიგარეტს ნერვიულად ეწეოდა. დავითი მწეველი არ იყო და სიგარეტის სუნს ვერ იტანდა. სხვა შემთხვევაში აუცილებლად შენიშვნას მისცემდა, მაგრამ ახლა კაცისთვის თვალის გასწორებაც კი გაუჭირდა. გასაღები კარს ხმაამოუღებლივ მოარგო და ოთახში პირველი შევიდა. შემდეგ კაცს თავის მოძრაობით ანიშნა, შეჰყოლოდა. მამაკაცი უხმოდ მიჰყვა და სკამზე ჩამოჯდა. დავითი ტელეფონს დასწვდა და ზურას დაურეკა. უჭირდა დარდისგან განადგურებულ კაცთან ლაპარაკის დაწყება და ერჩივნა, მასთან ისევ ზურას ესაუბრა.

ზურა რამდენიმე წუთში მოვიდა, ხელში ცელოფანის პაკეტი ეჭირა. საერთო სალამი თქვა და ცელოფანი მაგიდაზე დადო. კაცი თვალებით პაკეტს „მიეჯაჭვა“. როდესაც ოპერატიულმა მუშაკმა მასში ჩალაგებული ტანისამოსი ამოალაგა, მამაკაცს ჯერ თვალები აუწყლიანდა, შემდეგ კი ხმამაღლა ატირდა. სახეზე ხელებაფარებული, გულამოსკვნილი ქვითინებდა და მხრები უცახცახებდა. ზურას და დავითს თვალები ასწყლიანებოდათ და თანაგრძნობით შესცქეროდნენ უბედურ მამას, რომელმაც მაგიდაზე დაწყობილ ნივთებში შვილის ტანისამოსი ამოიცნო. კარგა ხანი გავიდა, ვიდრე კაცი დაწყნარდებოდა. ზურამ ნივთები ისევ პაკეტში ჩაალაგა.

— ნივთები იცანით? — დაბალი ხმით იკითხა ცოტა ხნის შემდეგ.

— დიახ, — თითქმის ჩურჩულითვე უპასუხა მამაკაცმა და გვერდზე გაიხედა.

— ეს ნივთები თქვენს შვილს ეკუთვნის?

— დიახ.

— კარგი. ახლა ფორმალური მხარე დარჩა... ამოცნობის ოქმს შევადგენთ და შემდეგ შეგიძლიათ, წახვიდეთ.

— სად იპოვეთ ეს ნივთები? — ხრინწიანი ხმით ამოთქვა კაცმა.

— მშენებარე სახლის სარდაფში. გვამი უკვე გახრწნილია. მხოლოდ ჩონჩხი და ტანისამოსია დარჩენილი...

ზურამ იცოდა, თუ რაოდენ მწარე იყო მისი ნათქვამი შვილმკვდარი მამისთვის, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. კაცმა თვალები დახუჭა და კვლავ ცრემლი ჩამოუგორდა.

— დასაფლავების უფლებას ჯერ ვერ მომცემთ, არა? — თითქოს გული ამოაყოლაო ამ სიტყვებს.

— ჯერ ექსპერტის პასუხს უნდა დაველოდოთ, შემდეგ კი მიცვალებულის დასაფლავების ნებას მოგცემთ.

— კარგი, — ჩაილაპარაკა კაცმა და წამოდგა.

— ჩვენ ვეცდებით, რადაც უნდა დაგვიჯდეს, დამნაშავეს მივაგნოთ.

— ახლა ამას რაღა მნიშვნელობა აქვს? ჩემთვის სულერთია, იპოვით თუ არა. აქამდე სულ ცოტა იმედი მაინც მქონდა, რომ ჩემი ირმა ცოცხალი იქნებოდა. ახლა ყველაფერი დამთავრდა. დამნაშავის პოვნა შვილს ვერ გამიცოცხლებს. ერთი თხოვნა მექნება თქვენთან...

— ბრძანეთ.

— ძალიან გთხოვთ, სასამართლოებსა და პოლიციაში სიარულს ნუ დამაწყებინებთ. მე ჩემი სადარდებელიც მეყოფა. ეს ნივთები ჩემს შვილს ეკუთვნის და მორჩა — ამით ყველაფერი დამთავრებულია. ახლა იმას ვფიქრობ, დედამისს როგორ გავუმხილო ეს ამბავი. იქნებ მირჩიოთ... ჩუმად, დედის გარეშე ხომ არ დავასაფლავო?

— არა, არა, ეს უგუნურება იქნება. დედას შვილის ნეშტის დატირების უფლება უნდა მისცეთ, — ამ ხნის განმავლობაში პირველად ამოიღო ხმა დავითმა.

— კარგი, — თავი დაუქნია კაცმა და ოთახიდან წელში მოხრილი გავიდა.

— გიორგევიჩ, რა საბრალოა, არა? — მიუბრუნდა ზურა დავითს, როდესაც მარ-

ტონი დარჩნენ.

— საინტერესო იცი, რა არის? — ზურას კითხვა უპასუხოდ დატოვა დავითმა და კითხვითვე მიმართა.

— რა?

— რატომ იყო სარდაფში — სადაც გვამი ვიპოვეთ, კედელზე მიმაგრებული სანთლები?

— ალბათ ბნელოდა და იმიტომ. დამნაშავემ ოთახი სანთლით გაანათა.

— კი, მაგრამ მაშინ გამოდის, რომ დანაშაული წინასწარ იყო დაგეგმილი. ამ პატარა გოგოს ვისთვის რა უნდა დაეშავებინა, რომ მასზე შური ეძიათ? ან რატომ იყო დამნაშავე სანთლით „შეიარაღებული", თანაც, მაინცდამაინც — საეკლესიო სანთლით?

— წარმოდგენა არ მაქვს. თქვენ რას ფიქრობთ? რა ვერსია გაქვთ?

— მაფიქრებს სანთლების ამბავი, — თქვა დავითმა და აწკრიალებული ტელეფონის ყურმილს დასწვდა, — არ მცალია, ახლა მაგის დრო არ მაქვს, თავი დამანებოს, არ შემოუშვა! — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ლაპარაკობდა.

— რა მოხდა, გიორგევიჩ?

— ჟურნალისტებს გაუგიათ აღმოჩენილი თავის ქალის ამბავი და ინტერვიუს ასაღებად მომადგნენ. ახლა მაგათი ნერვები არ მაქვს... ჰო, რას ვამბობდი? სანთლების ამბავი მაფიქრებს-მეთქი. ვფიქრობ, რაიმე მაგიურ რიტუალს ხომ არ ატარებდნენ ან მსხვერპლშეწირვას?

— ჰო, ეგეც შესაძლებელია, მაგრამ მე ისიც არანაკლებ მაინტერესებს, თავის ქალა მინდორში როგორ აღმოჩნდა?

— ალბათ მაწანწალა ძაღლმა ამოიტანა სარდაფიდან.

— ახლა რა ვქნათ, გიორგევიჩ?

— ძიება უნდა დავიწყოთ. ჯერ ექსპერტისგან გავიგოთ, რა ვითარებაში გარდაიცვალა გოგონა. მე კი ახლა ყველა შავი მაგიის მიმდევარს დავუკავშირდები და დავადგენ, როგორ რიტუალებს ატარებენ.

დავითმა რამდენიმე ადგილას დარეკა და საჭირო კოორდინატები ჩაიწერა. შემდეგ ისევ ზურას უხმო, მანქანის საჭეს მიუჯდა და გეზი თბილისისკენ აიღო.

ქალაქის ერთ-ერთ ძველ უბანში, საჭირო მისამართს ძლივს მიაგნეს. პატარ-პატარა, გვერდებჩამოქცეულ სახლებს შორის, ერთი შედარებით „ყოჩაღად" გამოიყურებოდა. ეზოც ლამაზი ჰქონდა და კაპიტალურად გადახურულიც ჩანდა. თურმე, სწორედ ამ სახლს ეძებდნენ. მანქანა ჭიშკართან გააჩერეს და ეზოში

ახლა ყველა შავი მაგიის მიმდევარს დავუკავშირდები და დავადგენ, როგორ რიტუალებს ატარებენ

შევიდნენ. მათდა გასაოცრად, ეზო ხალხით იყო სავსე. ზურამ და დავითმა ხალხის წრე გაარღვიეს და შენობაში შესვლა სცადეს, მაგრამ წინააღმდეგობას წააწყდნენ — ურიგოდ რატომ მიდიხართო? — ეკითხებოდნენ რიგში მდგომები.

— რა ხდება? — იკითხა დავითმა.

— ურიგოდ რომ მიდიხართ, თქვენ რა, ჩვენზე უფრო გეჩქარებათ?

— რაზეა რიგი?

— ვითომ არ იცით, არა?! რაზე და, მკითხავთანაა რიგი, ბატონო, — განაწყენებული სახით უპასუხა ერთმა ასაკოვანმა ქალმა და ზურგი შეაქცია.

— აა-ა, უყურე შენ! ჩვენ რომ მკითხაობა არ გვინდა, მაინც რიგში უნდა ჩავდგეთ? — იკითხა ზურამ.

— აბა, რუბენას მოსანახულებლად მიდიხართ?

— რუბენა ვინ არის? — გაოცდა დავითი.

— ვისთანაც ახლა მიდიხარ, ისაა რუბენა.

— რაო? მკითხავი კაცია?

— ჰო, კაცია, კაცი.

ამ ჩოჩქოლსა და ხმაურზე ოთახიდან მოხუცი, წელში მოხრილი ქალი გამოვიდა და იკითხა:

— აბა, პოლიციიდან ვინ ელოდება რუბენას?

ზურამ და დავითმა ერთმანეთს გაოცებით გადახედეს, რადგან მათ გარდა არავინ იცოდა მათი ადგილსამყოფლის შესახებ და ვერ მიხვდნენ, რუბენასთვის როგორ გახდა ცნობილი.

ორივენი ბნელ დერეფანში შევიდნენ და მოხუცს უკან მიჰყვნენ.

ზურა დერეფენს დაკვირვებით ათვალიერებდა და ყველაფერს იმახსოვრებდა. ორივე მხარეს კედლებზე შანდლები იყო დამაგრებული და თითოეულ შანდალში ორ-ორი სანთელი ენთო. შანდლების გარდა კედლებზე ძვირფას ჩარჩოში ჩასმული, ადამიანების სურათები იყო დაკიდებული. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს სურათები გაცოცხლებულიყო და მათზე გამოსახული სახეები რაღაცის თქმას ცდილობდნენ.

ორივეს რაღაც გაურკვეველი გრძნობა დაეუფლა, თითქოს შიშმა მოიცვა. შორიდან სუსტად ისმოდა წყნარი მელოდიის ხმა, რომელიც თითქოს თავისკენ იხმობდა მსმენელს.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



*შიშია ეჭვსწავლის, შიშ ოდა ეჭვიეჭრდეს მოიეჭსი ჩვენი, ხ

ოო ყოქსოეჭრა — შოეჭრ ოდა ეჭვიეჭრდეს.*

მოხეტიალე ქვა

„გამარჯობა, თარხან. გამიგონია მოხეტიალე ქვების შესახებ. თქვენ რა იცით? იქნებ მომიყვეთ რომელიმე მათგანზე? ნუკი“. დიდი სიამოვნებით ვუსრულებ თხოვნას ნუკის და მოხეტიალე ლურჯი ქვის შესახებ გიამბობთ.

ბრაუნ თარხანი

მოსკოვიდან 100 კილომეტრის დაშორებით, პერესლავსკის მხარეში, პლეშეევის ტბის ნაპირზე, ალექსანდრეს მთის ძირში უძველესი ქვაა, რომელსაც ლურჯ ქვას უწოდებენ. ამ ტერიტორიაზე ამჟამად 4 მოქმედი, მართლმადიდებლური ეკლესიაა და ყველა მათგანში წირვა ქრისტიანული, მართლმადიდებლური წესით მიმდინარეობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, კერპთაყვანისმცემლობა დღემდეა შემორჩენილი. ერთ-ერთი ყველაზე ძველი კერპი სწორედ უზარმაზარი ლურჯი ქვა გახლავთ. მასზე უამრავი ლეგენდაა შექმნილი და ამოუცნობი მოვლენებითაა ცნობილი, რომლის ახსნაც დღემდე ვერავინ შეძლო.

ქვა გარეგნულად მოლურჯო-მოვერცხლისფრო მთვლემარე ვეშაპს ჰგავს. მნახველს ეჩვენება, რომ სინათლეს ასხივებს. ზამთარში, როდესაც ტბის ზედაპირი ყინულითა და თოვლით იფარება, ქვაზე თოვლის საფარს ვერ ნახავთ. ფიფქი მაშინვე დნება, როგორც კი მის ზედაპირს შეეხება.

ქვა და მის გარშემო მიწა, წვრილი მონეტებით, კანფეტებითა და ყვავილებითაა მოფენილი. მის გარშემო ამოსულ ბუჩქებზე კი უამრავი ცხვირსახოცი და ქსოვილის ნახევია შებმული. ქვასთან მუდამ უამრავი ადამიანი ტრიალებს. ბევრი იქ ჯანმრთელობის აღსადგენად ან ძალების მოსაკრებადაა მისული.



ლეგენდის თანახმად, ქვა გამყინვარების დროს აისბერგმა მოიტანა. შემდეგ ყინული დადნა, იმ ადგილას ტბა წარმოიქმნა და ქვაც ამის შემდეგ გამოჩნდა.

როდესაც იქ ადამიანები დასახლდნენ, ქვამ მათი ყურადღება თავისი ფერითა და გამოსხივებით მიიპყრო. ამის შემდეგ, ის თაყვანისცემის ობიექტად იქცა: მას მსხვერპლსაც კი სწირავდნენ.

ქვა მზის ღმერთის გულად მიიჩნეოდა. მას ყვავილებითა და სხვადასხვა ფერის ლენტით რთავდნენ და უმღეროდნენ.

ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, ქვასთან დაკავშირებულ ყველა ცერემონიალს ცოდვად მიიჩნევდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მას მაინც ბევრი ადამიანი სცემდა თაყვანს.

ისტორიულ ჩანაწერებში ქვა პირველად XVI საუკუნეშია მოხსენიებული. დოკუმენტში ასეთ ჩანაწერს წააწყდებით: „ქვაში ეშმაკია ჩასახლებული, რომელიც ადამიანებს ნატვრას უსრულებს და მათ ამით იზიდავს. ისინიც თაყვანს სცემენ მას და წლიდან წლამდე მსხვერპლს სწირავენ“.

ქვასთან არსებულ მთაზე ეკლესია ააშენეს, რომელსაც საუკუნეებისთვის უნდა გაეძლო, მაგრამ რამდენიმე წლის შემდეგ, ის დაიწვა. გადმოცემის თანახმად, დამწვარი ეკლესიის ადგილას თავად ალექსანდრე იაროსლავიჩის სასახლე ააგეს, მაგრამ ვერც მან გაძლო დიდხანს და ცეცხლმა შთანთქა. შემდეგ ამ ადგილზე მონასტერი ააგეს და მის ეზოში სასაფლაო გააკეთეს. მონასტერმა ძალიან მალე გაიზიარა იმ ნაგებობების ბედი, რომლებიც იმ ადგილზე მანამდე ააშენეს. ამის შემდეგ, იქ აღარაფერი აუშენებიათ. XIX საუკუნის ბოლოს იმ ადგილზე დადგმული ხის ჯვარი გამქრალი ნაგებობების სამახსოვროა.

მიუხედავად იმისა, რომ ქრისტიანობამ ფეხი მყარად მოიკიდა, ხალხში კერპთაყვანისმცემლობა მაინც იყო გავრცელებული და ლურჯი ქვა კვლავაც ხალხის იმედად რჩებოდა. მღვდლები შეშფოთებული იყვნენ მრევლის ასეთი დამოკიდებულებით, მაგრამ ვერაფერს ახერხებდნენ.

მაშინ ამ საკითხით გავლენიანი როსტოველი მღვდელი, ირინარქი დაინტერესდა. მისი ბრძანებით, მართლმადიდებლური ეკლესიის დიაკვანმა, ანუფრიემ ქვის გვერდით უზარმაზარი ორმო ამოთხარა და ქვა შიგ ჩააგორა, ზედაპირი კი მოასწორა. ქრისტიან მღვდელმსახურთა გასახარად, როგორც იქნა, ქვა აღიგავა პირისაგან მიწისა.

შესაძლოა, ეს პირველი მცდელობა სულაც არ იყო. ასეა თუ ისე, როდესაც ანუფრიემ მიწა ამოთხარა, ნიადაგის სტრუქტურა დაარღვია. 15 წლის შემდეგ კი ქვა ისევ „ამოძვრა“ მიწის ზედაპირზე და იქაურ მცხოვრებლებს კვლავ ძველებური ბრწყინვალებით წარუდგა. ამით მის თაყვანისმცემელთა რიცხვი კიდევ უფრო გაიზარდა.

მართლმადიდებელი ეკლესიის მსახურნი საუკუნე-ნახევრის განმავლობაში იმტვრევდნენ თავებს, რა უნდა მოეხერხებინათ ქვისთვის და როგორც იქნა, მოიფიქრეს, როგორ გამოეყენებინათ ის ქრისტიანული მსახურების სასარგებლოდ. ბოლოს გადაწყვიტეს, რომ ქვა მშენებარე სამრეკლოს ფუნდამენტში ჩაეყოლებინათ.

1778 წლის ზამთარში გადაწყვიტეს, ქვა მთიდან გაყინულ ტბაზე დაეგორებინათ. ის უზარმაზარ ხის მარხილზე დადეს, რომელშიც 12 ცხენი იყო შებმული და მშენებლობის ადგილისკენ წაიღეს. ტბის ნაპირთან ახლოს, 12-ტონიანმა ლურჯმა ქვამ ყინული ჩაამტვრია და ტბის სიღრმეში ჩაიძირა. ცხენების გადარჩენა ძლივძლივობით მოახერხეს.

ამ ამბიდან 1 წლის შემდეგ წარმოუდგენელი რამ მოხდა: მეთევზეებმა შენიშნეს, რომ ლურჯი ქვა ტბის ფსკერზე ნელა, თითქოს ხოხვით გადაადგილდებოდა და ძველი ადგილისკენ მიიწევდა. 16 წლის შემდეგ, ის უკვე ტბის ნაპირზე, მშვიდად იყო „წამოწოლილი“. როგორ „გამოაღწია“ ტბიდან, ამაზე პასუხი არავის აქვს.

დღესდღეობით ლურჯი ქვა კვლავ მოძრაობს, მაგრამ ამჯერად ქვევით, მიწისკენ ეშვება. ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ეს სამყაროს დასასრულზე მიანიშნებს. საერთოდ, ლურჯი ქვის გარშემო მთელი მითოლოგია შეიქმნა. ადგილობრივი მცხოვრებნი მიიჩნევენ, რომ ქვა მიწის ზედაპირზე მაშინ ამოდის, როდესაც ქვეყნისთვის კარგი დრო დგება, ხოლო თუ ქვეყანას გასაჭირი ელის, ის მიწისკენ მიიწევს.

თუ სხვადასხვა წელს გადაღებულ ლურჯი ქვის ფოტოებს ყურადღებით დააკვირდებით, მისი ადგილმდებარეობის შეცვლას თვალნათლივ შენიშნავთ. მაგალითად, ფოტოზე, რომელიც 1954 წელსაა გადაღებული, ქვის ზედაპირი მიწიდან მთელი 1,5 მეტრითაა ამოწეული და მის ზურგზე 30 ადამიანი დაეტევა. ახლა კი მიწის ზევით ის მხოლოდ 20-30 სანტიმეტრის სიმაღლეზე ჩანს.

„ჯერ კიდევ მძლავრობენ ბნელი ძალები ადამიანებზე“, — ოხრავს ადგილობრივი მღვდელი, — „თვითონაც არ უწყიან, რისი სჯერათ. სააღდგომოდ კვერცხებს ღებავენ და ეკლესიაში მიდიან, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ, ლურჯ ქვას სცემენ თაყვანს“.

მაინც, რატომ მიიწევს მიწაში ლურჯი ქვა? ამ მოვლენას მრავალგვარი ახსნა აქვს. ზოგიერთი მიიჩნევს, რომ ეს ტბის ნაპირის თავისებური სტრუქტურის ბრალია, რომელიც ქვის სიმძიმეს ვერ უძლებს. მეორე ვერსიის თანახმად, ამის მიზეზი ის ტურისტები არიან, რომლებსაც ქვის ნატეხი შინ მიაქვთ. მღვდელმსახურებს თავიანთი ვერსია აქვთ. ისინი მიიჩნევენ, რომ ბოლო დროს, ტბის ნაპირზე აშენებულმა ოთხმა ეკლესიამ განაპირობა ქვის „დამალვა“. ეკლესიებში დღედაღამ წირვა და ღვთის სადიდებელი ლოცვა აღევლინება, ქვას კი ეს არ „მოსწონს“ და „იმალება“.

ქვის წარმოშობის მისტიკური ვერსიის გარდა, მისი კოსმოსური წარმოშობის ვერსიაც განიხილება. ასეა თუ ისე, მუზეუმის თანამშრომლები ქვის მოსალოდნელი გაუჩინარებით ძალზე შეშფოთებულნი არიან. მათ სურთ, რომ ის, როგორც ძველი, კულტურული ძეგლი, შეინარჩუნონ.

მის შესანარჩუნებლად ბევრი ხერხი სცადეს. გარშემო ღობე გაუკეთეს, ნიადაგი გაამყარეს, მაგრამ ვერაფერი მოახერხეს. ქვა სულ უფრო და უფრო მიიწევს მიწის სიღრმისკენ. შესაძლოა, 20 წლის შემდეგ ის მხოლოდ ფოტოებზე დარჩეს. ლურჯი ქვა ადამიანთა სამყაროს ტოვებს, ხოლო კარგის მომასწავებელია ეს თუ ცუდის, ამას დრო გვიჩვენებს.

საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ მცოცავი ქვები მეცნიერებისთვის ცნობილი მოვლენაა. მაგალითად, კალიფორნიაში, „სიკვდილის უდაბნოში“ არსებული ქვა ისე სწრაფად მოძრაობს, რომ მის მიერ ქვიშაზე დატოვებული კვალის ნახვაც კი შესაძლებელია. მეცნიერები ამბობენ, რომ კალიფორნიისა და ნევადის დამშრალი ტბების ფსკერზე არსებული 100-300-კილოგრამიანი ქვები ცოცხალი არსებებივით იქცევიან: ზოგიერთი მათგანი აღმართზეც კი გადაადგილდება.

ახლა კი თქვენს შეკითხვებზე გავცემ პასუხს.

? **— გამარჯობა, გრაფო. მინდა გავიცნო 19 წლის სტუდენტი გოგო, რომელიც გათხოვებაზე ოცნებობს. იქნებ მისი ნომერი გამაგებინო? გელოდები.**

— მაპატიე, მაგრამ როგორ გგონია, რომელ გოგონას მოეწონება ის მამაკაცი, რომელიც ფსიქოლოგისა და მაჭანკლის მოვალეობას ერთმანეთისგან ვერ ასხვავებს?

? **— გრაფო, ამ ბოლო დროს დღე ისე არ გავა, რომ როკმუსიკას არ მოვუსმინო, გიტარაზე არ დავუკრა ან არ წავიმღერო. ეს რაიმე დაავადება ხომ არ არის?**

— ეს დაავადება კი არა, განწყობილების გაუმჯობესებაა. როგორც ჩანს, საამისო მიზეზიც გაქვს და იმიტომ ღიღინებ.

? **— გამარჯობა, კოლეგავ :) მეც ფსიქოლოგი ვარ, მაგრამ დამწყები. ახლახან დავიწყე მუშა-**

ობა. თუ რაიმეში დაგჭირდით, ჩემი შეწუხების არ მოგერიდოთ, კონსულტაციას მაინც მოგცემთ. სხვა ფსიქოლოგივით თავს კი არ დავიფასებ — დრო არ მაქვს-მეთქი. ისე, საინტერესო იქნება თქვენი ბიბლიოთეკის ნახვა ან კომპიუტერში შეძრომა. :) ბაბუაწვერა.

— ძალიან სასიამოვნოა, რომ დახმარებას მთავაზობთ. ეს იმას ნიშნავს, რომ კოლეგიალობის გრძნობა გაქვთ. ეს კი ძალიან კარგია. მინდა, როგორც კოლეგამ — კოლეგას, გითხრათ, რომ „კონსულტაციის მიცემა" გამოთქმის არასწორი ფორმაა. ჯობს, „კონსულტაციის გაწევა" გამოიყენოთ. პაციენტი გაცილებით ნდობით მოგეკიდებათ. რაც შეეხება ჩემს ბიბლიოთეკას, ის ყველა ჩემი ახლობლისთვის ხელმისაწვდომია, მაგრამ კომპიუტერში „შეძრომა" იგივეა, რაც სხვისი წერილების კითხვა. წარმატებებს გისურვებთ, ახალგაზრდა მეგობარო.

? **— გრაფო, გოგო, რომელიც დედაჩემის მოგვარეა, სიგიჟემდე შემიყვარდა. გთხოვ, მირჩიე რამე, თორემ ჭკუიდან ვიშლები... წინასწარ გიხდი დიდ მადლობას.**

— ერთადერთი, რაც შემიძლია, გირჩიოთ, ის არის, რომ ეს გოგონა როგორმე უნდა დაივიწყოთ. საქართველოში მიღებული არ არის ასეთი სახის ქორწინება. დანარჩენი უკვე თქვენი გადასაწყვეტია.

P.S. იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი გრაფთან მოხვდეს, მობილურის „ესემეს"-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა grafi გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, აკრიბოთ ტექსტი და გამოგზავნოთ ნომერზე 8884.

მათთვის, ვინც მეორედ თხოვდება

თუ შენს ქმარს საყვარელი ჰყავს, შენი გეგმები შეიცვალა, უბრალოდ, ხასიათით ვერ შეეწყვეთ, ან ბოლოს და ბოლოს, სიყვარული შარშანდელი თოვლივით გაქრა (რა მნიშვნელობა აქვს მიზეზს?!) და განქორწინება გარდაუვალი გახდა, ამ მამაკაცთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრება ყველანაირ აზრს კარგავს. თუმცა ძნელია ჩვეული, ყოველდღიური რიტმის შეცვლა და თანაც, ახალი ცხოვრების დაწყების პერსპექტივასაც ეჭვის თვალით უყურებ... რატომ ეშინია განქორწინების თითქმის ყოველ მეორე წყვილს? მოდი, ყველა შენი კომპლექსის „ინვენტარიზაცია" მოვახდინოთ და მისგან თავის დაღწევა ვცადოთ.

გრაფი თარხანი

განქორწინებულის სტატუსი უსიამოვნო და მიუღებელია. რატომღაც გავრცელებულია აზრი, რომ ჯერ „ახალი" ქმარი უნდა იპოვო და ძველს შემდეგ გაშორდე. თუმცა საეჭვოა, მომავალმა ქმარმა შენი ხელი „მოქმედ" ქმარს სთხოვოს. მამაკაცები (როგორი აზრისაც არ უნდა იყოთ მათზე) უმეტეს შემთხვევაში, მოწესრიგებულები არიან. მათ თავიანთი პრინციპები და კომპლექსები აქვთ. სხვასთან (მეორე ქმართან) კი არა, ვიღაცისგან (პირველი ქმრისგან) უნდა წახვიდე! უსიყვარულოდ ცხოვრებას სჯობს აიბარგო და მეუღლეს მშვიდობიანად დაშორდე. ისიც უნდა გახსოვდეს, რომ უმჯობესია, მანამ წახვიდე, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას თავად მეუღლე მიიღებდეს. შენ ხომ იცი საკუთარი თავის ფასი?! მართალია, რისკავ, მაგრამ ვინც „არ რისკავს, ის შამპანურს არ სვამს" თავის მეორე ქორწილში. ასე არ არის?

ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, მეორე მიზეზი, რომლის გამოც ქალი განქორწინებისგან თავს იკავებს, შემდეგში მდგომარეობს: მიაჩნია, რომ მის ასაკში მამაკაცის ქუჩაში გაცნობა მიუღებელია. არადა, საპირისპირო სქესის წარმომადგენლის გაცნობა ყველა სიტუაციაში მისაღებია — თვითმფრინავში, სამარშრუტო ტაქსიში, ქუჩაში... ყველგან შეიძლება უცოლო მამაკაცს შეხვდე, რომელიც თავისუფლებას სიამოვნებით დათმობს.

ხშირად აკვირდები შემხვედრი ადამიანების სახეებს? თუ უფრო ხშირად მიწას დასჩერებიხარ? დაიმახსოვრე, ყველა მამაკაცს თვალებში უნდა უყურო! შემდეგ თავად მიხვდები, უფრო მეტხანს რომელზე უნდა შეაჩერო მზერა და რომელს გაუღიმო.

მეორე ქორწინების შესაძლებლობა და ხარისხი პირდაპირ კავშირშია შენ მიერ გაცნობილი მამაკაცების რაოდენობასთან. ზოგიერთს განქორწინების შემდეგ, რეანიმაცია სჭირდება. ყველა სოლიდური ფირმა, რომელიც პრაქტიკულ ფსიქოლოგიას ეწევა, სპეციალურ კურსს ატარებს მათთვის, ვისაც გათხოვება უნდა. სეანსის დროს, განქორწინებულებს არასწორ აზრებს „უყრიან" თავიდან და ახალი ოჯახის შესაქმნელად ამზადებენ. სხვათა შორის, მსგავს ტრენინგებზე მამაკაცებიც დადიან.

მესამე მიზეზი, რომლის გამოც ქალები განქორწინებას ერიდებიან, მატერიალური ფაქტორი გახლავთ. შიშობენ, რომ ვერ შეძლებენ ოჯახის რჩენას. ვისაც შვილი ჰყავს, მისი მღელვარების მიზეზი, ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ „ყოფილი ქმარი" „ყოფილ მამას" სულაც არ ნიშნავს. შეგნებული ადამიანი შვილს უყურადღებოდ არასოდეს მიატოვებს. ბოლოს და ბოლოს, საოჯახო კიდექსის ამ მუხლში ცვლილებები ჯერ არ შეუტანიათ და თუ ამას ნებაყოფლობით არ გააკეთებს, სასამართლო აიძულებს და ბავშვს ალიმენტს დაუნიშნავს.

ვისაც შვილი არ ჰყავს, განქორწინების შემდეგ დარწმუნდება, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა მხოლოდ და მხოლოდ გაუმჯობესდა: ის, რომ საკუთარი თავის რჩენა ამიერიდან თავადვე მოუწევს, ბრწყინვალე შანსია პროფესიული კარიერის შესაქმნელად. კადრის ყველა ინსპექტორი დაადასტურებს, რომ ახალგაზრდა, განათხოვარი ქალი საუკეთესო თანამშრომელია. გათხოვილი ქალები ასე თუ ისე, ზურგს გრძნობენ და სამსახურში ხშირ შემთხვევაში, გასართობად დადიან. გასათხოვრები მალე გათხოვდებიან და დეკრეტულ შვებულებაში გავლენ; მარტოხელა დედებს გაცილებით მეტი უფლებები აქვთ და მათ სამსახურიდანაც კი ვერ გაათავისუფლებენ; აი, განქორწინებულები კი მთელ ძალებს სამსახურს ახმარენ. სხვათა შორის, ახალი სამსახური ახალი ნაცნობების შესაძენად შესანიშნავი საშუალებაა.

განათხოვარ ქალებს მიაჩნიათ, რომ ისინი არავის სჭირდებიან. ეს კი აზრის არასწორი ფორმულირებაა. ჯერ ის უნდა გაარკვიოს, თვითონ ვინ სჭირდება. დაფიქრდი, გჭირდება კი, ისევ ოჯახის უღელში შებმა? იქნებ ჯობს, მეგობარი მამაკაცი გყავდეს?! როცა ქმრის კლანჭებისგან გათავისუფლდები, უმალ მამაკაცთა მრავალრიცხოვანი არმიის ყურადღების ცენტრში მოექცევი. შენ კი მხოლოდ არჩევანის გაკეთება მოგიწევს. განქორწინებული მამაკაცი ძვირფასი „შენაძენია“. ჯერ ერთი, დარწმუნებული იქნები, რომ მას რომანტიკული ურთიერთობა მხოლოდ დედასთან ექნება; მეორეც — ის უკვე კარგად ერკვევა ერთად ცხოვრების დეტალებში.

რაც შეეხება ასაკს: ამან არ უნდა შეგაშინოს. გაიხსენე, რომ ზოგიერთი შენი ასაკის ქალბატონი ჯერ არც გათხოვილა. განქორწინების შემდეგ შენი, როგორც მამაკაცისთვის სასურველი ქალბატონის რეიტინგი აიწევს. უბრალოდ, ცნობისმოყვარეობისთვის, რომელიმე გაცნობის საიტზე „შეიჭყიტე“ და დარწმუნდები, რომ მამაკაცების უმეტესობა სწორედ განათხოვარი ქალების სასარგებლოდ აკეთებს არჩევანს. განქორწინებული, 30-45 წლის ქალბატონი ყველა ასაკის მამაკაცისთვის სასურველია. ამის მიზეზი სავსებით გასაგებია. შენ ჯერ კიდევ ახალგაზრდა და ლამაზი ხარ, თანაც, გამოცდილი და მომთმენი.

განქორწინებული ქალების საყვარელი ფრაზაა — „ყველა მამაკაცი ერთნაირია“. სავარაუდოა, რომ უბრალოდ, თავად ირჩევ ერთნაირი ტიპის მამაკაცებს. თუ შენი ფსიქოლოგიური განწყობილება შეიცვლება, მაშინვე შენიშნავ, რომ შენ გარშემო სრულიად განსხვავებული მამაკაცები მოიყრიან თავს. თუ შენს ახალ ნაცნობსა და ყოფილ ქმარს შორის მსგავსებას შენიშნავ, კარგად დაფიქრდი, როგორ აარიდო თავი ძველი შეცდომების გამეორებას.

რა თქმა უნდა, ყველამ იცის, რომ ქალს მოკრძალება შვენის, მაგრამ გარდა ამისა, მას იდუმალება და სულ მცირე ტრაგიზმიც ანიჭებს მომხიბვლელობას. არსებობს თემები, რომელთა განხილვაც მამაკაცთა წრეში შესაძლებელია, მაგრამ არსებობს ისეთი თემებიც, რომელსაც ტაბუ აქვს დადებული და ის არ უნდა დაარღვიო.

არ ღირს იმის მოყოლა, როგორი არამზადა ქმარი გყავდა, როგორ გღალატობდა და როგორი უნიათო და მოუხერხებელი იყო. ჯერ ერთი, მომავალ პარტნიორს უკვე მზა, შენთვის არასასურველ სცენარს სთავაზობ და მეორეც, ასეთი ამბების მოსმენა არავის სიამოვნებს.

თუ ახალი ნაცნობი ყოფილი ქმრის შესახებ კითხვებს დაგისვამს, კარგად დაფიქრდი და ისე უპასუხე. გახსოვდეს, რომ ყველა მისი კითხვა გარკვეულ ქვეტექსტს შეიცავს. ნურც თავად დაინტერესდები მისი ყოფილი ქალბატონებით. მართალია, მისი პირადი ცხოვრება გაინტერესებს, მაგრამ ალბათ არცთუ ისე სასიამოვნო იქნება, როცა შეიტყობ, რომ შენმა ახალმა ნაცნობმა წინა 2 წელი მშვენიერ, ქერა ქალთან ერთად გაატარა. ამიტომ ჯობს, მეგობრების, მშობლების, ახლობლების შესახებ ჰკითხო.

გვერდი აუარე განქორწინების თემასაც. პირდაპირ დასმულ შეკითხვას — „რატომ“? ბუნდოვანი პასუხი გაეცი. დაახლოებით ასეთი:„სიყვარული გაქრა“ ან „ასე მოხდა“... მამაკაცები თავს დიდ ანალიტიკოსებად მიიჩნევენ და შენ მიერ მიწოდებული ფაქტების საფუძველზე, დასკვნას საკუთარი მოსაზრების მიხედვით გააკეთებენ.

არ ღირს იმის დამალვა, რომ შვილი გყავს, მაგრამ მის შესახებ დაუსრულებლად ლაპარაკიც არ არის რეკომენდებული. უშვილო მამაკაცებს არ შეუძლიათ ბავშვური სიცელქის გაგება და არც აღმზრდელობით თემაზე „ჩატარებულ ლექციას“ უსმენენ სიამოვნებით.

დაბოლოს: ყველა ის ფოტო, რომელიც წარსულ ბედნიერებას გახსენებს, ჯობს სადმე, ძნელად ხელმისაწვდომ ადგილას გადამალო; და კიდევ — არ გირჩევ, ყოფილი და „ახალი“ მეუღლეები ერთმანეთს გააცნო, რადგან წინასწარ ვერასოდეს განსაზღვრავ, რაზე ისაუბრებენ, თუ მათ თუნდაც 2 წუთით მარტო დატოვებ.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილიზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები



1. ვეხმაურები „გზა“ №48, მე-17 მესიჯის ავტორს. ვარ 21 წლის და ძალიან მხიარული. გაგიცნობდი დიდი სიამოვნებით. სოფო.

2. ვარ 50 წლამდე, სერიოზული, სიმპათიური ქალი. დაოჯახებული. სამეგობროდ გავიცნობ 60 წლამდე ასაკის, თბილისში მცხოვრებ, ფინანსურად ძლიერ, განათლებულ, სერიოზულ, სიმპათიურ მამაკაცს.

3. გთხოვთ, დამაკაშიროთ „გზა“ №46, მე-8 რესპონდენტს. წინასწარ გიხდით მადლობას.

4. ვარ 39 წლის, ქვრივი, საკმაოდ სიმპათიური, ძალზე პატიოსანი, ერთგული და კარგი ადამიანი. მინდა ოჯახის შექმნის მიზნით ვიპოვო ასეთივე მამაკაცი, თბილისელი, მატერიალურად უზრუნველყოფილი, ალბათ, უმჯობესია, ქვრივი.

5. ვეხმაურები „გზა“ №49, 21-ე მესიჯის ავტორს, რუსთაველ ვახოს. მეც რუსთავში ვცხოვრობ. ვარ მხიარული და დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. სოფო-სოფო.

6. ვარ 22 წლის მანდილოსანი. სიამოვნებით გავიცნობდი 22-28 წლის სერიოზულ, სიმპათიურ მამაკაცს.

7. გამარჯობა. ვარ 22 წლის, განათხოვარი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, სიმპათიურ მამაკაცს, ბინით უზრუნველყოფილს და დასაქმებულს. მეგრელი მარი.

8. ვარ 31 წლის, 170/63. ქმარს გაშორებული. მყავს 6 წლის გოგონა. გავიცნობ 42 წლამდე ასაკის მამაკაცს. არასერიოზულებმა თავი შეიკავონ.

9. უკვე მგონია, რომ არც ერთ მამაკაცს სიყვარული არ შეუძლია. მხოლოდ გართობა, ტყუილი და ღალატი. იქნებ ვინმემ დამანახვოს, რომ ვცდები. ფუმფულა, მოწყენილი გოგო.

10. მარი, გოგონებში ჩამწერე, რა, მეგრელმა მგელომ მინდა ნახოს ნომერი. თეო, „გზა“ დავტოვე, მაგრამ მინდა, შენ გაგიცნო, რადგან ამის სურვილი გქონდა. კარდიოლოგი.

11. ვარ 20 წლის, არ ვეწევი, არ ვცხოვრობ ღამის ცხოვრებით. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-33 წლის, შეძლებულ ბიჭს, რომელიც დააფასებს პატიოსნებას.

კაცები

12. გავიცნობ მარტოხელა, პატიოსან მანდილოსანს, რომელიც მარტოობით დაიღალა. უსიყვარულოდ ვარ. 43/172/75, მარტოხელა, სმპათიური მამაკაცი, სულიდაგული.

13. ვარ 22 წლის, სიმპათიური ბიჭი. საიდუმლო და ლამაზი ურთიერთობისთვის გავიცნობ ლამაზ, მომხიბვლელ, თბილისში მცხოვრებ, 22-40 წლის ქალბატონს.

14. გთხოვთ, დამაკავშიროთ 48-ე ნომრის მე-2 მესიჯის ავტორს, ნანას. ეტყობა, არ გაუმართლა სიყვარულში. მიეცით ჩემი ნომერი.

15. „გზა“ №36, ვეხმაურები ბობოს. ვარ 28 წლის. მინდა კარგი მეგობარი. თუ დაგაინტერესებს, დამიმესიჯე.

16. ვარ 30 წლის მამაკაცი. მხოლოდ ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 25-30 წლის, სუფთა წარსულის გოგონას, მაღალს. სასურველია, რუსული ენის ცოდნა და იყოს ქუთაისელი. იასონი.

17. „გზა“ №40, მე-13 მესიჯის ავტორის ნომერი მომეცით.

18. გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, უკომპლექსო ქალბატონს, სამეგობროდ. ვარ 35 წლის. გოგიტა.

19. მინდა, თითებით შეგეხო, ვიგრძნო სურნელი შენი, ღამით სიზმარში გესტუმრო, შენს მკერდზე რომ დავიძინო და ჩემი იყო, გესმის? გავიცნობ თბილისელ მანდილოსანს. იკა.

20. გავიცნობ თბილისელ, 20 წლამდე ასაკის, შხვართივით გოგოს, სულით და გულით კეთილს, სერიოზული ურთიერთობისთვის (ზოგჯერ შესაფერისები ვერ პოულობენ ერთმანეთს. იქნებ, ვიპოვო).

21. ვარ 23 წლის, სექსუალური მამაკაცი. გავიცნობ ყველა გოგოს, ვისაც ხიბლავს ექსტრემალური სექსი. ამ ნომერზე დარეკეთ, არ ინანებთ. სექს ამიკო.

22. ვარ 27 წლის, დასაოჯახებელი ბიჭი. გავიცნობ სუფთა წარსულის მქონე, 27 წლამდე ასაკის, განათხოვარ გოგონას. დანარჩენი — პირადად.

23. მინდა გავიცნო 40 წლამდე ასაკის, ლამაზი ქალი, რომელიც არის სიყვარულს მოკლებული. ვარ 23 წლის, სიმპათიური, სერიოზული ბიჭი.

24. სამეგობროდ გავიცნობ თბილისელ, 27-40 წლის, ქერა ქალბატონს. ვარ 39 წლის მამაკაცი.

25. ერეტიკოსებო, რომანტიკოსებო, სულით, ხორცით ლამაზო გოგონებო, არ მოგწყინდათ, ერთფეროვნება? არ მოგენატრათ, სიყვარული, ცისარტყელა? ვცადოთ, იქნებ გაგვიმართლოს. გიო.

26. გავიცნობდი თბილისში მყოფ, 18-35 წლის მანდილოსანს, ჩუმი და ანონიმური შეხვედრისათვის. ვარ გაგებული, დასაქმებული მამაკაცი. მხოლოდ სერიოზულს. დანარჩენი — პირადად. გელით, გიო.

27. გავიცნობ 22 წლის გოგოს, სამეგობროდ. ვარ 25 წლის, სიმპათიური ბიჭი, დასაქმებული.

28. მინდა გავიცნო 22 წლამდე მანდილოსანი.

29. ვარ 26/180/80, თბილისელი, ვარ ზარმაცი და უსაქმური. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 17-23 წლის, ლამაზ, ჭკვიან, პატიოსან და მშრომელ გოგოს. თუთუნია.

30. ვარ 32 წლის, საკმაოდ სიმპათიური მამაკაცი, დასაქმებული. მყავს მანქანა. გავიცნობ თბილისში მცხოვრებ, ლამაზ მანდილოსანს, სამეგობროდ. გასართობად არ შეწუხდეთ.

31. „გზა“ №49, მე-6 მესიჯის ავტორს ვეხმაურები, წუნიას. მიეცი ჩემი ნომერი.

32. ვარ მაღალი, 16 წლის, კალათბურთელი ბიჭი. გავიცნობ კარგ გოგონას. დამიმესიჯეთ. გიგა.

33. გავიცნობ ინტიმური შეხვედრებისთვის და მეგობრობისთვის, სასიამოვნო და საინტერესო ქალბატონს. 24 წლის ვარ, ჩემზე უფროსი თუ გამომეხმაურებით, აჯობებს, უკეთესად გავუგებთ.

34. გავიცნობ გოგოს, ინტიმური ურთიერთობისთვის. ვარ 21 წლის. დამიმესიჯეთ, გავიცნოთ ერთმანეთი და მაგრად გავერთოთ. კარგი გოგო კარგადაც დასაჩუქრდება ჩემგან.

35. ვარ 39 წლის, 180 სმ სიმაღლის, სიმპათიური მამაკაცი. მაქვს საკუთარი ბიზნესი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან გოგოს.

36. მინდა გავიცნო ის პიროვნება, რომელიც დღეს მეტროში ვნახე. რატომღაც მასში ლამაზი სულის ადამიანი დავინახე, ძალიან სანდომიანი სახე ჰქონდა.



37. ვეძებ სტუდენტობის მეგობარს, მაია კახაძეს, დიდი ჯიხაიშიდან. ლია ბრეგაძე, ქუთაისი.



• რამდენჯერ დაგიმესიჯეთ და არ გამოაქვეყნეთ. :-(რატომ? ასეთი ცუდი ვარ? :-(მენატრებით, ქართველებო, სიგიჟემდე. სიხარულით ველოდები კვირას, რომ თქვენი ჟურნალი ვიყიდო დაგვიანებით, მაგრამ სიხარულით. :-) გაკოცეთ ყველას, ათენიდან მპაااااჩ! სესილია18.

• ვერ წარმოიდგენ, აქ, უცხო ქვეყანაში ჟურნალი „გზა“ რამდენს ნიშნავს ჩემთვის. ყველანი მიყვარხართ. ჩემი ნიკია პია“.

• პრივეტ, მე პირველად გწერთ, მაგრამ თქვენი ერთგული მკითხველი ვარ. მე ათინა ვარ, საბერძნეთიდან. იმედია, მიმიღებთ თქვენს „სასტავში“. ყველას გაუმარჯოს! ათინა.

• ამ მესიჯს ათენიდან ვწერ. ნატო ელიზბარაშვილო, მენატრები ძალიან. გათხოვდი გოგო, იქნებ მაშინ მაინც ჩამოვიდე ყანდაურაში. გკოცნი.

• მარორიტა, სიხარულო, რატომ არ დაიბეჭდა ჩემი მესიჯები „მობილი-ზაციაში“? გული დამწყდა, დაბადების დღე რომ ვერ მივულოცე გველს, მგელოს და როზის. :(ზაზუ, გამაგრდი! მიყვარხართ, ნიკოლი.

• როზიიი სიხარულო, მთიული მე ვარ, მეე! თან მეც გათხოვილი ვარ და მეც პატარა ბაია მყავს. მგზავნელებო მთელი საქართველოსი, შევერთდეთ! სონა.

• ხალხო, რავა ხართ? აუ, ძაან მაგრები ხართ, მინდა მეც შემოგიერთდეთ, თუ რა თქმა უნდა, წინააღმდეგი არ ხართ. „გზაში“ პირველად ვამესიჯებ და გამომეხმაურეთ, რაა. wind69.

• ხალხო, ხომ გამიცნობთ? ვინმე მაინც გამომეხმაურეთ, რაა. მართალია, ჯერ არ გიცნობ, მგელო-30, დაგვიანებით, მაგრამ მაინც მინდა მოგილოცო დაბადების დღე და წარმატება გისურვო. მპუა. wind69.

• მეგრელო მგელო, მოგვიანებით გილოცავ იუბილეს. შენი sms არ მოჰკლებოდეს, ჟურნალ „გზას“. ბოა.

• მეუღლეს ვუთხარი: აწი კვირაში მხოლოდ ერთ დღეს დავლევ, პარასკევს-მეთქი. — კარგად გიცნობ, შენ კვირაში შვიდი პარასკევი გაქვსო, მიპასუხა მზიამ. ოლეგარიო.

• — ოლე, ერთი ქვაბი ტოლმა რომ შეჭამე, ხომ გითხრა ექიმმა, სუფრიდან რომ ადგები, შიმშილის გრძნობა უნდა აგყვესო? მითხრა ცოლმა. — მერე, ვინ გითხრა, რომ არ ამყვა? — ვუპასუხე მე. ოლეგარიო.

• ჩემმა მეგობრებმა ახლახან იჩხუბეს და ვერ შევარიგე. მინდა, მათ ვუთხრა: გაუფრთხილდით ერთმანეთს, სიყვარული უფლის საჩუქარია, რომელიც ყველას არ ხვდება. მგლის და.

• ყველანი ძალიან მიყვარხართ. მარი, გენათალე შენა. ყველანი ძალიან კარგები ხართ. სტიქია, დაგვიბრუნდი, რა. :(პატარა ჟურნალისტკა.

• ნელკა, თეო-მგელო, გველი-16, გერასიმე, ლეო91, ashley pcd, დიდი მადლობა ყველას, მოლოცვისთვის. გაიხარეთ! :) როზი, გილოცავ დაბადების დღეს, მორიელებს გაგვიმარჯოოოს! :) ნიკოლი.

• ნელკა, ნელკა, შენ ხომ არ იცი, როგორ გამახარე! ჩუქჩა, შეწირული, ნიკოლი სად არიან, ნეტავ? ლეოო91, გენაცვალეოოო! :) მპუა. მარი, მარი, აბა, მიცანი? 9122.

• მგლის დავ, ახლა „გზის“ ფურცლებიდან მოგიკითხავ. გეტყვი, რომ უნაზესი გოგო ხარ. შენ კი ილინ, უსაყვარლესი. გკოცნის ბიძია დიმა. იმრავლოს თქვენნაირმა გოგონებმა. ბოა.

• ბოა, ჩემს მეუღლეს ამნისტია ჯერჯერობით არ ეხება. მომავალში ვნახოთ. დიდი მადლობა ყველას, ვინც მბალელშიკობს. ზაზუნას ვუსამძიმრებ. ალბათ საშინელ დღეშია. პატარა ლელა.

• თერჯოლის მეორე საშუალოს მეათეკლასელო, ნინო მემანიშვილო, მაინც ჩემი იქნები. პრინცესავ, შენი შავი თვალები მაგიჟებს. ხელს ნუ მკრავ, თორემ მოგიტაცებ. უცნობი.

• გავიცნობ 99 წლის ქალიშვილს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ უზრუნველყოფილი, ყველაფრით. აგენტი 8-07.

• ზაზუ, სიხ, გამაგრდი, უფალი გფარავდეს! ჩემო მარად მხიარულო ნელკა, მალე დაგიმესიჯებ, o.k? პრობლემები მაქვს. :(მამი, მალე გამოჯანმრთელებას გისურვებ. შენი გიჟი ნიკოლი.

• მაზოხისტკა და ჯონი დეპ, იბედნიერეთ, ჩემო გვრიტებო. :) ილინ, ძალიან ლამაზი და საყვარელი გოგონა ხარ. გაკოცე შენ, მპუა. :) ნელკა. მაწდუნი ძალიაااან! :) სვანურია, სიხ, ნიკოლი.

• აუ, ვკვდებიიი, ცუდად ვაااარ! ცხოვრებაში აწი აღარასოდეს დავლევ. ეს რა დღეში ვარ, ღმერთო. :(გადამარჩინეეე... მგელო უმერ, ღრუტუნიებო. :(მეგრელი მგელო-30.

• ვაიმე, რა ცუდად ვარ, დაბადების დღეზე ვიქეიფეთ დაქალებმა და ძმაკაცებმა. დავლიეთ, მაგრად ვიყავით. მერე გოგონებმა განსხვავებულებიც დავლიეთ. დედაჩემს ჰკითხეთ, თურმე სულ ფანტანებს ვასხამდით. ყველა ჩემთან დავტოვე. შუთუს დაიკოც მყავდა. დათვრა და სულ აგინა ჩემს შუთუს. შეუკურთხა მეგრულად. მე ნინოს დავცხე და დავცხეე. მოკლედ, მერე დედაჩემზე ვკაიფობდით. შუთუს დაურეკა და უთხრა: შვილო, ამაღამ შენი და აქ დარჩესო. რა იცოდა, მომავალ სიძეს რომ ელაპარაკებოდა! ასე რომ, დედი, უი, ქალბატონო მარინე, გვაპატიე, ჩვენი გამოხდომები. ბავშვები ვაართ. 18-ის გავხდი, ეე! :) ვინც მომილოცეთ, გაიხარეთ. ჯიგრებო, პახმელიაااა! მეგრელი მგელო-30. ახლა, რო გამოვფხიზლდით, აქეთ გვეკაიფება: ბრადიაგებო, რა დღეში იყავით, რაებს ბოდავდით, გინების მეტი არაფერი გამიგია თქვენგანო.

• მეგრელო მგელო, გილოცავ დაბადების დღეს, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ. მოვიკითხავ პუპსიკას, ოლეგარიოს, ყველა რუსთაველს, შეწირულს, სესის. მაგრები ხართ, ძაან. სევდია.

• ფანცქვალ, მატილდა, ეთუშკინ და ყველას, ვინც ახლები ხართ: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ჩვენს დიდ ოჯახში. პუპსიკა.

• სალამი lily19-ს. პატარა როგორ გყავს? რა ხნის არის? პუპსიკა.

• ამ ჟურნალის საშუალებით ძალიან კარგი მეგობარი შევიძინე. ეს სევდიაა. ქალოო, მიკვალხაალ. ჯაფარიძე, გაიხარე, რომ არსებობს „გზავნილები“ და „მობილიზაცია“. პუპსიკა.

• მგონი აქ ვიღაცამ გველი-16-ზე, ანუ ბაჭიაზე თქვა ცუდად რაღაც. მე და სევდია ვიცნობთ მას და ძალიან საკალელი გოგოა. ალბათ შურს ვიღაცას შენი, ბაჭიავ. პუპსიკა.

• სალი, პუპსიკას ვეტყვი, რომ ჩემს ნიკს თავი დაანებოს. მე არავის ნიკს არ ვითვისებ და ნურც ჩემსას ამახევთ. პუპსიკა ნამდვილი.

• უჰ, გამარჯობაااათ. რავა ხართ, ტკბილო და მურაბა ხალხო? გაკოცეთ ბევრები. ვასასი, ქუთაისიდან.

• შაბათს ამხანაგის ქორწილში წავედი. ჩემი ძმა მეკითხება — რა მანქანით იყავი ჯვრისწერაზე? მე კი ვუპასუხე: აი, იმით, თეთრი ყვავილები რომ ჰქონდა, გარჭობილი. ამალთეა.

• დღეს, „გზაში“ მაქვს თავი ჩაყოფილი, ვკითხულობ გამალებული და რეკავს ტელეფონი. ისმის ქალის ხმა: ალო, თაკო, შენ ხარ? — არა, თამუნა ვარ-მეთქი და გამითიშა. ამალთეა.

• ზაზუ, გამაგრდი და გახსოვდეს, ღმერთს კარგები თავისთვის უნდა. მგზავნელებო, თქვენი უყურადღებობა ძალიან მწყინს. ჩემი sms დამეგობრებაზე არც კი შეამჩნიეთ. ამალთეა.

• პრივეტები, როგორ ხართ? მე ახალი ვარ და რა თქმა უნდა, მიმიღებთ. ამას არც გეკითხებით, იმიტომ, რომ „გზა“ ხომ ყველასია. ლეო91, რა უბნელი ხარ? დაგიბრუნდებით. შოკოლადა.

• გაიხარე, თაის... გრანდიოზული იდეისთვის... ვასასი.

• მგელო მოკვდა. გასვენება ხუთშაბათს, 4 საათზე. მისამართი? ქალაქი ხობი. ნინოშვილის ქუჩა, 31. მან 17 წლისამ დაასრულა ეს სიფორცხლე. 18-ის გახდა დაა... ვწუხვარ, თეო. მეგრელი მგელო-30.

• ყველა მეგობრულ სიყვარულს თავისი მფარველი ანგელოზი ჰყავს. როცა მეგობრული სიყვარული კვდება, ანგელოზი ტირის. გპირდები, ამ ანგელოზს არასოდეს ავატირებ. ლუსი.

• გაუმარჯოს ყაზბეგს და მოხევეებს. მიყვარხართ ყველანი. პუსკი.

• ძაან ვთხოვ ადმინისტრაციას. ნინი შერმადინის გაცნობა მინდა ძაან და უცნობის. დამეხმარეთ, გევედრებით დაჩოქილი. გთხოვთ, დამიდგეთ გვერდში. შეხვედრა მსურს.

• სალამი ყველა მგზავნელს. როგორ ხართ? ძალიან საინტერესო და საყვარელი ადამიანები ხართ. დღეიდან არ დავინახო ერთმანეთის ლანძღვა და კრიტიკა. მორჩა! შევეცადოთ, საინტერესო გავხადოთ „გზავნილები“. ამდენი მპუა, ამდენი შეკითხვა — მიმიღებთ? კმარა, რა! ცუდად ნუ გამიგებთ, ყველა მიყვარხართ. მართლა, რა!

• ნამდვილ პუპსიკას: ბოდიში, ჩემო კარგო, ნიკის წართმევა არც მიფიქრია. უბრალოდ, ეს მეგობრებმა შემარქვეს და ასე მეძახიან. მგონი ცუდი არაფერი ჩამიდენია, უპატიებელი. შენ იყავი პუპსიკა, ვინ გიშლის? მე კი



ნუ მოაღფყოფ ჭალის
წჭილოქანის გაამ. ძალები
მოაჭამ ღყოლოსაჭის
შემოინახე.

ვიქნები სალუკა-პუპსიკა. ვიყოთ ორივე კარგად და მეგობრულად, „გზასთან“ ერთად. სალუკა-პუპსიკა.

• მივესალმები და მოვიკითხავ ყველა მგზავნელს, დიდი პატივისცემით; რუსთავს, განსაკუთრებით კი რ. თევზაძეს. სოფლელი, ნანა (გოჭი). არააქტიური მესიჯომანი, სალუკა-პუპსიკა.

• მარი, ამაზეა ნათქვამი, შეფობა დასწრებაზეაო. მეფობა არა, მაგრამ შეფობა რომ მივითვისო? ლეო91.

• კარგი წამოწყებაა, გვეყოს ჩხუბი, ჩვენ ხომ ერთი დიდი ოჯახი ვართ. ლეო91.

• ეშმაკუნ, მაშ რა გეგონა, ხომ იცი, ყველაფრის საქმის კურსში ვარ. მიფრთხილდი! ასეც მოვიქცეთ, შევიკრიბოთ და ვასახელოთ ქუთაისი. ლეო91.

• ჩემს საყვარელ ძმაკაცს, ლევან მღებრიშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ჯაგარ ჯაგარიჩ. თამო და აგნესა.

• როზი, როზი, მეც მთიული ვარ! გაიხარეთ, მთიულებოოო! მის ფისო, ვერ მცნობ, ხომ? მიყვარხარ, გენაცვალეო! დოდოოო, გილოცავ დაბადების დღეს, მპუა, მპუა, ორივეს. 9122.

• ერთი კლასელი გოგო მყავს, რომელიც „რასიზმითაა“ ცნობილი. რამდენიმე დღის წინ ეს ჩვენი რასისტკა ავტობუსში ავიდა. ერთ გაჩერებაზე გვერდით ჩინელი მიუჯდა, რომელსაც თათიას მხარზე ხელი მოუხვდა. ეს უკანასკნელი კი მიზეზს ეძებდა და ერთი ამბავი ატეხა, ჩინელი ხელებს მიფათურებსო. ეს საცოდავი ჩინელი, ბიჭებმა ავტობუსიდან ჩააბრძანეს და ალბათ ხვდებით, როგორ გაიძუყნებოდა. რასისტკამ კი კლასში ამაყად გამოაცხადა — ერთი ჩინელი მაინც ხომ შევიწირეო! ლეო91.

• ვეხმაურები ნათუშკებს. იქნებ, როგორმე გავიცნოთ ერთმანეთი. ჩემი შეყვარებულიც უცხოეთშია და ძალიან მინდა მისთან მესიჯობა. ჩემსასაც ირაკლი ჰქვია.

• როოზი, ჯიიგაარო, გმადლობ, თბილი სიტყვებისთვის, მაგრამ მე მდედრი არ ვარ, მამრი ვარ! ახლებო, ელფგირლ, ფანცქვალა, ეთუშკინა, მატილდა. სად დაიკარგეთ? კილერი-22.

• არა, მაინც რა კარგები ხართ! ვინც თქვენზე ცუდი რამე თქვას, „გული გაუპოს დანამა“. ჯიგრებოო, მე ისეთი ხოხმა ამბები ვიციიი, უნდა გაგგუდოთ სიცილით. კილერი-22.

• რავი, ჩემო გუკა, აქამდეც ლეო91, იგივე ლევანი ვიყავი და რა ვიცი, რა გითხრა. :) შენ ის თქვი, რა გაინტერესებს. ლეო91.

• შეწირულ, სანამ შუაღამით ვაგზალზე სიარულს არ მოიშლი, მანამდე ეგ კითხვა გექნება. :) ისე, შენი წინასწარმეტყველება ხდება, ხომ იცი?! :) ლეო91.

• გამარჯობა, ამაზონ, საბედნიეროდ, ჩვენთან ანაკონდები (როგორც პირადაპირი, ასევე გადატანითი მნიშვნელობით) არ გვაწუხებს, რადგან მარიმ ერთმანეთის დაგესვლა და კბენა აკრძალა. ასე რომ, ნუ შეგეშინდება და დარჩი ჩვენთან. :) ლეო91.

• wind69, მაგას კითხვა რად უნდა? რა თქმა უნდა, მიგიღებთ. კომპლიმენტისთვის მადლობა. ლეო91.

• სულაც არ არის უცნაური, თუ 13 წლისას, ისევ პატარა გინდა, იყო. :) იცხოვრე ოცნებებში, ოღონდ ზედმეტი არაფერი ვარგა. გაიხარე. ლეო91.

• ძალიან მინდა თქვენი ნახვა, ბავშვებო. როზი.

• ვაიმე, მართლა ცუდად ვარ. „გზა“ რომ წავიკითხე, ცუდად გავხდი. ტრასაზე ავარიის წაკითხვისას გული ცუდად გამიხდა, ცხარე ცრემლებით ვტიროდი. მერე დედ-მამასაც წავუკითხე, მაგრამ ეს არ იყო უბრალოდ კითხვა. ვკითხულობდი და ვქვითინებდი. ეს რა უბედურებაა. რატომაა ცხოვრება უსამართლო? მე ხიფათს ბევრჯერ გადავრჩენილვარ, მაგრამ ამ ავარიას ვერ დავივიწყებ, რადგან ეს ჩემს ცხოვრებაში ყველაზე უსიამოვნო ფაქტი იყო და საერთოდ, მეზიზღება ნოემბერი. 30 ნოემბერი! მიუხედავად იმისა, რომ დაბადების დღე მაქვს. დაიწვას ეგ დღეც და თვეც! ეს სტუდენტები არ იყვნენ ღირსი, ცხოვრება ასე რომ მოჰქცეოდათ. თან ერთი ფეხმძიმე! მაგ პატარა არსებამ რაღა დააშავა? არა, კოშმარია! ღმერთო! მეგრელი მგელო-30.

• როზი, 16-ის ვარ, შენი პატარა ცხოვრება კი უფალმა ჯანმრთელი გაგიზარდოს! არგელოდი.

• იცი რა, მეოცნებევ, ცუდად არ გაუბერო! ჩვენ ქართველები ვართ და მოვრჩეთ ამ უაზრო კუთხურ ნაციონალიზმს. არგელოდი.

• ლეო, მართლა მიყვარხარ და ჩემს ყოფილ შეყვარებულზე ნუ ეჭვიანობ, გთხოვ. მე ვახოსთან არანაირი ურთიერთობა აღარ მაქვს და მორჩი ეჭვიანობას. გკოცნი. :) ნათია.

• ნუ მძაბავთ, რაა! ხალხო, ამ თვალებზე ტერფი გაქვთ ამოფარებული თუ რკინის ფარდა? 2 კვირაა, ვწერ, მე და კანიბალკა შევრიგდით, შევეწყვეთ ერთმანეთს-მეთქი და თქვენ კიდევ თქვენებურს უბერავთ. გეყოთ, რა, დედა ტერეზას როლის თამაში, o.k? და ყველას, ვინც მე ჭკუას მარიგებს, იცით, რას გეტყვით? ქორთხინთ ქუდო ბზოჯათი, o.k? მეგრული ფრაზაა და თუ ძაან დაგაინტერესათ, ადვილად გაიგებთ. :) ასე რომ, ჩემო ჭუკებო, დამინყნარდით. ვიმეორებ, მე და ლანკა ახლა მაგრად ვართ. რა ვერ გაიგეთ, ტოო? ვაჰ! კაპასა, მეგრელი მგელო-30.

• სოფ, შენი ნიკი ასე მიახატე აწი სულ, ათენში. მეოცნებე. o.k? მაგარია. არა, ქალო, ლექსო ბურღაშვილია გვარად. ჩემი ჩუვაკია, რა. :) გვერდიგვერდ ვცხოვრობთ და იცი, რა ბიჭია? თან ექიმი და იცი, რა ფულებს ჭედავს? იცოცხლე შენაა! :) ერთხელ ვუთხარი, ეე, ჩუვაკ, ლესუსენ, შენი თანაშემწე ექთანი ვიქნები და წილში ჩამაკვეხე-მეთქი და — კიო. იცი, ახლა რას ვასრულებ ლექსოს ექთანი? მის ინსტრუმენტებს დამასუფთავებინებს, კარგად დავაკრიალებ ხოლმე მის პროთეზებს. თან ხალათი მაცვია. უი, უნდა გითხრა, რომ სახლში აქვს, ერთ ოთახში თავისი მოწყობილობები და პაციენტებს ერთად ვიღებთ. :) რა გინდა, თვეში 15 ლარი მქონდა, მაგრამ ახლა სკოლა მაქვს, მაგრამ გვიან შევდივარ და ისევ ძველებურად, შემართებით ვასრულებ ჩემს საქმეს. :) მაგარია, არა? ქალი იურისტობას ვაპირებ და უკვე სანიტრად ვმუშაობ. :) კარგ ოჯახს შექმნით, ისე, ქალო, ხომ იცი? მეგრელი მგელო-30.

• vind69, აქ ვისაც გაუხარდება დამესიჯება, ყველა მიღებულია, დასტურის გარეშე. უი, გეიხარე კომპლიმენტისთვის, არ გამანებივრო, თორემ გავწითლდებიიი. :) ჰუ, მეგრელი მგელო-30.

• აუ, მამაცო თოჯინავ, ჩუუუ, რაა! აუ, ნუ მაჩმორებ უძაანესად გთხოვ, რაა! დაგი-

ჩოქო, ნეტავ? შენს მესიჯზე მაგრად გამეცინა. კაშმაააარ, რაა! პხხხ... :) მეგრელი მგელო-30.

• როგორ თუ კახელი მგელო? მე, როგორც მეგრელი, ისე შენ კახელი მგელო იქნები, ნიკით? არ არსებობს! აქ მგელო მარტო მე ვარ და ვიქნები კიდეც! გასაგებლარია, კახელო? არ გეგონოს, გეკაჩავებოდე, უბრალოდ, სხვა ნიკი აარჩიე, ოღონდ, მგელო არა. ან ახსენი, რატომ ხარ მგელო. მე ავხსნი: 15-ში ჩემი ანესაა იუბილარი, ვაა, ტოო, მაგარია, მაგარი. მეგრელი მგელო-30.

• პუპსიკ, ეგ უეჭველია, მიშა, ჯიგარსონი ხარ! აგენტო 8-07, მე ზემლიაკი? სად დაიკარგე, დაგახრჩო გინდა, ტო? როზი, კარგად ქალ, შენ ხომ ხარ კერკეტი კაკალივით? მეგრელი მგელო-30.

• 9122, გმადლობთ, ძმა, თუ რამე და, ყველამ მგელო-30-ად მომიხსენიეთ, o.k? აუ, თურმე რამდენი ყოფილა ამ თვეში დაბადებული. მეგრელი მგელო-30.

• ზაზუ-22, შენი ლექსებიდან დედაჩემმა იგრძნო დიდი სევდა და ტკივილი. მეც ყველაფერი მოვუყევი შენზე და ცრემლებად ირეცხებოდა. ის ქალი არ ყოფილა შვილების და დედობის ღირსიო და მართალიცაა. მითხრა, არასდროს მიატოვო, სულ ეკონტაქტე, კარგი გოგოა, ღმერთმა ამდენი სატანჯველი დააკისრა და იქნებ შენ ცოტათი მაინც გაამხიარულო და თუნდაც წუთით დაავიწყო ის ტკივილი, რასაც ახლა განიცდისო; ამით მე, ზაზუს და ღმერთსაც გაახარებო. ასეც იქნება. მე შენთან ვარ, სიკვდილამდე! მეგრელი მგელო-30.

• დუჩი, ნუ ინაღვლებ, ღვთის წყალობით, ყველაფერი კარგად იქნება. ლეო91.

• როზი, შენი ბავშვი გოგოა თუ ბიჭი? იმიტომ გეკითხები, რომ მეც 19 წლის ვარ და 2 წლის გოგო მყავს. ჰო, ისე, მე lily ვარ და ლილი არ მქვია. lily19.

• ლეო91, სიბოროტეს და გაბოროტებულს ისევ კეთილი სულელი ჯობია. უბრალოდ, იყავი კეთილი. აუცილებელი არ არის, ამავდროულად სულელიც იყო, თორემ მართლა გაგაბოროტებენ. დუჩი.

• მგელო, ვიცი, ურთიერთობა ააწყვეთ და ძალიან მოხარული ვარ. მეც ზუსტად ეგ მინდა, რომ ყველას ერთმანეთი გიხაროდეთ და გიყვარდეთ. მე ძალიან მიყვარხართ ყველა! :) დუჩი.

• ანარქიას მესიჯმა და იმ ავტოავარიის ტრაგედიამ მაგრად დამგრუზა. ლეო91.

• მარი, გაიარ-გამოიარე ქალაქის ქუჩებში და ცხელ-ცხელი სიტუაციები გამოგვიცხვე, რა... ლეო91.

• მგზავნელების კი არა და, რაც კი ნომრები მქონდა, ყველა წავშალე. ამიტომ, თუ ვინმემ მომწერა და ვერ გიცანით, სორი. 18-ში დაბადების დღე მაქვს. ნეტავ, ვინ მომილოცავს? დუჩი.

• თქვენ გაგიგიათ, დამავოი სოსკას იპარავდეს და წოვდეს? :) მეც ახლა გავიგე. ეს კვირა კარგი იყო, ბერი მგზავნელი გავიცანი, მესიჯებით. გენათალეთ, თქვენა. lily19.

• ნეტავ მე ვიყო პატარა ცრემლი, რომ შენს თვალებში მუდამ ვიარო და თუ დარდი გაქვს ან სიხარული, მეც შენთან ერთად გავიზიარო. ირაკლი ახვლედიანს, ნათუშკებისგან.

• ქუთაისში უმაგრეს კაცს, თემო ცამციშვილს ვეტყვი, რომ ძალიან მომწონს. გენაცვალე, მაგარი სიცოცხლე და საყვარლობა ადამიანი ხარ, გაკოცე მაგრად, მაგრაად! i.k.w.i.w.

• ოე, მეოცნებევ, ცუდი გზით უბერავ! მაგ ფრაზით შეურაცხყოფას აყენებ დანარჩენ საქართველოს! რატომ ხართ ყველაზე მაგრები მეგრელები? არგელოდი.

• მუზკუნა და ნინო-მილან, სად იკარგებით, გოო? თავი მომანატრეთ. არგელოდი.

• პრივეტები, მგზავნელებო, ჯიგრები ხართ ყველანი, მარით დაწყებული და უსასრულობამდე გაგრძელებული. გაკოცეთ ყველას, i.k.w.i.w.

• რა კარგი იყო ეს კვირა, ნანაინა, ჯივლელო, ნანაინააა! :) რაღაც, ძაან მაგარ ხასიათზე ვარ, ნეტავ, რა მაცინებს? თუმცა, რატომ უნდა ვიტირო? გენათალეთ თქვენა, მპუები. :) lily19.

• ვეხმაურები შეყვარებულ ნათუშკებს. მეც მყავს შეყვარებული, რომელიც უცხოეთშია და მისი გაცნობა მინდა. იქნებ, როგორმე დამიმესიჯო, ნათი.

• მაარ, რატომ არ დამიბეჭდე, მეგრელ მგელოს რომ მივულოცე დაბადების დღე? ეს მაინც დაბეჭდე, პლიზ... :(გილოცავ, სიხარულო, ზაზუნას ამბავი კი ძალიან მეწყინა. ვიზიარებ, სევდია.

• დავდევ ფიქრებში რითმებს და ფიქრსაც შენზე ვიწყებ, მინდა გავენდო ქაღალდს, ცრემლებს კი მაინც ვმალავ. სანთელი უხმოდ ჩაქრა, სულში სიბნელე ჩადგა. ვტოვებ ღმერთსა და ხატებს, სატანა მიმაქანებს. ხევსური.

• green girl, შენ გამო მეც გამოვედი 7-ზე გაჩერებასთან. კი ვიკანკალე, მაგრამ ვერ დაგინახე. :) ჰმ, უფრო სწორად, 8-ის 20 წუთი იყო. :) ლეო91.

• კანიბალკა, შენი წყალობით მომავალი ჯანდაცვის მინისტრი გავიცანი. :) ლეო91.

• კლასიკურ, თუ ამ მესიჯს კითხულობ, შემეხმიანე რა, შენი ნომერი წამეშალა და ამიტომ ვეღარ გეხმიანები. ლეო91.

• როგორ მინდა შენი დავიწყება, მაგრამ დავიწყება შენი მავიწყდება. კახელო, მე ნინო ვარ. ხევსური.

• მინდა, საბერძნეთში ოლია ქუთათელაძე მოვიკითხო. ბიცო, ლელა ვარ. ამჟამად — გათხოვილი. ოლია, ბიცო, მენატრები ძალიან და მიყვარხარ. ასევე მოკითხვა საბერძნეთში მყოფ ყველა ქალს.

• გარიყულო, შენი გაცნობა მინდა, შეიძლება? თემთერ-15.

• ეშხიანი თვალები და გამყინვარე მზერა, გაბუტული ტუჩებიდან წარმოთქმული ბგერა, ეშმაკური ღიმილი და ეშმაკური მზერა, ეგ თვალები გენაცვალე, მაგრად მენატრება. თემპთერ-15.

• ლუციფერ, კაი გამოსვლა იყო, გაიხარე, ძმა! ლეო91.

• დუჩი, რა მდაბიო იუმორი გაქვს, ცხოვრებაშიც ეგეთი ხარ? ერთმანეთის ჩაპადხალიმებას ადამიანურად ყოფნა სჯობია. იყავი ის, რაც ხარ. თუ ეს არ შეგიძლია, შენი პრობლემაა.

• მგელო, გილოცავ, წინა კვირას მარიმ დამბლოკა. :(ილინ, კარგი ხააარ, ნეტავ შენ და შეწირულს ხაშურთან რამე გაკავშირებთ? ნელკა, მიყვარხარ, კოხი, როგორ ხარ, სიხ? ნიკოლი.

• რუსთაველომესიჯომანებო, მოდი, შევიკრიბოთ 14-ში, 2 საათზე, სასტუმროსთან და გავიცნოთ ერთმანეთი. თუ სხვა ქალაქიდანაც მოხვალთ, ხომ მთლად უკეთესი. გელოდებიიით. სევდია.

• ჰო, სულ დამავიწყდა მეთქვა, ყველას ჟურნალები გეჭიროთ, რომ ერთმანეთი ვიცნოთ და სასტუმროს აუზთან შევიკრიბოთ. ყველა მოდით, რაა. :-(სევდია.

• როცა ბედნიერი ხარ, გარშემო უამრავი მეგობარი გყავს; გასაჭირის ჟამს კი მარტო აღმოჩნდები. p.s. ბერტონი ამბობს: მარტოობაში ადამიანი ან წმინდანია ან ეშმაკიო. დუჩი.

• ჰაიტ! მოვეე... დუჩი, მეც მაგრად მიყვარხარ და მართლა, დაბადების დღეს გილოცავ. :) კანიბალკა, დე, მიყვარხარ. ნელკა, გაატოცეე... green girl.



• მიყვარხართ, ეკა და ნინო, სიცოცხლეზე მეტად. უზომოდ მონატრებული, თქვენი მარიკელა. ხალხო, თვალი გაახილეთ, ბიჭებო!

• მიყვარხარ, ეკა ასათიანო. ქუთაისელი კახა.

• თეო დოლიძე, მიყვარხარ ძალიან. შენ ხარ ჩემი ოცნების ქალი. მიყვარხარ. ზურა ჩ.

• მენატრები, უსასრულოდ მენატრები. ზღვის კიდიდან ცის კიდემდე მენატრები. მენატრები, ტკივილამდე მენატრები, სიცილიდან ტირილამდე მენატრები. აგნეს, მენატრები. ნუ მებუტები, რა. იმიტომ გწერ მესიჯებს, რომ ვიცი, კითხულობ. ეგ იცი, რამდენს ნიშნავს, ჩემთვის? მიყვარხარ. თამო.



• მცხეთაში გოგა არჯევანიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ბედნიერ მომავალს და ყველაფერ საუკეთესოს ცხოვრებაში. გფარავდეს ღმერთი. მზია დეიდა.

• მცხეთაში ზოია მარტოლეკს და ეკა გირდას ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება იყოს თქვენი ცხოვრების მეგზური. მზია.

• ხაშურში, „მის ფერია-2007“ წლის გამარჯვებულს, ჩემს საყვარელ შვილს, თამუნა გუდაძეს ვულოცავ გამარჯვებას. გახარებული გევლოს მუდამ, ჩემო ლამაზო. ბევრ კოცნას გიგზავნის შენი დედიკო, ათენიდან. მაკა მთიულიშვილი.

• ჩემს საყვარელ შვილებს, თეონა და თამუნა გუდაძეებს ვულოცავ დაბადების დღეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ულევ სიხარულს. გფარავდეთ ღმერთი. გკოცნით მონატრებული დედიკო, ათენიდან.

• საკობიანოში, ხატია თანდილაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს და ნიკოლოზობას! გისურვებ ჯანმრთელობას და უფლის წყალობას. მენატრები და მიყვარხარ, ძალიან. მზია დეიდა.

• 9 დეკემბერს, ჩემს საყვარელ დისშვილს, გოგიტა დოღუსოვს ვულოცავ 5 წლის იუბილეს, ვუსურვებ სიხარულს და ბედნიერ მომავალს. უფალი ჰფარავდეს ყოველთვის. ნონიკო დეიდა.

• ჩემს ვაჟს, ვახტანგ ელიზბარაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დედი, დაესწარი მრავალს. გფარავდეს ღმერთი. ცხოვრების იმედი ხარ. გკოცნის შენი დედიკო, მზია.

• მცხეთაში ნინო ჯიმშიტაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. სიხარული, სიყვარული და ბედნიერება იყოს შენი ცხოვრების მეგზური. მენატრები ძალიან. მზია.

• გველი-16-ს და მეგრელ მგელოს მოგვიანებით ვულოცავ დაბადების დღეს. ღმერთი გფარავდეთ, ჩემო კარგებო. ძალიან მიყვარხართ, გკოცნით. ნიკოლი.

• ალეკო დამენია, გილოცავ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, ულევ სიხარულსა და ლამაზ სიყვარულს. მრავალს დაესწარი. ქეთი.

• მარი, მეც მარი ვარ და მინდა, ჩემს დედიკოს მივულოცო დაბადების დღე. დედიკო, გისურვებ ჯანმრთელობას და სულიერ სიმშვიდეს. შენი ბუთხუზა.

• მეხუთე იზოლატორის 79-ე კამერაში მყოფ ლევან მღებრიშვილს (ჯაგარ ჯაგარიჩს) ვულოცავთ დაბადების დგეს. თამო და აგნესა.

ყურადღება!

შეიცვალა „მობილიზაციაში“ ნომრის გაგების წესი. დღეიდან სასურველი ნომრის გასაგებად, ჩემს ნომერზე: 8.77.45.68.61 დარეკვა აღარ დაგჭირდებათ და ამის შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გექნებათ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №39-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: guli 39-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება.

ჰოროსკოპი

ომაყვალი

მოგიწევს ძალების მოკრება და სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულება. მართალია, საახალწლო სამზადისმა ყველა ჩაითრია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ პირდაპირ მოვალეობას თავი აარიდო. თანაც, გაითვალისწინე, რომ შენს უშუალო უფროსს შეუსრულებელი სამუშაოს მიზეზები არ აინტერესებს.

საქმაყვალი

ამ დღეს, მომავალ დღესასწაულსა და არდადეგებზე ოცნებას არ გირჩევ. რა თქმა უნდა, სურვილი დიდი გექნება, მაგრამ ჯობს, ჯერ საქმეს მიხედო. სულ ცოტაც მოითმინე და შემდეგ უკვე შეძლებ, მთელი სულითა და გულით ჩაერთო წინასაახლწლო სამზადისში.

ოთხაყვალი



ოთხშაბათს შეფს თვალში ნუ შეეჩხირები. განმარტოვდი და იოცნებე. მონოტონური სამუშაოს შესრულების დროს, დრო სწრაფად გავა. საღამოკი ოჯახის წევრების გარემოცვაში გაატარე, რაც მეორე დღეს, დადებითი ემოციების საწინდარი იქნება.

ხუთშაბათი

ეს დღე უფერული იქნება. როგორ უნდა მოიქცე, რომ ის ცოტა „გააფერადო“? იფიქრე იმაზე, რომ მალე ახალი წელი დადგება, რომელსაც დასვენების დღეები მოჰყვება. საქმე, რომელიც აუცილებლად ამ წელში უნდა დაამთავრო, არ გადადო. დროს ტყუილად ნუ დაკარგავ. ეცადე, ახლობლების მიმართ ყურადღება გამოიჩინო.

პარასკევი

საუკეთესო დღეა საიმისოდ, რომ განვლილი წლის შედეგები შეაჯამო და გარკვეული დასკვნაც გამოიტანო. არ დაგავიწყდეს, რომ მიმდინარე წელი ჯერ არ დამთავრებულა და შესაძლოა, კიდევ რაიმე მნიშვნელოვანი მოხდეს. ყოველ დილით, როდესაც გაიღვიძებ, სწორედ ამის მოლოდინში არ ხარ?!





შაბათი

შესაძლოა, სწორედ დღეს დაგეუფლოს სევდიანი განწყობილება იმის გამო, რომ რაც ამ წელში დაგეგმე, ბოლომდე ვერ მიიყვანე. არ ღირს ყველაფრის ასე დრამატიზება. საქმე არც ისე ცუდადაა. ჯერ კიდევ გაქვს დრო, რომ ყველაფერი გამოასწორო.

კვირა

ეს დღე ცოტა მძიმე იქნება და დიდ ძალისხმევას მოითხოვს, რომ ყველაფერი ისე მოაწყო, როგორც ჩაფიქრებული გაქვს. თუ სალამოს, მეგობრებთან ერთად ცოტას წაუქეიფებ, კარგი იქნება, მაგრამ არ დაგავიწყდეს, რომ ხვალ სამუშაო დღეა. მსუბუქ, სპირტიანი სასმელი კი გაგახალისებს.

VODKA PRESIDENTS



ვიტამინები ვიტამინების ფესვებზე

მხოლოდ ანეკდოტებში ხდება, რომ როდესაც კლიენტი ოფიციანტს ეკითხება: რა დაცოცავს ჩემს სალათაზეო? ის უპასუხებს: „ვიტამინები, ბატონო“. სინამდვილეში, ვიტამინის თვალით დანახვა შეუძლებელია, მაგრამ ორგანიზმისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

ისინი საჭმლის გადამუშავების პროცესში მონაწილეობენ და ნივთიერებათა ცვლას არეგულირებენ; ხელს უშლიან ქოლესტერინის წარმოქმნას და ნერვულ, ენდოკრინულ, გულსისხლძარღვთა და ღვიძლის მუშაობას ხელს უწყობენ. ასევე, უამრავ სხვა, სასარგებლო სამუშაოს ასრულებენ.

პოლივიტამინების რეგულარულად მიღება სასარგებლოა, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობენ ადამიანები, ვისაც ვიტამინების სარგებლობაში ეჭვი ეპარებათ.

მითი №1.

ადამიანს არ შეუძლია თავად დაადგინოს, ვიტამინების ნაკლებობას განიცდის თუ არა.

სინამდვილეში, თითოეულ ვიტამინსა და მიკროელემენტს ორგანიზმში თავისი „ყურადღების“ ობიექტი აქვს. ვიტამინებისა და მინერალების უკმარისობაში იოლად დარწმუნდები, თუ: მოთენთილი ხარ და მუდმივად გეძინება; გაღიზიანებული ხარ; იოლად ცივდები; ყურადღება გეფანტება და მეხსიერება დაგიქვეითდა; საღამოს მხედველობა გისუსტდება; კანის სიმშრალე გაქვს და გექერცლება; ხშირად გიჩნდება ძირმაგარა; ტუჩები გისკდება; ფრჩხილები შრეებად გეყოფა; თმა გემტვრევა, გცვივა და ბზინვარებას კარგავს; ჭრილობა ძნელად გიხორცდება; ღრძილებიდან სისხლდენა გაქვს.

მითი №2.

თუ ადამიანის ყოველდღიური რაციონი ბალანსირებულია, მისი ორგანიზმი ვიტამინებს საკმარისი ოდენობით იღებს.

სამწუხაროდ, ეს ასე არ არის. მაგალითად, იმისათვის, რომ ვიტამინ B1-ის დღე-ღამის ნორმა (1,2 მგ) მიიღო, 700-800 გ მსხვილად დაღერღილი ფქვილით გამომცხვარი პური ან 1 კგ უცხიმო ხორცი უნდა მიირთვა. ამის გარდა ხომ სხვა ვიტამინებიც არსებობს?

საინტერესოა, სწორად იკვებები თუ არა. თუ რაციონს შეზღუდავ, მაშინ მიკრონუტრიენტების დეფიციტი გექნება, რადგან ამ ჯგუფის ვიტამინების შემცველობა ხორბალში არ გაზრდილა (იმდენივეა, რაც საუკუნეების წინ იყო); არც ფოლიის მჟავას შემცველობა გაზრდილა სალათის ფოთლებში. გამოდის, რომ ევოლუციურად ბუნებას გაუსწარი და მასთან კონფრონტაციაში შეხვედი. არც ის უნდა დაგავიწყდეს, რომ მიკრონუტრიენტების 20%-ს კვების მრეწველობა „იტოვებს“, რადგან რაფინირებულ საკვებს გვაწვდის. მაგალითად, უმაღლესი ხარისხის ფქვილით გამომცხვარი პური ორგანიზმს საკვებ ბოჭკოებს აღარ აწვდის, რომელიც B ჯგუფის ვიტამინის წყაროა.

მითი №3.

ხილისა და ბოსტნეულის საშუალებით ყველა აუცილებელი ვიტამინის მიღებაა შესაძლებელი და დღის განმავლობაში 2 ვაშლი და ცოტაოდენი მწვანილი, სრულიად საკმარისია.

დღის განმავლობაში 2 ვაშლის შეჭმა პრობლემას ვერ გადაჭრის. ხილი და ბოსტნეული მხოლოდ 2 სახის ვიტამინის წყარო გახლავთ — ასკორბინისა (C ვიტამინი) და ფოლიის მჟავასი; კიდევ — მცირე რაოდენობით კაროტინის, ისიც იმ შემთხვევაში, თუ ხილისა და ბოსტნეულის მრავალფეროვან ასორტიმენტს, თანაც, დიდი რაოდენობით მიირთმევ. ამგვარად, ვაშლში C ვიტამინის შემცველობა 100 გ-ზე მხოლოდ 2 მგ-ა. დღე-ღამის ნორმა რომ მიიღო, დღის განმავლობაში 15 ჭიქა ვაშლის წვენი უნდა მიირთვა. რაც შეეხება B ჯგუფისა და ცხიმის გამხსნელ A, E და D ვიტამინებს, მათი ძირითადი წყარო საქონლის ხორცი, ღვიძლი, თირკმელი, კვერცხი, რძე და რძემჟავა პროდუქტები (მაწონი, არაჟანი, ხაჭო), ზეთი, კარაქი და სხვადასხვა ბურღულეულია.

მითი №4

სინთეტიკური ვიტამინები, რომლებსაც პოლივიტამინური პრეპარატები შეიცავს, არ არის ბუნებრივი ვიტამინების იდენტური და ამდენად, არაეფექტურია; ბუნებრივ ვიტამინებს ორგანიზმი უფრო იოლად ითვისებს.

ეს მცდარი აზრია. მედიცინის მრეწველობის მიერ გამოშვებული ვიტამინის შემცველი ყველა პრეპარატი ბუნებრივის იდენტურია როგორც ქიმიური სტრუქტურით, ასევე ბიოაქტივობით. პრეპარატში მათი შემცველობა ბალანსირებულია და ადამიანის ორგანიზმის მოთხოვნებს პასუხობს.

მითი №5.

ვიტამინის შემცველი პრეპარატის მიღება ნებისმიერ დროსა და ნებისმიერი რაოდენობითაა შესაძლებელი.

სინამდვილეში, ჩვენს ორგანიზმს არ ძალუძს ვიტამინების დაგროვება და საჭირო დროს მისი გამოყენება. ამიტომ, ვიტამინები მუდმივად უნდა მივაწოდოთ.

მითი №6.

ვიტამინი მხოლოდ ავადმყოფ ადამიანს ესაჭიროება.

არასწორი მოსაზრებაა. ნებისმიერი პრეპარატის მიღება ორგანიზმისთვის სტრესია. ეს კი ვიტამინურ შიმშილს აძლიერებს. ამიტომ, პოლივიტამინების რეგულარულად მიღება ყველა ადამიანისთვის რეკომენდებულია, განსაკუთრებით კი — ბავშვებისა და მოხუცებისთვის.

პასუხისმგებელი რედაქტორი — მარი ჯაფარიძე. პირადი ტელ: 8.77.45.68.61

სამუშაოდ თურქეთში

რას გვასწავლის ღარიბთა კოდექსი

დასაწყისი იხ. „გზა“ №49

თურქეთშიც არიან ვაიქართველები, რომლებიც ისედაც შეჭირვებულ თანამოქალაქეებს კიდევ უფრო სავალალო მდგომარეობაში აყენებენ. სწორედ ასეთ ადამიანებთან, არალეგალურ ოფისში მოხვდნენ ნინო და ნანა. ეს გოგონები წლების წინ ჩემი რესპონდენტები იყვნენ. მათ ლოგინად ჩავარდნილი დედა და ავადმყოფი ძმა ჰყავდათ. მაშინ ისინი რედაქციაში უკიდურესი გაჭირვების გამო გვესტუმრნენ. უსახლკაროდ დარჩენილი დები ღია ცის ქვეშ ათევდნენ ღამეს. მერე გამოჩნდნენ კეთილი ადამიანები და დროებით, თავიანთი აგარაკი დაუთმეს.

ლელა ჭანკოტაძე

ნინო, *29 წლის:*

— მას შემდეგ, რაც ჩვენ შესახებ ჟურნალ „გზაში“ დაიწერა, უამრავი ადამიანი დაგვეხმარა. დახმარება საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველებისგანაც მივიღეთ. დედას გამოკვლევები გავუკეთეთ. ის მომჯობინდა და ახლა სკოლის სასადილოში ჭურჭლის მრეცხავად მუშაობს. შევიძინეთ ტელევიზორი, რომელიც მანამდე არ გვქონია. ასევე, სარეცხი მანქანა და გამათბობელი. სახლი, რომელშიც ვცხოვრობთ, კომფორტულია, მაგრამ სხვისია. ყოველღამე, სიზმარში ვნახულობ პატარა, მყუდრო ბინას. მე და ნანა კედლებზე შპალერს ვაკრავთ, დედა ვახშამს გვიმზადებს, ჩემი ძმა იქვე დგას და იღიმება. ყველანი ბედნიერები ვართ. ამ სიზმრის ასახდენად, თავის დროზე, მე და ნანამ საზღვარგარეთ სამუშაოდ წასვლა გადავწყვიტეთ. ბევრი ვიფიქრეთ და მეზობელი თურქეთი ავირჩიეთ.

— **რატომ?**

— თურქეთიდან ყოველ სამ თვეში შევძლებდით ჩამოსვლას. თან, გზა მხოლოდ 100 დოლარი ჯდება. შინამოსამსახურეებს 300 დოლარს უხდიან, რაც ჩვენთვის დიდი ფულია. ორივე თუ ვიმუშავებდით, თვეში 500-550 დოლარს დავზოგავდით. ორ წელიწადში 10.000 დოლარზე მეტს შევაგროვებდით. ამ ფულით სადმე სოფელში კოხტა სახლს ვიყიდდით და იქ დავბინავდებოდით. სახლის წინ პატარა მაღაზიასაც გავხსნიდით, სადაც ჩემი ძმა იმუშავებდა. ერთი სიტყვით, ამ ქვეყანაზე ჩვენს წილ ბედნიერებას ვიპოვიდით. მაგრამ ხომ გახსოვთ იგავი — „ღარიბი და ქილა ერბო“? ჩვენც სწორედ ასე დაგვემართა...

ნანა:

— გაზეთში სარეკლამო განცხადება ვნახეთ. ერთ-ერთ სააგენტოს ქალები თურქეთში სამუშაოდ მიჰყავდა, თან უსაფრთხოების გარანტიას იძლეოდა. მაშინვე დავუკავშირდით.

— **უსაფრთხოების გარანტიაში რას გულისხმობთ?**

— მიგვიყვანდნენ სანდო ოჯახებში და შემდეგ ყოველდღე დაგვირეკავდნენ, სულ უმნიშვნელო პრობლემის შემთხვევაში, თავადვე მოვიდოდნენ ჩვენს წამოსაყვანად... ერთი სიტყვით, 100-100 დოლარი ვისესხეთ და უკეთესი მომავლის იმედით, გზას გავუდექით. თბილისიდან ავტობუსით 45 ქალი წავედით. ანკარაში ერთ სახლში მიგვიყვანეს. შეგვიშვეს ორ დიდ ოთახში, რომლებშიც მხოლოდ საწოლები იდგა და გაგვაფრთხილეს, რომ არ უნდა გვეხმაურა. ორი დღის განმავლობაში დაახლოებით 20 ქალი დაასაქმეს, ჩვენ კი გვითხრეს, რომ ორივეს ერთ ოჯახში წაგვიყვანდნენ. ახალგაზრდა ქალს 2 დამხმარე სჭირდებოდა 4 ბავშვის მოსავლელად. მოულოდნელად დღის პირველ საათზე ოფისში ჩხრეკა დაიწყო. ამოწმებდნენ, იქ მყოფები კანონიერად მუშაობდნენ თუ არა. რამდენიმე ქალმა ფანჯრიდან გადახტომა მოასწრო, დანარჩენები დაგვიჭირეს. საბუთები მოგვთხოვეს. ყველაფერი წესრიგში გვქონდა. იმ კაცმა, რომელსაც უნდა დავესაქმებინეთ, უთხრა: აქ ვიკრიბებით, რათა ერთად წავიდეთ ქალაქის ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლადო. პოლიციელებმა კი უპასუხეს: თუ ტურისტები არიან, სახარჯო ფული უნდა ჰქონდეთ და გვიჩვენონო. ვისაც ფული არ გვქონდა, მანქანაში შეგვყარეს და წაგვიყვანეს. სამი დღე საკანში გავატარეთ. მერე მოგვიტანეს პასპორტები, რომლებშიც „დეპორტი“ იყო ჩარტყმული. ერთი წელი ქვეყნის ტერიტორიაზე შესვლის უფლება არ გვაქვს.

ნინო:

— სულ 8 ქალი „დაგვადეპორტეს“. ეს ჩემი ცხოვრების ყველაზე საშინელი დღეები იყო. ვიჯექი საკანში და ვფიქრობდი, ჩემთვის მთელი სამყარო ამოყირავდა. საიდან უნდა გადაგვეხადა მე და ჩემს დას 200 დოლარი?.. ჩემს უიღბლობასაც დავტიროდი. არასდროს არაფერში გამიმართლა. რატომ? ქალბატონობა ხომ არ მნდომებია?! შინამოსამსახურედ უნდა მემუშავა. ესეც არ გამომივიდა... ციხიდან პირდაპირ ავტობუსებში შეგვყარეს და წამოგვიყვანეს. პირადი ნივთებიც კი დავკარგეთ. ყველაფერი ოფისში დარჩა. ვინ დაგვიბრუნებდა?! კაცმა, რომელსაც ჩვენთვის სამსახური უნდა ეშოვა, ციხეში ერთხელაც არ მოგვაკითხა. მთელი გზა ვტიროდი. ვერავინ ხვდებოდა, ასე რატომ განვიცდიდი. როცა სახლში მივედით, დედამ ჩაგვიხუტა და გვითხრა: ხომ იცით, ჩვენი ბედი სადაც „გაერევა“, იქ ღვინო წყლად იქცევაო... ის ღამე თეთრად გავათენე. რა უნდა გვეთქვა მევალისთვის? რა უნდა გაგვეყიდა, რომ 200 დოლარი შეგვეგროვებინა?..

ნანა:

— ნინო, საწოლში მწოლიარე, დილით გათიშული დაგვხვდა. მაშინვე „სასწრაფო დახმარება“ გამოვიძახეთ. მიხეილის საავადმყოფოში მიგვიყვანეს. თურმე წამლები დაულევია და თავის მოკვლა უცდია... ახლა იმ ამბის გახსენებაც კი მზარავს. მაშინ ვიდექი და ღმერთს ვეხვეწებოდი: ოღონდ იცოცხლოს და უფულობის გამო არასდროს, ერთ საყვედურსაც არ დავძრავ-მეთქი!.. ასეც ვიქცევი. მთავარია, ყველანი ცოცხლები ვიყოთ. ჩვენ, ღარიბებმა, ერთმანეთს უნდა გავაძლებინოთ. ამას წინათ, ჩემმა მოძღვარმა მითხრა: თანადგომა, ერთმანეთის გაგებისა და დახმარების სურვილი შნოსა და ლაზათს ანიჭებს ღარიბთა ცხოვრებას, მდიდრებისთვის ასეთი ერთობა უცხოაო... მეც შევეგუე იმ აზრს, რომ ღარიბი ვარ. უნდა ვიცხოვრო ისე, როგორც ღარიბთა „კოდექსი“ გვასწავლის: დავეხმარო სხვებს, მაშინაც კი, როცა თავად მჭირდება დახმარება... ამაშია ჩვენი ცხოვრების არსი და აზრი. ამისთვის ღირს ცხოვრება.

ჯიმშელის წიგნად ჯაჭვულბული სული

„მწერლობა არ ჯდება სამსახიობო რეპერტუარში. მით უმეტეს, მთელი სიცოცხლე ბრწყინვალე ქართულ ლიტერატურას შეჩერებული, წიგნის გამოცემას რომ გაბედავ, ან გამოუვალ მდგომარეობაში უნდა იყო, ანდა თავხედი. მაინც ვბედავ, ვინაიდან სიყრმიდან შემოქმედებით სანთლად ვიწვი, დაე ჩამოიღვენთოს ბოლომდე...“ — ეს სიტყვები ყველასთვის საყვარელი მსახიობის, ჯემალ მონიავას პირველ წიგნს — „ნათლობას“ აქვს წამძღვარებული. 12 ნოემბერს, მარჯანიშვილის თეატრში შეკრებილ საზოგადოებას ავტორმა მეორე წიგნი — „წუთისოფელში“ წარუდგინა. ეს საღამო არ ჰგავდა ჩვეულებრივ პრეზენტაციას. 530-კაციან დარბაზში თავისუფალ ადგილს ვერ ნახავდით. არტისტულად გამოწყობილი მწერალი, ყველას სამადლობელ სიტყვებს ეუბნებოდა, ავტოგრაფებს არიგებდა და ისევე, როგორც პირველი წიგნის გამოცემისას, წინასაპრემიერო მღელვარება ეტყობოდა.

„მწერლობა წვალებით სავალი ეჯლიანი გზაა...“

თამუნა კვინიკაძე

— მაშინ, როცა „ნათლობა“ გამოვიდა, ამბობდით: წინასაპრემიერო განცდა მაქვსო. დღეს უკვე ორი წიგნის ავტორი ხართ...

— ისევ წინასაპრემიერო განცდა მაქვს. სცენაზე რომ გამოვედი და სავსე დარბაზი დავინახე, ცოტათი დავიბენი. ჩემი სულიერი განწყობილება ნაწერებში უფრო ჩანს, ვიდრე — სცენაზე. წიგნში მკითხველის წინაშე შენი სული შიშვლდება. მსახიობები ყოველთვის ვერ ვთამაშობთ იმ როლს, რომლის შესრულებაც გვინდა.

— დიდი ხანია, რაც წერთ?

— ახალგაზრდობიდანვე ვწერდი. მაშინ მეგობრები ერთმანეთს წერილებს ვწერდით (კონსტანტინე გამსახურდიას, ტერენტი გრანელის, ნიკო ლორთქიფანიძის სტილს ვბაძავდით), ახლა კი მეგობრები ერთმანეთს მესიჯებით ეკონტაქტებიან. ქართული ენა თანდათანობით ღარიბდება, ახალგაზრდებმა ბევრი ძველი სიტყვის მნიშვნელობა აღარ იციან. მსოფლიოში 1700 ენაზე მეტი და 14 დამწერლობა არსებობს. ნიკო მარი ქართულ ენაზე ამბობდა: იმდენად მდიდარია, ყველაფრის გამოთქმა შეიძლებაო. დღეს კი ასეთ მდიდარ ენას ვამცრობთ.

— ბატონო ჯემალ, თქვენს პერსონაჟებზე რას გვეტყვით? ეს ადამიანები ცხოვრებაში თუ შეგხვედრიან?

— უმეტესობასთან დღესაც მაქვს ურთიერთობა. თითქმის ყველა მოთხრობას გაგონილი ან ნაამბობი ამბავი უდევს საფუძვლად.

— თქვენი მოთხრობების წაკითხვის შემდეგ, ამა თუ იმ პერსონაჟში ვინმეს საკუთარი თავი თუ ამოუცნია?

— ძნელად, რადგან გმირს აუცილებლად განვაზოგადებ: ეჭვობენ და მეკითხებიან, ეს ჩემზე ხომ არ დაწერეო? წარსულში, ერთმა შემოქმედმა მშობლიური სოფელი იმის გამო გადაიკიდა, რომ თანასოფლელნი ნაწარმოებებში უცვლელი სახელებით და გვარებით მოიხსენია. ამ შემთხვევაში, დაკონკრეტება სწორი მოქმედება არ არის... „ჭიაფანდურა“ საკუთარ თავზე მაქვს დაწერილი. ამ მოთხრობაში ყველა გმირი ნამდვილია. ჩემი კავთისხველი მეგობარი სიცილით კვდება, ჯემალმა ჭიაფანდურა დაირქვა და ამ ჩუჩუნა ვანოს (მოთხრობის ერთ-ერთი პერსონაჟი) რაღა უნდა, რაზე ბრაზობსო? კავთისხევში ერთი კაცი ცხოვრობს, რომელსაც ჯანჯალაანთ მაჯლაჯუნას ეძახიან. ეს სახელი ერთორ მოთხრობაში მოვიხსენიე, მაგრამ რომ არ გამიბრაზდეს, სულ ვეფერები, ვეუბნები: მას კარგი ყღერადობა აქვს, ნაწარმოების ტექსტს უხდება და ასე იმიტომ დავწერე-მეთქი.

— კავთისხველებზეც მიამბეთ რაიმე. ისინი წიგნებს კითხულობენ?

— რა თქმა უნდა?! სხვათა შორის, ადრე ამ სოფელში 3 ბიბლიოთეკა იყო. კავთისხევში ქართული მეტყველებაა შემორჩენილი ანუ დავიწყებას მიცემული სიტყვებით ლაპარაკობენ. თავის დროზე, მიხეილ ჯავახიშვილს კონსტანტინე გამსახურდიასთვის უთქვამს, კავთისხევში წადი და ბევრ საინტერესო სიტყვას ისწავლიო. როცა გიორგი შატბერაშვილი ქართული კუთხური მეტყველების ლექსიკონს წერდა, კავთისხველ მოხუცებს შორის დადიოდა და მივიწყებულ სიტყვებს იწერდა. მოხუცებმა ეს როგორც კი შენიშნეს, დაიმორცხვეს და მისი თანდასწრებით ძველებურად აღარ ლაპარაკობდნენ. ამიტომაც, ხშირად, ერთად შეკრებილ კავთისხველებს გიორგი გომურის უკანა მხრიდან მიეპარებოდა, მათ ლაპარაკს მიაყურადებდა და ქართულ „მარგალიტებს“ ასე აგროვებდა. როცა კავთისხევში დავსახლდი, მეც მათ ენაზე ავლაპარაკდი. ამით გახალისდნენ, გაიხსნენ და ჩემი აღარ მორიდებიათ. ერთხელ, მეზობლის გოგონა მოვიდა. ქსილისის მთიდან ნიავს თოვლის ნამქერი მოჰქონდა, მოაფარფატებდა. ამ გოგონამ მითხრა: ნახე, როგორ ფერფლავსო. ეს სიტყვა მანამდე გაგონილი არ მქონდა და რომ არ დამვიწყებოდა, სასწრაფოდ ჩავიწერე. ამ ამბიდან ცოტა ხნის შემდეგ, ეს სიტყვა რეზო ინანიშვილის შემოქმედებაში ვიპოვე.

— საკუთარ თავზე, როგორც მკითხველზე რას გვეტყვით?

— ყოველთვის აქტიური მკითხველი ვიყავი. ჩემს ახალგაზრდობაში კამიუს, რემარკის, ჰემინგუეის წიგნებს თანატოლები ერთმანეთისგან ვნათხოვრობდით, რადგან ეს წიგნები ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო. მერე, პატრონს გაცრეცილი წიგნი უბრუნდებოდა. ნაკითხობით თავს ვიწონებდით, წაკითხულ წიგნებზე ვსაუბრობდით, ვკამათობდით. იმ პერიოდში ნაკითხი თუ არ იყავი, გოგონებთან სალაპარაკოდ ვერ დაჯდებოდი, თავს ვერავის მოაწონებდი. ძალიან მიყვარს კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედება. სიამაყით შემიძლია ვთქვა, რომ ჭაბუა ამირეჯიბის, ოთარ ჩხეიძის, თამაზ და ოთარ ჭილაძეების მეგობარი ვარ. როცა რადიოში „გორა მბორგალს“ ვკითხულობდი, ჭაბუა ამირეჯიბი მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში იწვა. მისი მეუღლე ჩემს ხმას კასეტებზე იწერდა და მას უგზავნიდა. როცა ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრი“ წავიკითხე, მწერალმა მითხრა: შენ გაგახაროს ღმერთმა; რამდენმა სცადა, მაგრამ მათ სიძნელე ვერ დასძლიესო. ეს ნაწარმოები მართლაც, რთული წასა-

კითხია, ერთი აბზაცი 3 გვერდზე გრძელდება... ახალგამოცემულ წიგნებსაც ვეცნობი — სხვა თუ არაფერი, ვალდებული ვარ, ვიცოდე, რას წერენ ჩემი მეგობრები და არა მარტო მეგობრები.

— ახალგაზრდა მწერლებზე რას გვეტყვით?

— ახალგაზრდა მწერლებთან მეგობრული დამოკიდებულება მაქვს. მათთან ერთად „დიოგენეს“ მიერ ორგანიზებულ კონკურსში — „Pen-მარათონში“ მივიღე მონაწილეობა. კონკურსისთვის შექმნილი „მუხიგული“ საუკეთესო მოთხრობათა ათეულში შევიდა... ახალგაზრდები კარგად წერენ, ჯერ მათგან შედევრების შექმნა არ უნდა მოვითხოვოთ. მწერლობა წვალებით სავალი ეკლიანი გზაა. მწერალს წლები და ცხოვრება გამოცდილებას სძენს. ხშირად გამიგონია: ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალი“ ისეთი ძლიერი არ არის, როგორიც „დათა თუთაშხიაო“, მაგრამ მე ვფიქრობ: „გორა მბორგალი“ დაღვინებული მწერლის შემოქმედებაა. მასში საფინალო კორიდის სცენა ისეთი მხატვრული ოსტატობითაა გადმოცემული, რომ მსგავსი რამ ესპანურ ლიტერატურაშიც კი არ წამიკითხავს.

— ყველაზე ბევრჯერ რომელი წიგნი გაქვთ წაკითხული?

— ნიკო ლორთქიფანიძის ნოველებს ხშირად ვკითხულობ, ასევე — ლევან გოთუას, თამაზ ბიბილურის, რეზო ინანიშვილის წიგნებსაც. ახალგაზრდობაში, ჩემი თაობის ადამიანებზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კონსტანტინე გამსახურდიამ. ასევე, ბევრჯერ მაქვს წაკითხული ნუგზარ შატაიძის „პურის მოთხრობა“. ეს ეთნოგრაფიული თვალსაზრისითაც ძალიან საინტერესო ნამუშევარია.

— როცა საწერ მაგიდასთან მიდიხართ, იცით თუ არა, რა უნდა დაწეროთ?

— რას დავწერ, ვიცი, მაგრამ რა გამოვა — არა. წერის და თეატრში სპექტაკლის შექმნის პროცესი ერთმანეთს ძალიან ჰგავს. ხასიათით ძალზე სულსწრაფი კაცი ვარ და როგორც კი ბოლო წერტილს დავსვამ, მინდა, რომ ის მაშინვე ვინმემ წაიკითხოს. როცა ხელნაწერს ვათვალიერებ, მასში უამრავ ხარვეზს ვპოულობ. ამიტომ, მისი კრიტიკული თვალით წაკითხვა ყოველთვის საჭიროა. ნაწარმოები ღვინოსავით უნდა დაიწმინდოს და მკითხველამდე ისე მივიდეს... წერამ მოწყურება იცის. როცა სათქმელი დაგიგროვდება, თუ ფურცელზე არ გადაიტანე, ვერ მოისვენებ. როცა მოთხრობა „მსხვერპლი“ დავასრულე, იმ საღამოს ჩემს მეგობართან — არმაზ ბურნაძესთან ავედი, მალე ნუგზარ შატაიძეც მოვიდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ეს მოთხრობა მეგობრებს სუფრასთან წავუკითხე. — კარგი, რა, თუ ძმა ხარ, რას კითხულობ?! მე ეგ მოთხრობა არ მომწონსო, — მითხრა ნუგზარმა. მისი ნათქვამი ძალიან მეწყინა. იმ დღიდან, 4 წლის მანძილზე, ეს მოთხრობა აღარ წამიკითხავს, შემძულდა. ამ გაზაფხულზე, როცა ჩემი ნაწერები გადავათვალიერე და „დაწუნებული“ მოთხრობაც გადავიკითხე, ის მეც აღარ მომეწონა და მივხვდი, რომ შატაიძე მართალი იყო.

— თქვენი მონაყოლიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ კრიტიკულ აზრს ითვალისწინებთ.

— რადგან თავს პროფესიონალ მწერლად არ მივიჩნევ, კრიტიკასაც იოლად ვიტან. პირველად, ჩემი მოთხრობა („ფარდის მიღმა კულისებში“) 1978 წელს, ჟურნალ „ცისკარში“ დაიბეჭდა. წლის შემაჯამებელ რეცენზიაში, მასზე დაწერეს — უიდეოაო. მაშინ ამ ფაქტმა ძალიან გამაღიზიანა. მოგვიანებით, როცა ანა კალანდაძეზეც იგივე დაწერეს, ვიფიქრე, ეს რა კარგი სიტყვა ყოფილა-მეთქი და გული მომიბრუნდა. წერას მოვუხშირე, მაგრამ დასაბეჭდად არსად მიმქონდა. ერთხელ, კავთისხევში სტუმრად ჩამოსულმა ნუგზარ შატაიძემ 3 მოთხრობა მომპარა და „ლიტერატურულ საქართველოში“ დაბეჭდა. ეს მოთხრობები მკითხველმა კარგად მიიღო... გულახდილად გეტყვით, რომ არც სცენაზე მქონია ჩავარდნილი როლი.

— თქვენ თარაშ ემხვარი ითამაშეთ მაშინ, როცა სპექტაკლს კონსტანტინე გამსახურდია ესწრებოდა...

— (*მაწყვეტინებს*) გულს ბაგაბუგი გაუდიოდა. ვიცოდი, რომ თარაში კონსტანტინეს პროტოტიპი იყო. ლიტერატურული ნაწარმოები ყოველთვის აგებს მაშინ, როცა ის სცენაზე იდგმება ან მის მიხედვით ფილმს იღებენ. კონსტანტინე გამსახურდია სპექტაკლით კმაყოფილი დარჩა და მონაწილეებთან ერთად ფოტოც კი გადაიღო...

— წერის დროს განმარტოება აუცილებელია?

— არა. განმარტოება საზოგადოებაში ყოფნის დროსაც შემიძლია. როცა წერა მოგინდება, ვერც კი გრძნობ, რა ხდება შენ გარშემო. ჩემი მოთხრობების ნაწილი სამზარეულოში დავწერე. როცა კავთისხევში ვიმყოფები, სპეციალურად მოწყობილ „ჯარგვალში“ გავდივარ, შუა ცეცხლს ვანთებ, ღომს ვხარშავ და... მიხარია, როცა მეგობრები მსტუმრობენ.

— როცა მეგობარი მწერლები ერთად იკრიბებით...

— (*მაწყვეტინებს*) ჩვენი ინტერესთა სფერო გაინტერესებთ? — ნუგზარ შატაიძე გარდა იმისა, რომ „გემრიელ“ ნაწარმოებებს წერს, გემრიელ სადილსაც ამზადებს. ამ საქმეს ყოველთვის მას ვანდობთ... სუფრასთან ლიტერატურაზე, თეატრზე, კინოზე ვსაუბრობთ. როცა ჩვენი ქვეყნის სადღეგრძელოს ვსვამთ, შატაიძე ყოველთვის აღნიშნავს: საქართველო ჩვენი დედაა, რომელსაც უჭირს, ავადაა, ჩვენ კი ვეძახით, აბა, კარგად იყავი, კარგად იყავი. რაიმე ვუშველოთ, ფეხზე წამოვაყენოთო.

— ყველაზე ხშირად, ვინ თამადობს ხოლმე?

— მე ოხერი (*იცინის*), ან ნუგზარი. თუ დიდი სუფრაა, ხმას ისე გაიკმენდენ, ვითომ არც ლექსი წაეკითხოთ და არც ლაპარაკი იცოდნენ.

— ბატონო ჯემალ, სამომავლოდ რას აპირებთ? იმედია, ამ ორ წიგნზე არ შეჩერდებით.

— ერთი რომანის და პიესის იდეა მაქვს. არ ვიცი, მათზე მუშაობას როდის დავასრულებ. ასევე, მინდა საუკეთესო მოთხრობებს თავი ერთ წიგნში მოვუყარო და ამ კრებულს „ნარჩიელას“ დავარქმევ. ■

მდევარი ტროლეიბუსი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-49

ზაზა ვაჩნაძე

როცა ანუკი საავადმყოფოდან გამოვიდა, თან ის ჯოჯოხეთური განცდა გამოჰყვა, რომლითაც იშვიათად, მაგრამ მაინც „აჯილდოებს“ თავის რჩეულებს. პირველ რიგში, ღამის გასათევზე უნდა ეზრუნა. რა თქმა უნდა, ჯერ თანაკლასელები გაახსენდა — ლიზი და ბარბარა, მაგრამ იმწამსვე ამოიგდო ორივე თავიდან — „სულში უნდა ჩამიძვრნენ და პირველი ღამის ყველა დეტალი დაწვრილებით გამომკითხონ“... — და ბიჭები გაახსენდა: მოდღლეზილი ჭილა, მოშავო კაენა და ჭკვიანი, მოინტელიგენტო გიგო.

ჭილამ ანუკის ხმა რომ გაიგონა ტელეფონში, ჯერ იფიქრა, ალბათ ყაზბეგიდან მირეკავსო, მაგრამ როცა ანუკიმ უთხრა, — სად ხარ? შენი ნახვა მინდაო, — ცოტა შეფუცხუნდა.

— აუ, შენ ხარ, მართლა, ანუკი? სადა ხარ? თბილისში ხარ? გოჩუნა?

— ვერ გეტყვი, არ ვიცი, — უპასუხა ანუკიმ და გაჩუმდა.

ჭილა მიხვდა, რომ კარგად არ უნდა ყოფილიყო საქმე. ანუკის მამის ამბავიც, რა თქმა უნდა, როგორც მთელმა ქვეყანამ, მანაც იცოდა და აღარ გააგრძელა.

— სადა ხარ, სად გნახო?

— მარჯანიშვილის მოედანზე, აფთიაქის წინ, ტელეფონთან ვდგავარ.

— დამელოდე, ათ წუთში მოვალ!

ანუკი იდგა აფთიაქის წინ და გამვლელებს უმზერდა. ხალხს „დაჩმორებული“, დამძიმებული სახეები ჰქონდა. ერთი ღიმილი არსად ჩანდა, ერთი სიცილი არსად ისმოდა... ბინდდებოდა. ჭილა ზუსტად ათ წუთში გამოჩნდა. არც ჭილას გაუღიმია. დაუსიგნალა და გვერდითი კარი გამოაღო. ანუკი ჩაჯდა. აკოცა ჭილას და სახეზე ხელები აიფარა.

— რა მოხდა, სად გაქრი? — შეეკითხა ჭილა.

— კი არ გავქრი, მომიტაცეს!

— ჩვენც ეგ ეჭვი გვქონდა. ვინ მოგიტაცა, რა ხდებოდა, რა უნდოდათ?

— არ ვიცი, არ ვიცი... ახლა უარეს დღეში ვარ. ჩემები საავადმყოფოში ათევენ, ყველაფერთან ერთად, ბაბუაჩემს მენჯის ძვალი გაუტეხია... ბედი ხომ გინდა!..

ჭილამ ელბაქიძე აიარა, „ვარდების მოედანზე“ გაუხვია და რუსთაველზე გავიდა.

— სად მივდივართ? — იკითხა ანუკიმ.

— ჩემთან. მამაჩემი რუსეთშია. დედაჩემია სახლში და — ჩემი და.

— და? შენზე დიდია თუ პატარა?

— ტანით თუ წლოვანებით?

— წლოვანებით, ტანით არა...

— პატარაა, მესამე კლასშია. ტანით კი უკვა ჩემხელაა. მართლა, მართლა.

— რა ჰქვია?

— მარიამი.

მანქანა ეზოში შევიდა. ჭილამ თავისი ფარეხის წინ გააჩერა.

— აი, იქ ცხოვრობს, აი იმ კუთხეში გოჩუნა, პირველ სართულზე. შუაბანდი და ერთი დიდი ოთახი აქვთ. იცი, მისი ოჯახის ამბავი?

— არა, რა ამბავი? არაფერი ვიცი.

— მშობლები რომ ავარიაში დაეღუპა. ერთი ბებია ჰყავს მარტო, ისიც — ინვალიდი... „კალიასკაში“ ზის.

— „კალიასკაში“? — ანუკიმ ტუჩი მოიკვნიტა.

ხის კიბეს აუყვნენ და მესამე სართულზე ავიდნენ. ჭილამ ზარის ღილაკს მიაჭირა თითი. კარი მარიამმა გააღო.

— ეს ანუკია, — გააცნო დას ანუკი.

— მართლა? მე — მარიამი, — ცოცხლად მიუგო გოგონამ, რომელიც თავისი წლოვანებისთვის მართლაც, დიდი გოგო აღმოჩნდა.

— ჭკვიანურად მოიქეცი, შენებურად არ იტინგიცო! — გააფრთხილა რატომღაც, ძმამ და.

— რა მოხდა, რომ ვიტინგიცო?! — შეეპასუხა მარიამი.

— ამხელა გოგოა და ტვინი არა აქვს, — შესჩივლა ჭილამ ანუკის და მისაღებისკენ მიუთითა.

— ტანი აქვს დიდი, ტანი, პატარაა და იმიტომ, — გამოსძახა სამზარეულოდან ჭილას დედამისმა, რომელიც, როგორც ჩანს, სტუმრის დასახვედრად ემზადებოდა, — აქ შემოიყვანე, რა, შენი სტუმარი, მე ვერ გამოვდივარ.

— კარგი, წამოდი სამზარეულოში, გაგაცნობ ჩვენს მადონას, — უთხრა ჭილამ ანუკის და სამზარეულოში შეუძღვა.

ჭილას დედას, რომელსაც მართლა, მადონა ერქვა, ბადრიჯანი დაეჭრა, დაებრაწა და ახლა მჭადებს აცხობდა. ანუკის დანახვაზე ერთბაშად გაშეშდა:

— ااا, ახლა კი აღარ მიკვირს, რამ გააგიჟა ეს ბიჭები და რატომ შეჰყვარებიხარ ასე, ერთი ნახვით, გოჩუნას. შენისთანა მშვენიერი ქალის რძლობაზე არც მე ვიტყოდი უარს.

— კარგი, რა, დედა, სისულელეებს ნუ იტყვი, — უსაყვედურა ჭილამ.

— არ ვიცი, არ ვიცი, ძალიან მეშინია, ვინ შემოვა ჩემს ოჯახში... — თქვა ქალბატონმა მადონამ და ტაფას ხუფი დაახურა. — სად გავშალო? — მიუბრუნდა ის ჭილას.

— იცით, რა?! ნუ წუხდებით... — ალბათ ზრდილობის გამო წამოსცდა ანუკის, თორემ საჭმლის სუნზე, ისედაც გვარიანად მშიერს, მადა კიდევ უფრო აღეძრა.

— რას ჰქვია — ვწუხდები?! ისე მაინტერესებს შენი და გოჩუნას ამბავი, ისე მაინტერესებს!.. — წამოიწყო მადონამ.

— დედა! — მკაცრად წარმოთქვა ჭილამ.

— რა? გინდა, პირში წყალი ჩავიგუბო და საერთოდ, ხმა არ ამოვიღო?! — მკაცრად იკითხა მადონამ.

— მინდა, ძალიან მინდა, მაგრამ შენ მაგას როგორ მოახერხებ, დედა?! — ტონს დაუკლო ჭილამ.

— ყველაფერი რომ მოვყვე, გაგიჟდებით! — თქვა ანუკიმ და სკამზე ჩამოჯდა.

— მოიცა, სუფრა გადავაფარო, — მადონამ იქვე, სამზარეულოს კარადის უჯრიდან, ღამაზი, მოყვითალო სუფრა ამოიღო და მაგიდას გადააფარა.

— თეფშებსა და ჭიქებს მე დავაწყობ, მეც მოგეხმარებით, — გამოაცხადა მარიამმა და თანხმობას აღარ დაელოდა, იმწამს გადმოალაგა ჭურჭელი და დანა-ჩანგალი.

— არ ვიცი, ისე სწრაფად იზრდება ეს ბავშვი, როგორც ზღაპრებში. ათი წლისაც არ არის და შეხედეთ, რამსიმაღლეა. სადამდე უნდა წავიდეს, არ ვიცი, — შესჩივლა მადონამ ანუკის.

— ცამდე, ცამდე... — შეხტა და ტაში შემოჰკრა მარიამმა.

სუფრა სწრაფად გაშალეს და ის-ის იყო, ანუკიმ პირველი ლუკმა გადაყლაპა, რომ ჭილას დედამ უეცრად იკითხა:

— ელენიკოს ამბავი იცის ანუკიმ?

— შენ რა, გაგიჟდი, დედაჩემო?! — ახლა კი ვეღარ მოითმინა ჭილამ და სკამიდან წამოხტა.

— რა ამბავი? — იმწამსვე ჩაერთო ანუკი და გულმაც უგრძნო, რომ რაღაც არასასიამოვნო ამბავი უნდა მოესმინა.

— ჯობს, რომ წინასწარ იცოდეს... — მაინც გამოცრა კბილებში მადონამ და ოდნავ მოიხარა წელში, თითქოს შვილისგან დარტყმას ელისო.

— დედა, ეგ რომ მცოდნოდა, აქ ხომ არ ამოვიყვანდი!.. — გამწარდა ჭილა.

— დიახ, მირჩევნია, ვიცოდე, — თქვა ანუკიმ და მოსასმენად მოემზადა.

— არავინ იცის, რა მოხდა, — დაასწრო დედას ჭილამ.

— ელენიკომ თავი მოიკლა, — წამოიძახა უცბად მარიამმა.

— მარიამ, შენ გაჩუმდი! — შეჰკივლა დედამ, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— ელენიკო ვინ იყო? — იკითხა ანუკიმ.

— იყო, რა, ერთი ჩვენი მეზობელი. ორმოცი წლის... — თქვა ჭილამ.

— ჯერ ერთი, ორმოცის კი არა, ოცდათხუთმეტის არც იყო... — თქვა და გაჩუმდა მადონა.

— მერე? — იკითხა ცივად ანუკიმ.

— გოჩუნას უყვარდა, — ისევ ყველას დაასწრო მარიამმა.

— აბა, გადი გარეთ! „მარშ“ აქედან! ერთ სიტყვასაც იტყვი და ამოგგლეჯ მაგ ენას, შიგ ძირში! — დაჰკივლა დედამ მარიამს.

— ვა, რა ვთქვი ისეთი? — მაინც შეჰბედა დედას მარიამმა.

— გადი გარეთ, რომ გეუბნებიან!.. — მადონამ ხელი მოჰკიდა შვილს, მკლავზე ერთი კარგადაც უჩქმიტა და სკამიდან წამოაგდო. მერე თვალებიც გადაუბრიალა და ატირებული მარიამიც სამზარეულოდან გაიძურნა. — სულ იმას ჩავჩიჩინებ, უფროსების საუბარში ნუ ერევი-მეთქი, მაგრამ ვერაფრით გადავაჩვიე.

ანუკი გაყუჩებული იჯდა სკამზე. ისეთი გრძნობა ჰქონდა, — ერთი სიტყვაც და გული წამივაო!.. ფერი დაკარგა და არაფრის გაგონება აღარ სურდა.

— ცუდად ხომ არა ხარ? — შეეკითხა ჭილა.

— ჰო... — თქვა ანუკიმ და თვალები დახუჭა.

— კონიაკი, კონიაკი მოსვი! — და მადონამ ანუკის კონიაკიანი ჭიქა მიაწოდა.

ანუკიმ ცოტა მოსვა თუ არა, მაშინვე მოსულიერდა.

— ეს გულისხეთქვა მინდა მე კიდევ?! — ჩაილაპარაკა მადონამ.

— მითხარით, რა მოხდა, ნუ დამიმალავთ... — თქვა ანუკიმ და ჭილას შეხედა.

— თუ დამიჯერებ, არავინ არაფერი იცის, გოჩუნა აქ არაფერ შუაშია. რამე რომ ყოფილიყო, ჩვენ არ დაგვიმალავდა, ბიჭებს... ას პროცენტში, გვეტყოდა... უბრალოდ, დაემთხვა ზოგი რამე. წინა საღამოს ელენიკოს კარი ჩაეკეტა და გოჩუნა ფანჯრიდან გადაძვრა, რომ დახმარებოდა...

— ...და მთელი ღამე იქ დარჩა, — დაამთავრა ჭილას ნათქვამი მადონამ.

— რა მთელი ღამე, დედა?! შენც აჰყევი, არა, მეზობლების ჭორებს!.. — შეუბღვირა დედას ჭილამ.

— პოლიცია ეძებს მაგ ვაუბატონს!.. — მაინც მიახალა ორივეს მადონამ.

— დედა! — დაუღრიალა ჭილამ დედას.

— გოჩუნას? პოლიცია?! — ეს ყველაფერი უკვე სცილდებოდა ანუკის წარმოდგენებსა და რეალობას. ამ წუთამდე, მიუხედავად ბედის ულმობელი დარტყმებისა, გოჩუნას იმედით საზრდოობდა და ცოცხლობდა, „გოჩუნა კი, ისევე, როგორც მამა, ძებნაშია?!!“

— იმ ქალმა თავი მოიკლა, გოჩუნა რა შუაშია?! — გამოაცხადა ჭილამ.

— ექსპერტიზამ დაადგინა, რომ წინა დღის გაუპატიურებული იყო... — ისევ არ დაინდო არც შვილი და არც სტუმარი მადონამ.

— გმადლობთ!.. — თქვა ანუკიმ, სკამიდან წამოდგა და კარისკენ წავიდა.

— დედა, შენ გიჟი ხარ, ქალო?! — იყვირა ჭილამ და ანუკის გამოუდგა. მაგრამ გოგონა მკვეთრი მოძრაობით მიბრუნდა მისკენ, ხელი წინ გაიშვირა, მტევანი გაშალა და ბიჭი შეაჩერა:

— არ გამომყვე! ყველაფერი გასაგებია!

— მაგრამ თუ დამიჯერებ, გოჩუნა არაფერ შუაშია, — ხელები ჩამოუშვა, მორჩილების ნიშნად, ჭილამ.

— მჯერა! მაგრამ ნუ გამომყვები! — ანუკი ცივი და შეუვალი იყო, გავიდა და კარი გაიკეტა.

კიბეზე სწრაფად ჩაქანდა, თითქოს უკან მისდევდნენ. ეზოში გავიდა, გადაჭრა და იათოს კარს მიადგა. დაუფიქრებლად დააკაკუნა.

— მობრძანდით! — გაისმა იათოს ხმა.

ანუკიმ კარის სახელური დასწია და მიაწვა. კარი უხმაუროდ გაიღო. შუაბანდში, სადაც გაზქურა, წყლის ნიჟარა და ჭურჭლის კარადა იდგა, არავინ იმყოფებოდა. კარი, რომელიც ოთახში გადიოდა, ორფრთიანი აღმოჩნდა, მინებიანი და ზედ ხელოვნური, გამჭვირვალე ფარდები ჰქონდა ჩამოფარებული. გოგონამ კარი შეაღო და შორს, გრძელი მაგიდის იქიდან, „კალიასკაში“ ჩაფლული იათოს მონუსხული მზერა შენიშნა. მერე ანუკის მზერა კედლებისკენ გაექცა, რომლებიც იათოს „მუზეუმს“ წარმოადგენდა — მისი უამრავი, ცხოვრებისეული თუ სასცენო ფოტოთი. ანუკი ოთახში შევიდა და კარი უხმაუროდ მიხურა. იათო, ტუჩმოკუმული, ისევ მკაცრად უმზერდა. „შერჩენია სილამაზე“, — გაიფიქრა ანუკიმ და მისკენ დაიძრა.

— რომელი ხარ? — მშვიდად ჰკითხა იათომ.

— მე ანუკი ვარ! — უპასუხა გოგონამ და მიუახლოვდა.

იათომ ხელი მოიჩრდილა და ისე გახედა.

— აბა, ანუკი?

— როგორ გითხრათ... მე თქვენ არ მიცნობთ...

— მაშ, რატომ მოხვედი, შვილო?

— იმიტომ, რომ სხვა გზა არ მქონდა: მე გოჩუნას შეყვარებული ვარ... — დამარცვლით წარმოთქვა ანუკიმ.

— გოჩუნას შეყვარებული?!. თვითონ გოჩუნა... გოჩუნა სად არის? ცოცხალია?

— კი, კი, ცოცხალია, მისი დარდი ნუ გექნებათ.

— თუ ცოცხალია, რატომ არ რეკავს, რატომ არაფერს მატყობინებს, რატომ წერილს მაინც არ მომწერს?

— ნუ ღელავთ, რა! მაშ, მე რატომ მოვედი თქვენთან?.. მოვედი, რომ შეგატყობინოთ — ცოცხალია და ძალიან კარგადაც არის...

— პოლიცია რომ ეძებს?! ერთმა გამომძიებელმა სამი ღამე გაათია ჩემთან. ძლივს გავაგდე.

— გააგდეთ?! როგორ გააგდეთ?

— ავწივლდი საშინელ ხმაზე და აღარ გავჩუმდი. შენ, შენ რას აპირებ? უნდა დარჩე თუ უნდა წახვიდე? შენიანებმა იციან თუ გამოიპარე?

— იციან, დიახ, ყველაფერი იციან, — დაუფიქრებლად იცრუა ანუკიმ, რადგან სიმართლის თქმას, ართქმა არჩია.

— შენ იცი, რომ გოჩუნას, ელენიკოს გაუპატიურებას აბრალებენ?! შენ იცნობდი ელენიკოს? — რაც ყველაზე მეტად აწუხებდა, ის იკითხა იათომ.

— არა, მე აქ არ ვცხოვრობ. მე ზემო ვაკეში ვცხოვრობ. გოჩუნა გიმნაზიაში მაკითხავდა.

— ჩემთვის რომ არაფერი უთქვამს?! მე ის არაფერს მიმალავდა!..

— ვერ მოასწრო, ალბათ, თქმა...

— კი, კი, ასე იქნებოდა, თორემ აუცილებლად მეტყოდა. ის უდანაშაულოა, დამიჯერე! როგორ შეიძლება?!. ის ხომ ჭიანჭველასაც ვერ დაადგამდა ფეხს. მე მუდამ იმას ვასწავლიდი, — გოჩუნა, მატლი რომ მატლია, ისიც ღვთის გაჩენილია, იცოდე, მისი მოკვლაც ცოდვაა-მეთქი!.. უყვარდა ელენიკო, განა არ უყვარდა? მაგრამ რომელმა რომელი გააუპატიურა, გოჩუნამ ელენიკო თუ ელენიკომ — გოჩუნა? აი, რა არის საკითხავი... — იათო გაჩუმდა და ღრმად ამოისუნთქა. მერე კი ქვითინი აუვარდა და მიუხედავად იმისა, რომ ანუკი ამშვიდებდა და წელზე ეფერებოდა, როდის-როდის დამშვიდდა.

— ცოტა ხანს მე შევცვლი გოჩუნას, მე უკეთესად არ მოგივლით?!

— მერე, ფული გაქვს, რომ? რით მომივლი, ჩემი ინვალიდობის ოცდათვრამეტლარიანი პენსია გვეყოფა?.. — თავისი მიამიტი, დიდი ცისფერი თვალებით მიაჩერდა იათო ანუკის.

— თუ არ გვეყოფა, ღმერთი მოგვცემს... — დაამშვიდა ანუკიმ.

— ღმერთი?.. ღმერთი რომ რაიმეს მომცემი ყოფილიყო, შვილსა და რძალს კი არ წამართმევდა... აი, უამრავი სანთელი დავანთე, გოჩუნა კი არსად ჩანს... — იათომ ანუკის ძველებურ, ოქროსფერ შანდალზე მიუთითა.

ამ დროს კარზე ზარის ხმა გაისმა. ანუკი საშინლად დაიძაბა. იათომ თვალები მოჭუტა. არც ის ელოდა ვინმეს. ვინ უნდა ყოფილიყო ასე გვიან?

— შემობრძანდით! — გასძახა მან, მიუხედავად სიბერისა, მაინც ღამაზი ხმით.

კარი გაიღო და ზღურბლზე გამომძიებელი გური ცინცაძე გამოჩნდა, რომელიც ელენიკოს თვითმკვლელობის საქმეს იძიებდა. კარიერაზე, როგორც ბევრ მის კოლეგას, მასაც კბილები უკაწკაწებდა, — ერთი მაგარი საქმე არ შემხვდაო!.. — მუდამ ამას დარდობდა. ახლა კი, თუ ყოჩაღად მოიქცეოდა და ვიღაც გოჩუნას გაუპატიურებას „შესტენიდა“, შესაძლოა, ოდნავ მაინც წინ წაწეულიყო. ანუკი მაშინვე იცნო. ეტყობოდა, უკვე ყველაფერი იცოდა მისი და გოჩუნას ურთიერთობის შესახებ. ოჰო, ვარია გამოჩენილა, მაშ, მამალიც აქვე უნდა დაიფხორებოდესო, — გაიფიქრა და გადაწყვიტა, თავი მოეჩვენებინა, ვითომ ვერ იცნო.

— ბოდიში უნდა მოგიხადოთ, ქალბატონო იათო, სტუმარი გყოლიათ, სხვა დროს გესტუმრებით... არა, ბოდიში, მარტო ერთ შეკითხვას დაგისვამთ და წავალ.

— ბრძანეთ! — ცივად უპასუხა იათომ.

— თქვენს შვილიშვილს ჯერ კიდევ არ დაურეკავს და არც გამოჩენილა?

— ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, არა, არა, არა!

— კარგი, ქალბატონო, ნუ ნერვიულობთ, რა ხდება?! მე ჩემს მოვალეობას ვიხდი. თქვენ გგონიათ, მე მიხარია, აქ რომ დავიარები? ნახვამდის! — კარი გამოიკეტა და გავიდა, მაგრამ საოცრად კმაყოფილი ბრძანდებოდა. „გამოჩნდება, წყალი არ გაუვა, ასეთ კურტუმოს მარტოს არავინ დატოვებს“, — გაიფიქრა გახარებულმა და მანქანა დაქოქა.

— ხვალვე გავაფრთხილებ ბიჭებს, რომ უთვალთვალონ... — ჩაილაპარაკა და ეზოდან ნელი სვლით გავიდა.

იმ ღამით ანუკი გოჩუნას ლოგინში ჩაწვა. საბანი თავზე წაიფარა და დიდხანს, დიდხანს ტკბებოდა იმ სუნით, რომელიც თეთრეულს ჰქონდა და გოჩუნასთან გატარებულ პირველ და უკანასკნელ ღამეს აგონებდა.

როგორც კი გოჩუნამ ჭილასგან გაიგო, რომ ანუკი თბილისში მშვიდობიანად, ჯანმრთელი და საღ-სალამათი დაბრუნებულიყო, ვალიკო ააჩქარა და უკან გამოსწიეს. იგივე პროცედურა გაიმეორეს: ავტომატი და „ხებე“ ზურგჩანთაში ჩადეს და მთებით უღელტეხილისკენ დაიძრნენ. დღისით ხევხუვებში დაძრწოდნენ, ღამით კი მოშიშვლებულ მთაგორებს უტევდნენ. თან გულიკოს გამოტანებულ საგზალს, ტაფაში გამომცხვარ ხაბიზგინებსა და გუდის ყველს მიირთმევდნენ. გოჩუნა ისე გარბოდა, რომ ვალიკო ველარ ეწეოდა.

— დამიცდიდი-კე, ე, ვირუკელავ, არვინ მაგტაცას, ვის რაღად უნდის ცარიელ-ტარიელი შენი ანიუტაი?! რას დახტი ამ მთებჩია, ჩოკინასავით!.. — მართლაც გულამოვარდნილი მისდევდა ვალიკო გოჩუნას და ვერ ეწეოდა.

ასე რომ, ორი დღის გასავლელი დღე-ნახევარში გაიარეს, გერგეთისა და სნოს გზით ლარსში ჩააღწიეს და მთავარ გზაზე გავიდნენ თუ არა, მანქანაც წამოეწია. მძღოლს „პატარა ტონკის“ (ტონანახევრიანი სატვირთო) კაბინისთვის, ძარას ნაცვლად, მაზუთის გადაჭრილი ცისტერნა მიება და, როგორც ჩანს, „ტაქსაობდა“, რადგან იმ მრგვალი „ძარას“ ფსკერზე ვალიკოს ნაცნობები დახვდნენ — დედაშვილი. დედა ორმოც წელს მიღწეული უნდა ყოფილიყო, ქალიშვილი კი — თხუთმეტი-თექვსმეტი წლის თუ იქნებოდა, გრძელი, წითური თმა ჰქონდა, ნაწნავად დაწნული და მის ჭორფლიან, ლამაზ სახეს ძალიან უხდებოდა.

— საით ყოფილხარ, ნელი, საითკე მისდიხარ? — შეეკითხა ვალა ქალს.

— არსაით, შინიდან მოვალით, ქალაქ ვაპირებთ წასვლას.

— შენ გამააყვანინებდი, მაშ, ამ გიჟს ამ მაზუთის „ბანკასა“, ხო ასეა?

— ჰო, მე ვთხოვევი და ხათრი ვერ გამიტეხის. დაიჟინა, ქალაქჩი უნდა ვისწავლოვო, ამ ჩემმა მზეონამა და მიმყავის.

— შენი კაცი ისევ საბერძნეთჩი არ, ხო?

— ჰო, იმის იმედად ვართ ორთავენი, ის გვინახავს იქიდანა, მე რა შამიძლიან, ორი მეშოკი „კარტოშკაი“ ძლივას მამყავის...

გოჩუნა გოგოს უყურებდა, რომელიც სულ არ ერიდებოდა და თვალში თვალს ისე თამამად უყრიდა, თითქოს დიდი ხნის ნაცნობობა ჰქონოდათ.

მძღოლმა ყაზბეგის ეკლესიასთან გააჩერა. ვალიკოც და გოჩუნაც დედაშვილს დაემშვიდობნენ და ძარადან გადმოხტნენ.

— ვალავ, აბა, შენ იცი, ჟიპიტაური და ხინკალი გაამზადევი და რო ამავივლი, სუფრა გაშლილი დამახვედრევი, — გაეხუმრა მძღოლი ვალიკოს.

— ჰო, გვაკლიან გიჟები და ახლა შენც შამაგვემატევი, — დაადევნა დაძრულ მანქანას ვალიკომ.

ღამის კალთები დაახიეს ვალიკომ და მზიამ გოჩუნას, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ, დაიჟინა, თბილისში მივდივარო და აღარ გაჩერდა, მაგრამ დაჰპირდა, სულ მალე გესტუმრებითო, ჩაჯდა თავის „შინდაში“ და თბილისისკენ გაფრინდა. რომც სცოდნოდა ვალიკოს, რომ გოჩუნას პოლიცია ეძებდა, შეძლებდა მის დაკავებას?.. ძნელი სათქმელია, ალბათ — ვერა, ხომ ვერ დააბამდა!.. ვაჟს თავისი ანუკის ნახვა უნდოდა. რატომ უნდა დამიჭირონ, რა დავაშავე, რატომ უნდა ვიმალებოდე

მთელი ცხოვრება?! სადაც წვრილია, იქ გაწყდესო! — ფიქრობდა ბიჭი. „მაზუთის ბანკას“ ძალიან ჩქარა წამოეწია. მიუსიგნალა, წინ გადაუდგა და გააჩერა. შენი მგზავრები ჩემთან გადმოსვი, თბილისში მივდივარო, — უთხრა მძღოლს, რომელსაც ფასანაურამდე უნდა ჩაეყვანა დედა-შვილი. ქალები ფართხაფურთხით ჩამოხტნენ და გოჩუნას „შინდას“ უკანა სავარძელზე მოთავსდნენ.

— შენ გაგახაროს-კე ღმერთმა, კეთილად გატაროს ამ წუთი-სოფელჩია! ეს რა მანქანა გყოლებავ, რა ლამაზ რამ არ! სადაური რა არ, რამდენი სიჩქარე აქვნ? — დაინტერესდა მძღოლი.

— აბა, კარგად, — დაემშვიდობა გოჩუნა და თბილისისკენ დააწვა.

დედა-შვილი ჩუმად იჯდა, გოჩუნა ზოგჯერ შეავლებდა თვალს სარკეში მოხევის გოგოს, რომელიც ისევ არ ერიდებოდა და თვალს უსწორებდა კიდეც. მაგრამ სხვისი ცეცხლი მოსდებოდა ბიჭს, ანუკის ნახვა ეჩქარებოდა, ენატრებოდა, ედარდებოდა და ისიც მიაქროლებდა მანქანას, ზუსტად ისეთი სისწრაფით, რის საშუალებასაც დარიალის ხეობის ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული გზები იძლეოდა.

— ვისთან მიდიხართ, ვინმე გყავთ თბილისში? — შეეკითხა გოჩუნა ქალებს.

— ხელისმომკიდე მყავ, როგო არ, ნაირა შიოშვილი, მასწავლებელი ჰყავნ ქმარი, ფრიდონი, ნახალოვკაჩი ცხოვრობდიან.

— მაშინ, გლდანის გზით შევალ და მიგიყვანთ.

— გზას ნუ გაიმრუდ შენა, მივაგნებთ-კე, არა არ ძნელი...

— შინ რომ არ დაგხვდნენ, სად უნდა გაათიოთ? — ჩაეძია გოჩუნა.

— მავჰკვალავთ რაიმესა, ნუ გედარდების, — დაამშვიდა ნელიმ. მზეონას კი მათ საუბარზე თავისთვის ეღიმებოდა. თან, იმ თავის მსხვილ ნაწნავს ხან ერთი მხრიდან ჩააცურებდა ძუძუებს შუა, ხან — მეორე მხრიდან. მსხვილი, ლამაზი მკერდი უნდა ჰქონოდა...

ნელიმ გოჩუნას ყოფილ კინოთეატრ „საქართველოსთან“ მარცხნივ აახვევინა და ძველებური, სტალინის დროინდელი, სამსართულიანი კორპუსის წინ გააჩერებინა. ქალებმა მადლობა გადაუხადეს, მაგრამ გოჩუნამ მაინც უთხრა:

— იცით, რა?.. მომისმინეთ: აქ დაგელოდებით, რა იცით — იქნებ არავინ დაგვხდეთ. ჩემთან გაგათევინებთ.

— ჰოო, ძლიერ კარგი, დაგვიცადევი, მაშინ. არ კი მგონია, არ დაგვხვდნენ.

არ გასულა ხუთიოდ წუთიც, რომ ქალები უკან დაბრუნდნენ.

— როგო გამაიცან, რო არ დაგვხვდებოდნენ?! — უთხრა ნელიმ, მანქანაში რომ ჩასხდნენ. — კახეთს გახიზნულან, სამი წელიც არის, იქ გადაბარგდნენო.

— ჰოდა, უფრო კარგი. ჩემს სახლში მარტო იათო ცხოვრობს, ბებიაჩემი. ვერ დადის, ფეხები აქვს მოკვეთილი...

— საწყალი, ვინ უვლის, მაშ, სხვა თუ არვინ ჰყავ?

— მე ვუვლიდი აქამდე, მაგრამ რაღაც შემემთხვა და პოლიცია მეძებს.

— რაი შაგემთხვა, ბალღო, შამაგაკვდის ვინმეი?

— არა, არა, არაფერი ისეთი... თუ ჩემთან დარჩებოდით, ბინის ქირა არ გექნებოდათ სახდელი და თან, იათოს მიხედავდით.

— ძლიერ კარგი, რატომაც არ?! — გაუხარდა ნელის. — მე კი უკან ვბრუნდები ორ დღეჩია, მაგრამ მზეონა დარჩებოდის, მოუვლიდის შენ ბებიასა, მა როგორა?!

გოჩუნამ ქალებს მისამართი მიასწავლა. მე ვერ შევალ შინ, ვინ იცის, მითვალთვალებდნენ კიდეც და დამიჭირონო, — უთხრა. დაუთქვა: მაჩაბლისა და ლეონიძის კუთხეში დაგელოდებით და გამაგებინეთ, ჩემს სახლში რა ხდებაო.

ქალები წავიდნენ, გოჩუნა მარტო დარჩა. გამვლელები ცნობისმოყვარედ აკვირდებოდნენ მის მანქანას. ქალები ცოტას ეპრანჭებოდნენ კიდეც. გზას და ნერვიულობას თავისი გაეტანა და მაგრად დაღლილიყო. წათვლიმა.

ესიზმრა, თითქოს ისევ სკოლის მოსწავლე იყო — მეექვსე-მეშვიდე კლასის. გეოგრაფიის მასწავლებელს, ნაზო ელიზბარაშვილს, მაღალ, ქერათმიან ქალს ხელში ჯოხი ეკავა და დაფასთან გასულ გოჩუნას დაფაზე დაკიდებულ დიდ რუკაზე საქართველოს პოვნას სთხოვდა. გოჩუნა ეძებდა, მაგრამ საქართველოს ვერსად პოულობდა. რუკაზე აზერბაიჯანიც იყო, სომხეთიც და ოსეთიც, მაგრამ საქართველოს კონტურები კი არსად ჩანდა, საქართველო რუკიდან გამქრალიყო. „ვერ პოულობ?“ — ეკითხებოდა ნაზო მასწავლებელი უკვე მერამდენედ. მას კი უნდოდა, ხმა ამოეღო, უნდოდა ეთქვა, რუკა შეუცვლიათო, მაგრამ პირს აღებდა მარტო, ხმა კი არ ამოსდიოდა. „მაშ, არ უნდა იცოდე, ბიჭო, საკუთარი ქვეყანა სად მდებარეობს?“ — უსაყვედურა გოჩუნას ნაზო მასწავლებელმა და ბავშვებს მიუბრუნდა, — აბა, ვინ უკარნახებსო? ხელს კი არავინ სწევდა. — როგორ, არავინ იცითო?! — მაგრად გაუკვირდა ნაზო მასწავლებელს და ისევ გოჩუნას მიუბრუნდა, — კარგი, დაჯექი, გრცხვენოდეთ, შენც და მთელ კლასსაცო... — ვიცი, მასწ, მაგრამ არ ხატიაო, — უნდოდა დაეყვირა გოჩუნას და გამოეღვიძა კიდეც...

მანქანის კარი გაჯახუნდა. გოჩუნამ მიიხედა და ანუკი არ შერჩა ხელში?! ბიჭს სული შეუგუბდა. მაგრამ ანუკიმ არ აცალა — კოცნიდა, ეფერებოდა, იცინოდა და ათასნაირ სისულელეს ეკითხებოდა. გოჩუნას კი მხოლოდ ერთი რამ აინტერესებდა — როგორ მიაგნო ანუკიმ, საიდან გაიგო მისი ადგილსამყოფელი? და როგორც კი მისი მკლავებიდან წამით თავი გაითავისუფლა, მაშინვე ჰკითხა:

— აქ საიდან გაჩნდი, როგორ გაიგე, რომ ჩამოვედი?

— შენმა ჩამოყვანილმა ქალბატონებმა მომასწავლეს. მე ხომ იათოსთან ვცხოვრობ, რაც ყაზბეგიდან ჩამოვედი.

— იათოსთან?! — გოჩუნამ რა აღარ გაიფიქრა იმ რამდენიმე წამში?! როგორ ეშინოდა ამ წუთების, როგორ არ უნდოდა, რომ უმისოდ, შეუმზადებლად ენახა ანუკის იათო.

— ჰო, რა იყო, გაგიკვირდა, არა, მაგრად?

— იმას ხომ მოვლა სჭირდება!..

— ჰოდა, ვუვლი. როგორ ფიქრობ, შენზე კარგად ვერ მოვუვლი?

რას იფიქრებდა, რას წარმოიდგენდა გოჩუნა, რა გადარჩენა იყო იათო ანუკისთვის?! ან საიდან უნდა მიმხვდარიყო, თუ რა ძალა აქვს „სიმღერას“, რომელიც ამ ორი ქალის სულს ასე ჰარმონიულად აერთიანებდა, კვებავდა, ერთიმეორეს აყვარებდა?!

— მერე — შენები?.. არ გაგიჟდებოდნენ?

— მამა ციხეშია, დედა, ბებო და პაპა — საავადმყოფოში. ჩვენი სახლი დაღუქულია... კონფისკაცია, იცი, რას ნიშნავს? აღარაფერი გაგვაჩნია, პროლეტარებად გვაქციეს ერთ დღეში.

— მამაშენის ამბავი ბესლანში გავიგე. რით წამოხვედი, რანაირად გამოაღწიე იქიდან, უსაბუთოდ, უყველაფროდ?

— „სასწრაფოს“ გამოვყევი, საშველად იყვნენ, ყაზბეგიდან გადმოსული.

— თუ იათოსთან ხარ, მაშინ, ყველაფერი გეცოდინება.

— რა გაინტერესებს? ელენიკოს ამბავი? ვიცი, მაგრამ არ მჯერა... ხომ მართალი ვარ?

— კი, მართალი ხარ. აუ, ანუკი, რა ლამაზი ხარ, რა ნაზი, რა ძლიერი!..

მართლაც, ვინ იყო ანუკი გოჩუნასთვის? ყველაფერი, ყველაფერი — მისი ოცნება, ვნება, გახელება... როგორ მოსწყურებიათ, როგორ მონატრებიათ ერთმანეთი!.. და ისევ ჩაეკონნენ. კოცნიდნენ ერთმანეთს, დახრჩობამდე, სულის ამოცლამდე...

უეცრად მანქანის წინა ორივე კარი ერთდროულად გაიღო. პოლიციელები უხეშად და ტლანქად მოქმედებდნენ. გოჩუნა მანქანიდან გადმოათრიეს და ასფალტზე პირქვე დააგდეს. ხელები უკან ამოუგრიხეს და მაშინვე ხელბორკილი დაადეს.

ანუკიმ გაიბრძოლა, აყვირდა:

— მხეცებო, პირუტყვებო, ხელი გამიშვით, გამიშვით ხელი!

— ეს რა მაგარი ყოფილა, ეე! კაცს აჯობა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საპასუხოდ

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგეცქცეთ თვალი.

1. დაასახელეთ ქვეყანა ევროპაში, სადაც თავის გაქნევა თანხმობას ნიშნავს, დაქნევა — უარის თქმას.
2. ვის ეძახდნენ ძველად პრესტიდიჟიტატორებს?
3. შონ კონერი, ჯორჯ ლაზენბი, როჯერ მური, ტიმოთი დალტონი, პირს ბროსნანი, დევიდ ნივენი, — რა აქვთ საერთო აქ ჩამოთვლილ მსახიობებს?
4. „ხოჩა ლადეღუ ჯაარ!“ — ვინ ესალმებიან ასე ერთმანეთს?
5. ოქტომბრის რევოლუციის დროს, სასწაულით გადარჩენილმა რომანოვების ოჯახის წევრებმა და მათთან დაახლოებულმა პირებმა ინგლისს შეაფარეს თავი. ისინი დიდი პატივით მიიღო ინგლისის მეფე გეორგ V-მ, რომლის დანახვაზეც შეშინებული ემიგრანტები მუხლებზე დაეცნენ და პირჯვრის წერას მოჰყვნენ. რაში იყო საქმე?
6. რა არის ნოზოფობია?
7. სადაური სიმღერებია „რაეო“ და „რაშოვდა“?
8. რა ვითარებაში გარდაიცვალა მარინა ცვეტაევა?
9. რა არის თალათინი?
10. გაიუს მარიუსს ბავშვობაში შვიდბარტყიანი არწივის ბუდე ჩაუვარდა კალთაში. მომავალში, როგორ აუხდა ეს ამბავი რომაელ მხედართმთავარს?
11. დაასახელეთ თვე და რიცხვი, რომელიც რომაელებს სისულელის დღედ ჰქონდათ გამოცხადებული.
12. რა ჯილდოს გადასცემენ დევისის თასის გათამაშებაში გამარჯვებულ ჩოგბურთელს?
13. მერი სიურატი პირველი ქალი იყო ამერიკაში, რომელიც ჩადენილი დანაშაულისათვის სიკვდილით დასაჯეს. რა ჩაიდინა მან?
14. ამ აღმოსავლელი დამპყრობლის თანამედროვე ისტორიკოსი მოგვითხრობს მის საგანგებო ჯალათთა შესახებ, რომელნიც ცოცხლად ჭამდნენ ადამიანებს. ისინი ხელიდან ჰგლეჯდნენ ერთმანეთს სიკვდილმისჯილს, ერთმანეთს ასწრებდნენ განწირულის ცხვირის, ყურის, ლოყის, ძუძუ-მკერდის თუ სასქესო ასოთა მოკბეჩას. მანამ ჭამდნენ, სანამ ნახევრად შეჭმულ კაცს სული არ ამოხდებოდა. ვის ჰყავდა სასახლის კარზე ასეთი ჯალათები?
15. პირველი ვინ მიეშველა „ტიტანიკის“ მგზავრებს?

ანეკდოტები

***

მეგრელი 15 წელი უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრობდა. ერთხელაც, მის მეზობლად მდებარე კუნძულთან გემმა კატასტროფა განიცადა და ტალღებმა ნაპირზე ულამაზესი ქერა ქალი გარიყა. ქალი მოსულიერდა, ირგვლივ მიმოიხედა და კაციშვილი რომ არ ჭაჭანებდა, მეგრელს გასძახა: აქეთ ნაპირზე გადმოდი. მე ის მაქვს, რაც დიდი ხანია, თვალით არ გინახავსო.

— „ნეუჟელი“, აჯიკა?! — შესძახა მეგრელმა და წყალში გადაეშვა.

***

ქალი პარფიუმერიულ მაღაზიაში შედის და გამყიდველს ეუბნება:

— უკაცრავად, სუნამო მინდა, კომპიუტერის სუნით.

— კომპიუტერის?

— დიახ. იქნებ, ჩემმა ქმარმა ყურადღება მომაქციოს.

***

სვანს თავის მოკვლა უნდა და მანქანას შეუვარდება ბორბლებში — არ მოკვდება; მეორე მანქანას შეუვარდება, მაინც არ მოკვდება. მესამესაც შეუვარდება, მაგრამ — ამაოდ. ბოლოს, როგორც იქნა, მოიფიქრა და მოძრავ მანქანას შეუვარდა...

***

გურული ნადირობიდან ბრუნდება — წელზე იხვი ჰკიდია, თვალი ჩალურჯებული აქვს და შუბლზე კოპი აზის.

— სა მოკალი მაი იხვი? გარეულია?

— ეკითხება მეზობელი.

— გარეული არაა, შინაურია, მარა პატრონი იყო გარეული და გადარეული!

***

ავტობუსში ერთი მგზავრი მეორეს ეკითხება:

— რატომ არ მივდივართ? უკვე ათი წუთია, ვდგავართ.

— შოფერია ნამეტანი ზრდილობიანი.

— ეგ რას ნიშნავს?

— თავისი ადგილი ვიღაც მოხუც ქალს დაუთმო.

***

სვანთან მეზობლის ბავშვი მივიდა:

— დილით ქუდი ვიპოვე. აბა, ნახეთ, იქნებ თქვენია!

— არა, ჩემი არ იქნება! ჩემი დავკარგე!

***

ერთი „ნარკუშა“ მეორეს ურეკავს:

— როგორა ხარ, ნიკუშ?

— არ მცალია, მერე გადმოგირეკავ, სასაფლაოზე ვარ...

— ვაა, ვინ დაგბრიდა, სიმონ?!

***

— ვინ მეიყვანე, ვახოია, ცოლად?

— რაფერ გითხრა ახლა, იქითა უბნელია, თინა ჰქვია.

— მეიცა, მაი იგი თინა ხვარაა, ძუძუს ქვეშ სამი ხალი რო აქ?

— ქე გცოდნია და...

***

გოგონა დაქალთან თავს იწონებს:

— ვთხოვდები და ხომ წარმოგიდგენია, რამდენი ჩემი თაყვანისმცემელი გამწარდება?!

— კი, მაგრამ რამდენს მიჰყვები?

***

— თქვენი აფთიაქის ჯიხური უნდა ავიღოთ.

— აბა, გაბედე, ქვას გლეწავ თავში!

— ჰმ... იოდი თუ გაქვთ, გაყიდვაში?

***

მაღაზიაში მომხმარებელი შევიდა და

MK

გამყიდველს ეკითხება:
— იატაკზე დასაგები ხალიჩები თუ გაქვთ?
— გვაქვს, რამდენი მეტრი გნებავთ?
— 30 მეტრი ამიზომეთ და თითო მეტრად დამიჭერით!
გამყიდველებს გაუკვირდათ, მაგრამ მაინც დაუჭრეს!
— თქვენ, რა, გაგიჟდით? მე სიგრძეზე მინდოდა დაჭრა! — აყვირდა უცებ მყიდველი.
— მგონი, გიჟია, — გადაულაპარაკა ერთმა გამყიდველმა მეორეს.
— რა თქმა უნდა! — კმაყოფილი ღიმილით ეუბნება მყიდველი. — ცნობაც მაქვს!

***

ორი ბომჟი ზის. ერთ-ერთი „ნასკით“ თხილს ტეხავს, მორე ეხვეწება:
— მემეცი, რა, ცოტა თხილი!
— არ მოგცემ!
— მომე, თორემ ამ ჰალსტუხს გაგიყრი მუცელში!
— ვერ გამიყრი!
— ვითომ რატომ?
— „მაიკა“ მაცვია!

***

მაროს მეზობელი ეკითხება:
— მარო, ხმას ვის აძლევ?
— მეხი კი დაგაყარეთ, ახლა ხმის მიცემაც დამაწყებინეთ!

***

— ჩემს ცოლს დღეს თაფლობის თვე ეწყება.
— შენ?
— მე არა! ხომ იცი, დიაბეტი მაქვს!

***

— ექიმო, მომეცით სიხარბის წამალი! მეტი! კიდევ უფრო მეტი!

***

კახეთის სკოლა. მასწავლებელი ბავშვებს ეკითხება:
— აბა, ბავშვებო, პროფესიით ვინ გინდათ, გამოხვიდეთ, როცა გაიზრდებით?
მიტო: — მე აგრონომი.
კოლა: — მე იურისტი.
შორენა: — მე დედა გავხდები.
მიხო: — მე კი შორენას შვილების მამა ვიქნები.

***

ორი გამოსული სვანი ოპერაში შევიდა. ერთი ცდილობს, თავისი ერუდიცია გამოამჟღავნოს, მეგობარს დირიჟორზე მიუთითებს და ეკითხება:
— ბეთჰოვენია?
— აბა, ზურგით დგას და როგორ გავიგო?!

***

კაცი მეზობელს შესჩივლებს:
— ესაა ცხოვრება?! თოფი რომ მქონდეს, თავს მოვიკლავდი.
— გათხოვებ, თუ გინდა...

***

ჭიჭიკიამ თავისი დებილი შვილი

მანქანაში ჩასვა და უსსნის:
— შვილო, ეს საჭეა, ეს — სიჩქარეების გადამრთველი, ეს — სპიდომეტრი...
— მანქანა სად არის, მამი, მანქანა?!

***

ქირურგი შინ ბრუნდება. გახარებული ძაღლი კუდის ქიცინით ეგებება.
— ტყუილად გიხარია, ბროლია, დღეს ოპერაციის დღე არ ყოფილა.

ჭრილვების საკანონმდებლო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. ბულგარეთი.
2. ილუზიონისტებს.
3. ყველა მათგანს ჯეიმს ბონდის როლი აქვს შესრულებული.
4. სვანები („ხოჩა ლადელუ ჯაარ“ — „კარგი დღემცა გაქვს!“).
5. ინგლისის მეფე, რომელიც გაჭრილი ვაშლივით ჰგავდა ნიკოლოზ II-ს, ემიგრანტებმა თავიანთ დაღუპულ იმპერატორად მიიჩნიეს.
6. განუკურნებელი სენით დასნეულების შიში.
7. რაჭული.
8. მან სამამულო ომის დროს, ევაკუაციის დროს მოიკლა თავი.
9. ტყავის თასმა, რომელზეც სამართებელს უწყობენ პირს.
10. იგი შვიდჯერ აირჩიეს, კონსულად.
11. პირველი აპრილი.
12. ამ ტურნირის გამარჯვებულს ვერცხლის სასალათეთი ავჯილდოებენ.
13. საკუთარ სახლში აბრაამ ლინკოლნის მკვლელი, ჯონ ბუტი შეიფარა.
14. შაჰ-აბასს.
15. „კარპატია“ — მათთან ყველაზე ახლოს მყოფი გემი.

ცხოველთა ფანტაზიები

MK

მოგწონთ თუ არა საკუთარი თავი?

წარუმატებლობის, უიღ-ბლობის მიზეზი ხშირად ჩვენსავე ფსიქოლოგიურ განწყობილებაში უნდა ვეძებოთ. ფსიქოლოგიაში ამას არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქვია, რომელიც ავსტრიელმა ფსიქოლოგმა ალფრედ ადლერმა დანერგა. მისი თეორიის თანახმად, ეს კომპლექსი ადრეულ ბავშვობაში ყალიბდება და მას ხელს უწყობს როგორც გარემო პირობები, ასევე უფროსების (ოჯახის წევრების) დამოკიდებულება. მეცნიერების აზრით, არასრულფასოვნების კომპლექსი ხელს გვიშლის ადამიანებთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებაში. ამიტომაც აუცილებელია, ვისწავლოთ საკუთარი საქციელის ობიექტურად შეფასება, რადგან როცა შეცდომები აშკარაა, მათი გამოსწორებაც იოლია.

ქალების დიდი ნაწილი ხშირად უკმაყოფილოა საკუთარი გარეგნობით — ზოგი პატარა მკერდს უჩივის, ზოგს პირიქით — დიდი ეჩვენება.

ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და მომთხოვნი. გახსოვდეთ: თითოეული ადამიანი უნიკალური და განუმეორებელია. სწორედ ამიტომ, თუ თქვენს პარტნიორს თქვენი სხეულის რომელიმე ნაწილი არ მოსწონს, ამის გამო არავითარ შემთხვევაში არ დაკომპლექსდეთ. უმჯობესია, მასთან ურთიერთობა დროულად შეწყვიტოთ, რადგან თქვენი ერთად ყოფნა, მით უმეტეს — ქორწინება, ნამდვილად უპერსპექტივოა.

არიან ისეთებიც, რომელთაც გამორჩეულობის კომპლექსი აწუხებთ; ჰგონიათ, რომ განსაკუთრებული შესაძლებლობისა და ნიჭის გამო, სხვებზე მეტად იმსახურებენ წარმატებას. სწორედ ამიტომ, მუდმივად განერვიულებულები, გაბრაზებულები არიან მთელ ქვეყნიერებაზე — რადგან მიაჩნიათ, რომ მათ შესაძლებლობებს გარშემო მყოფები, მათ რეალურად ვერ აფასებენ. ამ კატეგორიის ადამიანებს ორი არჩევანი აქვთ: პირველი — ბოლომდე ამტკიცონ უნიკალურობა, რის გამოც საკუთარ ამბიციებთან მარტო რჩებიან; მეორე — შეცვალონ სიტუაცია მანამ, სანამ ღრმად არ შეუტოპავთ.

თუ თქვენც გაწუხებთ მსგავსი რამ, სასოწარკვეთილებაში ნუ ჩავარდებით. ეცადეთ, თქვენი პრობლემები სხვებს (ახლო მეგობრებს) გაუზიაროთ; ხოლო უფრო რთულ სიტუაციაში, დახმარებისთვის ფსიქოლოგს მიმართეთ.

სალათა გაფლით

(1 ულუფისთვის)

მასალად საჭიროა:

200 გ კარტოფილი;
75 გ გაყინული მწვანე ლობიო;
1/2□ შეკვრა მწვანილი;
1 პატარა ვაშლი;
1 ჩ/კ ლიმონის წვენი;
1/2□ ხახვი;
1 კონა კამა;
1 ს/კ ვაშლის ძმარი;
1 ს/კ მცენარეული ზეთი;
25 გ შებოლილი ხორცი.

მომზადების წესი:

მოხარშეთ კარტოფილი კანიანად. შემდეგ ცივი წყალი გადაავლეთ და გაფცქვენით. გაყინული მწვანე ლობიო მოხარშეთ მარილიან წყალში. ვაშლი გარეცხეთ და 4 ნაწილად გაჭერით. ვაშლი და კარტოფილი თეფშზე ლამაზად დააწყვეთ, ლიმონის წვენი მოასხით და მწვანილი მოაყარეთ.

ხახვი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ ძმარჩასხმულ ჭურჭელში და მიიყვანეთ ადუღებამდე. მოასხით სალათას ძმარი და ზეთი. დაუმატეთ წვრილად დაჭრილი შებოლილი ხორცი, ლობიო და კამა. მოაყარეთ მარილი. აურიეთ ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში და გაალამაზეთ მწვანილით.

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲐᲛᲔᲚᲐᲓ
ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲢ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐ
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Æåíñêèé æóðíàë	11.65	69.7
4. Æåíñêîå çäîðîâüå	7.00	41.8
5. Ñàíäà	4.00	24.0
6. Âñå äëÿ æåíùèíû	0.80	19.9
7. Ãëàìóð	7.20	43.2



ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠᲘ ᲡᲮᲕᲐ
ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ-ᲒᲐᲖᲔᲗᲔᲑᲘ

ᲞᲠᲔᲡᲘᲡ
ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲘᲡ
ᲡᲐᲒᲐᲜᲗᲝ
ᲪᲔᲜᲢᲠᲘ

ქ. თბილისი
თოლბუხინის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

შიშს დიდი თვალები აქვს

ჩვენ — ყველანი ერთმანეთისგან განვსხვავდებით; განვსხვავდებით გარეგნულად, შინაგანად, ფიზიოლოგიურად, ცხოვრების სტილით, გემოვნებით... მაგრამ არა — შიშებით.

მაინც რისი გვეშინია? და რისი ეშინიათ ჩვენს საყვარელ მამაკაცებს? ვინც ირწმუნება, რომ არაფრის შიში არა აქვს, უბრალოდ თავს იტყუებს. ქალებს მეუღლეების დაკარგვა, სხვადასხვა დაავადება და მანიაკებთან ღამით შემთხვევითი შეხვედრა აშინებს; მამაკაცების შიშის საფუძველი სრულიად სხვაგვარია...

შიშისგან სავსებით გათავისუფლება ფსიქოლოგებთან მუშაობის გარეშე თითქმის წარმოუდგენელია. თუმცა ზოგიერთი პრობლემის მოხსნა თავადაც შეგიძლიათ.

რისი ეშინიათ ქალებს

ქალები საკმაოდ მრავალი მიზეზის გამო ფორიაქობენ. მაგალითად, ნებისმიერ ქალს სურს, ოჯახში მყუდრო გარემო შექმნას. ბევრი მათგანი მოდური ჟურნალების მიხედვით ცდილობს სახლის მოწყობას. ზოგჯერ ლამაზი ინტერიერის ნახვა მათზე დამთრგუნველად მოქმედებს, რადგან საყვარელი ხალიჩა, რომელიც ცოტა ხნის წინ, მისაღები ოთახის „მშვენებად“ მიიჩნეოდა, ახლა მხოლოდ ძაღლის საფენს თუ მოაგონებს; ქალები ხშირად წუხან, იმის გამო, რომ მათი სახლი საკმარისად ლამაზად არ გამოიყურება.

თუმცა სულ ტყუილუბრალოდ ნერვიულობთ. უბრალოდ, წარმოიდგინეთ, როგორ იცხოვრებდა თქვენი ოჯახი ჟურნალში ნანახის მსგავს ინტერიერში: ბავშვები აბრეშუმის ფერად ფარდებს პლასტელინით გასვრიდნენ, ძაღლი კი თქვენს ბროლის მაგიდას ბრჭყალებით დაჩხაპნიდა. ჟურნალში დაბეჭდილი სახლის ინტერიერი მოდურ კაბას წააგავს, რომელიც პოდიუმზე გამოაქვთ — ლამაზია, მაგრამ არა ყოველდღიური.

გასაკვირი არ არის, რომ დიასახლისებს ხშირად აქვთ იმის შიში, — ვაითუ, სტუმრებს სათანადოდ ვერ გავუმასპინძლდეო. ერთნი სადილის მოსწრებაზე ნერვიულობენ, მეორენი კი იმაზე, ნამცხვარი არ მიეწვათ.

გაათავისუფლეთ საკუთარი თავი ზედმეტი პასუხისმგებლობისგან. ჯერ ერთი, ადამიანები სტუმრად მხოლოდ კერძების დასაგემოვნებლად არ დადიან. მეორეც — ჩვენს დროში მაღაზიები სავსეა უამრავი სახის ნახევარფაბრიკატით, რომლის მეშვეობითაც საქმეს საგრძნობლად გაიიოლებთ.

ცნობილია, რომ ზოგიერთ ქალს მაღაზიებში სიარულის ეუხერხულება. მაგალითად, თავს არიდებენ ბუტიკებს იმის შიშით, რომ ხელფასი იქაური მოდური კოლექციის ცხვირსახოცის შესაძენადაც არ ეყოფათ. ეს გასაგებიც არის, რადგან ზოგიერთი გამყიდველი ისე იქცევა, თითქოს საკუთარ კოლექციას ყიდდეს.

გახსოვდეთ, უფლება გაქვთ, გაისინჯოთ, რაც მოგესურვებათ და მაღაზიიდან შენაძენის გარეშე გამოხვიდეთ.

რისი ეშინიათ მამაკაცებს

ვიდრე ქალები ლამაზ ინტერიერზე, მიმწვარ ნამცხვრებსა და ძვირად ღირებულ კაბებზე ნერვიულობენ, კაცობრიობის ძლიერ სქესს სრულიად სხვაგვარი შიშები იპყრობს. აი, რამდენიმე მათგანი:

- მამაკაცებს ძალზე ეშინიათ სამსახურის დაკარგვის;
- გულისკანკალით ფიქრობენ მოსალოდნელ გამელოტებაზე;
- მათ აკომპლექსებს თანამედროვე ტექნიკის არქონა — უფრო სწორად ის გარემოება, რომ მისი შეძენა ვერ შეძლეს;

ასევე მათ უხერხულობას იწვევს იმის შიში, რომ საყვარელი ქალი საჩუქარს დაუწუნებს, რადგან:

- საჩუქარი ძალზე უფერულია;
- მისი რჩეულის გემოვნებას არ დააკმაყოფილებს;
- არ მოუხდება ფერი, სტილი და ა.შ;
- ან უბრალოდ არ არის ის, რაზეც მისი გულის სწორი ოცნებობდა.

როგორ უნდა მოიქცეთ ასეთ შემთხვევებში?

თუ თქვენ გულწრფელად გიხარიათ ყურადღების ნებისმიერი გამოვლენა თქვენი რჩეულის მხრიდან, აგრძნობინეთ მას ამის შესახებ; ხოლო თუ მისი გემოვნებით შერჩეული საჩუქარი მართლაც არ გაკმაყოფილებთ, დაფარვას ნურც ეცდებით — სულერთია, თქვენი უკმაყოფილო სახე შეუმჩნეველი მაინც არ დარჩება. უმჯობესია, საჩუქართან დაკავშირებით, მამაკაცს კონკრეტული რჩევა მისცეთ ან სულაც, ერთად წახვიდეთ საჩუქრის საყიდლად.

რისი ეშინია ყველას

კიდევ არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, „ზოგადსაკაცობრიო შიშები“, რომელიც ორივე სქესისთვის დამახასიათებელია. თუმცა ქალებსა და მამაკაცებში ისინი სხვადასხვაგვარად ვლინდება.

გაქურდვის შიში კაცებს სიგნალიზაციებისა და საკეტების მუდმივი ცვლისკენ უბიძგებს. ქალები ძვირფასეულობას სამზარეულოს კედლის თაროებსა და ლეიბებში ინახავენ. საკუთარი ქონების დაზღვევით, თქვენ ამ შიშს ადვილად მოიხსნით. მით უმეტეს, თუ ხალხურ სიბრძნესაც გაიხენებთ: მთავარია ჯანმრთელობა, დანარჩენის მიპოვება კი ყოველთვის შეიძლება.

რაც შეეხება ჯანმრთელობას: შიში ხშირად თვითშენარჩუნების ინსტინქტს უკავშირდება. საინტერესოა, რომ მამაკაცებს ყველაზე ხშირად ისეთი დაავადებები აშინებს, რომლებიც შრომისუნარიანობას აქვეითებს; ქალებს კი — ძირითადად ისეთი დაავადებები, რომლებიც გარეგნობას აჩნევს კვალს. აღსანიშნავია, რომ ქალები უფრო ხშირად ნერვიულობენ ბავშვებისა და ახლობლების ჯანმრთელობაზე, ვიდრე მამაკაცები.

გასათვალისწინებელი რჩევა

გაიხსენეთ ორი სამედიცინო კანონი: პირველი — პროფილაქტიკა საუკეთესო წამალია. მეორე — ჯანმრთელი ადამიანი ცუდად გამოკვლეული ავადმყოფია. ასე რომ, თუ უბრალოდ გაცივდით, გიხაროდეთ, რომ გრიპი არ შეგეყარათ; თუ გრიპით გახდით ავად — კარგია, რომ ფილტვების ანთება არ გაქვთ და ა. შ.

ადამიანს წლების მომატებასთან ერთად, სულ უფრო ხშირად ეშინია სიბერის ან სიკვდილის. თუმცა ფსიქოლოგებმა დაამტკიცეს, რომ ეს შიში მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ნაკლებსაინტერესო მოვლენები ხდება ადამიანის ცხოვრებაში.

ისწავლეთ ნებისმიერ ასაკში დადებითი მხარეების პოვნა, რადგან სასიამოვნო არა მხოლოდ დედობა, არამედ — ბებიობაცაა. გაიხსენეთ, თვრამეტი წლის ასაკში ოცდაათი წლის ადამიანები ხანდაზმულებად რომ გეჩვენებოდათ, თქვენ კი ამ ასაკს ისე გადააბიჯეთ, სიბერის მოახლოება ფიქრადაც არ გაგივლიათ. ასე რომ, რამდენად შეინარჩუნებთ ამგვარ შეგრძნებას ათწლეულების განმავლობაში — ეს მხოლოდ და მხოლოდ თქვენზეა დამოკიდებული. ■



დასაწყისი იხ. „გზა“ №27-49

ცნობამ, ჩაჩბას ხალხსა და სვანებს შორის მომხდარი შეტაკებების შესახებ, სწრაფად ჩააღწია კრასნოდარში. მომდევნო დღეს კი ლუკას საცხოვრებელს ჩერმენი და მოსკოვიდან საგანგებოდ ჩამოსული ქურდი, რასპისნოი ეწვივნენ. სტუმრებმა მეგობრულად მოიკითხეს მასპინძლები — ლუკა, შუბა და ჯაბა და მაშინვე საქმეზე გადავიდნენ.

— მე მოსკოველი ავტორიტეტების სახელით ჩამოვედი, ლუკა, — წამოიწყო რასპისნოიმ, — საძმო უკმაყოფილოა. ყველა შენს ჩამოსვლას ითხოვს.

ლუკა თავადაც კარგად ხვდებოდა მოსკოველი ავტორიტეტის სტუმრობის მიზეზს, მაგრამ მაინც მისგან სურდა ყველაფრის მოსმენა.

— რისთვის? — ჰკითხა რასპისნოის.

— სვანებმა და აფხაზებმა ძალიან ღრმად შეტოპეს. ეს ხალხი უნდა შევაჩეროთ.

— აქამდე რატომ არ შეაჩერეთ?! — ცივად ჰკითხა ლუკამ. რასპისნოიმ ჩერმენს გადახედა.

— ვერ შეაჩერეს, ლუკა, — განაგრძო როსტოველმა ავტორიტეტმა.

— თუ არ შეაჩერეს?! — უცვლელი ტონით განაგრძო ლუკამ.

— რას ნიშნავს, „არ შეაჩერეს?“

— ბრაზი მოერია რასპისნოის.

— საშიში საქმეა, თავზე ხელაღებული კავკასიელების ომში ჩარევა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ერთი „სასტავი“ ძალიან ახლოსაა „ფეესბესთან!..“

— რა ბაზარია?! საქმე „პალაჟენიას“ ეხება!.. იცი, რა ხდება ქალაქში?! ავტომატებით ცხრილავენ ერთმანეთს. ორი „სასტავი“ მანქანებში ააფეთქეს, ერთმანეთს „გრანატამიოტებს“ ესვრიან. „ტრუპები“... „ტრუპები“... „ტრუპები“!.. მათი არავის ეშინია, მაგრამ საძმო მათ ომში არ ჩაერევა. ყველამ იცის, რომ სვანები შენი ხალხია!

— ხალხი კი არა, ახლობლები! — ბრაზით უპასუხა ლუკამ.

— ჩუმა?! ეგ ხომ ხარკოველია და შენი „სასტავიდანაა!“

— აფხაზები?! ვისი ხალხია აფხაზები?!

— შენ სვანებს მიხედე. აფხაზებს მოევლებათ! — სწრაფად უპასუხა რასპისნოიმ.

— მაინც როგორ?

— მოევლება, — პირდაპირ პასუხს თავი აარიდა რასპისნოიმ.

— რამის მომვლელი რომ ყოფილიყავი, აქამდე მიაყენებინებდი ჩაჩბას!

— მგელო, ნუ ცდილობ ჩვენთან დაჯახებას. ჩვენ ძალა ვართ! — ბრაზი მოერია რასპისნოის.

— ძალა, რომელიც აქ ჩამოვიდა კონფლიქტის მოსაგვარებლად.

— ჩვენ ჩერმენს ვცემთ პატივს. ვიცით, რაც ითქვა „სხადნიაკზე“.

— რა ითქვა „სხადნიაკზე“?

— ვიდრე ჩაჩბა თავს არ გაიმართლებდა, ერთმანეთს არ უნდა შეხებოდით!.. თქვენ კი სროლა დაიწყეთ!

— აქ ჩამოსვლის მაგივრად, უკეთესი იქნებოდა, თუ მოსკოვში გაარკვევდი, ვინ და რატომ დაიწყო სროლა! — ცივად მიუგდო ლუკამ.

— მე შენთან ჩამოსვლას არც ვაპირებდი. მოსკოვის საძმომ ჩერმენთან შეხვედრა მთხოვა! — ლუკამ როსტოველ ავტორიტეტს გახედა.

— რასპისნოი ნაღდს ბაზრობს. მოსკოველებმა დაავალეს ჩემთან შეხვედრა და საქმის გარკვევა.

— ვიცი, მაგრამ მე სხვა რამეზე ვბაზრობ, — უპასუხა ლუკამ, — მოსკოვში ბევრი რამ შეიცვალა!

— რა?!

— ადრე ჩვენ ყველანი ერთნი ვიყავით. ქურდები, ერთი ოჯახი, საძმო!.. ახლა თურმე მოსკოვის საძმოს სხვა საქმე აქვს, ხარკოვისას — სხვა და ქართულს — სხვა!.. რასპისნოის აზრით, კავკასიელების კონფლიქტი ქართველმა უნდა მოაგვაროს. შეაჩეროს სვანები!..

— ჰო, ასეა!.. — ხმას აუწია რასპისნოიმ. — მოსკოვის საძმო უკმაყოფილოა. თქვენ, კავკასიელები ყველა მხრიდან ჩამოდიხართ ჩვენს ქალაქში და აქ არკვევთ თქვენს „ატნაშენიებს“!.. ვინ გიშლით ხელს. წადით და სხვაგან გაარკვიეთ თქვენი ურთიერთობა!.. დღეს თუ შევჩერდით, მარტო ერთი მიზეზით. ეს ჩაჩბას ომია. მოსკოვში ყველამ იცის, რაც მოხდა. დაიბრიდა ვოლინა... დაიბრიდა გუმბაც! მაგრამ ჩერმენმა მაინც უარი თქვა სისხლის ღვრაზე და ორივეს, საქმის ქურდების წრეში გარკვევა შემოგთავაზათ!.. სვანებმა და აფხაზებმა არჩევანის საშუალება არ დაგვიტოვეს. შენი გადასაწყვეტია, ლუკა. თუ შენ არ შეაჩერებ ამ კონფლიქტს, ამას საძმო გააკეთებს, მაგრამ რის ფასად?!.

— მანამდე ერთი რაღაც უნდა გავარკვიოთ, — ჩაურთო ჩერმენმა. — ლუკა, რა მოხდა მოსკოვში?.. კარგად გიცნობ და შენი სიტყვის ფასიც ვიცი. ისიც ვიცი, ჩაჩბას დაბრედვა რომ განდომებოდა, აქამდეც გააკეთებდი ამას. ჩაჩბასიც ვერაფერი გამიგია. არც ისე სულელია, რომ „სხადნიაკის“ შემდეგ სროლაზე გადასულიყო.

— ჩვენც ეგ გვიკვირს, — დაამატა რასპისნოიმ.

— მაშ, რა მოხდა მოსკოვში და აქამდე რატომ არ შეაჩერე შენი ხალხი? — კითხვა გაიმეორა ჩერმენმა.

— მეც ვერაფერი გამიგია, — უპასუხა ლუკამ, — „სხადნიაკის“ შემდეგ რამდენჯერმე შევხვდი ჩაჩბას. თავი მშვიდად ეჭირა. თვითონაც ელოდებოდა ჩუმას „კაპეზედან“ გამოსვლას. ბოლო შეხვედრისას აფხაზეთში გამგზავრება ვთხოვე...

— რისთვის? — დაინტერესდა რასპისნოი.

— პირადი საქმეა. ერთ სომეხ ბიზნესმენს რაღაც პრობლემები ჰქონდა აფხაზებთან და ეს ყველაფერი ჩაჩბას უნდა მოეგვარებინა...

— ტატეოსიანს გულისხმობ? — ჩაეძია რასპისნოი.

— რა იცი ამის შესახებ? — ეგ ამბავი მთელმა მოსკოვმა იცის.

— ის თუ იცი, ტატეოსიანი რომ დაბრიდეს?

— არა, — თავი გაიქნია რასპისნოიმ, — ტატეოსიანი ჩაჩბასთან ერთად წავიდა სოხუმში. რა მოხდა იქ, აზრზე არ ვარ. ორ დღეში ჩაჩბამ ტატეოსიანი დაბრიდა და მოსკოვში დაბრუნდა. ვიდრე მე მომხდარში გავერკვეოდი, ჩაჩბას ხალხი ჩემს ახლობლებთან მივიდა და შეხვედრა ითხოვა. რა უნდოდათ, არ დაუკონკრეტებიათ. ჩემმა ახლობლებმა უარით გამოისტუმრეს და სწორადაც მოიქცნენ. მე ბოლომდე ვასრულებდი ჩერმენისთვის მიცემულ სიტყვას. ტატეოსიანის დაბრედვის შემდეგ კი ჩაჩბასთან მე და ჩემს ახლობლებს აღარაფერი გვქონდა საბაზრო. ეს იმ ნაბიჭვრებმაც დაამტკიცეს. უკან გაბრუნდნენ და სვანებს სროლა დაუწყეს.

— ეგრევე? — ჩაურთო ჩერმენმა.

— ეგრევე! — თავი დაუქნია ლუკამ, — ის ნაბიჭვრები მთელი „სასტავით“ იყვნენ მისულები. წინასწარ ჰქონდათ გადაწყვეტილი სისხლის დაღვრა. „პროსტო“ მიზეზს ეძებდნენ და როდესაც მიზეზი არ გამოჩნდა, „ლაბავოი“ ხიეს! თანაც „პროსტო“ კი არ ხიეს, ორი კაი ბიჭი მოკლეს. მაგას ვინ შეარჩენს ჩაჩბას, ჩერმენ?! გინდ მოსკოვში იყოს და გინდ — ნიჟნი ტაგილში. ის ხალხი მაინც მოძებნის ჩაჩბას და ყველა ნაბიჭვარს, რომელიც ამ საქმეში ჩაერია და ანდერძს აუგებს!

— მაგრამ შენ შეგიძლია ამის შეჩერება! — ჩაილაპარაკა ჩერმენმა.

— არ მაქვს ამის უფლება.

— არ გაქვს?! — გაიკვირვა ჩერმენმა. — ის ხალხი ხომ შენი ახლობელია!

— საქმე ქურდულს რომ ეხებოდეს, მოსკოვში დიდი ხნის წინ ჩავიდოდი, მაგრამ ეს მათი პირადი საქმეა! აფხაზებმა სვანების სისხლი დაღვარეს. ის ხალხი შურს იძიებს. ეს მათი წესია!.. თანაც, როგორ შევაჩერო ხალხი, რომელიც კაი ბიჭების მკვლელებს და ნაბოზრებს ეომება?!

— ჩუმა!.. — სწრაფად თქვა რასპისნოიმ. — ის ხომ შენი „სასტავიდანაა“!..

— ჩუმა უკრაინაში იძებნება და ესეც რომ არ იყოს, სვანები ჩვენი ახლობლები არიან. ის ხალხი ვოლინას მკვლელობისას მხარში ამოგვიდგა, სისხლის ღვრას არ მოერიდა და ახლობელიც დაკარგა.

— მაშინ შენ თვითონ შემოგვთავაზე რამე. როდემდე უნდა გაგრძელდეს ეს ომი?! — არ მოეშვა რასპისნოი.

— ვიდრე ჩაჩბა და მისი ბოზური „სასტავი“ მიწაში არ ჩაწვება! — კბილები გაახრჭიალა ლუკამ. — ვის არ მოსწონს ეს?!

— ბოზების ადგილი მიწაშია! ამაზე ბაზარი არ არის...

— აბა, რაზეა ბაზარი?! — ხმას აუწია ლუკამ. — შენი საქმისა შენ იცი, მაგრამ შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, მტყუან-მართალს იქვე გავარკვევდი. მართალს გვერდში დავუდგებოდი და კაი ბიჭებისა და ბოზების მკვლელს მიწაში ჩავაწვენდი!

— შენ რა პრეტენზიას მიყენებ?! — ადგილიდან წამოიწია რასპისნოი.

— მორჩი, რასპისნოი! — მხარზე შეეხო ჩერმენი. — სვანების და აფხაზების ომი ჩვენს დაპირისპირებაში არ უნდა გადაიზარდოს. ჯობია, იმაზე ვიფიქროთ, თუ როგორ შევაჩეროთ სისხლის ღვრა.

— მე ჩემი ვთქვი და ვეღარაფერს დავამატებ, — რასპისნოი სკამს დაუბრუნდა.

— შენ რას იტყვი? — შუბას მიუბრუნდა ჩერმენი.

— ლუკამ უკვე თქვა ჩემი სათქმელი. ვიდრე ჩაჩბა ცოცხალია, ომი არ შეწყდება!

— შენ... ეს შენი ბოლო სიტყვა იყო? — ახლა ლუკას გახედა როსტოველმა ავტორიტეტმა.

— არა, მაგრამ თქვენი ჩამოსვლა ვერაფერს შეცვლის. მე უკვე მიღებული მქონდა გადაწყვეტილება.

— რა გადაწყვეტილება? — დაინტერესდა ჩერმენი.

— წინასწარ ვხვდებოდი, რასაც იტყოდნენ მოსკოველები ამ ომზე. ისიც ვიცოდი, რომ ომს ვეღარ შევაჩერებდით. მაგრამ ერთი რამ მაინც შეგვიძლია... თუ ვერ შევაჩერებ, მაშინ მალე დავამთავრებ!..

— ამით რისი თქმა გინდა? — ჰკითხა რასპისნოიმ.

— თქვენ ნურაფერში ჩაერევით. ჩაჩბას მე მივხედავ!

— ესე იგი...

— ხვალ მე და ჯაბა მოსკოვში მივდივართ, — არ დაამთავრებინა ლუკამ.

— შენ გვერდით ვარ, ლუკა. მე და ჩემი ხალხი... — სწრაფად წამოიწყო რასპისნოიმ, მაგრამ ლუკამ ისევ არ დაასრულებინა.

— არა... ეს ჩემი პირადი საქმეა!

— მაინც გქონდეს ჩემი იმედი.

— მექნება... — წამოიწყო ლუკამ, მაგრამ ვიდრე ბოლომდე იტყოდა სათქმელს, მისი მობილური ტელეფონი აწკრიალდა. ლუკამ ეკრანს დახედა, შემდეგ საფეთქლები მოისრისა, მობილური ჯაბას გაუწოდა და უთხრა: — მესიჯი წაიკითხე და პასუხი გაეცი.

ჯაბამ უხმოდ ჩამოართვა აპარატი და ოთახიდან გავიდა. მისი გასვლისთანავე ლუკამ ბარიდან არყის ბოთლი გამოიღო, სასმელი ჭიქებში ჩამოასხა, უხმოდ დალია, ისევ შეავსო ჭიქა, სკამს დაუბრუნდა და ჩაფიქრდა. მთელი ეს დრო ჩერმენი და შუბა გაოცებით ადევნებდნენ თვალს. ისინი კარგად იცნობდნენ ლუკას და ისიც იცოდნენ, რომ სერიოზული საუბრისას არასოდეს დალევდა სასმელს. მით უმეტეს — არაყს.

— ამის გარკვევა საძმომ მთხოვა. ჩვენ არ გვინდა, ხარკოველების მოსკოვში გამოჩენა. ბევრი ვერ გაიგებს ამას. ვიღაც-ვიღაცები კი ღიად დაგიპირისპირდებიან

— რა მოხდა? — ვერ მოითმინა ჩერმენმა.

— არაფერი, — ლუკამ მძიმედ ასწია თავი. — რამე დაგვრჩა გასარკვევი?

— ჩაჩბას შესახებ, ყველაფერი გასაგებია, — ალაპარაკდა რასპისნოი. — მაგრამ კიდევ ერთი რამ მაინტერესებს... მოსკოვში შენს ხალხთან ერთად ჩამოხვალ?

— ამას რა მნიშვნელობა აქვს?

— ამის გარკვევა საძმომ მთხოვა. ჩვენ არ გვინდა, ხარკოველების მოსკოვში გამოჩენა. ბევრი ვერ გაიგებს ამას. ვიღაც-ვიღაცები კი ღიად დაგიპირისპირდებიან.

— ვინ?

— მოსკოვში ბევრი „სასტავია“. ჩვენ ყველასთან არ გვაქვს კარგი ურთიერთობა.

— თუ დაიწყე, ბოლომდე თქვი! — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ლუკამ.

— კარგი... ვიტყვი. ძალიან ცოტამ იცის აფხაზებისა და სვანების დაჯახების მიზეზი. უმეტესობას ჰგონია, რომ ეს ჩვეულებრივი „რაზბორკაა“, წილების ან ტერიტორიის გადანაწილება. თანაც „რაზბორკაში“ არც ერთი მოსკოველი ქურდი არ ერევა. ხარკოველების გამოჩენა, „რაზბორკას“ შენს სახელს დაუკავშირებს. ჩვენ ახლობლები ვართ, ლუკა. მაგრამ მე ვიცი, რომ მოსკოვში ბევრს არ ევასები. რად გინდა ასეთ დროს ახალი მტრების გაჩენა!.. უკეთესი იქნება, თუ ისევ ჩემი ხალხით მოვაგვარებთ ყველაფერს.

— მაგრად არ მაინტერესებს, ვინ როგორ გაიგებს ჩემი ხალხის მოსკოვში გამოჩენას!.. მტრები კი... მტერი ყოველთვის ბევრი მყავდა! ზოგმა უკვე მიიღო თავისი, ზოგი მერე მიიღებს!.. ზედმეტია ამაზე ბაზარი. ჯობია, არაყი დალიო, — ჩაილაპარაკა ლუკამ და რასპისნოის სავსე ჭიქაზე მიანიშნა.

— ესე იგი, შევთანხმდით, — განაგრძო ჩერმენმა, როგორც კი რასპისნოიმ ჭიქა გამოცალა.

— შევთანხმდით... ხვალ მოსკოვში ერთად გავემგზავრებით... — თავი დაუქნია ლუკამ და ისევ არყის ბოთლს გადასწვდა.

სეროვი ლაბაძის წასვლისთანავე ადგა და რიბკინს დასამშვიდობებლად გაუწოდა ხელი.

— სად მიიჩქარით, ბატონო სეროვ? — აუჩქარებლად წარმოთქვა რუსმა მილიციელმა.

— საქმეები...

— უსაქმურად ხომ არ მთვლით?! — დამცინავად განაგრძო რიბკინმა.

— არა და სწორედ ამიტომაც მინდა წასვლა. თათბირი დამთავრდა და რატომ მოგაცდინოთ?

— თათბირი დამთავრდა... — გაიმეორა რიბკინმა — არა, ბატონო სეროვ, ცდებით. თათბირი არ დამთავრებულა.

მე მხოლოდ ჩვენს ქართველ კოლეგასთან დავამთავრე საუბარი. თქვენთვის კი ჯერ კიდევ ბევრი რამ მაქვს სათქმელი.

— ბრძანეთ, — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა უკრაინელმა პოლიციელმა და სკამს დაუბრუნდა.

— მე უკმაყოფილო ვარ თქვენი მუშაობით, მაგრამ ამის შესახებ ლაბაძის თანდასწრებით საუბარი არ მსურდა.

— რით ხართ უკმაყოფილო?

— მოიღრუბლა სეროვი.

— არ ვიცი, რას მივაწერო ეს. თქვენს არაკომპეტენტურობას თუ შეგნებულ ქმედებას, მაგრამ თქვენ ისევ გულგრილად ეკიდებით ჩემ მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

— რას გულისხმობთ?

— ჩვენ უკვე განვიხილეთ ხარკოვში მომხდარი ინციდენტი, რომელსაც რუსეთის ოთხი მოქალაქე ემსხვერპლა. მაშინ, თქვენ ყველაფერი უბედურ შემთხვევად შეაფასეთ და შესაბამისი მონაცემებიც წარმოადგინეთ. ერთი შეხედვით, მონაცემები იმაზე მიუთითებს, რომ საქმე უბედურ შემთხვევასთან გვაქვს. მაგრამ საქმის დეტალური განხილვის და ყველა ფაქტის ქრონომეტრაჟის აღდგენის შემთხვევაში, ვიღებთ გარკვეულ კანონზომიერებას. ეს კი რუსეთის მოქალაქეების ავტოავარიისას დაღუპვას საეჭვოს ხდის.

— ამჯერად არაფერი გამოგივათ, ბატონო რიბკინ! — გაღიზიანდა სეროვი. — ჩვენ გულდასმით გამოვიკვლიეთ ეს ფაქტი, მაგრამ საეჭვო ვერაფერი აღმოვაჩინეთ. რუსეთის მოქალაქეები მართლაც ავტოავარიისას დაიღუპნენ.

— არ შეგეკამათებით. უბრალოდ, შემოგთავაზებთ ჩემს ვერსიას და ამასთან ერთად, მოვლენების ქრონოლოგიას. იქნებ ასე მაინც მიგახვედროთ, თუ რატომ ვუკავშირებ ამ შემთხვევას გეგეშიძეს, — რიბკინმა პაუზის შემდეგ, სიგარეტს მოუკიდა და განაგრძო: — ყველაფერი გეგეშიძის, უფრო სწორად, მისი ხალხის მოსკოვში გამოჩენით დაიწყო... მეთანხმებით?

— გეთანხმებით.

— შესაძლოა, იმ დროს გეგეშიძეც იქ იმყოფებოდა, მაგრამ ჩრდილში ყოფნას ამჯობინებდა.

— შესაძლოა, მაგრამ ეს არსებითად ვერ შეცვლიდა ვითარებას, — ჩაურთო სეროვმა.

— გეთანხმებით. მით უმეტეს მაშინ, როდესაც მის „დელეგაციას“ მასავით საშიში და გამობრძმედილი კრიმინალი, ვოლინა ედგა სათავეში!.. რა მოჰყვა გეგეშიძის ხალხის მოსკოვში ჩამოსვლას, ჩვენთვის ცნობილია. შეტაკება აფხაზებსა და ხარკოველებს შორის მოხდა. ამის შემდეგ ასპარეზზე თვით გეგეშიძე გამოჩნდა. ჩვენ ზუსტად არ ვიცით, როგორი იყო მისი რეაქცია. შესაძლოა, ჩვენ არაფერი ვიცით სხვა შეტაკებებისა და დაღუპულების შესახებ. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ მომავალში რამდენიმე ასეთ ფაქტს მაინც აღმოვაჩენთ. ამჯერად კი თავი დავანებოთ შესაძლო ვერსიებს და არსებულ მონაცემებს დავუბრუნდეთ. ფაქტები ასეთია: გეგეშიძის ხალხთან შეტაკების შემდეგ, აფხაზური დაჯგუფების წევრები სოხუმში დაბრუნდნენ. იგივე მოიმოქმედა გეგეშიძის ხალხმა. ისინი ხარკოვს დაუბრუნდნენ. ერთადერთი, ვინც მოსკოვში დარჩა, გეგეშიძის მარჯვენა ხელი, ვოვა ჩუმა იყო. ის დროებით იზოლატორში იმყოფებოდა და გასაგები მიზეზების გამო, ვერ შეძლო შინ დაბრუნება. ერთი შეხედვით, იმ პერიოდში ორივე დაჯგუფების წევრები შეტაკებისას დაღუპული თანამზრახველების დაკრძალვით იყვნენ დაკავებულნი. რეალურად კი ეს მხოლოდ მომავალი ბრძოლებისთვის მომზადება იყო. ორივე მხარე ჭრილობებს ილოკავდა და ლიდერების განკარგულებებს ელოდა. როგორც ჩანს, აფხაზებს უფრო სწრაფად უმტყუნა მოთმინებამ და მათი ხალხი ხარკოვში გამოჩნდა...

უკრაინელი პოლიციელი იმდენად დაინტერესებული ვიდეოკასეტის გამოჩენამ, რომ ვერაფრის კითხვა ვერ გაბედა

— ერთი წუთით, — შეაწყვეტინა სეროვმა. — თქვენ ჩვენგან განსხვავებული მონაცემები გაქვთ?.. ჩვენ არაფერი ვიცით ჩაჩბას დაჯგუფების ხარკოვში სტუმრობის შესახებ.

— არაფერი იცით?! — გაიკვირვა რიბკინმა. — მაშინ რით დავიწყეთ საუბარი? — უბედური შემთხვევა, საქმის გარჩევას არ ნიშნავს.

— მაშინ, თქვენი აზრით, რისთვის ჩავიდა ის ხალხი ხარკოვში?

— მოდი, ერთი რამ დავაზუსტოთ, — შესთავაზა სეროვმა. — ჩვენ არაფერი ვიცით მათი ხარკოვში ჩასვლის მიზეზზე. დავუშვათ, ისინი მართლაც, ჩაჩბას ბრძანებით იმყოფებოდნენ ხარკოვში. მაგრამ მოხდა უბედური შემთხვევა. ასეთ შემთხვევაში დავალება შეუსრულებელი უნდა დარჩენილიყო. როგორ გგონიათ, ოთხი დაჯგუფების ოთხი წევრის დაღუპვა, ჩაჩბას ხელს ააღებინებდა ჩანაფიქრის განხორციელებაზე?

— თეორიულად არა.

— მაგრამ იმ ოთხეულის დაღუპვის შემდეგ, ჩაჩბას ხალხი ხარკოვში აღარ გამოჩენილა!

— იქნებ თქვენ არაფერი იცით ამის შესახებ?! — შეეკამათა რიბკინი.

— გამორიცხულია, — თავი გაიქნია სეროვმა. — ჩვენ გამუდმებული მეთვალყურეობის ქვეშ მოვაქციეთ კომპანია „ვერშინა“ და გეგეშიძის დაჯგუფების წევრები. იმ პერიოდში რაიმე შეხლა-შემოხლა არ მომხდარა. იმავეს ადასტურებს აგენტურული ინფორმაციაც!

— თუ დეზინფორმაცია! — ცივად შენიშნა რიბკინმა.

— თუ თქვენ ჩემთვის უცნობი ინფორმაცია გაქვთ, კეთილი ინებეთ და გამაცანით!

— სხვათა შორის, იმ პერიოდს ემთხვევა გეგეშიძის ბანდის ერთ-ერთი წევრის მკვლელობა, — რიბკინმა საქაღალდეს ჩახედა და ისე განაგრძო: — კოტე ჩალაძის. რა იცით ამის შესახებ?

— ეს პიროვნება მართლაც გეგეშიძის დაჯგუფების აქტიური წევრი იყო, მაგრამ ის ჩაჩბას დაჯგუფების წევრების დაღუპვის შემდეგ მოკლეს.

— მოკლეს თუ მკვდარი აღმოაჩინეს?

— მოკლეს. ეს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზამაც დაადასტურა.

— ორ კითხვას დაგისვამთ... — სწრაფად თქვა რიბკინმა. — კონკრეტულად ვინ ხელმძღვანელობდა ძიებას და სად გაქრა ექსპერტიზის შემდეგ ჩალაძის გვამი?

— ძიებას პირადად ოლქის პოლიციის ხელმძღვანელი, პოპოვი კურირებდა. რაც შეეხება ჩალაძის გვამს, ექსპერტიზის შემდეგ გვამი კრემირებულ იქნა.

— სწორედ ამის მოსმენა მსურდა თქვენგან, — კმაყოფილი სახით წოიძახა რიბკინმა.

— და რა ამით? — დაიბნა სეროვი.

— დარწმუნებული ხართ, რომ ბატონი პოპოვი ძიების სასარგებლოდ მოქმედებდა?

— რა თქმა უნდა!

— ჩვენ კი გვაქვს მონაცემები, რომ ის ახლო ურთიერთობაში იმყოფება „ვერშინის“ ხელმძღვანელობასთან და უფრო უარესიც: ის პირადად გეგეშიძის ხელშეწყობით დაინიშნა ოლქის პოლიციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე!

— აბსურდია. პოპოვი დამსახურებუ-

ლი პოლიციელია.

— მაშინ როგორ ამიხსნით ერთ ფაქტს?.. ჩაჩბას დაჯგუფების წევრების დაღუპვის დღეს პოპოვი თქვენთვის კარგად ცნობილ ჩუმას შეხვდა. მათ თითქმის ერთი საათი გაატარეს გზისპირა კაფეში. შეხვედრიდან ათიოდ წუთში კი, იმავე კაფედან ორიოდ კილომეტრში ხსენებული ოთხეული დაიღუპა. რა დავარქვათ ამას?.. დამთხვევა თუ კანონზომიერება?!

— ვერაფერს გეტყვით. ფაქტი ფაქტად რჩება — ეს მაინც ავტოკატასტროფა იყო.

— ესე იგი, პოპოვისა და ჩუმას შეხვედრა სადავოდ არ მიგაჩნიათ, — შენიშნა რიბკინმა.

— რატომ — ესე იგი?!

— იმიტომ, რომ ავტოკატასტროფაზე აკეთებთ აქცენტს.

— ბატონო რიბკინ, მე არ გამოვრიცხავ, რომ პოპოვი პირადად იცნობს „ვერშინის“ რომელიმე ხელმძღვანელს. ბოლოს და ბოლოს, თანამდებობრივი მდგომარეობიდან გამომდინარე, ეს მისი მოვალეობაცაა. მაგრამ იმას, რომ ოლქის პოლიციის ხელმძღვანელი, რომელიღაც გზისპირა კაფეში მკვლელობაში ეჭვმიტანილს ხვდება, ვერასოდეს დავიჯერებ!

— სხვათა შორის, იმავეს აცხადებდა ჩვენი ქართველი კოლეგაც, — ამ სიტყვებთან ერთად, რიბკინმა მაგიდაზე ვიდეოკასეტა დადო და სეროვს გამჭოლი მზერა ესროლა.

უკრაინელი პოლიციელი იმდენად დააფრთხო ვიდეოკასეტის გამოჩენამ, რომ ვერაფრის კითხვა ვერ გაბედა.

— არ გაინტერესებთ, რა არის ამ კასეტაზე?! — მშვიდად განაგრძო რიბკინმა.

— დაახლოებით ვხვდები, — გაუბედავად ჩაილაპარაკა სეროვმა.

— მართალი ბრძანდებით, მაგრამ რამ დაგაბნიათ?.. — ღიმილი მოერია რიბკინს. — ჩვენი ქართველი კოლეგისგან განსხვავებით, თქვენ უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებით. თქვენ ხომ არ აგებთ პასუხს, ბანდიტებთან შეკრულ, კორუმპირებულ პოლიციელზე!

— კასეტაზე პოპოვის და ჩუმას შეხვედრაა დაფიქსირებული?

— მართალი ბრძანდებით.

— მაგრამ ეს შეხვედრა მაინც არაფერს ცვლის. დავუშვათ, პოპოვი მართლაც შეხვდა ჩუმას. დავუშვათ, ის კორუფციულ გარიგებაში იმყოფება გეგეშიძის ბანდის წევრებთან. ეს მაინც არ მიუთითებს იმაზე, რომ ჩაჩბას ხალხი ხარკოველებმა დახოცეს.

— კარგი, ჯერჯერობით თავი დავანებოთ პოპოვისა და ჩუმას ურთიერთობას და საერთო ვითარება განვიხილოთ. მე ძალიან მაფიქრებს ერთი ფაქტი. თქვენ აღნიშნეთ, რომ კოტე ჩალაძე ავარიის შემდეგ მოკლეს და აქედან გამომდინარე, ჩაჩბას ხალხს ამ დანაშაულის ჩადენა არ შეეძლო. მაგრამ მე ასევე მაქვს მონაცემები, რომ ჩალაძე ამ მოვლენებამდე რამდენიმე დღით ადრე გაქრა.

— ექსპერტიზამ დაასკვნა, რომ...

— ჩვენ უკვე ვისაუბრეთ ამ საკითხზე. პოპოვის მიერ ჩატარებული გამოძიება ნდობას არ იმსახურებს. გვამის საჩქაროდ განადგურება კი თავისთავად ადასტურებს ჩემს ეჭვს. იმავეს ადასტურებს მოვლენების ქრონოლოგია. ვოლინას და აფხაზი კანონიერი ქურდის, გუმბას დასაფლავების შემდეგ, პირველი დარტყმა მოწინააღმდეგეს აფხაზებმა მიაყენეს. მათ მოკლეს კოტე ჩალაძე. სავარაუდოდ, ეს არ იყო ჩაჩბას ძირითადი მიზანი. ჩალაძე ბანდის აქტიური წევრი იყო, მაგრამ ლიდერად მაინც არ ითვლებოდა. სავარაუდოდ, ის შემთხვევით შეეწირა ჩაჩბას დაჯგუფების წევრებს. ყურადღება მიაქციეთ ერთ გარემოებას: ჩალაძის მკვლელობის შემდეგ, ჩაჩბას ხალხი ხარკოვში დარჩა. ეს თავისთავად მიანიშნებს, რომ ჩალაძე არ იყო მათი მიზანი. მაგრამ ვიდრე ძირითად დავალებას შეასრულებდნენ, თავად აღმოჩნდნენ პროზექტურაში... ოღონდ ნუ დაიწყებთ იმის მტკიცებას, რომ ეს უბედური შემთხვევა იყო. გეგეშიძეს აქვს შესაბამისი გამოცდილება. მას არ გაუჭირდებოდა უბედური შემთხვევის იმიტაცია. მაგალითისთვის ერთ ფაქტს შეგახსენებთ. მის დოსიეში აღწერილია თბილისში მომხდარი შემთხვევა, როდესაც მან სწორედ უბედური შემთხვევის იმიტაციით სცადა პოლიციის თანამშრომლის, ზაზა ჭკუასელის მკვლელობა!..

— ჩემთვის ცნობილია ეს ფაქტი.

— მაგრამ მხოლოდ ჩემი მინიშნების შემდეგ გაიხსენეთ... კეთილი, განვაგრძოთ... იმას, რომ აფხაზური დაჯგუფების წევრები გეგეშიძის ხალხმა დახოცა, ამაზე კიდევ ერთი გარემოება მიუთითებს. მათი სიკვდილის შემდეგ, ჩაჩბა დაუყოვნებლივ გაემგზავრა აფხაზეთში. შესაძლოა, სოხუმი მიიჩნია თავშესაფრად, სადაც გეგეშიძე მას ვერ მისწვდებოდა, შესაძლოა, ახალი ძალების მოკრება სურდა. ჩვენთვის უცნობია, მისი იქ ყოფნის მიზეზი. მაგრამ ჩაჩბას სოხუმში ყოფნისას კიდევ ერთი მკვლელობა მოხდა. ამჯერად დაიღუპა რუსეთის მოქალაქე, ეროვნებით სომეხი საქმოსანი — არმენ ტატეოსიანი. მკვლელობაში ჩაჩბა იმხილება. იმავე დღეს კი ის მოსკოვში დაბრუნდა და ნამდვილი ომი გამოუცხადა გეგეშიძის მეგობარ ქართველებს. რას იტყვით ამაზე?

— გულწრფელი ვიქნები. მიჭირს ყოველივე ამის ერთ მოვლენად აღქმა, — უპასუხა სეროვმა.

— მესმის თქვენი. ეს მართლაც რთულია. განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, როდესაც ჩვენთვის ბევრი რამ არ არის ცნობილი. მაგრამ არა უშავს. დროთა განმავლობაში, ყველაფერს გავარკვევთ.

— ამას რა ვუყო? — სეროვმა ვიდეოკასეტაზე მიანიშნა.

— ჰო... ახლა მთავარზე გადავიდეთ, — გამოცოცხლდა რიბკინი, — ჩაჩბას აქტიურობამ, ჩვენთვის სასურველი ვითარება შექმნა. ჩემთვის კარგადაა ცნობილი გეგეშიძის ცხოვრების გარკვეული დეტალები. დაუჯერებელია, მაგრამ ეს პიროვნება ყველა კონფლიქტის დიპლომატიური გზით მოგვარებას ცდილობს. მაგრამ ამასთან ერთად, დაუნდობელია და ყოველი წამოწყება ბოლომდე მიჰყავს. არ შეჩერდება ამ შემთხვევაშიც. და თუ ჩაჩბამ ბრძოლის ველად მოსკოვი შესთავაზა, უახლოეს მომავალში, უნდა ველოდეთ მის აქ გამოჩენას.

— მესმის, მაგრამ მოსკოვი თქვენი სამოქმედო ტერიტორიაა, — შენიშნა სეროვმა.

— მოსკოვს მე მივხედავ. თქვენ კი უკრაინაში უნდა გამიმაგროთ ზურგი. გეგეშიძის დაჯგუფება ბევრად ძლიერია ჩაჩბაზე. მაგრამ არც აფხაზები წარმოად-

გენენ ხელწამოსაკრავ ძალას. თანაც, გასათვალისწინებელია მოსკოვის ფაქტორიც. ჩაჩბა შინ გრძნობს თავს. გეგეშიძეს კი უცხო გარემოში მოუწევს მოქმედება. ეს თავისთავად გარკვეული ადამიანური და ფინანსური რესურსების მობილიზებას მოითხოვს. ხვდებით, რისი თქმა მინდა?

— დაახლოებით.

— თქვენ განსაკუთრებულ მეთვალყურეობაზე უნდა აიყვანოთ გეგეშიძის დაჯგუფება და მთლიანად კომპანია „ვერშინა“. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ყოველი მისი წევრის გადაადგილების მარშრუტი, განსაკუთრებით მათი, რომლებიც მოსკოვში ჩამოსვლას შეეცდებიან. თქვენი ინფორმაციის საფუძველზე, ყველა ბანდიტს აქ ავიყვანთ. ასევე უნდა გაკონტროლდეს „ვერშინის“ საბანკო გადარიცხვები. მოკლედ, ყველაფერი, რაც კი გეგეშიძეზე გასვლაში დაგვეხმარება. ამ საქმეში ყველაზე დიდ დახმარებას ეს ვიდეოჩანაწერი გაგიწევთ! მგონი, საკმარისი არგუმენტი იქნება პოპოვის მოსარჯულებლად, არა?

— პოპოვი ოფიციალურ სამსახურში იმყოფება და მისი დაშანტაჟება საჭიროდ არ მეჩვენება.

— არა... არა... — ხელები გაიქნია რიბკინმა, — თქვენ ვერ გამიგეთ. ეს სამუშაო არაოფიციალურად უნდა განხორციელდეს.

— რატომ? — გაუკვირდა სეროვს.

— პოპოვი მხოლოდ რგოლია, რომელიც გეგეშიძესა და „ვერშინას“ ხელისუფლებასთან აკავშირებს. ოფიციალურად მუშაობის შემთხვევაში, ინფორმაცია თავისთავად მოხვდება შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნებთან, მათგან კი — გეგეშიძესთან. ეს ოპერაციის ჩაგდების წინა პირობაა და ახლავე უნდა გამოვრიცხოთ ამის შესაძლებლობა. ის, რაზეც ახლა ვისაუბრეთ, მარტო მე და თქვენ უნდა ვიცოდეთ. თანახმა ხართ?

— თანახმა ვარ.

— პირადად შეხვდებით პოპოვს, გააცნობთ ამ ჩანაწერს და მიახვედრებთ, თუ რა მოელის ორმაგი თამაშის გაგრძელების შემთხვევაში.

— გქონდეთ ჩემი იმედი!

— კეთილი. მაშინ ჩავთვალოთ, რომ შევთანხმდით და თათბირი დასრულებულად გამოვაცხადოთ, — თქვა რიბკინმა და გამომშვიდობების ნიშნად, მარჯვენა გაუწოდა.

სეროვმა უხმოდ ჩამოართვა ხელი, შემდეგ ვიდეოკასეტა აიღო და ადგა. კარამდე რამდენიმე ნაბიჯი რჩებოდა, როდესაც რიბკინმა კიდევ ერთი ფრაზა დაადევნა:

— ბატონო სეროვ, ნუ მოიმოქმედებთ ისეთ რამეს, რაც ჩვენი ქართველი კოლეგის მდგომარეობაში ჩაგაყენებთ. ხომ ხვდებით, რომ თქვენ ვერ აკონტროლებთ ჩემს საინფორმაციო წყაროებს!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

კიდევ ერთი რეიტინგის შესახებ ანუ ყველაზე მდიდარი ქერათმიანი

ცნობილმა ჟურნალმა The Hollywood Reporter 2007 წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი მსახიობი ქალის ვინაობა გაარკვია. აღმოჩნდა, რომ ამჟამად მსოფლიოში ყველაზე „ძვირად ღირებული „ოსკაროსანი“ ვარსკვლავი **რიზ უიზერსპუნია** („კანონიერი ქერათმიანი“, „ბეწვის ხიდზე“), რომლის თითოეული როლის ჰონორარი 15-20 მლნ დოლარს შეადგენს. რიზის წარმატება ნაწილობრივ იმანაც განაპირობა, რომ მსახიობი ფილმებს მეტისმეტად ფრთხილად ირჩევს. შემთხვევითი როდია, რომ გამოცემამ The Sun უიზერსპუნს „ყველაზე ჭკვიანი ქერათმიანი“ უწოდა. მსახიობმა რომანტიკული კომედიის ამპლუაში პოპულარობა სწრაფად მოიპოვა. როდესაც კრიტიკოსთა თვალში ჩამოყალიბებული სტერეოტიპის მსხვრევის ჟამი დადგა, უიზერსპუნმა დრამაში — „პატივმოყვარეობის ბაზრობა“ ითამაშა, მაგრამ 29 წლის მსახიობს ყველაზე დიდი წარმატება ფილმმა „ზღვარს მიღმა“ მოუტანა, სადაც ლეგენდარული მომღერლის ჯონ კეშის მეგობრის, ჯუნ კარტერის სახე შექმნა. მომდევნო სურათში „ჩვენი ოჯახური პრობლემა“ მონაწილეობისთვის რიზ უიზერსპუნი 29 მლნ დოლარს მიიღებს! ვარსკვლავის ჰონორარები თავბრუდამხვევი სისწრაფით იზრდება, მაგრამ კარიერის აღმასვლამ მსახიობის პირად ცხოვრებაში ბზარი გააჩინა. მისი მეუღლე, მსახიობი რაიან ფილიპი იმ აზრს ვერაფრით შეეგუა, რომ ცოლმა მასზე დიდ წარმატებას მიაღწია. ოჯახმა გამოცდას ვერ გაუძლო. შერიგების რამდენიმე ამაო მცდელობის შემდეგ, ზუსტად მაშინ, როდესაც რიზ-

რიზ უიზერსპუნი

მა სანუკვარი „ოსკარი“ მოიპოვა, წყვილმა განქორწინების შესახებ საჯაროდ განაცხადა.

რეიტინგში მეორე ნომრად ანჯელინა ჯოლი დასახელდა, რომელმაც პირველი ადგილი ფილმში „ბეოვულფი“ მონსტრის როლი ითამაშა და სურათში მონაწილეობისთვის „მხოლოდ“ 8 მლნ დოლარს დასჯერდა. ექსპერტთა აზრით, შედარებით ზომიერი ჰონორარების მიუხედავად, ანჯელინა ჯოლიზე უდიდესი მოთხოვნაა და მის კართან მუდამ პროდიუსერთა რიგი დგას.

ის ფაქტი, რომ საპატიო მესამე ადგილი კამერონ დიასმა დაიკავა და არა ჯულია რობერტსმა ან ნიკოლ კიდმანმა, ბევრისათვის მოულოდნელი იყო. აღსანიშნავია, რომ გასული წლების რეიტინგების ფავორიტები ყველაზე მაღალანაზღაურებად ვარსკვლავთა სამეულს დაოჯახების შემდგომ გამოეთიშნენ, გასულ წელს ნიკოლ კიდმანი ცნობილ მომღერალ კიტ ურბანს გაჰყვა ცოლად და როგორც ამბობენ, ახლა ორსულადაა. მიუხედავად ამისა, გადაღებებზე უარს არ ამბობს, თუმცა შედარებით ნაკლებს მუშაობს. 2007 წელს ნიკოლ კიდმანმა მეოთხე ადგილზე გადაინაცვლა. ცნობილია, რომ მისი თითოეული როლის გასამრჯელო 15-დან 20 მლნ დოლარს შეადგენს.

2002 და 2005 წლების რეიტინგებში პირველი ადგილი ჯულია რობერტსს ეკავა, მაგრამ ბოლო ხანებში მსახიობმა მთელი ყურადღება ოჯახს დაუთმო. ერთადერთი მნიშვნელოვანი პროექტი, სადაც მაყურებელი ჯულია რობერტსს იხილავს, სურათი „ჩარლი უილსონის ომია“. ფილმი ეკრანებზე დეკემბრის ბოლოს გამოვა. ■

კამერონ დიასი

დენიელ კრეიგი ფიცს დემს...

დენიელ კრეიგი — მორცხვი ბრედ პიტი არ გეგონოთ. მსახიობმა ფიცი დადო, რომ „ბონდიანის“ ახალი ფილმის კადრში სრულიად დედიშობილა გამოჩნდება. კრეიგი „ბონდიანის“ პროდიუსერებს უკვე კარგა ხანია ემუდარება, რომ სცენარში „ფულფრონტალის“ სცენები ჩართონ. ახლა გადამჭრელ ზომებს მიმართა და ფიციც კი დადო. დენიელი ირწმუნება, რომ ახალ ფილმში სამართლიანობა ბონდის გაშიშვლებას მოითხოვს, რადგან ჯეიმსის მეგობარი გოგონები წარამარა შიშვლდებიან. „სურათში გაშიშვლებაზე უარს არ ვიტყოდი — დასამალი არაფერი მაქვს. ბოლოს და ბოლოს, გოგონებისგან ყველაფრის გამომზეურებას მოვითხოვთ და მამაკაცებმა რა დააშავეს?“ — ამბობს მსახიობი. იგი აღიარებს, რომ თავი უხერხულად იგრძნო, როდესაც „კაზინო როიალის“ გახმაურებული კადრი იხილა, სადაც საცურაო კოსტიუმში გამოწყობილი ბონდი წყლიდან ამოდის. „როგორ ვიფიქრებდი, რომ ეს სცენა ასეთ მნიშვნელობას შეიძენდა? ეს კადრი უზარმაზარ ბილბორდზე ვიხილე. ხალხი უყურებდა და ბღაოდა. ამ ამბავმა, ცოტა არ იყოს, გამანერვიულა“. როგორც ჩანს, დენიელ კრეიგის მღელვარება წარსულში დარჩა. ახლა მსახიობი სრულიად მშვიდად აცხადებს, რომ დასამალი არაფერი აქვს, რომ სხეულის გაშიშვლება მამაკაცებსაც არ აწყენდათ! ამგვარი განცხადებების შემდგომ „ბონდიანის“ თაყვანისმცემლები ახალ ფილმს მოუთმენლად ელიან.

მეთ დეიმონი გადასაღებ მოედანზე მტუნდება

გასულ კვირას, მეთ დეიმონი მისი ბოლო ფილმის „ბორნის ულტიმატუმი“ რეჟისორს, პოლ გრინგრასს მაიამიში შეხვდა. შეხვედრაზე რაჯივ ჩადრაკსეკარანის რომანის Imperial Life in the Emerald City ადაპტაციის ერთობლივი პროექტი განიხილეს, რომლის გადაღებები მომავალი წლის იანვარში დაიწყება. ფილმის მოქმედება ბაღდადში მდებარე საერთაშორისო კოალიციის ცენტრში, ე.წ. მწვანე ზონაში ვითარდება. სურათი მაყურებელს ერაყის ომის პირველ წლებში მასობრივი განადგურების იარაღის ძიების შესახებ მოუთხრობს. როგორც ჩანს, მეთ დეიმონმა ოქროს საბადოს მიაგნო და მიხვდა, რომ ეს საბადო ბოლომდე უნდა ამოწუროს! მშვიდობით მელოდრამა! არავითარი კომედია! ამიერიდან დეიმონი მხოლოდ იარაღასხმულ, მკაცრ მებრძოლებს განასახიერებს და პლანეტის ყველაზე სექსუალური მამაკაცის გვირგვინს არავის დაუთმობს!!!

ჯორჯ კლუნი ჯულიან სარა ლარსენის ერთგულია

რა ხდება? ის-ის იყო, გავრცელდა ჭორი, თითქოს ჯორჯ კლუნიმ სარა ლარსენი მიატოვა, რომ თითქოს განზრახ, მარტოხელა კლუნიზე მეოცნებე ქალთა იმედების დასასამარებლად, წყვილმა რესტორანში Il Cielo ერთად ივახშმა. როგორც ჩანს, ნობელის ლაურეატი გმირი კვლავაც საყვარელი ოფიციანტი ქალის ერთგულია! ასე რომ არ იყოს, კლუნი აუტკივარ თავს არ აიტკივებდა და ყავარჯნებით ხელში წითელ ხალიჩაზე სარა ლარსენთან ერთად არ გაისეირნებდა...

უცნაური მეგობრობა

მრავალტანჯულ მომღერალ ემი უაინჰაუსს ქმარი ციხეში ჰყავს, თავადაც ცუდად არის, მაგრამ ქვეყნად კეთილშობილ ხალხს რა გამოლევს და ემის გაჭირვება თავად პიტ დოერტიმ გაიზიარა... პიტი ემის სახლში დილის 4



საათზე გიტარით ხელში გამოცხადდა, რათა მეგობრისთვის სევდა სიმღერით გაექარვებინა და მისი სახლი მხოლოდ დილით დატოვა.

ემი და პიტი ერთობლივ დუეტზე You Hurt The Ones You Love მუშაობენ და ირწმუნებიან, რომ მათ მხოლოდ პლატონური გრძნობები აკავშირებთ, მაგრამ დასავლური პრესა დარწმუნებულია, რომ წყვილს მუსიკის გარდა ნარკოტიკების სიყვარულიც აერთიანებს! პიტ დოერტი ჰეროინის მოხმარების დროს პაპარაცებს არაერთხელ გამოუჭერიათ. ემი უაინჰაუსის ავტომობილში კი საეჭვოდ თეთრი ფერის ფხვნილით სავსე ტომსიკა აღმოაჩინეს... ბოლო ხანებში ემი ძალზე უცნაურად იქცევა: ამას წინათ, ჯინსებსა და ბიუსტჰალტერში გამოწყობილი ქუჩაში დახეტიალებდა და ირწმუნებოდა, რომ გზა აებნა. მეორე დღეს ქუჩაში ფეხშიშველი იდგა, მშენებლებს სიგარეტებს ესროდა და ახლა პიტ დოერტისაც დაუმეგობრდა... საინტერესოა, მიაღწევს კი ემი იმ ბედნიერ დღემდე, როდესაც მისი ქმარი ციხიდან გამოვა?!

ჰელენა ბონემ კარტერი საკუთარი მკერდისა და ოჯახური მედნიერების შესახებ

ფილმში „სვინი ტოდი“ ჯონი დეპის პარტნიორმა ჰელენა ბონემ კარტერმა ჟურნალ Playboy სურათის გადაღებების ზოგიერთი სახალისო მომენტის, კერძოდ კი მისი მკერდის ჯადოსნური მეტამორფოზის შესახებ მოუთხრო.

„დაკვირვებული თვალი ჩემი იერის უცნაურ ცვლილებას კარგად შეამჩნევდა. სცენებს არათანამიმდევრულად ვიღებდით. გადაღებების დაწყების დროს ორსულად ჯერ კიდევ არ ვიყავი, ამიტომ სურათში რამდენიმე კაზუსი გაიპარა. ასე მაგალითად: ერთ-ერთ სცენაში კიბის თავზე ფუმფულა მკერდით ვდგავარ, შემდეგ კი, როდესაც კიბეზე ვეშვები, ერთი ციცქნა მკერდი მიჩანს“.

ჰელენამ მკითხველს მისი ოჯახის საშობაო სამზადისის შესახებაც მოუთხრო. „ტიმმა (ტიმ ბერტორი, ჰელენას მეუღლე) ნაძვის ხე მკვდარი ახალშობილების ფიგურებითა და დამპალი ბურთებით მორთო. შორიდან მშვენიერია, ახლოდან კი საშინელი სანახავია. საერთოდ ასეთი პირქუშები არ ვართ! ტიმში სწორედ ის მხიბლავს, რომ მან უმანკოება და ბავშვური გულუბრყვილობა შეინარჩუნა, თითქოს დავაჟკაცება ვერ მოასწრო. ვფიქრობ, დაქალება მეც დამავიწყდა და ეს შესანიშნავია!

ჰელენამ და ტიმმა 6 წლის წინ იქორწინეს, მაგრამ დღემდე ცალ-ცალკე ცხოვრობენ, რადგან არ სურთ, ერთმანეთს თავი მოაბეზრონ და ცხოვრების ჩვეული წესი შეცვალონ. „ჩემი სახლი ბეატრიკს პოტერის ბინას წააგავს, ტიმთან კი ყველგან მკვდარ უმპალუმპას (ფილმის „ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა“ პერსონაჟები) და უცხოპლანეტელთა ფერად ნათურებს წააწყდები... კუთხეებში კი უამრავი წითელი ტახტი (ფილმიდან „ძილმორეული დაბლობი“) დგას“... საინტერესოა, ვინ ისურვებდა ამ უცნაურ წყვილთან ერთად შობის დღესასწაულის გატარებას? წარმოიდგინეთ: წითელ ტახტზე მასპინძლებთან ერთად სხედხართ და ნაძვის ხის ტოტებიდან ახალშობილთა სისხლიანი ფიგურები გადმოგყურებთ...

■

„სისხლისმსმელი“ ჯონი დ

ფილმის „სვინი ტოდი“ პრემიერის აღსანიშნავად გამართულ პრესკონფერენციაზე ჯონი დეპმა განაცხადა, რომ მკვლელი დალაქის შესახებ შექმნილი სურათის სისხლიან სცენებში მონაწილეობამ ძალზე მოხიბლა. განსაკუთრებით კი ხელოვნურმა სისხლმა აღაფრთოვანა. „გარშემო ჩემ გარდა ყველა პლასტიკური პაკეტით იყო აღჭურვილი. ეს სრულიად ველურ სანახაობას ჰგავდა. ათვლა დაიწყო — 3, 2, 1... მოტორი... და „სისხლმა“ იფეთქა! ეს სითხე გემოთი სეროფს მაგონებს, მაგრამ უფრო სქელი და ბლანტია“. პრესკონფერენციაზე ჯონი დეპმა და ტიმ ბერტონმა გვარიანად იხალისეს. მრავალი სასაცილო მომენტი გაიხსენეს და განსაკუთრებით ბევრი სამართებლის გახსენებაზე იცინეს. „იმ მომენტამდე, ვიდრე მართლა ვინმეს გაპარსვა დამჭირდა, ყველაფერი მშვენივრად მიდიოდა“, — განაცხადა ჯონი დეპმა. მისი სიტყვები ტიმ ბერტონმა ასე ახსნა: „სამართებელთან დაკავშირებით პრობლემა არ ჰქონდა. თავგზა მაშინ აებნა, როდესაც საპარსი ქაფი დაინახა“. „ქაფმა სერიოზულად შემაშინა“, — მხიარულად დასძინა დეპმა და პრესკონფერენცია სულ სიცილ-ხარხარით დასრულდა.

■

კუეიდემის ოჯახი მედიკოსთა წინააღმდეგ

დენის კუეიდმა და მისმა მეუღლემ კიმბერლიმ, მათი ახალშობილი ტყუპის მიმართ გამოვლენილი დაუდევრობის გამო სამედიცინო ცენტრს — Cedar`s Sinai სასამართლოში უჩივლეს. მკითხველს შევახსენებთ, რომ კლინიკაში ბავშვებს შეცდომით ჰეპარინის ის დოზა გაუკეთეს, რომელიც ნორმას 100-ჯერ აღემატებოდა. კუეიდს უგულისყურო ექიმების დასჯა სურს და საკომპენსაციოდ 50.000 დოლარს მოითხოვს. „ამერიკაში ყოველწლიურად 1,5 მილიონი სამედიცინო შეცდომა ფიქსირდება, — ეს ეროვნული ეპიდემიაა!“ — განაცხადა ოჯახის ადვოკატმა სიუზან ლოგინსმა და დასძინა, რომ ბავშვები ამჟამად თავს კარგად გრძნობენ. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა გამოსწორდა და მალე სახლში გაეწერებიან. „მათი მდგომარეობა ჩინებულია, უკვე იღიმებიან კიდეც. ზონი დედას ჰგავს, ბუნი კი — მამას. ექიმები ირწმუნებიან, რომ ეს ინციდენტი მომავალში მათ ჯანმრთელობას არაფერს ავნებს. კუეიდების მორწმუნე ოჯახი დარწმუნებულია, რომ მათი შვილების გამოჯანმრთელება — ღვთის სასწაულია!“

■

ჰოლივუდის მომავლის ვარსკვლავები

ჰოლივუდის ვარსკვლავი უილ სმიტი საკუთარ შვილებს კინობიზნესს ნელ-ნელა აზიარებს. 9 წლის ჯეიდენმა მამასთან ერთად უკვე ითამაშა ფილმში — „ბედნიერების ძიებაში“, სულ მალე კი სურათში „მე — ლეგენდა“ უილის 7 წლის ქალიშვილთან უილოუსთან ერთად ვიხილავთ. „მასში ცეცხლი, ენერგიაა. უილოუს ემოციების გადმოცემა შეუძლია. ვფიქრობ, მასში ამ ნიჭმა მას შემდეგ გაიღვიძა, რაც ფილმში „ბედნიერების ძიებაში“ ძმა იხილა და იმავეს გაკეთება სურს“, — ამბობს უილ სმიტი, რომელიც ფიქრობს, რომ მის შვილებს სრულიად განსხვავებული მანერა აქვთ და ცხოვრებისგანაც განსაკუთრებულ გამართლებას ელიან. „ჯეიდენი — ჯონი დეპს მაგონებს: მას უბრალოდ მუშაობა სურს. თამაში მოსწონს და კარგი ფილმის გადაღებაც უნდა. უილოუ კი — ნამდვილი პერის ჰილტონია! ტელევარსკვლავობაზე ოცნებობს“, — ამბობს მომავალი ვარსკვლავების ბედნიერი მამა.

■

„არ გინდა, გაპატიო და... რამე გული მახლდა შენ გარეშე?“

„გზის“ წინა ნომრის „საპატარძლო“ ყოფილი ტელეწამყვანი, მომხიბვლელი და ენერგიული ხატია სიჭინავა, იგივე „სტერვა“ გახლდათ. მის სახელზე ბევრი გამოხმაურება მოვიდა: ზოგიერთი მესიჯის ავტორი, ხატიას მიმართ აღფრთოვანებას ვერ ფარავდა, ზოგიერთი კი, როგორც აღმოჩნდა, მის ინტერვიუს საშინლად გაუღიზიანებია.

„როცა პირველად მაკოცეს, წავიქეცი...“

სოფო ჭონიშვილი

„ხატია, ძვირფასო, კარგი გოგო ხარ, შენთან მეგობრობა მინდა. დღეს ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელსაც ყველაფერში მიენდობი. ვფიქრობ, მლიქვნელი და ბოროტი ნამდვილად არ იქნები. ეს ყველაფერი შენი ინტერვიუს წაკითხვის შემდეგ დავასკვენი“.

„ხელით ვეხები შენს ლამაზ ტუჩებს/ და მრავალჯერაც გეტყვი — მიყვარხარ/ ახლა ჩემს ფიქრებს, რომ ვუკვირდები,/ ვისაც ვნატრობდი, სწორედ ისა ხარ“.

„გული დამწყდა „ სტერეოდან“ რომ წახვედი. ყოველ საღამოს, შენს გამოჩენას სულმოუთქმელად ველოდი. მომწონს შენ-ნაირი პირდაპირი, თავისუფალი და უკომპლექსო გოგონები. იკა“.

„ყვავილებს მოურთავს ირგვლივ მინდვრები/ მე ვინ მენატრება, შენ თუ მიხვდები?/ ფანჯრიდან ვიხედები, აზრები მეფანტება/ ვინც ამას კითხულობს, მე ის მენატრება“.

„ხატია, უზომოდ მიყვარხარ, სულ შენ გბაძავ. მეგობრები ხშირად მეუბნებიან: ხატია ხარ, სიჭინავაო. გკოცნი. თეო“.

„შენნაირი მხიარული გოგონები ყოველთვის მიზიდავდა. ვფიქრობ, ერთმანეთს გავუგებთ. სიხარულო, შენ ნამდვილი პრინცესა ხარ“.

„რატომღაც მგონია, რომ ვინც შენ შეგიყვარებს, ბედნიერი იქნება. ლამაზ სხეულში ლამაზი სულიაო, ხომ გაგიგონია?!“

„ხატია, არ გეწყინოს, მაგრამ შენი პასუხები საშინლად არ მომეწონა. როგორ შეიძლება, გოგო გათხოვდეს და ელემენტარული რაღაცის მომზადება არ იცოდეს? დავიჯერო, ტყუილი „სუპის“ მომზადებაც არ იცი?! იქნებ, იპრანჭები? დღეს მოდაშია იმის თქმა: ვიმეეე, სამზარეულოში ტრიალი არ მეხერხებაო! როგორც არ უნდა მომეწონოს გოგო, თუ მან საოჯახო საქმის კეთება არ იცის, ცოლად არ მოვიყვან. ლევანი“.

„რეალურად იაზროვნე, თორემ გაუთხოვარი დარჩები — შენ რომ მოგწონს, ისეთი მამაკაცები დღეს აღარ არიან ან თუ არიან, უკვე ცოლიც ჰყავთ და შვილიც. ასე რომ, წუნიაობას თავი დაანებე. გიო, 18 წლის“.

„ღამე მოაბიჯეებს, ჩუმი ნაბიჯებით,/ შენ მენატრები, მართლა გაგიჟებით,/ ჩუმად მოგეპარე, ჩუმი ნაბიჯებით,/ ახლა შენთან მინდა, მართლა გაგიჟებით. ხატია, კარგი ადამიანი ხარ“.

„არ ინერვიულო იმის გამო, რომ გათხოვილი გოგონები შენზე ეჭვიანობენ. პირიქით, უნდა იამყო იმით, რომ კარგი ხარ და შენზე ამიტომაც ეჭვიანობენ. გოგონების უმეტესობა ბოღმიანი და შურიანია. გულთან ნურაფერს მიიტან, მათი ნათქვამი ერთ ყურში შეუშვი, მეორიდან გამოუშვი“.

„წითელი ღვინო მე ვერ დამათრობს,/ ყანწებით რომ ვსვა მთელი ცხოვრება,/ მე მხოლოდ შენი თვალები მათრობს,/ და ეს თვალები, ღმერთო მიცოცხლე. უკა“.

„დაგესიზმრა მთვარე? — დაგესიზმრე მე,/ გაგეღვიძა ღამით? — გაგაღვიძე მე,/ სითბო იგრძენ ძილში? — მოგეფერე მე,/ ენატრები ვინმეს? — მენატრები მე. გკოცნი ბევრზე ბევრს“.

„არ გინდა, გამიცნო? არ გინდა, ჩემი ფიქრები გაიგო? არ გინდა, გაკოცო და არ გინდა, რომ ჩემი გული მხოლოდ შენ გაჩუქო? აბა, კარგად დაფიქრდი და როცა რაიმეს გადაწყვეტ, შემატყობინე“.

„შენთან შეხვედრას მე ძლიერ ვნატრობ,/ გულით მწადია, პირისპირ განახო,/ მინდა, შენს ღიმილს ვხედავდე ახლოს,/ მხოლოდ ჩვენ ორნი, მე და შენ მარტო. ხატია, სიყვარულს არ გთხოვ, უბრალოდ, ვიმეგობროთ. დათა“.

„ქართული ტრადიციები რომ არ მოგწონს („ნიშნობაც“ ქართული ტრადიციული რიტუალია), ძალიან მეწყინა. რა არის ამაში ისეთი ცუდი, რომ საკუთარი თავი ცხოველს შეადარე? აბა, ისაა კარგი, ათას კაცს რომ გამოიცვლიან და მერე ამბობენ: ვერ შევეწყვეთო?! ვაი... ვაი... საით მიდიხარ, საქართველოვ!“

„საკუთარ სიცოცხლეს ისე გაჩუქებ,/ არც ერთი წამით არ დავფიქრდები./ შენი გულისთვის სამყაროს შევძრავ/ და თუ ვერ შევძლებ, ვეცდები მაინც. დიტო“.

„ხატია, „სტერვას“ იმიჯი რატომ შეიქმენი?! იქნებ გგონია, რომ მამაკაცებს ასეთი გოგონები მოგვწონს? არა, ჩემო კარგო, ქალი ნაზი და მოკრძალებული უნდა იყოს. სამწუხაროდ, შენნაირი იმიჯი დღეს ბევრ მანდილოსანს აქვს. გოგონებო, დაფიქრდით, რა!“

ახლა კი ხატია თქვენ მიერ გამოგზავნილ კითხვებს უპასუხებს.

გიორგი, *18 წლის:*

„ხატია, ძალიან კარგი გოგო ხარ. მაინტერესებს, მშობლებთან ერთად რატომ არ ცხოვრობ?“

— 5 წლის წინ გადავწყვიტე, მარტო მეცხოვრა, რადგან ვიცოდი, ამით პასუხისმგებლობის გრძნობა მომემატებოდა, უფრო თავისუფალი ვიქნებოდი და ცხოვრებას ვისწავლიდი. თავიდან, მშობლებმა ჩემი გადაწყვეტილება გააპროტესტეს, მაგრამ მერე, მაინც დამთანხმდნენ.

დათო:

„ასაკით უმცროს მამაკაცს თუ გაჰყვები ცოლად?“

— ეს ძალიან დიდი სისულელეა და ამას არასოდეს გავაკეთებ. ჩემთვის მსგავსი რამ მიუღებელია.

უცნობი, *17 წლის:*

„როგორ ფიქრობ, შეყვარებულმა წყვილმა ქორწინებამდე რაღაც პერიოდი ერთად უნდა იცხოვროს?“

— XXI საუკუნეში ვცხოვრობთ და ვისაც როგორ უნდა, ისე იცხოვრებს.

ალეკო:

„ძალიან უკომპლექსო გოგო ჩანხარ. მაინტერესებს, რამ შეიძლება დაგაკომპლექსოს?“

— უკომპლექსო ადამიანი არ არსებობს, მაგრამ ზოგს ეს უკომპლექსობა უზრდელობაში გადასდის... მე ვცხოვრობ ისე, როგორც მინდა, არავის აზრი არ მაინტერესებს. რა თქმა უნდა, არსებობს ისეთი რაღაცები, რაზეც შეიძლება, დავკომპლექსდე.

უცნობი, *20 წლის:*

„ერთი გამაგებინე, ქმრიანი ქალები შენზე რატომ ეჭვიანობენ?“

— იმიტომ, რომ ჩემში პოტენციურ მოწინააღმდეგეს ხედავენ, ბევრი მათგანის ქმარს მოვწონვარ. შემიძლია, ისინი დავაწყნარო და ვუთხრა: არც ერთი მათგანის ქმარი არ მჭირდება!

ირაკლი:

„ქალიშვილობის ინსტიტუტზე“ რა აზრის ხარ?“

— ამაზე დაახლოებით იგივე აზრი მაქვს, რაც „ვაჟიშვილობის ინსტიტუტზე“ (იცინის)...

გუკა, *17 წლის:*

„ცოლიანი კაცი რომ შეგიყვარდეს, მის „დასათრევად“ ბოლომდე „იჩალიჩებ“?

— ასეთ სიტუაციაში ურთიერთობის გაგრძელება მამაკაცზეა დამოკიდებული. პირადად მე, არავის ოჯახის დანგრევას და გაუბედურებას არ ვაპირებ! მაგრამ თუ მამაკაცი თავად გადაწყვეტს ოჯახის მიტოვებას და ჩემთან წამოსვლას, რა თქმა უნდა, მასზე უარს არ ვიტყვი.

უცნობი:

„ხატია, პირველი კოცნის გემო რა ასაკში გაიგე?“

— 16 წლის ვიყავი, როცა პირველად მაკოცეს. მახსოვს, ამან ჩემზე ისე იმოქმედა, რომ წავიქეცი და მერე, იმ ბიჭმა ბევრი ინერვიულა, ლამის გული გაუსკდა... ახლა, ამ ყველაფერზე მეცინება. ■

დასაწყისი იხ. „გზა“ №44-49

ბელადმთავარი სპეციი

ბორის სოლოვიოვი, ვლადიმირ სუხოდეევი

ჩვენი წარსულის გამყალბებლები ცდილობენ დაამტკიცონ, რომ საბჭოთა ხალხს არ სჭირდებოდა დიდ სამამულო ომში გამარჯვება, რომ მის მიერ გაღებული უზარმაზარი მსხვერპლი ფუჭი იყო; ყველა ღონეს ხმარობენ, რათა დაჩრდილონ, მთელი მსოფლიოსთვის მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ წითელი არმიის მებრძოლებმა გამოავლინეს განსაკუთრებული სიმამაცე და გამძლეობა, დაღუპვას გადაარჩინეს რუსეთი, საბჭოთა ხალხი, რომ მათ ფაშისტური გერმანიის მონობისგან, XX საუკუნის საშინელი ჭირის — ფაშიზმისაგან იხსნეს ევროპისა და აზიის ხალხები, მთელი კაცობრიობა. ამ გამარჯვებამ მკვეთრად შეცვალა მსოფლიო ისტორიის მსვლელობა მეორე ათასწლეულის მიწურულს.

ხალხის დიადი გმირობის განმაქიქებლები ცდილობენ, ყველას ჩაუნერგონ აზრი, რომ ომის დროს საბჭოთა ჯარების სარდლობა არ უფრთხილდებოდა ხალხის სიცოცხლეს, არ ზოგავდა ადამიანებს და უდრტვინველად განაგრძობდა გზას გამარჯვებისკენ ისე, რომ მტერს გვამების მთების ქვეშ აქცევდა; რომ საბჭოთა ჯარისკაცები ერთი უნებისყოფო, უსახური მასა იყო, რომელიც მორჩილად, უსიტყვოდ მიდიოდა სასიკვდილოდ, კომისრებისა და დამსჯელი რაზმების ანგარიშსწორების შიშით. საბჭოთა ჯარისკაცისადმი, საბჭოთა წყობისადმი სიძულვილითა და ღვარძლითაა გაჟღენთილი ზოგიერთი ინტერვიუ და მწერალ ვიქტორ ასტაფიევის რომანი — „დაწყევლილები და დახოცილები“, ასევე ზოგი სხვა ცნობილი ავტორის პუბლიკაციები.

უარყოფით პოზიციას ასეთ საკითხებში ცრუდემოკრატები საკმაოდ მკვეთრად გამოხატავენ. ყოველგვარ საფუძველს მოკლებულმა, სტალინის, როგორც ყოვლად უვარგისი უმაღლესი მთავარსარდლის განქიქებამ, ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, რომ მას გაემიჯნნენ პატიოსანი დასავლელი ისტორიკოსები. ამის მაგალითია ამერიკელების — გლანტცისა და ჰაუსის წიგნი: „როცა ტიტანები შეეჯახნენ ერთმანეთს. როგორ შეაჩერა წითელმა არმიამ ჰიტლერი“. წიგნი გამოცემულია ამერიკის შეერთებულ შტატებში 1995 წელს. მისი ავტორები წერენ: *„1994 წელს, ნორმანდიაში მოკავშირეების გადასხმის 50-წლიანი იუბილეს აღნიშვნისას, ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა გარეკანზე გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერის ფოტო დაბეჭდა და იმავდროულად, ის იმ ადამიანის ტიტულით დააჯილდოვა, რომელმაც ჰიტლერი დაამარცხა. თუ ვინმეს მართლაც დაუმსახურებია ასეთი ტიტული, ეს არა ეიზენჰაუერი, არამედ ჟუკოვი, ვასილევსკი ან შესაძლოა, თვითონ სტალინი იყო. სწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ წითელ არმიასა და მრავალეროვან საბჭოთა საზოგადოებას მიუძღვის ლომის წილი გერმანიასთან ბრძოლასა და მის დამარცხებაში“.* ამ აზრის განვითარებისას ავტორები იმ დასკვნამდე მიდიან, რომ წითელ არმიას ომში გამარჯვება იმ შემთხვევაშიც კი შეეძლო, თუ მოკავშირეები მეორე ფრონტს საერთოდ არ გახსნიდნენ და საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს მტრის გასანადგურებლად და საფრანგეთის ატლანტიკურ სანაპირომდე მისაღწევად მხოლოდ 12-დან 18 თვემდე დასჭირდებოდა.

ერთმა ამერიკულმა ჟურნალმა გარეკანზე გენერალ დუაიტ ეიზენჰაუერის ფოტო დაბეჭდა

ნიკიტა ხრუშჩოვის პროპაგანდისტული ეშმაკობები, მისი გააფთრებული თავდასხმები სტალინზე აღფრთოვანებით აიტაცეს „დემოკრატებმა“. ისინი ელოლიავებიან ხრუშჩოვის მემკვიდრეობას და კიდევ უფრო შორს მიდიან ამ მიმართულებით. განსაკუთრებულ მონდომებას სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის კრიტიკისას იჩენენ. აი, მათი პროპაგანდის ერთ-ერთი ნიმუში. ვინმე მერცალოვი და მერცალოვა პატარა ღვარძლიან წიგნში — „სხვა ჟუკოვი. სტალინის მარშლის ბიოგრაფიის არასაიუბილეო გვერდები“ — ირწმუნებიან: *„ომის უგერგილოდ მართვა წარმოადგენდა სტალინიზმის მთავარ დანაშაულს“.* ასე აფასებენ ახლანდელი „დემოკრატები“ საბჭოთა შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლობის მოღვაწეობას იმ ომში, რომელშიც საბჭოთა კავშირმა ძლევამოსილ გამარჯვებას მიაღწია. ისინი აბსურდამდე მიდიან, როცა ამტკიცებენ, რომ ეს გამარჯვება ჩვენმა არმიამ მოიპოვა მიუხედავად სტალინის, როგორც უმაღლესი მთავარსარდლის უხეირო მოღვაწეობისა, რომ მისი ხელმძღვანელობა თურმე, არა მარტო საზიანო, არამედ დანაშაულებრივიც კი ყოფილა.

ჩვეულებრივ, დიდად სპეკულირებენ ხოლმე პანიკით, რომელმაც თითქოსდა მოიცვა მოსკოვი, როცა ქალაქს გერმანული ჯარი მიადგა. სინამდვილეში, როცა მტერი დედაქალაქს უახლოვდებოდა, 1941 წლის 16 ოქტომბერს საბჭოთა კავშირის თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, ქვეყნის აღმოსავლეთ რეგიონში გადაეტანა სამთავრობო დაწესებულებების, მსხვილი ქარხნების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ნაწილი. მოსკოვში შემოიღეს საალყო წესები. ქალაქში დაწესებული იყო უმკაცრესი წესრიგი, თუმცა, საგანგაშო ალიაქოთის შემთხვევებიც იყო. მაგრამ დედაქალაქი განაგრძობდა ფრონტისთვის შრომას: ქარხნები ამზადებდნენ ავტომატებს, ტყვია-წამალსა და სხვა იარაღს, ყალიბდებოდნენ და ფრონტზე მიდიოდნენ სახალხო ლაშქრის ახალი ბატალიონები და დივიზიები. მოსკოვის ირგვლივ და თვით დედაქალაქში დამატებითი დაცვითი ღობურები იგებოდა.

მავზოლეუმიდან გამოასვენეს და ციმბირის მაშინ ჯერ კიდევ პატარა ქალაქ ტიუმენში გადაასვენეს ლენინის ცხედარი. დედაქალაქიდან აღმოსავლეთით გადაიტანეს უცხოეთის საელჩოებისა და მისიების უმეტესობა.

მოსკოვში კვლავ ფუნქციონირებდა უმაღლესი მთავარსარდლობის შტაბი და წითელი არმიის მთავარი პოლიტიკური

MK

სამმართველო, მეტროსადგურ „კიროვსკაიაში“ მუშაობდა გენერალური შტაბის კავშირგაბმულობის კვანძი. ძველ მოედანზე საქმიანობდა კომპარტიის ცეკას აპარატი. დაბა პერხუშკოვში, კრემლიდან 30 კილომეტრის დაშორებით, სმოლენსკის გზაზე, იმყოფებოდა დასავლეთის ფრონტის შტაბი და სარდლობა. ციმბირიდან დედაქალაქში ახალი საჯარისო კორპუსები ჩადიოდნენ.

იმ საშინელ დღეთა მდგომარეობა და განწყობილება კარგადაა გადმოცემული კონსტანტინ სიმონოვის შესანიშნავ რომანში — „ცოცხლები და მკვდრები“.

მიუხედავად ყოველივე ამისა, ცალკეული ავტორები, მათ შორის, ერთობ სერიოზულებიც, ცდილობდნენ და ახლაც ცდილობენ, დაარწმუნონ მიმნდობი მკითხველი იმაში, რომ მაშინ ბელადი დედაქალაქიდან წასასვლელად ემზადებოდა. ამასთანავე, ერთნი ირწმუნებიან, თითქოს მომზადებული იყო სპეცმატარებელი და იმასაც აღწერენ, თუ როგორ მივიდა სტალინი ვაგზალზე, ხოლო მატარებელი სათადარიგო ხაზიდან გადაიყვანეს; სხვები არანაკლებ ხატოვნად აღწერენ, ვითომდა უკვე გამართულგამზადებულ სპეცთვითმფრინავს „დუგლასს“; მესამენი კი იმას გვიყვებიან, თუ რა სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა სტალინისთვის საგანგებო ბუნკერის მშენებლობა კუიბიშევის სიახლოვეს.

თვითმხილველები, რომლებიც იმ დღეებში სტალინთან მუშაობდნენ, ამტკიცებენ, რომ იგი არ აპირებდა მოსკოვის დატოვებას. ამაზე წერს თავის მოგონებებში მისი მცველი რიბინი: *„სტალინმა უთხრა თავის პირად მძღოლს, კრივჩენკოვს: „რუს ხალხთან ერთად, მოსკოვში ვრჩები. სანამ მე მოსკოვში ვიქნები, მტერი ვერ შემოვა. შემოვლენ მხოლოდ ჩემი სიკვდილის შემდეგ“. ამასვე ეუბნებოდა სტალინი ჟუკოვს, რომელიც ფრონტის შტაბთან ერთად, პერხუშკოვში იმყოფებოდა. ხოლო როცა სამეთაურო პუნქტი გერმანელებმა ჩაიგდეს ხელში, ამით შეშინებულმა ჟუკოვმა სტალინს მიმართა თხოვნით, რომ ნება დაერთო, თავისი სამეთაურო პუნქტი ფრონტის ხაზისგან უფრო შორს, ბელორუსიის ვაგზალთან გადაეტანა. ამ თხოვნაზე სტალინმა ძალზე მტკიცედ უპასუხა: „თუ ჟუკოვი ბელორუსიის ვაგზალთან გადავა, მაშინ მის ადგილს მე დავიკავებ“.* რაც შეეხება კუიბიშევს, — 1941 წლის ოქტომბერში იქ მართლაც, იმყოფებოდა საბჭოთა მთავრობის ნაწილი.

სხვადასხვა ადამიანი, მათ შორის ისინიც, ვინც დიდად იყო დაინტერესებული მოსკოვიდან გამგზავრებით, ადასტურებს სტალინის მტკიცე გადაწყვეტილებას, დარჩენილიყო მოსკოვში და დაეცვა იგი. გამონაკლისს როდი წარმოადგენდა დიდი თეატრის ცნობილი სოლისტის, სერგეი ლემეშევის საქციელი. მან სასტიკი უარი განაცხადა ევაკუაციაზე და ყაზანის ვაგზალთან მანქანიდან გადმოსულმა, მტკიცედ თქვა: *„კი, მაგრამ რატომ უნდა გავემგზავრო მე კუიბიშევში მაშინ, როცა სტალინი მოსკოვშია? ჩვენ აქედან უნდა დავეხმაროთ ფრონტს, გავხსნათ ჩვენი თეატრი, ზურგისკენ კი არ უნდა გავრბოდეთ“.*

ჰოდა, იმ გაგანია ომში, დიდი თეატრის ფილიალში გადიოდა საოპერო და საბალეტო სპექტაკლები და ტარდებოდა კონცერტები, რომლებსაც ფრონტელები ესწრებოდნენ; სპექტაკლები იდგმებოდა სხვა თეატრებშიც.

უნდა ითქვას — მაშინ ხშირად გაისმოდა ხმები, რომ შესაძლებელი იყო, სტალინს მოსკოვი ჩაებარებინა. ხომ ჩააბარა კუტუზოვმა მოსკოვი ნაპოლეონს, შემდეგ კი გაიმარჯვა!.. მაგრამ მსგავსი ვარაუდების ავტორებს „ავიწყდებოდათ“, რომ მაშინ რუსეთის დედაქალაქი პეტერბურგი იყო და არა მოსკოვი. სტალინმა იცოდა ის, რაც ბევრისთვის უცნობი გახლდათ, კერძოდ, ის, რომ ჰიტლერელების მიერ მოსკოვის დაკავების შემთხვევაში, აღმოსავლეთიდან საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ გაილაშქრებდა მილიტარისტული იაპონია, ხოლო სამხრეთიდან — თურქეთი. ერთდროულად ორ ან სულაც, სამ ფრონტზე ომის წარმართვა საბჭოთა კავშირისთვის მაშინ, ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე, კატასტროფით ემუქრებოდა ქვეყანას.

მაგრამ აი, რას გვაუწყებს ისეთი ავტორიტეტი, როგორიც იყო ჟუკოვი. თავისი 70 წლის იუბილესთან დაკავშირებით, 1966 წელს მან თქვა, რომ ზოგჯერ ეკითხებიან, — როგორ გრძნობდა თავს სტალინი იმ საგანგაშო მომენტში, როცა მტერი დედაქალაქს მიადგა, სად იმყოფებოდა ბელადი მოსკოვის დაცვისთვის ბრძოლის დროს? *„უნდა ითქვას — აღნიშნა ჟუკოვმა, — რომ სტალინი სერიოზულად იყო შეშფოთებული ოქტომბერში, განსაკუთრებით, 7-დან 25 ოქტომბრამდე შექმნილი მდგომარეობით. ხოლო როცა ჩვენ შევძელით ვოლოკოლამსკ-მოჟაისკ-ტულის ხაზზე თავდაცვის ორგანიზება და მოწინააღმდეგის თავდასხმითი ძალების შეჩერება მოხერხდა, სტალინი დარწმუნდა, რომ მტერი ვერ შეძლებდა მოსკოვის აღებას. მას არ დაუტოვებია მოსკოვი მთელი ამ ბრძოლისა და საერთოდ, მთელი ომის განმავლობაში. ის რწმენა, რომლითაც განმსჭვალული იყო თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტი სტალინის თავკაცობით, მთელი სიგრძე-სიგანით გამოჩნდა საშვიდნოემბრო სამხედრო აღლუმის დროს, რომელიც მოსკოვში, კუიბიშევსა და სხვა ქალაქებში ჩატარდა“.*

მაგრამ ზოგს იმის სათქმელადაც უტრიალდება ენა, თითქოს არც 1941 წლის 7 ნოემბრის აღლუმი ჩატარებულა და არც სტალინი მდგარა ამ აღლუმის დროს ლენინის მავზოლეუმის ტრიბუნაზე, არამედ იყო მხოლოდ იმ ჯარების დათვალიერება, რომლებიც დედაქალაქის დასაცავად, ზუბოვის მოედნისკენ მიემართებოდნენ. ყველაფერი დანარჩენი, — გვარწმუნებენ ისინი, — კინოფირის მონტაჟის შედეგია, რომლის დანიშნულებაც, მასების იმაში დარწმუნება გახლდათ, რომ სტალინი ნამდვილად მოსკოვში იმყოფებოდაო.

მიუხედავად ფრონტის სიახლოვისა, 1941 წლის 6 ნოემბერს, ტრადიციისამებრ გაიმართა მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომა, რომელიც ოქტომბრის რევოლუციის 24-ე წლისთავს მიეძღვნა. მოხსენებით სტალინი გამოვიდა. მან თქვა, რომ ომმა ჩვენი ქვეყანა ერთიან და ყოვლისმომცველ ზურგად აქცია, რომელიც ფრონტს ემსახურებოდა. ბელადმა იქ დამსწრეთ განუმარტა, თუ რა ამოცანების წინაშე იდგა საბჭოთა ხალხი, ქვეყნის ღირსებისა და თავისუფლებისთვის წარმოებული, დიდი განმათავისუფლებელი ომის წარმოებისას.

1941 წლის 7 ნოემბერს კი, წითელ მოედანზე სამხედრო აღლუმი გაიმართა. და ეს მაშინ, როცა მოსკოვს გარს ერტყა გერმანულ-ფაშისტური ჯარების 51 დივიზია, რომელიც 1,8 მილიონ კაცს, 14 ათასზე მეტ ავტომატსა და ყუმბარმტყორცნს, 1,7 ათას ტანკს, 1,4 ათასამდე თვითმფრინავს ანუ — მთელ საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე თავმოყრილი ადამიანების 42%-სა და ტანკების 75%-ს აერთიანებდა.

ამ ისტორიული აღლუმის მონაწილენი იგონებენ, როგორ ჩაიარეს თოვლით გადათეთრებულ წითელ მოედანზე, იმ ტრიბუნის წინ, რომელზეც იდგნენ სტალინი და სხვა ხელმძღვანელები. საღღესასწაულო მარშის შემდეგ, ჯარები პირდაპირ ფრონტზე მიდიოდნენ. მთელი მსოფლიო იმედის თვალით შესცქეროდა მოსკოვს და სჯეროდა, რომ გათავისუფლდებოდა ფაშისტური ტირანიისგან. ■

ეკთვეაჩი ინტრიგა და სიუჯეტური ლექს-სენისაგან

მკითხველების თხოვნით, რეპერი ლექსენი ამ რუბრიკაში ისევ მოვიწვიეთ და მას ძირითადად ის კითხვები დავუსვით, რომელიც მის მიმართ თინეიჯერებს გაუჩნდათ.

შემთხვევა, როდესაც შეყვარებულმა წყვილმა ხელშეკრულება უნდა დადოს

ლიკა ქაჯაია

— **ლექსო, როგორ ხარ?**

— კარგად, არა მიშავს.

— **რა ხდება შენკენ ახალი?**

— ძალიან ბევრი რამ. მაგალითად, ახლა ჩავწერე დუეტი ნინო ჩხეიძესთან, ასევე გელა გნოლიძესთან ერთად.

— **შენი და ნინო ჩხეიძის დუეტი ალბათ, მართლაც სიურპრიზი იქნება. ნინო ძირითადად, ქალაქურ სიმღერებს მღერის, შენ რეპს კითხულობ. საინტერესოა, რა ჟანრის იქნება თქვენი ერთობლივი ნამუშევარი?**

— გავაკეთეთ ქალაქური სიმღერისა და რეპის სინთეზი, რაც მართლა ძალიან საინტერესო გამოვიდა.

— **რა ჰქვია თქვენს სიმღერას და როდის მოისმენს მას საზოგადოება?**

— მე და ნინომ ერთ-ერთი ძველი ქართული სიმღერა ავიღეთ, მასში თანამედროვე ელემენტები შევიტანეთ, გავარმიქსეთ. მაგრამ კონკრეტულად რომელ სიმღერაზეა ლაპარაკი, ამას არ გეტყვი. ეს ერთგვარი ინტრიგა და სიურპრიზია.

— **გელა გნოლიძესთან ერთად ჩაწერილ დუეტზე რას იტყვი?**

— სიმღერის ავტორი გელაა, ტექსტი კი მე მეკუთვნის. ჩვენი დუეტის თემა სხვებისგან განსხვავებული და საოცრად სახალისოა. ჩვენ არ ვეხებით არც შავბნელ სამყაროს და არც სოციალურ პრობლემებს. მოკლედ, საცეკვაო, რა.

— **მიმაჩნია, რომ ყველა შენი რეპ-სიმღერა ისედაც სახალისო იყო და თინეიჯერები მასზეც მშვენივრად ცეკვავდნენ.**

— ჰო, ეგეც მართალია... ორივე დუეტზე კლიპს ვიღებთ და როცა მათზე მუშაობა დასრულდება, მაყურებელსაც მაშინ მიეცემა ჩვენი ნამუშევრების შეფასების საშუალება.

— **თინეიჯერები ხშირად მწერენ და მეკითხებიან: ლექს-სენი მაინცდამაინც სოციალურ პრობლემებზე რატომ რეპავსო?**

— როცა ამ პრობლემებს არ ვეხებოდი, მაშინ ამბობდნენ: სოციალურ თემაზე რატომ არ რეპავო?!. აღსანიშნავია ის, რომ ჩვენ, შემოქმედები, აქცენტს ვაკეთებთ იმაზე, რაც გვაწუხებს, რაც გვტკივა. სხვა თუ არაფერი, ეს ჩვენი მოვალეობაა.

— **გამოდის, რომ სოციალურმა პრობლემებმა ბოლო დროს უფრო შეგაწუხა...**

— მსგავსი პრობლემა ყოველთვის არსებობდა და იარსებებს. უბრალოდ, ყველაფერს თავისი დრო აქვს და როცა ეს დრო დადგა (ჩემი აზრით), მაშინ დავიწყე ამ თემაზე გარეპვა. რადგან საზოგადოებას ჩემ მიმართ უკვე ასეთი კითხვა გაუჩნდა, ეს იმას ნიშნავს, რომ მიზანს მივაღწიე.

— **რა მიზანს?**

— იმას, რომ ჩემი სატკივარი დაინახეს და მხოლოდ გასართობად არ მისმენენ.

— **შენ ექსპრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის მხარდასაჭერად გამართულ კონცერტებში მონაწილეობ. ამას ჰონორარის გამო აკეთებ თუ...**

— ამ კონცერტებში საკუთარი ინიციატივით ვმონაწილეობ. საერთოდაც, ხმამაღლა ვამბობ: მე მიხეილ სააკაშვილს ვუჭერ მხარს და კიდევ, მომაჩნია, რომ ჩემი, როგორც მოქალაქის, უფლებები დარღვეულია.

— **რას გულისხმობ?**

— იმას, რომ წინა არჩევნებზე ჩემი პრეზიდენტი 5 წლით ავირჩიე, მაგრამ რაღაცების თუ ვიღაცების გამო, მისი უფლებამოსილება ვადაზე ადრე შეწყდა... ჰო, რაო, რამდენს იღებენო?

— **ამბობენ, რომ 10.000 ლარს გადაგიხდიან.**

— რა სისულელეა?! ეს ზოგ-ზოგიერთების მიერ აგორებული ჭორია. ჩემთვის ამაში თანხა არავის შემოუთავაზებია. საერთოდაც, არ ვიცი, რამდენს გადამიხდიან, მაგრამ ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. აღნიშნულ კონცერტებში იმიტომ ვმონაწილეობ, რომ ასე მსურს. მგონი, მაქვს იმის უფლება, რომ საკუთარი არჩევანი გავაკეთო. ფულს რა მნიშვნელობა აქვს მაშინ, როცა ვხედავ, რომ ჩვენი ქვეყანა საფრთხის წინაშე დგას. საერთოდაც, შოუბიზნესი ჩემთვის ის სფეროა, რომლითაც რაღაც თანხას ვშოულობ და სხვებისგან განსხვავებით, რაღაც სხვა ბიზნესში ჩართული არ ვარ. ჰოდა, არ მესმის, რატომ არ უნდა ავიღო ის ჰონორარი, რომელიც მეკუთვნის?! დამისახელეთ კონცერტი, რომელშიც მივიღე მონაწილეობა და ფული არ ამიღია. სხვათა შორის, მართლა 10. 000 ლარს თუ მომცემენ, ეს ძალიან გამახარებს, რადგან უამრავი ვალი მაქვს და მის გასტუმრებას შევძლებ. მაგრამ ვიცი, ამ კონცერტებში მონაწილეობის გამო მომცემენ მინიმალურ ჰონორარს და ამისთვისაც მადლიერი ვიქნები.

— **პრეზიდენტობის სხვა კანდიდატებმა რომ გამართონ კონცერტი და მასში მონაწილეებისთვის 10.000 ლარი შემოგთავაზონ...**

— აი, ამ კითხვით შენ მომეცი საშუალება, რომ ყველას დავუმტკიცო: მე ფულზე არ ვიყიდები!

— **რას გულისხმობ?**

— ხომ ამბობენ, რომ სააკაშვილის მხარდასაჭერ გამართულ კონცერტებში მხოლოდ ფულის გამო ვმონაწილეობ? ჰოდა, დამირეკონ სხვა კანდიდატებმაც და ნახავენ, რა პასუხსაც მიიღებენ.

— **მაინც, როგორ პასუხს მიიღებენ?**

— მათ ერთ კონცერტში 20, 30 ან თუნდაც, 50.000 ათასი ლარიც რომ შემომთავაზონ, უარით გავისტუმრებ!.. კაცი 10 პრობლემიდან 7-ს რომ მოაგვარებს, ეს არ უნდა დაინახო? დარჩენილი 3 მოუგვარებელი პრობლემის გამო უნდა ჩამოაცილო საქმეს?.. ეს ყველაფერი, რაც ამ ბოლო დროს დატრიალდა, შეიძლება, ჩვენს ქვეყანაზე ცუდად აისახოს.

— **შენზე ამბობენ, რომ პრეზიდენტის რჩეული რეპერი ხარ.**

— ვა, მართლა?! სასიამოვნოა, თუ ეს მართლაც ასეა.

— **როგორ ფიქრობ, ეს რითი დაიმსახურე?**

— თუ ასეა, ალბათ მხოლოდ იმით, რომ პატრიოტულ თემებზე ვრეპავ, ცუდს არაფერს ვაკეთებ და ვემსახურები საქართველოს. ამას მხოლოდ ის ადამიანი თუ დამიფასებდა, რომელიც თავადვე ამ საქმეს ემსახურება.

— **თინეიჯერებს შენთან აქვთ ასეთი კითხვაც: რას ფიქრობ „ქალიშვილობის ინსტიტუტზე“?**

— რა ვიცი, ძალიან კარგია. დასაგმობი არც ქალიშვილობაა და არც — არაქალიშვილობა. საერთოდაც, მინდა გითხრა, რომ ქალიშვილობა პატიოსნების საზომი არ არის.

— **რას გულისხმობ?**

— იმას, რომ ზოგიერთმა ქალიშვილმა შესაძლოა, კაცთან ერთად ისეთი რაღაცები გააკეთოს... მაგრამ მაინც, სასიამოვნოა, როცა იცი, რომ ცოლისთვის პირველი კაცი ხარ.

— **შეყვარებული წყვილის ქორწინებამდე თანაცხოვრების შესახებ რა მოსაზრების ხარ?**

— როცა ადამიანი ამა თუ იმ გადაწყვეტილებას იღებს, ის დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ამით უდიდეს შეცდომას არ უშვებს. გოგო, რომელიც გადაწყვეტს, შეყვარებულთან ქორწინებამდე იცხოვროს, დარწმუნებული უნდა იყოს, რომ იმ ბიჭს უყვარს. თუ ამას ვერ გაარკვევენ და თან, რაღაცებს ვერ ითმენენ, მაშინ... ჰო, საუკეთესო გამოსავალი ის იქნება, თუ ამ შემთხვევაში ხელშეკრულებას დადებენ, სადაც მათი უფლება-მოვალეობები იქნება ჩამოწერილი და ეცოდინებათ მაინც, რომ თავი ქუდში აქვთ (*ციტინს*).

„გზიდან ორმა არაკაცმა გკრა სელი, ასლოზლებმაც გილალატეს და შვილიც დაკარგე“

„გზის“ №49-ში დაიბეჭდა მესიჯი სათაურით — „გოგონა, რომელიც ღალატმა და სხვისმა რჩევამ მკვლელად აქცია“. შეგახსენებთ, წერილის ავტორი 20 წლის ანარქია გახლდათ, რომელიც ამბობდა, რომ 14 წლისას, უღალატეს დაქალებმა და საყვარელმა ადამიანმა, რომლისგანაც დაფეხმძიმდა; რომ არ შეუძლია, ღვთისმშობლის ხატს თვალი გაუსწოროს, რადგან გარდატეხის ასაკში მკვლელობა ჩაიდინა და ამისკენ მას 36 წლის ადამიანმა უბიძგა. ამის შემდეგ, გოგონა, რომელმაც ნერვიულობის ნიადაგზე ბავშვიც დაკარგა, იძულებული გახდა, საქართველოდან გადახვეწილიყო...

უცნობი:

„იმ გოგონას ამბავი, რომელიც ღვთისმშობლის ხატს თვალს ვერ უსწორებს, ძალიან განვიცადე. მინდა, მას ვუთხრა: უფალს ზღვა მოწყალება აქვს, ჩემო კარგო. სულის განწმენდის საშუალება ლოცვის დროს ტირილია, ხოლო თუ ლოცვა არ გსურს, ეს იმას ნიშნავს, რომ უფალთან ახლოს ყოფნა არ გინდა. და კიდევ, ადამიანებს შეცდომები იმიტომ მოსდით, რომ წმინდა წერილებს არ იცნობენ“.

ანი:

„როცა წერილი წავიკითხე, შენზე დიდხანს ვფიქრობდი... ერთ რამეს გეტყვი: ღმერთს მაინც უყვარხარ და ისე გელოდება, როგორც დაკარგულ ასულს. უფალი გფარავდეს“.

მეტიჩარა:

„ანარქია, როცა შენი „ესემესი“ წავიკითხე, ბევრი ვიტირე. რაც შენ გადაიტანე, სისასტიკეა. ცხოვრება თავიდან დაიწყე. შენი შვილი შენთვის ილოცებს“.

მის გელურა:

„ანარქია, ახლა წავიკითხე შენი მესიჯი და გეფიცები, ცუდად გავხდი. თურმე, რა მძიმე ბავშვობა გქონია. საშინელებაა, როცა უკან მიიხედავ და მკვლელს დაინახავ. რადაც არ უნდა დაგიჯდეს, ეკლესიაში მიდი, ილოცე და უფალი შეგეწევა“.

ილინი:

„ჩემო დაიკო, შენმა წერილმა გული მატკინა... ხშირად, წარსულის გახსენება დიდ ტკივილს გვანიჭებს და ჩვენსავე საქციელს ვგმობთ, მაგრამ მთავარია, საკუთარი დანაშაული იგრძნო და მოინანიო! ვიცი, შენთვის მართლა ძალიან ძნელი იქნება ტაძარში შესვლა, მაგრამ ეცადე, სატანას არ მისცე იმის საშუალება, რომ გმართოს! ნუ გაბოროტდები. მუდამ გახსოვდეს, უფალი მოწყალეა და არსებობენ ადამიანები, რომლებიც გაჭირვების ჟამს მხარში ამოგიდგებიან! P.S. ლიკა, თუ ანარქიას სურვილი ექნება, ჩემი ნომერი მიეცი“.

მარი, *19 წლის:*

„არ ვიცი, რა ვურჩიო ანარქიას... დავიბენი... კარგი იქნება, თუ ეკლესიაში ივლის და გულით ილოცებს. ამ შემთხვევაში, უფალი ცოდვებს აუცილებლად მიუტევებს“.

ნათათო:

„წარსულის გამო ნუ იტანჯები, რადგან ჩადენილი საქციელისთვის უფალმა უკვე დაგსაჯა — შვილი წაგართვა. შენთვის ეკლესიის კარი ყოველთვის ღიაა“.

მარუცა:

„ცხოვრება ამით არ მთავრდება! ხომ იცი, უფალი მოწყალეა. სხვათა შორის, მე ბერძენი ვარ. ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და აუცილებლად შემეხმიანე“.

გრაფინია:

„შემძრა შენმა ამბავმა. უფალი ყველაფერს ხედავს და მერწმუნე, მალე ბედნიერი იქნები, „ისინი“ კი დაისჯებიან!“

ლეო91:

„შეუძლებელია, ანარქიას რაიმე ურჩიო. მას ვერ ეტყვი: იცი, ეს სიზმარი იყო და ყველაფერი დაივიწყეო. თავის დროზე, მას არჩევანის გაკეთების საშუალება ჰქონდა, მაგრამ მაშინ, მცირეწლოვანი იყო და ალბათ ამიტომაც დაიბნა. ნათქვამია: ჭკვიანი სხვის შეცდომებზე სწავლობს, ბრიყვი — თავისაზეო. მგონი, ანარქიას მესიჯი კარგი გაკვეთილი იქნება სხვა მოზარდებისთვის, რომ მათაც იგივე შეცდომა არ დაუშვან. ანარქია, ვფიქრობ, შენთვის საქართველოდან შორს ყოფნა ჯობია. იქნებ, იქ მაინც იპოვო ადამიანი, რომელიც წარსულს დაგავიწყებს. ღმერთს ებარებოდე“.

> „საქციელი გულით მოინანიე და უფალი თავად გიჩვენებს ტაძრისკენ მიმავალ გზას“

7676:

„შენ მაშინ დაუშვი შეცდომა, როცა იმ კაცს დაუჯერე — ის ბიჭი არ უნდა მოგეწამლა. ისე, კიდევ კარგი ხარ, ამ ყველაფრის შემდეგ. შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებ“.

JIO:

„საყვარელო, შენმა მესიჯმა შემძრა. თუ დამიკავშირდები, ჩემი სახით კარგ მეგობარს შეიძენ. თუმცა, ალბათ გაგიჭირდება, ვინმეს ენდო. ეკლესია და უფალი ცოდვილებს, რომლებიც გამოსწორების გზაზე არიან, აუცილებლად დაეხმარება. მე და ჩემი დაქალი შენთვის ვილოცებთ... ისე, მაგარი დამპალი მეგობრები გყოლია, მაგრამ დამიჯერე, ყველა, მათი მსგავსი ნაგავი არ არის“.

მეგრელი კანიბალკა (ლანკა), *20 წლის:*

„ლიკ, ბოდიში, ასე გვიან რომ გწერ. ანარქია, მგონი, ჩვენ ვიცნობთ ერთმანეთს. გახსოვს, ერთხელ რაღაცები მომიყევი, მაგრამ შენზე ბევრი რამ არ მცოდნია... რაღაც მიზეზების გამო, მეც ვერ ვუსწორებდი თვალს ღვთისმშობლის ხატს, მაგრამ შენი მესიჯის წაკითხვის შემდეგ მივხვდი, რომ ყველაფრის მიუხედავად, ტაძარში უნდა იარო, აღსარება ჩააბარო და ეზიარო... კაცი მოკალი? ეს, რა თქმა უნდა, დიდი ცოდვაა, მაგრამ ყველა თავისი საქციელისთვის აგებს პასუხს და მასაც საკადრისი მიეზღო... საერთოდაც, ვინც გზაზე გადაგეღობება, უნდა გადაუარო! ცხოვრება ბრძოლაა გადარჩენისთვის. დაბრუნდი საქართველოში, წარსული დაივიწყე და ბედნიერი იყავი შენს შეყვარებულთან ერთად (ხომ იცი, ვისზეც გეუბნები)... თუ ნომერი არ გამოგიცვლია, დაგიკავშირდები და თუ გამოიცვალე, ლიკას გამოართვი ჩემი ნომერი და შემეხმიანე. აბა, შენ იცი, უფალი გფარავდეს“.

მაია:

„დიდი ხანია, რაც „გზას“ ვკითხულობ, მაგრამ ვერასდროს შევძელი, დამემესიჯებინა. ალბათ იმიტომ, რომ არ მიყვარს ადამიანებთან კონტაქტი, რომელთა სახე და ხმაც კი არ ვიცი. მგონი, ლიკა ხარ, არა?.. არ შემიძლია, არ გამოვეხმაურო ანარქიას წერილს, რადგან ის ძალიან კარგი პიროვნებაა. არა, მას არ ვიცნობ. უბრალოდ, ეს მისი მესიჯიდან დავასკვენი. თვით ფაქტი, რომელსაც ის აღწერს, მართლაც შემზარავია, მაგრამ ასაკი, რომელშიც ის ამ დროს იყო, გასათვალისწინებელი გახლავთ. ნებისმიერი ფსიქოლოგი დამეთანხმება იმაში, რომ გარდატეხის ასაკში ნებისმიერი ადამიანი მგრძნობიარეა. ჰოდა, ვხედები, რა საცოდავი იქნებოდა მარტოსული გოგონა, რომელსაც მეგობრებმა უღალატეს... თავის თავს მკვლელს რომ ეძახის, ცდება, რადგან ნამდვილი მკვლელი ისაა, ვინც ანარქიას მკვლელობისკენ უბიძგა: მარტოსული, უიმედოდ, უმეგობროდ დარჩენილი 14 წლის ბავშვი ზრდასრულ ადამიანს, რომელსაც იმ დროს ერთადერთ იმედად მიიჩნევს, ჭკუას ეკითხება, ის უსინდისო კი ასწავლის ისეთ საშინელებას, რომელიც გოგონას ცხოვრებას საბოლოოდ ანგრევს. ანარქია კარგი ადამიანია იმიტომ, რომ ჯერ 20 წლისაა და უკვე საკუთარ „მეს“ მიაგნო. იმ საკუთარ „მეს“, რომელიც 14

თურმე, ადამიანები ჩემზე მეტად იტანჯებიან

ტყუილად გგონია, რომ წარსულში ჩადენილი ცოდვა არ მოგინანიებია

წლის ასაკში მის ქვეცნობიერში ისე იყო მიმალული, რომ ხმის ამოღებასაც ვერ ბედავდა. მხოლოდ თავდაცვითი ინსტინქტით მოქმედებდა. ანარქია, შეწყვიტე საკუთარი თავის დადანაშაულება, შენ მკვლელობა ჩამოყალიბებულ ასაკში, გაცნობიერებულად არ ჩაგიდენია. და კიდევ, ჩვენი დაბადებისთანავე იწერება ჩვენი ბედისწერა, რომლის შეცვლას ვერც ერთი ბრძენი წინასწარმეტყველიც კი ვერ შეძლებს. ტაძარში თუ ვერ შედიხარ, სახლში ილოცე, ყოველგვარი ხატების გარეშე — მუხლებზე დადექი, პირჯვარი გადაიწერე და აუცილებლად მიხვდები, რომ უფალი არსებობს...“

ბარტყი:

„შენმა ამბავმა შემძრა. მგონი, გიცნობ. დამიჯერე, უფალი მოწყალეა, ის ცოდვებს შეგინდობს. რაც 14 წლის ასაკში ჩაიდინე, ეს მთლად შენი ბრალი არაა: შენ სამყაროზე, ყველასა და ყველაფერზე გაბრაზებული იყავი, ტვინი ამღვრეული გქონდა, რადგან საყვარელმა ადამიანმა და მეგობრებმა გიღალატეს. თან, იმ ბიჭის მუქარამ შეგაშინა და უფროსი ადამიანის რჩევა გაითვალისწინე. ამ საშინელებაში ყველაზე მეტად, სწორედ ის მრჩეველია დამნაშავე... თავს ძალა დააატანე და ეკლესიაში შედი, მოძღვარს დაელაპარაკე. ის გიჩვენებს სწორ გზას. ანარქია, თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე, შენთან სიამოვნებით ვიმეგობრებ“.

GREEN GIRL:

„ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, აზროვნების უნარი დავკარგე — ვზივარ და ვტირი. 14 წლის ბავშვისთვის ეს ყველაფერი ხომ ღამეული კოშმარია?! თურმე, ცხოვრებაში ყველაფერს უნდა ელოდო. ერთს გეტყვი მხოლოდ: ჩემი სახით გეყოლება ადამიანი, რომელიც შენთვის მუდამ ილოცებს. დამიკავშირდი... ჩემო საბრალო გოგონავ, შენს ამბავს ძალიან განვიცდი“.

ამაზონკა:

„შემძრა ამ მესიჯმა. სულით არ დაეცე და ცოდვები აუცილებლად მოინანიე, თორემ ცხოვრება დაგიმახინჯდება. მეც მიღალატეს დაქალებმა, ბიჭის გამო, და ორი კვირის განმავლობაში, განუწყვეტლივ ვტიროდი, მაგრამ მერე საკუთარ თავში ძალა აღმოვაჩინე... თუ ჩემთან დაკავშირების სურვილი გაგიჩნდება, გამომეხმაურე და ვეცდები, რაიმეთი დაგეხმარო. ღმერთი იყოს შენი მფარველი“.

ჟოზეფინა:

„ამ ამბავმა შემძრა. ყველაფერი იმ ადამიანის ბრალია (გარდა შენი წუთიერი სისუსტისა, რომელიც შეყვარებულთან გქონდა), ვინც შენი ბავშვური ახირება „დააფინანსა“. ადამიანის სიცოცხლის ხელყოფისთვის, ღმერთმა შენი შვილი დასაჯა. ძნელია, ხალხმა ამ ამბავს ვარდისფერი სათვალიდან შეხედოს. მაგრამ მერწმუნე, თუ ღმერთი გაპატიებს, ხალხიც მიმტევებელი იქნება. მაგრამ გჭირდება კი ეს?..“

თეო-თეო:

„შენს საქციელს არ ვიწონებ, მაგრამ მოიხდარში დამნაშავე მარტო შენ არ ხარ. ეს ბედისწერაა. თუ ეკლესიაში შეხვალ და ყველაფერს გულწრფელად მოინანიებ, თავს გაცილებით უკეთ იგრძნობ. ხოლო იმ შენი ვითომდა დაქალების ბედი, უფალს მიანდვე“.

თათია, *14 წლის:*

„ძალიან მინდა, რაღაცით თანადგომა გამოგიცხადო. თუ სურვილი გექნება, ვიმეგობროთ. გულწრფელად გეუბნები, შენმა მესიჯმა შემაშფოთა. გელოდები“.

EMPI:

„ცხოვრება გრძელდება. შენ გაქვს იმის უფლება, რომ ბედნიერი იყო“.

ბაჩო, *21 წლის:*

„მინდა, ანარქიას გამოვეხმაურო: მთავარი სინანულია და თავს ნუ დაიტანჯავ, მოძღვარს მიმართე. თუ გინდა, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი და დამიკავშირდი. გული მართლა მეტკინა, როცა შენი წერილი წავიკითხე. ვიცი, ახლა რასაც განიცდი. ჰო, კიდევ, ანარქია, შენ სვანი ხომ არ ხარ? აუ, დედის სულს გეფიცები, ყველანაირად გვერდით დაგიდგები და შენთვის ვილოცებ. ანარქია, ხომ იცი, ქრისტემ რაც უთხრა იმ ადამიანებს, რომლებსაც მარიამ მაგდალინელის ჩაქოლვა უნდოდათ?.. პირველმა იმან აიღოს ქვა და ესროლოს, ვინც უცოდველიაო, მაგრამ იქ უცოდველი არავინ აღმოჩნდა. ჰოდა, ის მაგდალინელი მრუში ქალი იყო, მაგრამ მერე, წმინდანად შერაცხეს. გთხოვ, რწმენას ნუ დაკარგავ, უფალი მოწყალეა და ის აუცილებლად შეგინდობს ცოდვებს“.

ველური ყვავილი:

„ლიკ, ახლა ანარქიას წერილი წავიკითხე და გული მეტკინა. არ მესმის, ცხოვრება ადამიანებს რატომ ექცევა ასე სასტიკად, თანაც, ასეთ პატარა ასაკში. ანარქია, არც კი ვიცი, როგორ დაგეხმარო. ერთადერთი, რაც შემიძლია, შენთან მეგობრობაა. შემეხმიანე“.

მუზაკა:

„ამ მესიჯმა შემძრა. არ ვიცი, რა ვუთხრა, მაგრამ ძალიან მინდა, გამაგრდეს. თუ სურვილი ექნება, შემეხმიანოს. ძალიან მინდა, დავეხმარო“.

ცეპა:

„ამ მესიჯის წაკითხვის შემდეგ, ბევრი ვიტირე. როგორ გაუძელი ამდენს? — გაკვირვებული და გულნატკენი ვარ. გთხოვ, ღმერთს მიენდვე და აღსარება ჩააბარე“.

მარი, *17 წლის:*

„შენი ამბავი ძალიან განვიცადე, ბევრი ვიტირე. თანაგიგრძნობ. ცხოვრება თავიდან დაიწყე. მჯერა, ამას შეძლებ. უფალი გფარავდეს“.

პუსსიკა:

„ანარქია, ბევრჯერ წავიკითხე შენი მესიჯი და გამიკვირდა, როცა გავიგე, რომ თურმე, ადამიანები ჩემზე მეტად იტანჯებიან. მე 19 წლის ვარ და რა არ გადამხდენია თავს: ბავშვობიდან მოყოლებული, დარდი და ცრემლი არ მოჰკლებია ჩემს სახეს. მე დაქალებმაც მიღალატეს და საყვარელმა ადამიანმაც ისეთ დროს მიმატოვა, როცა მისი თანადგომა ყველაზე მეტად მჭირდებოდა — ორსული მიმატოვა და სხვა ქალს გაეკიდა... ტკივილმა და დარდმა უფრო გამაძლიერა. დარწმუნებული ვარ, შენც გადალახავ ამ ტკივილს და იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ ვინც ჩვენ გვიღალატა და მიგვატოვა, ბედნიერი არასდროს იქნება. თუ სურვილი გექნება, ლიკას ჩემი ნომერი გამოართვი“.

ერთგული მკითხველი:

„ძვირფასო ანარქია, ვიცი, ღალატი რაც არის. ერთი ადამიანი სიგიჟემდე მიყვარდა, ისიც სიყვარულს მეფიცებოდა, უამრავ საჩუქარს მჩუქნიდა და როცა ცოლობა მთხოვა, სიხარულით ლამის გავგიჟდი... ერთ მშვენიერ დღეს, ჩემი საქმროს ნომრიდან ვიღაც ქალმა დამირეკა და გაბრაზებული ხმით მკითხა: ჩემი ქმრის ტელეფონზე სასიყვარულო მესიჯი რატომ გამოგზავნეო? აღმოჩნდა, რომ ის ცოლშვილიანი მაწანწალა, საშინელი მექალთანე ყოფილა, რომელიც ჩემთვის საჩუქრებს ცოლის ხელფასით ყიდულობდა. ყველაფერს გავიღებ იმისათვის, რომ გიორგი ჩემს ფეხებთან დაჩოქილი, განადგურებული ვნახო და მალე ვნახავ კიდეც. ანარქია, ღმერთი გფარავდეს. ლიკ, ჩემი ნომერი არავის მისცე, ვიცი, გიორგი ძებნას დამიწყებს“.

მგლის და:

„ანარქია, დაიკო, რა უნდა გირჩიო, როცა არც შეცოდებას ითხოვ და არც საკუთარ თავს პატიობ წარსულს? ტყუილად გგონია, რომ წარსულში ჩადენილი ცოდვა არ მოგინანიებია. შენი ტანჯვა, ცრემლები და გამუდმებული შიში უკან მიხედვისა, იგივე მონანიებაა. შენ სწორი გზიდან ორმა არაკაცმა გკრა ხელი, ახლობლებმაც გიღალატეს და შვილიც დაკარგე. მოკლედ, იმ შეცდომის საზღაური ასმაგად გაქვს გადახდილი. ნუ გეშინია უფლის, მიდი მასთან, ის მოწყალეა. ალბათ, შენი ანგელოზად ქცეული პატარაც შენთვის ზეციდან ლოცულობს. დაიკო, ცხოვრება გრძელდება. ოდესმე სიმშვიდეს შენც მოიპოვებ და ერთგულ მეგობრებსაც შეიძენ. გკოცნი და გეფერები შორიდან“.

კავალია:

„შემძრა ანარქიას აღსარებამ. ვფიქრობ, ერთადერთი გამოსავალი ლოცვა და ეკლესიაში სიარულია. დამიჯერე, შენზე ცოდვილებსაც მოუპოვებიათ სულის სიმშვიდე. უფალი გფარავდეს“.

მაია:

„მთელი ცხოვრება წინ გაქვს. შენ არც პირველი ხარ და არც უკანასკნელი, ვინც

მსგავსი რამ ჩაიდინა. მიენდვე უფალს და გახსოვდეს, ის მუდამ შენთანაა. თუ გინდა, დამიკავშირდი“.

N-17:

„სულით ხორცამდე შემძრა ამ მესიჯმა. ეს ის შემთხვევაა, როცა არ იცი, რა ურჩიო ადამიანს, რომელსაც ეს მართლა სჭირდება. ერთს გეტყვი, ჩემო გოგო, ცხოვრება რთულია. შენ ყველა სირთულე უნდა დასძლიო. თუ სურვილი გექნება, შემეხმიანე. ვეცდები, გვერდით დაგიდგე. გკოცნი“.

პატარა ლელა:

„აუ, გადამრია ამ ამბავმა. არ გამტყუნებ, პირიქით, ყოჩაღ, რომ თავის დაცვა შეგიძლია. ძლიერი ქალი ხარ და გამძლეობას გისურვებ“.

კესო:

„ანარქია, ერთ კითხვაზე მიპასუხე: როგორ უნდა იცხოვროს 14 წლის გოგომ, რომ ასეთი შეცდომა არ დაუშვას და საერთოდ, ვის უნდა ენდოს?“

G.G.:

„შენი ამბავი სევდის მომგვრელია. თითქოს, ბედმა დაგცინა. მაგრამ მთავარია, სულით არ დაეცე. ამბობ, რომ ღვთისმშობლისათვის თვალებში ჩახედვის გრცხვენია, ე.ი. ნანობ ჩადენილს. იცოდე, თუ ადამიანი სინანულს განიცდის, მას უფალი ყველაფერს შეუნდობს“.

თამო, *14 წლის:*

„ცხოვრება სასტიკად მოგექცევია. მჯერა, უფალი არასდროს მიგატოვებს და ეს შენც უნდა გჯეროდეს. მე შენთვის ვილოცებ“.

ველური კატა:

„მართლა ჯოჯოხეთი გამოგივლია. მიკვირს, ასეთმა პატარამ როგორ შეძელი ამდენი ტკივილის ატანა. შენს დაცინვას არ ვაპირებ, პირიქით, გამძლეობასა და სულიერი სიმშვიდის მოპოვებას გისურვებ. ძალიან ცუდია, როცა ის ადამიანები გიღალატებენ, რომლებსაც მეგობრებად მიიჩნევ, მაგრამ ისინი ამისთვის პასუხს აგებენ. შენმა სიტყვებმა — არ შემიძლია, ღვთისმშობლის ხატს თვალი გავუსწოროო, — გული მომიკლა. მესმის, გიჭირს ამის გაკეთება, მაგრამ თუ გინდა, ცხოვრება თავიდან დაიწყო, მოინანიე. უფალი გფარავდეს“.

მამაცი თოვზინა:

„შენმა წერილმა სისხლი გამიყინა. როცა ბოლომდე წავიკითხე, მერეღა მივხვდი, რომ თვალები, ლოყები ცრემლისგან დამსველებოდა. საყვარელო, არ მეცოდები. უბრალოდ, თანაგიგრძნობ. გახსოვდეს, წარსული მტვერია. მთავარია, აწმყო. ეცადე, სული არ გაგიუხეშდეს. შენს სახელზე სანთელს დავანთებ და ღმერთს ვთხოვ, ბედნიერება გაგრძნობინოს. თუ სურვილი გექნება, დამეკონტაქტე“.

ნათი87:

„ჩემი ასაკის გოგონასგან ასეთი ამბის მოსმენა ძნელია. დამიჯერე, შენი განკითხვის უფლება არავის აქვს, რადგან არავინ იცის, რასაც განიცდი“.

იოკო:

„რა უნდა გირჩიო, გარდა ლოცვისა? მაგრამ რადგან ეკლესიაში შესვლა არ შეგიძლია, შეეცადე დახატო, დაწერო ლექსი, მოთხრობა და მათში გადმოსცე საკუთარი გრძნობები. მერწმუნე, ეს მდგომარეობას შეგიმსუბუქებს და ვერც კი შეამჩნევ, ისე მიუახლოვდები უფალს. მთავარია, საქციელი გულით მოინანიო და უფალი თავად გიჩვენებს ტაძრისკენ მიმავალ გზას. ისე, სიმართლე უნდა ითქვას: უფალი მხოლოდ მაშინ გვახსენდება, როცა რაღაც გვიჭირს, მაგრამ ისიც კარგია, მაშინ მაინც რომ გვახსენდება... დამიბეჭდეთ, გთხოვთ. იმედი მაქვს, ის ანარქიას თუ არა, სხვებს მაინც გამოადგება რაიმეში. ანარქია, თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი“.

„სანამ ის ცოცხალი იყო, ჩემს ოჯახშიც სიმშვიდე სუფევდა“

N-17:

„ლიკა, უღრმესი მადლობა, მესიჯი რომ დამიბეჭდე. მკითხველებო, ძალიან მიყვარხართ. რჩევებისთვის თითოეულ თქვენგანს უღრმეს მადლობას გიხდით. თქვენ სწორად მიხვდით, მამა არ მყავს. სანამ ის ცოცხალი იყო, ჩემს ოჯახშიც სიმშვიდე სუფევდა. ვეცდები, თითოეულ თქვენგანს (ვისაც ჩემთან ურთიერთობის სურვილი გაგიჩნდათ) დავეკონტაქტო. ყველა მიყვარხართ“.

„ყველაფერი რომ გაირკვეს, ჩემთვის საყვარელი ადამიანები ქვებით ჩამქოლავენ...“

უცნობი, *22 წლის:*

„საღამო მშვიდობისა, ლიკა. ძალიან დიდი მადლობა, ჩემი აზრი და გულისტკივილი რომ გამოაქვეყნე №49-ში. მე ე.წ. უცნობი ვარ, 22 წლის, სინამდვილეში კი გიორგი მქვია. წავიკითხე იმ სექსოლოგის ინტერვიუ და იცი, ძალიან ცუდად მომხვდა მისი სიტყვები: მთელი ქალაქი მასეთებითაა სავსეო. არა მგონია, ასეთ „სპეციალისტთან“ ოდესმე მივიდე. სხვათა შორის, მე ქალაქში არ ვცხოვრობ და თან, დედისერთა ვარ, რაც ორმაგად მტკივნეულია ჩემთვის... აქამდე ისე ვიქცევი და ვთამაშობ, რომ ჯერ ვერავინ ვერაფერს ხვდება. უკვე ყველა მეუბნება, ცოლი შეირთეო. მე კი დღითი დღე ცუდად ვარ — ყველაფერი რომ გაირკვეს, დარწმუნებული გახლავართ (არ ვაჭარბებ), ჩემთვის საყვარელი ადამიანები მომკლავენ, ქვებით ჩამქოლავენ. არც პარტნიორი და არც ისეთი მეგობარი მყავს, ვისაც ამას გავუმხელ. ეკლესიაშიც ვერ შევდივარ, რადგან არ მინდა, მოძღვარი მოვატყუო. თავის მოკვლას ჯერ ვერ ვბედავ და იმის იმედი მაქვს, რომ ჩემი ორგანიზმი თავად ჩართავს თვითგანადგურების სისტემას. ის მიკლავს გულს, რომ დედამიწის ზურგზე ყველა და ყველაფერი მიყვარს, მაგრამ ბედნიერებას მაინც ვერ ვეღირსე და ვერც ვეღირსები. ლიკ, დიდი ბოდიში, ამ მესიჯებით თუ შეგაწუხე, მაგრამ ჩემი უდიდესი ტკივილის გადმოცემა მინდოდა. ეს სინამდვილეა და არა შეთითხნილი ამბავი. ლიკ, ყველაფერს საუკეთესოს გისურვებ ცხოვრებაში და ჩემნაირი ადამიანი არასდროს შეგხვედროდეს. ბედნიერებას გისურვებ, დიდი სიყვარულით“.

„მკითხველებო, დამეხმარეთ ჯაბას დავიწყებაში...“

ანა-მარია:

„გამარჯობათ. ვკითხულობ სხვების გულისტკივილს და მეც მომინდა, თქვენთვის ჩემი გულისტკივილი გამეზიარებინა. ძალიან მინდა, ამ ტკივილის გადატანაში დამეხმაროთ. 18 წლის ვარ, მაგრამ მიუხედავად ჩემი ასაკისა, ერთ-ერთ სერიოზულ თანამდებობაზე ვმუშაობ, პარალელურად — ვსწავლობ. ჯაბა 3 წლის წინ გავიცანი. ამ დროის განმავლობაში, ბევრჯერ მიტირია (რადგან მის თავს გამუდმებით ვიღაც მართმევდა), მაგრამ ბედნიერიც ბევრჯერ ვყოფილვარ. ჯაბა საოცარი მექალთანეა. ის ყველას თბილად ელაპარაკება, მე კი მიმტკიცებს, მარტო შენ მიყვარხარო. ძალიან ბევრჯერ მატკინა გული. მინდა, დავივიწყო და სამუდამოდ ამოვშალო ჩემი ცხოვრებიდან, მაგრამ არ შემიძლია, მის დავიწყებას ვერ ვახერხებ. ლიკა, გთხოვ, დამიბეჭდე და იქნებ, ვინმე დამეხმაროს მის დავიწყებაში. დიდი მადლობა, რომ მომისმინე. მკითხველებო, თქვენი იმედი მაქვს“.

P.S. თუ ანა-მარიას წერილის წაკითხვის შემდეგ, მასთან გამოხმაურების სურვილი გაგიჩნდათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. ის თქვენს მესიჯებს სულმოუთქმელად ელის და თქვენი დახმარების იმედი აქვს... და კიდევ, თქვენ მიერ გამოგზავნილი „ესემესები“ ჩვენამდე არასრულად აღწევს (ანუ სადღაც წყდება და შესაბამისად, მის შინაარსს ვერ ვიგებთ) და მათ დაბეჭდვას სწორედ ამ მიზეზის გამო ვერ ვახერხებთ. გაითვალისწინეთ, თუ ვრცელი „ესემესის“ გამოგზავნა გსურთ (ერთი მესიჯი 160 სიმბოლოს იტევს), ის რამდენიმე მესიჯად უნდა გამოგზავნოთ. ■

„არა ხამს დათმენა სიკვდილი სჯობს თავთა ვენთათვის!“

მორენა მერკვილაძე

13 დეკემბერს დაწესებულია ხსენება წმინდა მეფე ვახტანგ გორგასლისა — მეფისა, რომლის სახელსაც უკავშირდება საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება; მეფისა, რომლის სახელიც საუკუნეების მანძილზე, დიდებისა და აღმშენებლობის სიმბოლოდ მიიჩნევა... ვახტანგ გორგასალი 15 წლის იყო, როცა სამეფო ტახტზე ავიდა. მაშინ უმძიმესი ხანა ედგა საქართველოს, ყოველი მხრიდან მტერი უტევდა: მამამისი, მიდრატ მეფე ქრისტიანობის ქომაგი, „ქველი და შემმართებელი“, 438 წელს გარდაიცვალა. უფლისწული — ვახტანგი 7 წლის იყო. უმეფოდ დარჩენილი ქვეყნის მართვა მის თანამეცხედრეს, საგდუხტ დედოფალს დააწვა მხრებზე. ბარდავის ერისთავის, ბარზაბოდის ასული იყო საგდუხტი. ცეცხლთაყვანისმცემელი ბარზაბოდი სპარსული პოლიტიკის გამტარებელი იყო, საქრისტიანოს მტრობდა და სიძე-ხელმწიფის მიმართაც გულში ფარულ სიძულვილს ატარებდა. კარგად იცოდა დედოფალმა მამის ხასიათი, შეშინდა, — ვაითუ, შური იძიოს, საქართველოს წინააღმდეგ გამოვიდეს, ქრისტეს სჯულის მიღებისთვის მეც დამსაჯოს და შვილიც მომიკლასო. თვითონ დაასწრო, ბარდავში ჩავიდა, მამის წინ მუხლი მოიყარა და შეევედრა: ნურც ქრისტიანობის დატევებას მაიძულებ და ნურც ქმრისა და მამამთილის ნაქნართათვის მოჰკითხავ ჩემს ოჯახს და დაობლებულ უფლისწულ ვახტანგსო!.. მამამ შეიწყალა ასული, მაგრამ სანაცვლოდ, მცხეთაში ცეცხლთაყვანისმცემელი მოგვები წარგზავნა, რათა თავიანთი სჯული ესწავლებინათ ქართველთათვის. სხვა გზა არ ჰქონდა დედოფალს და მამის პირობას უსიტყვოდ დათანხმდა.

თბილისშიც სპარსელი პიტიახში იჯდა. დედოფლის სისუსტემ ოსებიც გაათამამა — ქართლში შემოიჭრნენ, მოაოხრეს ქვეყანა და უამრავი ნადავლით გაბრუნდნენ უკან. ქართველ ტყვეებთან ერთად, ვახტანგის 3 წლის და, მირანდუხტიც წაიყვანეს. დასავლეთიდან ბიზანტიელები შემოიჭრნენ, აფხაზეთი მათ ხელში იყო და ახლა ეგრისის წყლიდან ციხე-გოჯამდე მიწები დაიპყრეს. მაშინ უფლისწული ვახტანგი 10 წლის იყო...

ვახტანგმა მეფედ კურთხევის დღესვე იხმო მცხეთას წარჩინებულნი და

საქვეყნოდ განაცხადა: „არა დავითმინო კიცხვა სამეფოისა ჩემისა, არაცა სჯულისა ჩემისა... არა ხამს დათმენა — სიკვდილი სჯობს თავთა ჩვენთათვის!“ თქვა და კიდეც აღასრულა — 15 წლისამ აღმართა პირველად მახვილი ქვეყნის დასაცავად; შელახული ღირსების აღსადგენად და სამშობლოს დასაცავად მახვილშემართულმა განვლო მთელი თავისი სიცოცხლე. ბრძოლის ველზე ბუმბერაზი მეფის გამოჩენა მტერს თავზარს სცემდა. მეტსახელი — „გორგასალიც“ ომში მოიპოვა: ვახტანგ მეფეს მუზარადზე მგელი ჰქონდა გამოსახული; მისი გამოჩენისთანავე, სპარსთა რიგებს შეძახილი გადაუვლიდა: „დურ აზ გორგასარ!“ („მოერიდეთ თავსა მგლისასა!“). ყველა ბრძოლის წინ ლოცვაში ათენებდა ღამეს, მარხვითა და ლოცვითაც ითხოვდა ღვთისგან წყალობას. ლაშქარსაც უფლის სახელის მოხმობით ამხნევებდა. იბრძოდა ოსების, ხაზარების, სპარსელების, რომაელების, ჰუნების წინააღმდეგ. ილაშქრა ჩრდილოეთ კავკასიაში, შუა აზიაში, ინდოეთსა და ბიზანტიაში.

როგორ მოხდა საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვება

ვახტანგ მეფეს ცოლად, სპარსთა მეფის — ჰორმიზდ II-ის ასული ბალენდუხტი ჰყავდა. ერთხელ სიმამრმა ბიზანტიის წინააღმდეგ სალაშქროდ იხმო ვახტანგი. ბრძოლისას სპარსელები არავის ინდობდნენ, ღვთის მსახურთაც კი. მეფემ სპარსელებს ღვთის მსახურთათვის ხელის ხლება აუკრძალა, ტყვეობაში მყოფნი გაათავისუფლებინა. მეფეს წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის მოწაფე — მღვდელი პეტრე და მონაზონი სამოელი მიეახლნენ და მადლობა შესწირეს. ერთხანს გულახდილად ისაუბრეს, შემდეგ, მამა პეტრემ შეჰბედა გვირგვინოსანს: არ მინდა, ის კაცი იყო, მარჯვენა ხელით რომ აშენებს და მარცხენათი ანგრევს, მინდა, შენივე ხელით ანთებული ცეცხლი შენვე ჩააქრო და მეგობარი იყო კეისრისაო... ღვთისმსახური, სპარსელებთან ერთად, ქრისტიანთა ხოცვას გულისხმობდა. — მნებავს, შენი ლოცვით სასწაულებრივად შეგვახვედრო ამ ღამეს მე და კეისარი და ამით დავრწმუნდები, რომ ქრისტეს ნებაა, რაც შენ მითხარიო.

პეტრესა და სამუელის ლოცვით მართლაც, იხილა ვახტანგ მეფემ ღვთიური ჩვენება. ძილში წმინდა ნინო და წმინდა იოანე ღვთისმეტყველი გამოეცხადნენ, — რატომ ჩაიდინე ეს ბოროტი საქმე, მოაოხრე ბანაკი და ჩემი ცხვრები მგლებს შეაჭამე? რომ არა პეტრე და სამუელი, გვერდით რომ გიდგანან და ეს სათნო დედაკაცი (წმინდა ნინო), რომელიც მარიამთან ერთად, მარადის იღვწის თქვენთვის, შურს ვიძიებდი შენზეო, — მიმართა წმინდა იოანემ, შემდეგ, ნათლის მსგავსი გვირგვინი გაუწოდა და უთხრა: „დაადგი პეტრეს“. პეტრემ შედარებით ნაკლებბრწყინვალე გვირგვინი აიღო და სამუელს დაადგა თავზე. ამის შემდეგ, წმინდა ნინომ ქართველთა მეფეს უბრძანა, ბიზანტიის მეფესთან მისულიყო. მიეახლა კეისარს ვახტანგი. მან ხელიდან ბრწყინვალეთვლიანი ბეჭედი მოიძრო და გაუწოდა, თან მიმართა, — თუ გინდა, მოგცე გვირგვინი, აღუთქვი ღმერთს, რომ მის მტრებს შეებრძოლები და მოიღე მისგან გვირგვინიო. ვახტანგმა გვერდით გაიხედა და ფრთებზე გვირგვინდადგმული, პატიოსანი ჯვარი იხილა. „ჩვენ ვართ თავსმდებნი, რომ ღვთივსათნო საქმეში უმეტესად წარემართოს (ვახტანგ მეფე), ჰოი, ჯვარო უძლეველო!“ — შეჰღაღადეს ჯვარს წმინდა ნინომ, მამა პეტრემ და სამუელმა. კეისარმა თავზე ნათლის გვირგვინი დაადგა ვახტანგ მეფეს. ვახტანგ, ვახტანგ, უმეტესი მორწმუნე იყო სპარსთა ნათესავთა შორის, შენგან აეშენოს ეკლესიები, განეწესოს ეპისკოპოსნი და ეპისკოპოსთა მთავარი და ბოლოს მოწამის გვირგვინიც მიიღოო, — გაისმა წმინდა გრიგოლ ღვთისმეტყველის ხმა. სიზმარშივე აუხსნა ნანახი მამა პე-

ტრემ გვირგვინოსანს: წმინდა გრიგოლმა მომცა ეპისკოპოსთა მთავრობა, სამუელი კი ჩემგან იკურთხება ეპისკოპოსად. ბეჭედი კეისრისგან მოცემული ნიშნავს, რომ ცოლად შეირთავ მის ასულს და დაგიბრუნებს ქართლის წართმეულ მიწებს. მრავალ ღვაწლს გასწევ ჯვრის ძალით. სამი ნიჭი სთხოვა წმინდა გრიგოლმა ღმერთს შენთვის, რათა შენ მიერ ჭეშმარიტება დაემტკიცოს ქართლის კათოლიკოსისა და ეპისკოპოსთაგან, სძლევდე მტერს და ბოლოს ბრძოლაში მოწამის გვირგვინიც მიიღოო.

ვახტანგ მეფემ გაღვიძებისთანვე იხმო თავისთან მამა პეტრე და სამუელი, აუწყა სიზმრად ნანახი. მათაც იგივე ეხილათ. მეფემ ბიზანტიის კეისართან წარგზავნა მამა პეტრე. ქართველთა მეფის შემორიგებით გახარებულმა კეისარმა ჯვარი და გვირგვინი გამოუგზავნა ვახტანგს და სთხოვა, სპარსთა წინააღმდეგ ბრძოლაში დამეხმარეო. რაც შენს ღვთისმოყვარეობას არ შეშვენის, სხვას ნუ აიძულებ, ღალატი პატიოსანი კაცის ხელობა არ არისო, — შეუთვალა ვახტანგ მეფემ; თან ურჩევდა, თავი შეეკავებინა სპარსელთა წინააღმდეგ შებრძოლებისგან...

მართლაც, დაუბრუნა ბიზანტიის კეისარმა ციხე თუხარისი და კლარჯეთი ზღვიდან არსიანამდე. როდესაც სპარსეთის მეფემ — ჰორმიზდმა (ბალენდუხტის მამამ) შეიტყო — ვახტანგი ბერძნებს შეეკრაო, ჯავრისგან გარდაიცვალა. მალე მშობიარობისას გარდაიცვალა ვახტანგ მეფის თანამეცხედრე, ბალენდუხტ დედოფალიც. დედოფალმა ტყუპი ქალ-ვაჟი შვა...

განვლო 8 წელმა. ამ ხნის მანძილზე, ვახტანგ მეფემ რამდენიმე ბრძოლა გადაიტანა, საქართველოდან განდევნა ცეცხლთაყვანისმცემლები. ქართველთა მეფემ საბერძნეთში მოციქულები გაგზავნა, კეისრის ასულის, პეტრესა და სამუელის ჩამოსაყვანად, რათა პეტრე, ქართლის კათოლიკოსად დაედგინა, სამუელი კი — ეპისკოპოსად. ამან ძალზე გაანაწყენა მეფის აღმზრდელი, ეპისკოპოსი მიქაელი, ცილიც კი დასწამა — ქრისტე დაგიტევებია და ცეცხლსა სცემ თაყვანსო. იფიქრა, ავუჯანყდები და იქნებ გადაიფიქროს მღვდელმთავართა ჩამოყვანაო. დასწყევლა კიდეც მეფე და მისი ერთგულნი. უსიტყვოდ დაითმინა ვახტანგმა ყოველივე. თავმდაბლობა აირჩია. ეპისკოპოსს მიეახლა, სახედრიდან ჩამოხდა და მის ფერხთით დაემხო. მან კი ფეხი გაჰკრა და კბილები ჩაუმტვრია. შეურაცხყოფა დაითმინა მეფემ. ერთი კი უთხრა, — შენი სითამამე და ამპარტავნება ეშმაკის საცდურია, შურით აღიძარ, როდესაც გესმა, რომ ქართლში შენზე უდიდესი მღვდელმთავარი უნდა მოვიყვანო; ვერცხლისმოყვარე ხარ და იუდასავით მეგვადრუცე (მოღალატე) ქრისტესი; გაგგზავნი კონსტანტინოპოლს პატრიარქთან და მან გადაწყვიტოს შენი საქმეო. კონსტანტინოპოლის პატრიარქთან მიავლინა მიქაელი და თან, შემუსვრილი კბილიც გაუგზავნა. მან მიქაელი მღვიძარეთა მონასტერში განაწესა. მამა პეტრე და ეპისკოპოსი სამუელი ანტიოქიაში გაგზავნა, რადგან საქართველოს ეკლესია მაშინ, სწორედ ანტიოქიის მართლმადიდებელ ეკლესიას ემორჩილებოდა. ანტიოქიის პატრიარქმა პეტრე ქართლის კათოლიკოსად აკურთხა, სამუელი კი — ეპისკოპოსად და საქართველოში გამოგზავნა. თან ათი მღვდელმთავარიც გამოაყოლა. ამ დროიდან, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას ავტოკეფალია, დამოუკიდებლობა მიენიჭა. მისი პირველი კათოლიკოსი პეტრე გახლდათ.

მხოლოდ ორი არ ყოფილა წმინდა გვირგვინოსნის საზრუნავი...

ვახტანგ მეფის მეფობის ხანაში დიდი აღმშენებლობა მიმდინარეობდა — აღადგინა და გაამაგრა ძველი ციხეები, მცხეთაში ნინოს დროინდელი სვეტიცხოვლის ხის ეკლესიის ადგილზე ააგო ქვის ტაძარი; საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოპოვების შემდეგ დაარსდა მრავალი ახალი ეპარქია, მეფის ბრძანებით აშენდა ახალი ეკლესიებიც — ნინოწმინდაში, ჭერემში, ჩელეთში, უილეთსა და ნიქოზში (ნიქოზის ტაძარში დაკრძალა რაჟდენ პირველ მოწამის ნეშტიც, რომელიც ვახტანგ მეფის პირველი თანამეცხედრის — ბალენდუხტის აღმზრდელი იყო; წმინდა რაჟდენი თან ჩამოჰყვა საქართველოში ბალენდუხტ დედოფალს, ქრისტიანული სჯული მიიღო და მოწამებრივადაც აღესრულა ჭეშმარიტი სარწმუნოებისთვის); ააგო მეტეხის ტაძარიც. არსებობს ასეთი ხალხური გადმოცემა: ვახტანგ მეფემ რაღაც ფიცი გატეხა. ფიცის გატეხა იმით მოინანია, რომ ერთი ტაძარი თბილისში ააგო, მეორე კი — მცხეთის ზემოთ, მტკვრის ნაპირას. მეტეხი სწორედ მისი ნათქვამიდან წარმოდგა — „მე ვტეხე“ ფიციო. ტაძრების ასაგებად, საკუთარი მხრებით გადაჰქონდა თურმე, უზარმაზარი ლოდები. ხალხური გადმოცემა ვახტან მეფეს მიაწერს მყინვარის ძირში, გერგეტის მთაზე ეკლესიის აშენებას.

ვახტანგ გორგასალმა ააშენა თავისი ახალი სამეფო სამყოფელი — უჯარმა. მის სახელს უკავშირდება საქართველოს დედაქალაქის — თბილისის დაარსებაც: მტკვრის ხეობაში, V საუკუნეში უკვე იდგა ძლიერი ციხესიმაგრე — „ციხედ მცხეთისა“. მის მიდამოებში თანდათან წარმოიშვა პატარა ქალაქი, რომლის მიდამოებში ამომავალი, ცხელი წყაროების გამო „ტფილისი“ ეწოდა. იგი სრულიად მოოხრდა სპარსთა თავდასხმების დროს და ვახტანგ გორგასლის მეფობის პერიოდში, მთლიანად ტყით იყო დაფარული. მეფის ყურადღება თავიდანვე მიიპყრო განადგურებული ქალაქის ტერიტორიამ. გადაწყვიტა, ამ ადგილას ახალი, გამორჩეული ქალაქი აეშენებინა, რომელიც საქართველოს ახალ დედაქალაქად იქცეოდა. მომავალი სატახტო ქალაქის მშენებლობა კი დაიწყო, მაგრამ დასრულება ვერ მოასწრო. მისმა ძემ დაჩიმ „განასრულა ზღუდენი ტფილისისანი“ და მამის სურვილისამებრ, იქ გადაიტანა სამეფო ტახტი. მცხეთა კი ქვეყნის უზენაეს საეკლესიო ხელისუფალს — კათოლიკოსს გადასცა.

უკანასკნელი ბრძოლა

502 წელს სპარსელებმა კიდევ ერთხელ აღმართეს მახვილი საქართველოს წინააღმდეგ. სპარსთა ლაშქარი შემოესია ივრის ხეობას, რუსთავსა და სამგორს. ბრძოლის წინ, პეტრე კათოლიკოსმა დალოცა ქართველთა მეფე და ლაშქარი. 3 დღე მიმდინარეობდა ბრძოლა ივრის პირას. გააფთრებულნი იბრძოდნენ ქართველები. ვახტანგ მეფემ საიერიშოდ, სპარსთა ბანაკის შუაგული, თვით შაჰინშაჰის კარავი ამოიღო მიზანში. ის იყო, ქართველთა მეფემ სპარსთა შუაგული გაარღვია და სპარსთა შაჰის კარავსაც მიატანა, რომ უეცრად, რომელიღაც სპარსთაგან მოსყიდულმა მონა-მსახურმა, ჯაჭვჩარღველ მარცხენა იღლიაში მოარტყა ისარი. მაინც არ მიუტოვებია ბრძოლის ველი მეფეს, შუადღემდე იბრძოდა, სძლია კიდეც სპარსელთა ჯარს. ბოლოს დაუძლურდა, „რადგან დამძიმდა წყლულება ვახტანგისა“.

უჯარმის ციხეში გადაიყვანეს დაჭრილი გვირგვინოსანი. იქვე გარდაიცვალა. სასიკვდილო სარეცელზე მყოფმა, კათოლიკოსი, ცოლ-შვილი (კეისრის ასულისგან ვახტანგს 3 ძე და 2 ასული შეეძინა) და ქვეშევრდომები იხმო: „მე წავალ ღვთის წინაშე და ვმადლობ მის სახელს, რომ არ დამაკლო გამორჩეულთა წმიდათა მისთა. აწ გამცნებთ თქვენ, რათა მტკიცედ იდგეთ სარწმუნოებაზე და ეძიებდეთ ქრისტესთვის სიკვდილს“ — ეს იყო წმინდა მეფის უკანასკნელი სიტყვები. უჯარმის ციხიდან მცხეთას წაასვენეს და მის მიერ განახლებული, სვეტიცხოვლის ტაძარში დაკრძალეს — „წინაშე სუეტისა ცხოველისა“. ■

„ვარსკვლავამ ღანა მიაღო... ღაემუქრა – ყელს გამოგჭრიო"...

ბოროტმოქმედმა დიასახლისი ჯერ სცემა, შემდეგ გააუპატიურა

სამეგრელოს ერთ-ერთ რაიონში მომხდარმა შემზარავმა დანაშაულმა ადგილობრივი მოსახლეობა შოკში ჩააგდო. ყაჩაღურ თავდასხმას, რომელიც ბოროტმოქმედებმა სასტიკი ძალადობით დაასრულეს, 61 წლის ქალბატონის სიცოცხლე შეეწირა. თავდამსხმელებმა, წინააღმდეგობის გაწევის გამო, დაზარალებული საშინლად სცემეს, შემდეგ ერთ-ერთმა მათგანმა გააუპატიურა კიდეც. საქმის მასალების მიხედვით, დანაშაულის ჩადენაში არასრულწლოვანიც მონაწილეობდა. მომხდარი ფაქტი სამართალდამცველებს მან დეტალურად აღუწერა და თანამზრახველებიც დაასახელა... საქმეზე გამოძიება უკვე დასრულებულია. სასტიკ დანაშაულსა და უმძიმესი მუხლებით ბრალდებულებს, ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, უმკაცრესი განაჩენი და მრავალწლიანი პატიმრობა ემუქრებათ...

საქმის მასალების მიხედვით, ფაქტი ღამის პირველიდან 2 საათამდე შუალედში მოხდა. მეზობლები ამბობენ, რომ დაზარალებული სწორედ იმ ღამით ნახეს, ესაუბრნენ და დაახლოებით პირველი საათისთვის დაშორდნენ. გვერდით მცხოვრები მოსახლის თქმით, საეჭვო ხმაური მან, როცა ღამის 2 საათს რაღაც წუთები უკლდა, მაშინ გაიგონა და მაშინვე ეზოში გავიდა. შემთხვევის ადგილზე მისულს, იქ აღარავინ დახვდა, მხოლოდ სავალალო შედეგის — საზარელი სისასტიკის მომსწრე გახდა...

„ბოროტმოქმედთაგან თვალი ვერავის შევასწარი. სახლიდან მე და ჩემი ქალიშვილი ერთად გამოვედით. ღამე იყო, ბნელოდა და ქუჩას არავითარი შუქი არ ანათებდა. ასეთ უკუნში მარტო გასვლის შემეშინდა. ნანულის (ყველა მოქმედი პირის სახელი შეცვლილია. — ავტ.) ძაღლი საშინლად ყეფდა. არ ვიცი, საიდან მიგრძნო გულმა, რადგან ძაღლები ყოველღამე გაუთავებლად ყეფენ ხოლმე. ადრე ყურადღებას არც ვაქცევდით, შეჩვეულები ვიყავით. ახლა ვერ მოვისვენე... თან, მანქანის დამუხრუჭების ხმა გავიგონე და ამან უფრო დამაეჭვა. თუმცა, ბოლომდე დარწმუნებული არ ვიყავი, იმასაც ვფიქრობდი, ხომ არ მომესმა-მეთქი?.. ჭიშკარს ბოქლომით კეტავდა, მაგრამ რადგან გვერდიგვერდ ვცხოვრობთ, ეზოს შიგნიდან საერთო კარი გვაქვს და ჩვენც იქიდან შევედით. ვიცოდი, რომ სახლის პირველ სართულზე ეძინა. სინათლე არ ენთო, მაგრამ იქაურობას გვერდითა ოთახიდან — სამზარეულოდან გამოსული შუქი ანათებდა. საშინელი სურათი ვიხილეთ. ყველაფერი თავდაყირა იყო, ნივთები პირდაპირ იატაკზე ეყარა. ნანული თავიდან ვერც შევნიშნეთ. კარის ზღურბლზე ვიდექით და ოთახში ფეხის შედგმასაც ვერ ვბედავდით. შეშინებულმა, ხმა ძლივს ამოვიღე, რომ ნანულისთვის დამეძახა, მაგრამ არავინ გამომეხმაურა. მაშინ ჩემს ქალიშვილს ვუთხარი, სასწრაფოდ გაქცეულიყო და რომელიმე მეზობლისთვის დაეძახა. მეც გავეცალე იქაურობას. რა თქმა უნდა, მაშინვე მივხვდი, რომ სახლი გაძარცული იყო და მეშინოდა, ბოროტმოქმედები ჯერ კიდევ იქ არ ყოფილიყვნენ, რაიმე არ მოეწიათ ჩემთვის და ჩემი შვილისთვის. ჩემმა შვილმა ნათლიამისს დაუძახა. ჩვენგან ორი მოსახლის შემდეგ ცხოვრობს. ცოლიც თან მოჰყვებოდა. ოთახში რომ შევედით, მაშინ მოვკარი ადამიანის ხელს თვალი. მაგიდასა და საწოლს შორის, იატაკზე ნანული იწვა, ზევიდან საბანი ეფარა და მარტო ხელი უჩანდა. არ ვიცი, დამნაშავეებმა წააფარეს თუ საწოლიდან გადმოვარდა და თავით დაემხო... ხელი რომ დავინახე, შეკივლე. საბანი ოთარმა — ჩემი ქალიშვილის ნათლიამ გადახადა. მაშინვე დაიყვირა — ვინმე მანქანიანს დაუძახეთ, იქნება, ცოცხალია და ვუშველოთო..." — წერს **მაია ხელაია**.

„...შუბლიდან სისხლი სდიოდა. პერანგი წელამდე ჰქონდა აწეული... მაშინვე მივხვდი, რომ ნაწამები იყო..." — წერს ჩვენებაში მოწმე **მოლავა**.

„...მეზობლები გავაღვიძეთ — გვიშველეთ-თქო! იმაზეც მადლობას ვწირავდი ღმერთს, რომ ძაღლების ხმაზე გარეთ გავედი. მაშინ ნანული ჯერ კიდევ ცოცხალი იყო და მისი გადარჩენის იმედი გვქონდა. რა მოხდა, მოგვიანებით შევიტყვეთ. გამომძიებელმა გვითხრა, — ჯერ უცემიათ, გაუუპატიურებიათ, შემდეგ, სახლი გაუძარცვავთ, ცოცხალმკვდარი ქალი უგონო მდგომარეობაში მიუტოვებიათ და გაქცეულანო. საცოდავი ქალი, არც გზაში მოსულა გონს. ძლივს შესამჩნევად სუნთქავდა. ექიმებმა გვითხრეს, რომ კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ მდგომარეობიდან ვერ გამოვიდა, 4 დღის შემდეგ კი — გარდაიცვალა... საერთოდ, ბოლო დროს არც ჯანმრთელობის მხრივ, არც ფსიქოლოგიურად კარგად არ გრძნობდა თავს. მაღალ წნევასა და გულის წუხილს უჩიოდა. განწყობილებაც ცუდი ჰქონდა. მშიშარა არასდროს ყოფილა, ბოლო დღეებში კი სულ იმას გაიძახოდა, — ამხელა სახლში მარტო ქალმა რა უნდა ვაკეთო, ხანდახან მეშინია კიდევაც. როგორც ჩანს, გული ცუდს უგრძნობდა... მარტო ბოლო რამდენიმე წლის მანძილზე ცხოვრობდა, მას შემდეგ, რაც მეუღლე გარდაეცვალა. მისი ქმარი სრულიად მოულოდნელად, გულის ინფარქტით მოკვდა და ნანულიც მარტო დარჩა. ორი შვილი — ქალ-ვაჟი ჰყავს, მაგრამ ორივენი თბილისში ცხოვრობენ. დედას ორივე ეხვეწებოდა, სოფელი მიეტოვებინა, სახლი გაეყიდა და რომელიმესთან გადასულიყო საცხოვრებლად, მაგრამ ნანული სასტიკ უარზე იდგა. ამბობდა, მე და ჩემმა ქმარმა მთელი ცხოვრება ამ სახლსა და კერას შევალიეთ და აქაურობას ვერაფრის დიდებით დავთმობო. სხვათა შორის, იმ საბედისწერო ღამესაც ამ თემაზე ვსაუბრობდით. გვიანობამდე ვილაპარაკეთ. ეტყობოდა, რომ ცდილობდა, რაც შეიძლება ცოტა ხანს დარჩენილიყო მარტო... საერთოდ, მოსული, მსუქანი ქალი იყო. ოთახში რომ შევედით, ისეთი სიტუაცია დაგვხვდა, რომ ეტყობოდა, ყოველივე ეს მხოლოდ ერთი ადამიანის ნახელავი არ იქნებოდა. თანაც, მარტო ერთს ნანულიც გაუმკლავდებოდა. მეზობლებმა მაშინვე ვიეჭვეთ, რომ ბოროტმოქმედი რამდენიმე და თანაც, ის უნდა ყოფილიყო, ვინც კარგად იცოდა დაზარალებულის ცხოვრებისა და მდგომარეობის შესახებ..." — აღნიშნავს მოწმე **ხელაია**.

სასამართლო-სამედიცინო ექსპერტების დასკვნის თანახმად, დაზარალებულს სხეულზე ძალადობისა და ცემის კვალი აშკარად ეტობოდა. მარჯვენა წარბთან დაფიქსირებული ნახეთქი, ექსპერტების თქმით, რაიმე ბლაგვი საგნის ზემოქმედების შედეგადაა მიყენებული. დაზიანებები სისხლნაჟღენთებისა და სისხლჩაქცევების სახით დაფიქსირდა გულმკერდისა და ზედა და ქვედა კიდურების მიდამოებშიც. სიცოცხლისთვის სახიფათო, მძიმე კატეგორიას, ექსპერტების თქმით, თავის არეში, ბლაგვი საგნით მიყენებული დაზიანება მიეკუთვნებოდა.

მომხდარ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე იმავე დღეს აღიძრა. შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და დაზარალებულის ახლობელთა დაკითხვის შემდეგ გაირკვა, რომ სახლიდან რამდენიმე საოჯახო ნივთისა და საყოფაცხოვრებო ტექნიკის გარდა, ფულიც (დაახლოებით 450 ლარამდე) იყო წაღებული. გატაცებული იყო ასევე, ქალის ტყავის ქურთუკი და ძველებური, ვერცხლის, ქარქაშიანი ხანჯალიც. გამოძიებას, როგორც ამბობენ, ეჭვმიტანილთა გვარები იმავე დღეს ჰქონდა. ვარაუდობდნენ, რომ დამნაშავე 3 იყო. თავდასხმიდან მეორე დღეს, პოლიციამ

ერთ-ერთი ეჭვმიტანილი, არასრულწლოვანი გოჩა წიქარავა დააკავა. სამართალდამცველთა ხელში პირველად ჩავარდნილმა წიქარავამ დაკითხვას ვერ გაუძლო და მალე გატყდა. მან აღიარებითი ჩვენებაც დაწერა და თანამზრახველებიც დაასახელა:

„...იმ დღეს ერთმანეთს მე, გაგა გერსამია და ვარსკვლავა, იგივე მიშიკო ჩემია, შევხვდით. მოვილაპარაკეთ, რომ ქუჩაზე, არცთუ ისე შორს მცხოვრები ნანული გეგია დაგვეყაჩაღებინა. ამ ქალს სამივენი ვიცნობდით, მაგრამ გაგამ მაინც მე მთხოვა ამბის გაგება, რადგან შედარებით ახლოს ვცხოვრობდი და მის სახლთან ხშირად თუ ჩავივლიდი, არავინ იეჭვებდა. გაგამ მითხრა, — გავიგე, რომ ჩემი მეზობლისგან პირუტყვის შეძენას აპირებს და ფული ექნებაო. იმ პერიოდში ფული მეც ძალიან მჭირდებოდა. ამიტომ, როცა მან და ვარსკვლავამ „საქმე“ შემომთავაზეს, უარი არ ვთქვი. მოლაპარაკებიდან მეორე დღეს ერთმანეთს ქალაქში უნდა შევხვედროდით. დაახლოებით 3 საათისთვის მივედი გაგას ახლობლის ბინაში. ის და ვარსკვლავა უკვე იქ დამხვდნენ. იარაღი არ გვქონია, მხოლოდ დანები გვდო ჯიბეში. არც ნიღბები გვქონდა. წასვლამდე გადავწყვიტეთ, დაგველია. წინადღეს ვარსკვლავას დაბადების დღე ჰქონდა. სამივენი ნაქეიფარები ვიყავით და ხასიათის გამოსაკეთებლად, ლუდი ვიყიდეთ. დაახლოებით 4 საათი ან შეიძლება, 5-ის წუთები იქნებოდა, როცა ლუდის სმა დავიწყეთ. გაგა წავიდა და რამდენიმე წუთში არაყიც მოიტანა. ორივეს ერთად ვსვამდით... საღამოს, ქუჩაში რომ გავედით, უკვე ბნელოდა. რა დრო იყო, არ მახსოვს. ვარსკვლავამ ტაქსი გააჩერა და ყველანი მასში ჩავსხედით. ვარსკვლავა წინ ჩაჯდა. მანქანა რომ დაიძრა, ცოტა ხანში, დანა ამოიღო, მძღოლს მიადო და დაემუქრა, — რასაც გეტყვი, გააკეთე, თორემ ყელს გამოგჭრიო. ამის შემდეგ, მძღოლს უთხრა — მანქანა გაეჩერებინა და გადასულიყო, თან მიაძახა, — ნუ გეშინია, ცოტა ხნით მათხოვებო, — და შეაგინა... მახსოვს, რომ ვარსკვლავას მანქანა ძალიან დიდი სიჩქარით მიჰყავდა. გეგიების სახლთან რომ მივედით, სახის დასაფარავად, მაისურები ცხვირამდე ავიწიეთ და ღობეზე გადავძვერით. ჩანდა, რომ ქალს ეძინა და კარიც ჩაკეტილი იყო. ძაღლები ისედაც ყეფდნენ და ზედმეტი ხმაური რომ არ გამოგვწვია, ფანჯრიდან გადავწყვიტეთ ბინაში შეღწევა. მინა გაგამ ჩაამსხვრია. ქალს მაშინვე გაეღვიძა, მაგრამ ვარსკვლავამ მოასწრო და ვიდრე კივილს დაიწყებდა, პირზე ხელი ააფარა. ქალმა წინააღმდეგობა სცადა და ამ დროს, საწოლიდან იატაკზე გადმოვარდა. გაგამ მას თავში ხის ნაჭერი ჩაარტყა, რომელიც ბინაში შესვლამდე აიღო იქვე, ეზოში. შემდეგ წიხლები მივარტყით. ვარსკვლავა ეკითხებოდა, — ფული სად გაქვსო? — მაგრამ ქალი ხმას არ იღებდა. ჩვენ მის მკვლელობაზე ან გაუპატიურებაზე არ მოვლაპარაკებულვართ. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა...“

ეჭვმიტანილის ჩვენების მიხედვით, დაზარალებული, ჩემიამ გააუპატიურა. მისი თქმით, ამის თაობაზე თანამზრახველებს ჩემიამ თავად უთხრა, მაშინ, როცა უკვე მანქანაში ისხდნენ და ნაყაჩაღარის გადასამალად მიემართებოდნენ. *„ვარსკვლავა ოთახში დარჩა, მე და გაგას კი იქიდან ნივთები გაგვქონდა, ღობეზე უნდა გადაგვეტანა და მანქანაში ჩაგვეწყო. ჩვენ ვფიქრობდით, რომ ის ქალთან იმისთვის დარჩა, რომ გონზე თუ მოვიდოდა, ყურადღება მიექცია, რათა არ დაეყვირა. ყველაფერს რომ მოვრჩით, მას მანქანაში ველოდებოდით. მაშინ არც მე და არც გაგას არ გვიფიქრია, თუ ასეთი რამ შეიძლებოდა მომხდარიყო“.*

ეჭვმიტანილმა აღნიშნული ჩვენება ბრალდებულის სახით დაკითხვის დროსაც დაადასტურა. მისი, ისევე, როგორც დანარჩენი ბრალდებულების თქმით, დაზარალებულის მოკვლა არც ერთ მათგანს არ ჰქონია მიზნად. განმარტეს, რომ სხეულის დაზიანებები მას წინააღმდეგობის დათრგუნვის მიზნით მიაყენეს. გადათქვამენ თუ არა ჩვენებებს ბრალდებულები, მომავალში შევიტყობთ — მას შემდეგ, რაც ისინი სასამართლოს წინაშე წარდგებიან. ამ დროისთვის კი ცნობილია, რომ დაზარალებულ მხარეს მათ დანაშაულში ეჭვი არ ეპარება და ჩადენილი სისასტიკისთვის კანონის მთელი სიმკაცრით განსასჯელთა დასჯას მოითხოვს. ბრალდებულთაგან წარსულში ნასამართლევი მხოლოდ 21 წლის ჩემიაა. წელიწადნახევრიანი სასჯელი მან ქურდობისთვის მოიხადა. ბრალდების პოზიციით, ეს გარემოება ამჟამინდელ ბრალს კიდევ უფრო ამძიმებს...

კალაძის მკვლელობის საქმეზე ცინცაძემ ჩვენება მისცა

თბილისის საქალაქო სასამართლოში გრძელდება ლევან კალაძის გატაცებასა და მკვლელობაში ბრალდებული ლევან ცინცაძის სასამართლო პროცესი. წინა სასამართლო სხდომაზე განსასჯელი ცინცაძე დაიკითხა. აღსანიშნავია, რომ მთელი სასამართლო გამოძიების განმავლობაში მან პირველად მისცა ჩვენება.

ლევან ცინცაძემ კატეგორიულად უარყო ლევან კალაძის გატაცებასა და მკვლელობაში მონაწილეობა. ასევე უარყო ყველა ის ბრალი, რასაც მას გამოძიება უყენებს.

ყველა დანაშაული უარყო, თუმცა დაადასტურა, რომ სხვა ბრალდებულებს იცნობდა და ზოგიერთ მათგანთან მეგობრობდა კიდეც. ცინცაძის ჩვენების თანახმად, 2001 წლის 22 მაისს ანუ ლევან კალაძის გატაცების წინადღეს, დეიდის დაბადების დღეზე იმყოფებოდა, იმ ღამესაც იქვე დარჩა და მეორე დღესაც გააგრძელა ქეიფი. ამბობს, რომ კალაძის გატაცებისა და მკვლელობის შესახებ მან არაფერი იცოდა.

რაც შეეხება ზესტაფონთან მომხდარ ყაჩაღურ თავდასხმას, — ცნობილია, რომ პროკურატურა ცინცაძეს მასშიც სდებს ბრალს. განსასჯელი კატეგორიულად უარყოფს აღნიშნულ დანაშაულში მონაწილეობას. მისი თქმით, მას არც გორში მომხდარ ყაჩაღობასთან აქვს რაიმე კავშირი. საქმის მასალების მიხედვით, ყაჩაღთა ჯგუფი გორში გოგიაშვილების ოჯახს დაესხა თავს. გამოძიების ინფორმაციით, ცინცაძე ჯგუფის ერთ-ერთი წევრი გახლდათ.

რაც შეეხება ამისულაშვილის აღიარებით ჩვენებას, სადაც ლევან ცინცაძე, როგორც ერთ-ერთი დამნაშავე, ისეა მოხსენიებული, განსასჯელი გამოძიების მხრიდან ზეწოლით ხსნის. საქმეში არსებობს კიდევ ერთი მოწმის — ირინა ლაფაჩის ჩვენებაც, რომელიც ასევე ცინცაძის საწინააღმდეგოა. ამ ჩვენებას ცინცაძე იმით ხსნის, რომ ლაფაჩს ის პიროვნულად არ მოსწონდა.

სხდომა თბილისის საქალაქო სასამართლოში ორშაბათსაც უნდა გამართულიყო, მაგრამ ის დაცვის მხარის მოწმეთა გამოუცხადებლობის გამო გადაიდო. შეგახსენებთ, რომ ლევან ცინცაძე სამართალდამცველებმა სანქტ-პეტერბურგში დაიკავეს. მისი ექსტრადიცია 2007 წლის 3 აპრილს მოხდა. აღნიშნულ საქმეზე მსჯავრდადებულები არიან: დავით ასათიანი და მერაბ ამისულაშვილი. ასათიანს თბილისის საქალაქო სასამართლომ 25 წლით პატიმრობა, ხოლო ამისულაშვილს, გამოძიებასთან თანამშრომლობის გამო, გაცილებით მსუბუქი სასჯელი — მხოლოდ 5 წლით თავისუფლების აღკვეთა გამოუტანა.

საფია შამუგიას სურნელოვანი „თართი“ და ქართული მომღერლები

მშვენიერი ხატია შამუგია, როგორც წესი, სულ საქმეშია და ერთ წუთსაც არ ისვენებს: დილას თუ რადიო „ფორტუნის“ ეთერიდან მიმართავს ადამიანებს, შემდეგ — კომპანია „ისი-პარის“ სასიკეთოდ ირჯება. ის ხომ ამ კომპანიის სახე და პიარ-მენეჯერია. ჰოდა, გასულ კვირას, სწორედ მან, კლუბ „ნაით ოფისში“ უამრავ სტუმარს მოუყარა თავი (საღამოს წამყვანიც თავად იყო).

იქ საგანგებოდ მიწვეულ ჟურნალისტებს უამრავი ახალგაზრდა ადამიანი, კერძოდ, სტუდენტი დაგვხვდა. როგორც გაირკვა, ისინი კომპანიის მომხმარებლები იყვნენ. საღამოც ძირითადად, მათთვის გაიმართა და ასე უწოდეს — Life style party. ორგანიზატორებმა თავიანთ ერთგულ ახალგაზრდა კლიენტებს მშვენიერი სიურპრიზები მოუმზადეს: გარდა იმისა, რომ შეღავათი გაუწიეს მათთან შეძენილ პროდუქციაზე, ასევე იქ მათი საყვარელი მომღერლები დაახვედრეს, ვინც ახალგაზრდებს ყველაზე მეტად უყვართ, კერძოდ: ლექს-სენი, ნინი ბადურაშვილი და ნინა წკრიალაშვილი...

როგორც მომღერლებმა აღნიშნეს, „ნაით ოფისში“ კონცერტის გასამართავად, სიამოვნებით მივიდნენ. პირველად სცენაზე ნინა ავიდა, რომელიც საუცხოო ფორმაში გახლდათ. მან სტუმრებისთვის თავისი რეპერტუარიდან რამდენიმე სიმღერა შეასრულა. სანამ სცენაზე იდგა, დარბაზში მისი მისამართით გამოთქმული სხვადასხვა შეფასება არ წყდებოდა: „მგონი, გახდა“, „არა, გარეგნობაში რაღაც შეუცვლია“, „ეს კაბა უხდება“... როგორც გაირკვა, ნინა „ისი-პარის“ პროდუქციის მომხმარებელი ყოფილა და ამავე ფირმის სილამაზის ცენტრების ხშირი სტუმარიც, სადაც თურმე, სხვადასხვა პროცედურას იტარებს. შემდეგ სცენაზე რეპერი ლექს-სენი ავიდა. მას ახალგაზრდები ჟივილ-ხივილით შეხვდნენ. ლექსომ თავისი რამდენიმე ცნობილი რეპკომპოზიცია შეასრულა და დარბაზიც აიყოლია. აცეკვდა სტუდენტობა, ნამდვილი დისკოთეკა გაჩაღდა... შუალედში კი, ხატიამ სტუმრებს, მოსაწვევ ბარათებზე დაბეჭდილი ნომრების მოხევა და მათი დიდ აკვარიუმში ჩაყრა სთხოვა, რითიც ისინი გათამაშებაში ჩართო. უამრავი პრიზი გათამაშდა. *ცნობილი სახეებიდან ყველაზე მეტად, „მის ბიკინი 2006“-ს, თიკო ჩხეიძეს გაუმართლა*, რომელიც პარფიუმერიული საჩუქრის მფლობელი გახდა. ამის შემდეგ, დისკოთეკა-კონცერტი კვლავ გაგრძელდა. სცენა მომღერალ ნინი ბადურაშვილს დაეთმო, რომლის ნამღერითაც ახალგაზრდები კმაყოფილები ჩანდნენ...

საღამოს, ა-ლა-ფურშეტიც ამშვენებდა და ნაძვის ხეც, ეს კი იმას ნიშნავს, რომ წინასაახალწლო ღონისძიებები უკვე დაიწყო. ■

ლალი ფაცია

რუბრიკის დასაწყისი იხ. გვ. 14

პოლიტიკოსი და დემოკრატი იყო. 1988 წელს მედვედევი ცნობილი რუსი დემოკრატის ანატოლი სობჩაკის გუნდის წევრი გახდა და ფაქტობრივად, სანქტ-პეტერბურგის მერის პოსტზე მის საარჩევნო კამპანიას ჩაუდგა სათავეში. მედვედევი პეტერბურგის უნივერსიტეტის ასპირანტი იმ დროს იყო და სტუდენტ-იურისტებსაც მაშინ უკითხავდა ლექციებს, როცა იქ სობჩაკი სამართლის პროფესორი გახლდათ.

პუტინიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა. დიპლომის აღების შემდეგ კი სამუშაოდ „კაგებეში“ წავიდა. მისი პოლიტიკური კარიერა მოგვიანებით ანუ მას შემდეგ დაიწყო, რაც 1990 წელს „კაგებემ“ საკუთარ ალმა-მატერში მიავლინა და პუტინმაც იქ თავის ყოფილ მასწავლებელ სობჩაკთან ნაცნობობა განაახლა.

პუტინისგან განსხვავებით, რომელსაც 1980-იანი წლების ბოლოს, საბჭოთა კავშირის დემოკრატიისკენ შემობრუნებაში მონაწილეობა არ მიუღია, სობჩაკი და მედვედევი 1998 წელს, სტალინიზმის საჯარო კრიტიკითა და გორბაჩოვისეული გარდაქმნის მხარდაჭერით, მარტო საკუთარი კარიერით როდი რისკავდნენ. პუტინი სობჩაკის გუნდის წევრი მხოლოდ მას შემდეგ გახდა, როცა ეს უკანასკნელი სანქტ-პეტრბურგის მერად აირჩიეს. მედვედევი კი ერთპარტიული საბჭოთა სისტემის დამამხობელი მოძრაობის მონაწილე იყო.

ასე და ამგვარად, მედვედევის დაწინაურება, რუსეთსა და დასავლეთს შორის ურთიერთობის თვალსაზრისით, კარგი სიახლეა. მაგრამ ამას რუსეთის შიდა განვითარებისა და მისი საგარეო პოლიტიკის გართულება შეუძლია. დასავლეთის ლიდერებმა მედვედევის დემოკრატიული გარდაქმნების მხარდაჭერისას სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ, რათა ამით მას რუსეთში ავტორიტეტი არ შეერყეს. საზოგადოებრივმა აზრმა, განსაკუთრებით, მოსკოვის ელიტის განწყობილებამ იმდენად ანტიდასავლური, უფრო ზუსტად კი — ანტიამერიკული მიმართულება მიიღო, რომ დასავლეთის მხრიდან მედვედევის დემონსტრაციული მხარდაჭერა ამ რუსი პოლიტიკოსის პოზიციებს მხოლოდ დაასუსტებს. ■

The Washington Post ***(ამერიკა).***

ის პოლიტიკის მიღმა მდგარი სუპერმენეჯერია

იტალიურ Corriere dela Sera-ს თქმით, სერგეი მარკოვი, რომელიც მას ინტერვიუზე დათანხმდა, ერთ-ერთი იმათგანია, ვინც კარგად ერკვევა რუსულ პოლიტიკურ მექანიზმებში და ისიც მოეხსენება, თუ კრემლის კედლებს მიღმა რა ხდება.

— რატომ მაინცდამაინც მედვედევი?

— ყველაფერი მარტივადაა: ის თავიდანვე პუტინის გუნდის წევრი იყო, იმავე თაობიდან, იმავე ქალაქიდან, იმავე უნივერსიტეტიდანაა, რეფორმატორ მერ სობჩაკთანაც მუშაობდა და ლიბერალური პატრიოტიზმის იდეოლოგიასაც იზიარებდა. რუსეთი ევროპის ნაწილი უნდა იყოს, მაგრამ იმავდროულად, საკუთარი სუვერენიტეტი და იდენტურობაც უნდა შეინარჩუნოს. ვფიქრობ, ამჟამინდელი პოლიტიკური კურსი გაგრძელდება. იმიტომ, რომ მედვედევს მშვიდი ხასიათი აქვს და პუტინის გამოწვევას არ მიჰყოფს ხელს.

— პრეზიდენტს როგორი დამოკიდებულება აქვს მედვედევთან?

— ისეთი, როგორიც სუპერმენეჯერთან. ეს იმ ურთულეს ფუნქციებს შეესაბამება, რომლებიც მას დაეკისრება. თუმცა ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, შეძლებს თუ არა სუპერმენეჯერი პოლიტიკოსობას.

— პუტინი რაღას გააკეთებს?

— პოსტს დატოვებს, მაგრამ მაინც ყველაზე გავლენიან პერსონაჟად დარჩება. მართალი არ არის, რომ წერენ — რუსეთს უკიდურესად საპრეზიდენტო კონსტიტუცია აქვსო. ეს დღეს არის ასეთი პოლიტიკური სისტემა. ჩვენი კონსტიტუცია საპარლამენტო უმრავლესობის უმნიშვნელოვანეს როლს აღიარებს. პარლამენტი პუტინს იმ შემთხვევაშიც გაჰყვება, თუ მას ოფიციალური თანამდებობა აღარ ექნება. მას ისეთსავე როლსა და ადგილს მიუჩენენ, როგორიც შარლ დე გოლს ან დენ სიაოპინს ჰქონდა.

— მედვედევის პრეზიდენტობისას, ძალოვნებს ნაკლები ძალაუფლება ექნებათ?

— პუტინის გუნდი, როგორიც იყო, ისეთივე დარჩება. ეს იმას ნიშნავს, რომ იქ, როგორც ლიბერალები, ისე ძალოვნები და ტექნოკრატებიც იქნებიან. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენში კლანი როდი იმარჯვებს. ამიტომ ხელისუფლების არანაირი გადანაწილება არ მოხდება.

— დასავლეთთან ურთიერთობა თუ შეიცვლება?

— რუსეთი უწინდელ პოზიციაზე რჩება: თანამშრომლობა ისეთი აბსურდული ავანტიურების მხარდაჭერის გარეშე, როგორიც ერაყი ან კოსოვოა. მკითხველმა არ უნდა დაივიწყოს ზღაპრები, რომლებსაც მას უყვებიან: პუტინი დასავლეთის წინააღმდეგი არ არის. დროთა განმავლობაში, ჩვენ უფრო მეტად დამოუკიდებელი პოლიტიკური ინსტიტუტები გვექნება. არც იმის დავიწყება ღირს, რომ 1990-იან წლებში რუსეთში ინსტიტუტებს შორის ერთგვარი ცივი სამოქალაქო ომი მიმდინარეობდა, რომელმაც ქაოსამდე და კინაღამ კოლაფსამდეც კი მიგვიყვანა, რისი ხელახლა გადატანაც აღარავის სურს.

Corriere dela Sera **(იტალია)** ■

რუბრიკა მოამზადა
რუსუდან ლებანიძემ

ჭუჭყიანი ფეხებით სექსი არ გამოვა

„ფორმულა-1“-ის გასული სეზონის მთავარ სენსაციად აღიარებული, „მაკლარენის“ ინგლისელი პილოტი ლუის ჰამილტონი სილამაზის 20 წლის დედოფალს, თურქ კიმრი მირელს გაეყარა. შეიძლებოდა, ამ სიახლისთვის ყურადღება არავის მიექცია, კიმრის გაზეთ The Sun-ისათვის საკმაოდ თამამი ინტერვიუ რომ არ მიეცა. კერძოდ, მან განაცხადა, რომ 2006 წლის იანვარში, ლონდონის ერთ-ერთ ღამის კლუბში შეხვედრისას ლუისს მისთვის, როგორც ტრანსნაციონალური საკურიერო კომპანია DHL-ის მძღოლს, ისე გაუცნია თავი. ცხადია, ჰამილტონი თავისი ვინაობის დიდხანს დამალვას ვერ შეძლებდა. დადგა დრო და ის მირელს გამოუტყდა, თუ რითი იყო სინამდვილეში დაკავებული. როდესაც პილოტი მიხვედრილა, რომ ამ სიახლეს ლამაზმანი სულაც არ შეუშფოთებია, მისთვის პირდაპირ სექსი შეუთავაზებია. საბოლოოდ კიმრი ლუისის დაჟინებულ თხოვნას დათანხმებია, თანაც აღმოუჩენია, რომ „მაკლარენის“ პილოტს განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს ჰიგიენის მიმართ, კერძოდ — გამახვილებულ ყურადღებას იჩენს ფეხების მიმართ. „მას ჭუჭყიანი ფეხების ფობია აწუხებს, — ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში თურქი გოგონა, — პირველი სექსის წინ ლუისმა მაიძულა, პედიკიური გამეკეთებინა. გარდა ამისა, მოითხოვა, რომ ლოგინში ჩაწოლამდე ყოველთვის საფუძვლიანად დამებანა“. კიმრისთან დაშორების შემდეგ, ჰამილტონმა სუპერმოდელ ნაომი კემპბელთან შეხვედრებს მიჰყო ხელი. საინტერესოა, როგორი რეაქცია აქვს მრბოლელის მოთხოვნებზე, ჭირვეულობით ცნობილ შავკანიან მოდელს... ■

კაკა მღვდლობას აპირებს

„მილანის“ გამთამაშებელი კაკა კარიერის დასრულების შემდეგ, ევანგელისტურ ეკლესიაში მღვდლობას აპირებს. „ეს იოლი გზა არ არის, — ამბობს ბრაზილიელი ვარსკვლავი, — საამისოდ, თეოლოგიის საფუძვლიანად შესწავლაა საჭირო. დღეს რთულია, საზოგადოების ყურადღებას მიპყრობა იმისკენ, რაც ათასი წლის წინაა დაწერილი. მაგრამ ამას მღვდელმსახურება მოითხოვს“. რამდენიმე დღის წინ კაკა Gillette-ის სარეკლამო სახედ იქცა. ამგვარად, ის იმ სპორტის ვარსკვლავებს შეემატა, რომლებსაც ცნობილ მარკასთან კონტრაქტი აქვთ გაფორმებული: როჯერ ფედერერს, ტაიგერ ვუდსს და ტიერი ანრის. კაკას დახმარებით, Gillette სამხრეთამერიკულ ბაზარზე გასვლას გეგმავს. ამჟამად, „მილანის“ ნახევარმცველს 3 ცნობილი პირადი სპონსორი ჰყავს: Gillette-ის გარდა, ესენია — Armani (მამაკაცის ქვედა თეთრეულის ხაზით) და Adidas (ფეხსაცმელი და სპორტული ტანსაცმელი). თითოეული კონტრაქტი დაახლოებით მილიონ დოლარადაა შეფასებული. ■

სტადიონ-«მკვლელს» დაანგრევენ

ბრაზილიის ქალაქ სალვადორში, სტადიონ „ფონტე ნოვას“ სახურავის ჩამოქცევამ 7 ქომაგი შეიწირა, რამაც ქვეყნის რეპუტაცია საგრძნობლად შელახა. გასათვალისწინებელია, რომ 2014 წელს, ბრაზილია მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატს უმასპინძლებს. ტრაგედია მაშინ მოხდა, როდესაც „ბაიას“ ქომაგები საყვარელი გუნდის მიერ მიღწეულ საყაიმო ანგარიშს ზეიმობდნენ. „ბაიასთვის“ ეს შედეგი ბრაზილიის ჩემპიონატის მეორე დივიზიონში გადასვლას ნიშნავდა, მაგრამ სწორედ ზეიმის დროს, „ფონტე ნოვას“ ზედა ტრიბუნის ნაწილი ჩამოინგრა. ხალხი დაახლოებით 20 მეტრის სიმაღლიდან ვარდებოდა. მსგავსი ინციდენტები ამ სამხრეთამერიკულ ქვეყანაში ყველაზე დიდი საფეხბურთო ფორუმის გამართვის მიზანშეწონილობას ეჭვქვეშ აყენებს. სწორედ ამის გამო, ხელისუფლებამ სტადიონის დანგრევის გადაწყვეტილება მიიღო. ჩრდილო-აღმოსავლეთ შტატის გუბერნატორი, ბაია ჟაკეს ვაგნერი აცხადებს, რომ „მკვლელი“ სტადიონის ადგილზე ახალი არენა აიგება. FIFA-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ სალვადორში დატრიალებული ტრაგედია, ბრაზილიაში მუნდიალის გამართვის გადაწყვეტილების შეცვლას არ გამოიწვევს. ■

ტიუნინგირებული „ვოლვო“

გერმანული ტიუნინგ-ატელიე Heico Sportiv, რომელიც „ვოლვოს“ ავტომობილებზე მუშაობს, უახლოეს მომავალში პუბლიკას სრულამძრავიანი უნივერსალის — Volvo V70 T6-HS7-ის განახლებულ ვერსიას წარუდგენს. ტიუნინგირებული უნივერსალი გარეგნულად ოდნავ შეიცვლება. კერძოდ, მას ახალი წინა და უკანა ბამპერები, რადიატორის განსხვავებული ცხაური და უკანა ბამპერზე გამონაბოლქვის სისტემის 4 მილაკი დაუმონტაჟდება. ავტომობილის სალონში მრავლად იქნება ალუმინის აქსესუარები, აგრეთვე ატელიეს — Heico Sportiv-ის ლოგოტიპი. მოდერნიზაციის შემდეგ, ბენზინის სამლიტრიანი, ექვსცილინდრიანი ტურბოძრავას სიმძლავრე, რომელიც სიჩქარის ავტომატური ექვსსაფეხურიანი გადაცემათა კოლოფით მუშაობს, 285-დან 330 ცხ.ძ-მდე გაიზარდა. Volvo V70-ის ტიუნინგ-ვარიანტი 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,2 წამში ავითარებს, ხოლო მისი მაქსიმალური სიჩქარე ელექტრონულადაა შეზღუდული და 250 კმ/სთ-ია. შეიძლება აღინიშნოს, რომ საბაზო მოდელი 100 კმ/სთ სიჩქარეს 7,2 წამში ავითარებს. ■

ოთხკარიანი კუპე „ფოლკსვაგენისაგან“

„ფოლკსვაგენმა“ მიკროსაიტი გახსნა, რომელიც გერმანული კონცერნის ახალ მოდელს, ოთხკარიან კუპეს ეძღვნება. საიტზე ამ ავტომობილის პირველი ოფიციალური ფოტოებია გამოქვეყნებული, რომლებზეც რადიატორის ცხაური, სახურავის ნაწილი, უკანა ფრთა და საბარგული ჩანს. ახალი კუპეს მსოფლიო პრემიერა მომავალ წელს, დეტროიტის მოტორშოუზე ან ჟენევის ავტოსალონზე შედგება. მოსალოდნელია, რომ ასეთი ავტომობილი სედანის — Passat — პლატფორმაზე აიწყობა, ხოლო მისი საბაზო ძრავა 1,8-ლიტრიანი, 160 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ბენზინის ტურბომოტორი იქნება. ტოპხაზში კი 300 ცხ.ძ. სიმძლავრის და 3,6 ლ-ის მოცულობის აგრეგატს გამოიყენებენ, რომელიც ამჟამად მოდიფიკაციას — R36-ს უყენია. წინასწარი ინფორმაციით, კუპეს აგრეთვე 230 ცხ.ძ. სიმძლავრიანი ბენზინის მოტორი და 140 და 204 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე ორი ტურბოდიზელიც დაუმონტაჟდება. შესაძლოა, აღნიშნული ოთხკარიანი კუპე ბაზარზე მომავალი წლიდან გამოჩნდეს. ავტომობილი (საბაზო კომპლექტაციით) გერმანიაში დაახლოებით 30 ათასი ევრო ეღირება. ■

პრესტიჟული ნომრები უკრაინაში

უახლოეს მომავალში, უკრაინაში ე.წ. პრესტიჟული სახომრე ნიშნების გაყიდვა დაიწყება — ციფრებისა და ასოების განსაკუთრებული კომბინაციებით. შესაბამის ბრძანებას ქვეყნის შსს-მ მოაწერა ხელი, რომელიც მოგვიანებით იუსტიციის სამინისტრომ დაამტკიცა. სანომრე ნიშნები ციფრებით 0001-დან 0005-მდე, 0007-დან 0009-მდე, აგრეთვე 5555 და 7777, 20 ათასი გრივენი ეღირება (96 ათას რუსულ რუბლზე მეტი); ფასი საავტომობილო ნომრებზე კომბინაციით 1111, 2222, 3333, 4444, 8888 და 9999 გაცილებით უფრო დაბალი, 10 ათასი გრივენი (48 ათას რუსულ რუბლზე მეტი) იქნება, ხოლო სანომრე ნიშნები 0006 და 6666 მსურველებს 7.500 გრივენი დაუჯდებათ (36 რუსულ რუბლზე მეტი). ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	I ეტ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

ქ. თბილისი
თოხლიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

კვირის ასტროლოგიური პროგნოზი

(13 - 19 დეკემბერი)

ᲕᲔᲠᲫᲘ 23.07-23.08

ნებისმიერი საქმე თქვენთვის ხელსაყრელად წარიმართება, რაც კარგ განწყობილებაზე დაგაყენებთ. ამასთან, რომანტიკული თავგადასავალიც გელით. დროის მოცემული მონაკვეთი ხელსაყრელია ოჯახის შესაქმნელად და საკუთარი სოციალური სტატუსის შესაცვლელად.

ᲙᲣᲠᲝ 24.08-23.09

პარტნიორულ ურთიერთობებში წარმატების მისაღწევად და საზოგადოებაში გარკვეული ადგილის დასამკვიდრებლად ძალებს არ დაიშურებთ. ამიტომაც, მაგნიტივით მიიზიდავთ თანამშრომლებს, გავლენას მოახდენთ მათ გადაწყვეტილებებსა და ქმედებებზე.

ᲢᲧᲣᲕᲔᲑᲘ 24.09-23.10

ამ კვირაში გაიზრდება თქვენი პოპულარობა, არ მოგაკლდებათ ოჯახის წევრების, მეგობრებისა და ნათესავების ყურადღება, რომლებიც ყოველ წუთას მზად იქნებიან, მხარი დაგიჭირონ. უქმე დღეებში დროის უმეტესი ნაწილი საკუთარ იმიჯზე ზრუნვას დაუთმეთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲑᲘ 23.07-23.08

თამამად იმოქმედეთ! ამ დღეებში შესაძლოა, თავბრუდამხვევი წინადადებები შემოგთავაზონ, რასაც თქვენი მატერიალური კეთილდღეობა მოჰყვება. შაბათ-კვირას კი საყვარელი ადამიანი სიურპრიზს მოგიწყობთ.

ᲚᲝᲛᲘ 24.08-23.09

თქვენს ოჯახში თბილი და მხიარული განწყობილება დაისადგურებს. კვირის ბოლოს სტუმრიანობა გელით. ოჯახის წევრებთან ურთიერთობა სულიერ სიმშვიდეს მოგგვრით.

ᲯᲐᲚᲒᲣᲚᲘ 24.09-23.10

თქვენს ყურადღებას ოჯახური საქმეების მოგვარება მიიპყრობს. წარმატებული იქნება, დასვენების მიზნით ხანმოკლე მოგზაურობა. თამამად შეგიძლიათ დახარჯოთ მსხვილი თანხა ფუფუნების ნივთების, ტანსამოსისა და გემრიელი საკვების შესაძენად.

ᲡᲐᲡᲜᲝᲠᲘ 24.10-22.11

ფრთხილად იყავით, რადგან მოსალოდნელია ცვლილებები პარტნიორულ ურთიერთობებში. შეგექმნებათ მატერიალური პრობლემაც და ამის გამო, მშფოთვარე განწყობილება დაგეუფლებათ. სამართლიანობის აღდგენის სურვილი დაუფიქრებელი საქციელისკენ გიბიძგებთ.

ᲛᲝᲠᲘᲔᲚᲘ 23.11-21.12

ამ დღეებში დაკავებული იქნებით პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული პრობლემების მოგვარებით. ნუ შეეცდებით, ყველაფერს ერთდროულად მიაღწიოთ, რადგან ეს უარყოფითად აისახება თქვენს ჯანმრთელობაზე.

ᲛᲒᲕᲘᲚᲓᲝᲡᲐᲜᲘ 22.12-20.01

ამ კვირაში დაგეუფლებათ ოპტიმისტური განწყობილება და ძალზე გულუხვი იქნებით. გაიზრდება თქვენი აქტიურობა, ხოლო თქვენს ინიციატივას მრავალი მხარდამჭერი გამოუჩნდება. თავადაც კარგად გაუგებთ გარშემო მყოფებს და შესაძლოა, მათთვის კეთილ ჯადოქრადაც იქცეთ.

ᲗᲘᲗᲘᲡ ᲠᲥᲐ 21.01-19.02

საგრძნობლად შეიცვლება თქვენი გეგმები, გელით მრავალი რომანტიკული სიურპრიზი. სიფრთხილე გმართებთ საბუთების გაფორმებისას, რადგან შესაძლოა, მოგატყუონ და საკუთარი ილუზიების მსხვერპლად იქცეთ.

ᲗᲔᲠᲬᲧᲣᲚᲘ 20.02-20.03

იდუმალებით მოცული ცვლილებებია მოსალოდნელი როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიულ საქმიანობაში. ნუ გაუშვებთ მატერიალური კეთილდღეობის შანსს ხელიდან მაშინაც კი, თუ ფულის შოვნის შესაძლებლობა არახელსაყრელ დროს, მაგალითად, შაბათს ან კვირას მოგეცემათ.

ᲗᲔᲕᲖᲘᲐᲜᲘ 20.02-20.03

მოისურვებთ, რომ კოლეგებს შორის შესამჩნევი გახდეთ და მმართველობის სადავეები ჩაიგდოთ ხელში. მაგრამ ფრთხილად იყავით, შესაძლოა, თქვენმა რჩევებმა და აზრის დაუფარავად გამოთქმამ გარშემო მყოფები გააღიზიანოს.

1 ელდარ შენგელაიას ფილმი
2 კრემიანი ნამცხვარი
3 მათემატიკის ნაწილი
4 თევზსაჭერი გემი
5 კრების ჩატარების წესი
6 გადასაზიდი საქონელი
7 საბერძნეთის დედაქალაქი
8 საშენებლო მასალა
9 საკრედიტო დაწესებულება
10 ქვეყანა აფრიკაში
11 მწვანე სხეულის გაქანების სიდიდე
12 თუთუნი
13 ზღვაოსანთა კუნძულები
14 ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში
15 ეგვიპტის დედაქალაქი
16 ყვავილნარი
17 აღორძინების ხანა
18 მუზეუმი მადრიდში
19 ზრდადაუსრულებელი ქათამი
20 თივის დიდი გროვა
21 ქვეყანა ევროპაში
22 ოპტიკური მინა
23 სირაქლემის სახეობა
24 ბოსტნეული
25 ყვავილი
26 თაქთაქაშვილი ოპერა
27 ინდოეთის შტატი
28 შენობის ჩონჩხი
29 გერმანიის იმპერატორის ტიტული
30 ფრანგი ფერმწერი
31 ალბანეთის დედაქალაქი
32 რუსი პოეტი
33 სამხედრო ფორმის პალტო
34 ღვთის მოციქული
35 ხილი
36 კალმანის ოპერეტა
37 პარლამენტის თავჯდომარე
38 ავსტრალიის დედაქალაქი
39 ეტლი, რომელშიც ადამიანია შებმული
40 მორალი, ზნეობა
41 ავადმყოფობის განვითარების პიკი

წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. მაშარაბი; 2. შამანი; 3. პატივი; 4. ვალე; 5. ბოთე; 6. გონდოლა; 7. ნიკოლ; 8. რუმინეთი; 9. ნიკა; 10. ბარიბალი; 11. ერბო; 12. ფოლი; 13. ფანდური; 14. ანემია; 15. კრავი; 16. კოპრა; 17. ნიკე; 18. კეკე; 19. პარიკი; 20. არილი; 21. ოტელო; 22. უგანდა; 23. ბალალაიკა; 24. კოლბა; 25. ავიამზიდი; 26. ბაგე; 27. შლანგი; 28. ანარქია; 29. ემალი; 30. კოლტი; 31. ლივ; 32. გირაო; 33. რომი; 34. მანდილი; 35. რაი; 36. ალასკა; 37. ლუნატიკი; 38. ჯეზვე; 39. დალი; 40. დიქტი; 41. დიდრო; 42. კიუვეტი; 43. ურა; 44. ატლასი; 45. იმიჯი.

სურათზე: მარკ უოლბერგი; ეშლი ჯადი.

ხართ თუ არა თავდაჯერებული?

პასუხების ვარიანტებია: „დიახ“, „არა“.

1. ხშირად გქონია ისეთი შემთხვევა, როცა დანამდვილებით ვერ იხსენებ — ჩაკეტე თუ არა კარი, გამორთე თუ არა უთო და ა.შ.?
2. ხშირად ხომ არ გეუფლება მოთენთილობისა და დაღლილობის შეგრძნება მაშინ, როცა სინამდვილეში არაფერი გაგიკეთებია ისეთი, რომ გადაღლილიყავი?
3. უმიზეზოდ ხშირად ხომ არ გწყინს რამე?
4. სულერთია თუ არა შენთვის, სად დაჯდები — კინოთეატრსა თუ საკონცერტო დარბაზში?
5. ხშირად ნახულობ სიზმრებს?
6. ხომ არ კრთები, როცა მოულოდნელად ტელეფონი რეკავს?
7. ოჯახში ვინმეს მოულოდნელი ვიზიტისას, სიტუაციის შესაფერისი განწყობილების შექმნა ხომ არ გიძნელდება?
8. ოპერატიულად იღებ თუ არა გადაწყვეტილებებს?
9. უსიამოვნო გრძნობა გეუფლება თუ არა, როცა ვთქვათ, სადმე წასვლის წინ პიჯაკზე ან კაბაზე ლაქას აღმოაჩენ და იძულებული ხდები, ასე დალაქავებული სამოსით წახვიდე სტუმრად?
10. სიამოვნებას გგვრის თუ არა უცხო ადამიანების გაცნობა?
11. სამოგზაუროდ ან დასასვენებლად წასვლის წინ გამგზავრების გადადების დაუძლეველი სურვილი ხომ არ გეუფლება?
12. ზოგჯერ ღამით დაოუკებელი შიმშილის გრძნობას ხომ არ გამოუღვიძებიხარ?
13. ზოგჯერ საკუთარ თავთან მარტო დარჩენის სურვილი ხომ არ გეუფლება?
14. კაფეში წასახემსებლად მარტო შესული, იმ მაგიდასთან ხომ არ ჯდები, სადაც უკვე ვიღაცები სხედან, მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში ცარიელი მაგიდებიც არის?
15. ამა თუ იმ სიტუაციაში ცდილობ თუ არა მოიქცე სწორედ ისე, როგორ საქციელსაც შენგან სხვები ელიან?

დაანგარიშეთ ქულები: ყოველ დადებით პასუხში დაიწერეთ 1 ქულა, უარყოფითში — 0.

ტესტის შედეგები

0-5 ქულა: იმდენად თავქარიანი და ზედმეტად თავდაჯერებული ადამიანი ხარ, რომ ალბათ, არაერთხელ გაგიგონია შენი მისამართით ნათქვამი — „ამას ნამდვილად თავში უქრის“. უმჯობესი იქნება, თუ დაფიქრდები, რაღაც-რაღაცებს გააანალიზებ და სათანადო დასკვნასაც გამოიტან. თავქარიანობა და ზედმეტად თავდაჯერებულობა შენს გარეგნულ იმიჯზეც აისახება: მოდა შენთვის პირველ ადგილზეა. გიყვარს თამამი ექსპერიმენტები და ირგვლივ მყოფებში ზედმიწევნით ექსტრავაგანტური გოგონას იმიჯი გაქვს დამკვიდრებული. შესაძლოა, არც ისეთი თავქარიანი ხარ, როგორადაც სხვებისთვის თავის მოჩვენებას ცდილობ. არ არის გამორიცხული, რომ მოდის უზომო სიყვარულმა შენს პროფესიულ არჩევანზე მოახდინოს ზეგავლენა — ტოპმოდელი ან მოდელიერი გამოხვიდე და მომავალში ამ ასპარეზზე წარმატებასაც მიაღწიო.

6-12 ქულა: შენ გაქვს საკუთარი თავის რწმენა და არცთუ უსაფუძვლოდ, ვინაიდან არც მიზანსწრაფულობა გაკლია და არც ზომიერების გრძნობა გღალატობს. მოდის მიმართაც კრიტიკული დამოკიდებულებით გამოირჩევი: მართალია, ექსპერიმენტები და სიახლეები არ არის შენთვის უცხო, მაგრამ არჩევანს ყოველთვის საკუთარ გარეგნობისთვის შესაფერის სამოსზე აჩერებ და ბუნებრივია, ირგვლივ მყოფებშიც გემოვნებიანი ადამიანის იმიჯით სარგებლობ.

13-15 ქულა: იმდენად დიდი მოთხოვნილება გაქვს, იყო თავდაჯერებული და გქონდეს საკუთარი თავის რწმენა, რომ ძალაუნებურად რეალობის არასწორად აღქმის საფრთხე გექმნება. ანუ ფაქტებს, მოვლენებს და საგნებს საკუთარი, წინასწარ აკვიატებული წარმოდგენის შესაბამისად აღიქვამ, რაც უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ შორს დგას რეალობისაგან. ეს ზეგავლენას ახდენს შენს სტილზეც: ერთხელ და სამუდამოდ მორგებული იმიჯის ერთგული ხარ, რაც საკმაოდ მომაბეზრებელია. უმჯობესი იქნება, თუ ჩაცმულობაშიც შეიტან სიახლეებს და ვარცხნილობასაც შეიცვლი.

იაპონური სენსაციის სუდოკუ

წინა ნომრის სუდოკუს პასუხები

3	8	6	9	1	5	7	4	2
1	5	2	7	4	8	3	6	9
9	4	7	2	3	6	1	8	5
4	7	8	5	6	9	2	3	1
5	9	1	8	2	3	4	7	6
2	6	3	4	7	1	5	9	8
6	3	5	1	8	7	9	2	4
7	1	4	6	9	2	8	5	3
8	2	9	3	5	4	6	1	7

1	3	8	7	4	5	9	2	6
5	6	4	2	9	3	7	1	8
9	7	2	8	6	1	5	4	3
3	4	9	5	1	8	2	6	7
8	1	7	6	2	4	3	9	5
6	2	5	3	7	9	1	8	4
2	8	6	1	5	7	4	3	9
4	5	3	9	8	2	6	7	1
7	9	1	4	3	6	8	5	2

9	1	2	3	7	6	5	8	4
3	5	6	8	4	1	2	9	7
4	7	8	2	5	9	6	3	1
1	3	9	4	2	7	8	6	5
8	2	5	1	6	3	4	7	9
7	6	4	5	9	8	3	1	2
6	4	3	9	1	2	7	5	8
2	8	1	7	3	5	9	4	6
5	9	7	6	8	4	1	2	3

* მარტივი

	6				3	7	5	
8				1				2
	9		5					3
4				8			7	
9				6				5
	1		7	2				9
2					1		9	
6				7				1
	4	1	9				2	

** საშუალო

1				6			9	
				8				6
		6			4	3		
		5	4			7		
7					5			2
		2		1	8	6		
		8	9			5		
3				4				
	9			7				1

*** რთული

	3			2				8
				5				4
		4	3			6		
	6			7			2	
		8	9			3		
	5		6	3			4	
		5			1	7		
4				8				
2				6			9	

ᲓᲐᲯᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲠᲝᲛᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ

სამწუხაროდ, წარსულს ჩაჰბარდა ის დრო, როდესაც ადამიანებს გრძნობები ქაღალდზე გადაჰქონდათ და ერთმანეთს განცდებს წერილების საშუალებით უზიარებდნენ; თანამედროვე ტექნოლოგიების ეპოქაში, პლანეტის ყოველი მეხუთე მცხოვრები სატრფიალო ბარათს წელიწადში მხოლოდ ერთხელ თუ მიიღებს! დიდ ბრიტანეთში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევის მონაცემების თანახმად, 2007 წელს, ინგლისელთა 17%-მა მხოლოდ 1 სასიყვარულო წერილი მიიღო. ბოლო 5 წლის განმავლობაში კი, მსგავსი წერილი რესპონდენტთა 28%-მა გაგზავნა. 16-34 წლის ასაკის გამოკითხულთა 35%-მა და 55 წელს გადაცილებულთა 14%-მა განაცხადეს, რომ სატრფიალო ბარათები არასდროს გაუგზავნიათ!

აღსანიშნავია ისიც, რომ აქტუალობა ჩვეულებრივმა საფოსტო კორესპონდენციამაც დაკარგა. რესპონდენტთა 63%-მა ბოლო 6 თვის განმავლობაში მეგობრებსა და ოჯახის წევრებს მხოლოდ 1 წერილი გაუგზავნა, 6% კი აცხადებს, რომ წერილი არასდროს გაუგზავნია. ამის მიზეზი სწრაფი, საიმედო და უკვე ყველასთვის ხელმისაწვდომი ინტერნეტის მაღალი ტექნოლოგიებია, ის კი არავის აღელვებს, რომ ცივ ეკრანს გრძნობების გადაცემა, არ შეუძლია...



ᲡᲘᲪᲘᲚᲘᲔᲚᲘ ᲛᲐᲤᲘᲝᲖᲘᲡ ᲯᲣᲯᲨᲘ

ᲗᲐᲜᲐᲛᲖᲠᲐᲮᲕᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲔᲑᲘ ᲐᲦᲛᲝᲐᲩᲘᲜᲔᲡ

იტალიაში ყველაზე ცნობილ 30 დამნაშავეთაგან უმთავრესი, 1993 წლიდან ძებნილი დანიელე ემანუელიო პოლიციამ გაცქევის მცდელობისას ადგილზევე მოკლა. სიცილიური მაფიის ბოსმა. გარდაცვალებამდე რამდენიმე წუთით ადრე, მან თანამზრახველთა მისამართებითა და ტელეფონის ნომრებით აჭრელებული ქაღალდის ფურცლები „შეჭამა“. გვამის გაკვეთის დროს, მის კუჭში ჩანაწერების ფრაგმენტები აღმოაჩინეს. ჯერჯერობით უცნობია, გამოიყენებს თუ არა ბრალდება ჩანაწერებს სამხილად. აღსანიშნავია, რომ ბოლო წლებში, იტალიის პოლიციამ ჯერ „ბოსთა ბოსი“, სიცილიური მაფიის „ნათლია“ — ბერნარდო პროვენზანო დააპატიმრა, შემდეგ კი მისი მემკვიდრე სალვატორე ლო პიკოლო დაიკავა და ამით მაფიას მძიმე დარტყმა მიაყენა.

ᲓᲔᲓᲐ ᲜᲐᲮᲔ, ᲛᲐᲛᲐ ᲜᲐᲮᲔ, ᲨᲕᲘᲚᲘ ᲘᲡᲔ ᲒᲐᲛᲝᲜᲐᲮᲔ!..

კაცის ხელი აკლიაო, — ამბობენ ხოლმე თავნება ბავშვებზე, რომელთა აღზრდის პროცესში მამები პრაქტიკულად, არ მონაწილეობენ. ზოგი ჭირი მარგებელიაო — ამ დასკვნამდე მივიდნენ ბრიტსტოლის უნივერსიტეტის მეცნიერები, რომლებმაც 1990-იან წლებში, ქალაქში დაბადებული 6000 ბავშვის მონაცემები გააანალიზეს და დაადგინეს, რომ „კაცის ხელი“ ბავშვს ინტელექტუალური განვითარების სათანადო დონეს ვერ აძლევს. იმ ბავშვებს, რომლებიც მამებთან ერთად კვირაში 15 სთ-ზე მეტხანს ატარებენ, მომავალში, სკოლაში სწავლის დროს ცუდი შედეგები აქვთ. მამების აღზრდის მეთოდის უარყოფითი გავლენა განსაკუთრებით ბიჭებში ვლინდება. ძლიერი სქესის „პედაგოგიკა“ უპირატესობას დისციპლინასა და ფიზიკურ მომზადებას ანიჭებს, დედები კი პირველ რიგში, პირმშოს ინტელექტუალურ განვითარებაზე ზრუნავენ.

ᲑᲝᲠᲝᲢᲛᲝᲥᲛᲔᲓᲘ „ᲣᲑᲔᲓᲣᲠᲔᲑᲘᲡ“ ᲒᲐᲢᲐᲪᲔᲑᲘᲗᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲙᲕᲚᲘᲗ ᲘᲛᲣᲭᲠᲔᲑᲐ

მალტურ გოშიას, რომელსაც ერთობ მახასიათებელი სახელი — „უბედურება“ ჰქვია, პატრონის — ლეონა ჰელმელის გარდაცვალების შემდგომ არნახული სიმდიდრე, 12 მლნ დოლარი დარჩა. მაგრამ ეს მემკვიდრეობა შესაძლოა, გოშიას მართლაც უბედურებად შემოუბრუნდეს: ქალბატონ ჰელმელის მეგობარმა ჯონ კოდიმ ძაღლზე მზრუნველობა ითავა. ის აცხადებს, რომ მცირე დროში ოცზე მეტი მუქარის წერილი მიიღო, სადაც ბოროტმოქმედი „უბედურების“ გატაცებითა და მოკვლით იმუქრება. საბედნიეროდ, მემკვიდრის ადგილსამყოფელი მკაცრადაა გასაიდუმლოებული. დამნაშავეებმა ჩანაფიქრის განხორციელება რომც მოახერხონ, მაინც ხელმოცარულნი დარჩებიან: ანდერძის თანახმად, ძაღლის სიკვდილის შემთხვევაში, მისი ქონება საქველმოქმედო ფონდს მოხმარდება!

ᲥᲕᲘᲠᲬᲐᲡᲝ ᲛᲙᲘᲗᲮᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

თუ გსურთ, აქტიურად ჩაერთოთ თქვენი საყვარელი ჟურნალის განახლებაში — შემოგვთავაზოთ რაიმე იდეა, მოგვაწოდოთ ჭორ-მართალი საინტერესო ადამიანებზე, ოპერატიულად გაგვიზიაროთ თქვენი შეხედულება „გზის“ პუბლიკაციებზე ან უბრალოდ, დააფიქსიროთ საკუთარი პოზიცია ამა თუ იმ პრობლემასთან დაკავშირებით, შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ მესიჯი ტელეფონის ნომერზე: 8.99.17.35.27 ან მოგვწეროთ ელ. ფოსტაზე: gza.fantazia@gmail.com

ᲬᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠ ᲒᲘᲮᲓᲘᲗ ᲛᲐᲓᲚᲝᲑᲐᲡ.

ფოტოკუჩიოზები

საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

საარსებლო ფასდაკლება 5-7%

ბინა შენდება PASCHAI-ის (გერმანია) სამშენებლო ტექნოლოგიის სრული გამოყენებით

ლიმალელი — M ..... M — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თვითრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში